ნ.ბ.ბორგოვი

★

ს.მ.კიროვი სოჭალთველოში

სსრ ჟ. ქმ ცკ-ის გამომცემლობა
1960 თბილისი

წინასიტყვაობა

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ინახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის — ვ. ი. ლენინის სახელოვანი მოწაფისა და თანამებრძოლის, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის ძე კიროვის (კოსტრიკოვის) ხსოვნას, რომელმაც მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე შესწირა მშრომელთა განთავისუფლებისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ს. მ. კიროვი ეკუთვნის პროფესიონალ რევოლუციონერთა იმ პლეადას, რომელიც მეფის ხელისუფლების სასტიკი რეპრესიის პირობებში განუხრელად იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. კიროვის ნათელი, დიდების შარავანდედით მოსილი სახელი განუხრელად დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სოციალიზმის გამარჯვების დიად საქმესთან.

კიროვმა 30 წელზე მეტი იმუშავა კომუნისტური პარტიის რიგებში. ამ ხნის განმავლობაში, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სასტიკი დევნის პირობებში არალეგალურად ურჟუმსკსა და ტომსკში, შორეულ ტაიგაში, ირკუტსკსა და ვლადიკავკაკში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიასა და ასტრახანში, ამიერკავკასიაში, ყაზახეთსა და ლენინგრადში, მას ყოველთვის მაღლა ეჭირა მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა.

კიროვი ოთხჯერ იყო მეფის ხელისუფლების მიერ პატიმრობასა და გადასახლებაში. მან თავისი ცხოვრების რამოდე-

ნიმე წელი მეფის ციხის ჯურღმულებში გაატარა. მაგრამ ცარიზმის ხელისუფლების დევნა-შევიწროებამ ვერ გატეხა მისი ფოლადისებური ნებისყოფა. მან კომუნიზმის საქმისადმი რწმენა და ერთგულება ყოველგვარ სიძნელეებში, დაბრკოლებებსა და წინააღმდეგობებში მტკიცედ შეინარჩუნა. სოციალიზმის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლებში გამოიბრძმედა იგი, როგორც დიდი რევოლუციონერი.

კიროვი იყო რუსეთის სამივე რევოლუციის აქტიური მონაწილე. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით იგი სათავეში ედგა ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკებს და ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნის საქმეს.

ს. მ. კიროვი უშუალო მონაწილეობას იღებდა 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების განხორციელებაში და, როდესაც კავკასიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შუქმა შემოანათა, იგი სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული მთავრობებისა და თეთრგვარდიელთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკებმა 1918 წლის მარტში თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში კიროვი იყო ასტრახანის გმირული დაცვისა და მის მისადგომებთან დენიკინის ჯარების განადგურების ლენინური გეგმის ბრწყინვალედ განხორციელების ორგანიზატორი.

სათავეში ედგა რა ასტრახანის დაცვის საქმეს, ამავე დროს კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დავალებით კიროვი უზრუნველყოფდა სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლებში. 1920 წლის ზაფხულში იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების უშუალო წარმომადგენელი საქართველოში, სადაც მენშევიკური რეაქციის პირობებში როგორც საბჭოთა რუსეთის ელჩი, ხელმძღვანელობდა რა

ლენინური მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის პრინციპებით, ნიღაბს ხდიდა ჟორდანიას კონტრრევოლუციური მთავრობის გამცემლურ მოქმედებას.

ს. კიროვი ს. ორჯონიკიძესთან ერთად სათავეში ედგა XI არმიას, რომელიც გმირულად იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენიხა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. კიროვი ს. ორჯონიკიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა კავკასიის კომუნისტების მთელ მუშაობას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებისა და მის რიგებში ბოლშევიკური ერთიანობის დაცვისათვის.

პარტია კარგად იცნობდა კიროვს, როგორც დაუშრეტელი ენერგიის ადამიანს და ხალხის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს და ამიტომ მას სამუშაოდ გზავნიდა სოციალიზმის მშენებლობის რთულ და პასუხსაგებ უბნებზე. სახალხო მეურნეობის აღდგენის მძიმე პერიოდში პარტიის დავალებით 1921 წლის ივლისიდან 1926 წლის იანვრამდე კიროვი სათავეში ედგა აზერბაიჯანის ბოლშევიკებს. მისი ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის მშრომელებმა აღადგინეს ომით დანგრეული ბაქოს ნავთის მრეწველობა, წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

კიროვი იყო ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. მან დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის, ამიერკავკასიაში ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. სოციალიზმის მტრებთან ბრძოლაში

კიროვმა ს. ორჯონიკიძესთან ერთად ბოლომდე დაიცვა

ლენინური ერთიანობა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში.

როდესაც ზინოვიევის საზიზღარი კონტრრევოლუციური ხროვა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ გამოვიდა, 1926 წლის იანვარში პარტიამ ლენინის ქალაქის ბოლშევიკების ხელმძღვანელად კიროვი გაგზავნა. მისი მეთაურობით ლენინგრადის კომუნისტებმა ნიღაბი ახადეს სოციალიზმის მტრებს და დაუნდობლად გაანადგურეს კაპიტალიზმის რესტავრატორთა, კონტრრევოლუციონერთა ბანდა ლენინგრადში.

კიროვი ეკუთვნის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ლენინურ ბირთვს, რომელმაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ სოციალიზმის ყველა ჯურის მტრებთან ბრძოლაში სახელოვნად დაიცვა ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშა და საბჭოთა ხალხი დააყენა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფართო გზაზე.

კიროვი იყო ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის აქტიური მებრძოლი. ის შეუპოვრად იბრძოდა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე და დაუღალავად რაზმავდა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

ს. მ. კიროვს შესწევდა უნარი დაენახა ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით, შეედუღაბებინა ადამიანები არა ბრძანებებითა და განკარგულებებით, არამედ დარწმუნებით. მისი სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო. კიროვმა, როგორც ყველა მშრომელისადმი გულისხმიერმა ადამიანმა, ამიერკავკასიაში მუშაობის ხუთი წლის განმავლობაში დაიმსახურა უდიდესი ნდობა და სიმპათია საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებისა, რომლებიც პატივს სცემდნენ მას, როგორც გულითად მეგობარსა და ამხანაგს, კრისტალურად სპეტაკსა და უმწიკვლო ადამიანს.

საუკეთესო ორგანიზატორი და პრაქტიკოსი კიროვი ამავე დროს იყო რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, მისი ხმა

არა ერთხელ ქუხდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა აუდიტორიის წინაშე.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბობოქარ დღეებში — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, სამშობლოს დაცვისათვის სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნისათვის მუშაობაში, პარტიისა და ხალხის მტრების გამოაშკარავებისა და განადგურების საქმეში, ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერებისათვის ბრძოლაში კიროვი ყოველთვის წინა ხაზზე იდგა. ის მუდამ იყო უბრალო, პირდაპირი, მართალი, მტკიცე ნებისყოფის ბოლშევიკი მუშაობასა და ცხოვრებაში. მან არ იცოდა შიში და დაღლა შრომასა და ბრძოლაში, მისთვის უცხო იყო სიძნელეებისა და საშიშროების წინაშე უკან დახევა.

„შენ მუდამ ჩვენთან იყავი, — წერდნენ ი. ბ. სტალინი და მისი თანამებრძოლები კიროვის გლოვის დღეებში, — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მძიმე ბრძოლის წლებში; შენ მუდამ ჩვენთან იყავი ჩვენი პარტიის შიგნით მერყეობისა და სიძნელეთა წლებში; შენ ჩვენთან ერთად გადაიტანე უკანასკნელი წლების ყველა სიძნელე და შენ დაგვეკარგე ჩვენ იმ მომენტში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. მთელს ამ ბრძოლაში, ყველა ჩვენს მიღწევაში ბევრია შენი წვლილი, ბევრია შენი ენერგია, ძალა და მგზნებარე სიყვარული კომუნიზმის საქმისადმი“.[1]

საქართველოს მშრომელები მთელი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებთან ერთად თავიანთ გულში მარად ინახავენ და პატივს სცემენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლის, მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელის — კიროვის ნათელ სახელს.

***

წინამდებარე ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს კონკრეტულ დოკუმენტებზე და მასალებზე დაყრდნობით თანმიმდევრულად გადმოსცეს, თუ რა დამსახურება მიუძღვის ს. მ. კი-

[1] გაზ. „პრავდა“ № 331, 1934 წ.

როვს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების, მისი განმტკიცებისა და ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის დამყარების საქმეში.

აღნიშნული საკითხების გაშუქებისას ავტორი გაეცნო ს. მ. კიროვის სხვადასხვა დროს გამოცემულ შრომებს, ასევე მის სტატიებს, მოხსენებებს და სიტყვებს, პირად მიმოწერას, რაც გაფანტულია პერიოდულ ლიტერატურაში და ინახება არქივებში.

ავტორმა შეისწავლა და გამოიყენა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების მასალები, საქართველოში კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებზე დაწერილი საჟურნალო და საგაზეთო სტატიები. ცალკეულ პირთა ნაშრომები, ძველი ბოლშევიკების, მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა მოგონებები და მემუარები, რომლებიც ასახავენ კიროვის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდს.

ს. მ. კიროვის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ მეტად მდიდარი მასალა ინახება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოსა და აზერბაიჯანის ფილიალებსა და ოქტომბრის რევოლუციის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში, ქ. ორჯონიკიძის კიროვის სახელობის მუზეუმში და ბაქოს კიროვის სახლ-მუზეუმში, რაც ავტორის მიერ საკმაოდ იქნა გამოყენებული. ნაშრომში მოყვანილი მთელი რიგი დოკუმენტები პირველად ქვეყნდება.

ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას — გააშუქოს სერგეი მირონის ძე კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში, ამიტომ ბუნებრივია, იგი ვერ იქნება დაზღვეული ხაკლოვანებებისაგან. მიუხედავად ამისა, ავტორი იმედოვნებს, რომ წინამდებარე შრომა გარკვეულ დახმარებას გაუწევს მკითხველებს და კერძოდ კი, ჩვენს ახალგაზრდობას სერგეი მირონის ძე კიროვის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის გაცნობაში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად მისცა დასაბამი ახალ ერას, ერას სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისა.

ხაზს უსვამდა რა ოქტომბრის რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინმა 1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე განაცხადა:

„ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“.[1]

1917 წლის 2 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით გამოაქვეყნა „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაცია“, რომლის ძალითაც გამოცხადდა:

1. რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა.

2. რუსეთის ხალხთა თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, თვითგამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე.

3. ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიისა და შეზღუდვის გაუქმება.

4. რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა თავისუფალი განვითარება“.[2]

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 276.

[2] სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია, დოკუმენტების კრებული, 1948 წ. გვ. 147.

ცნობას, რუსეთში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ, უდიდესი სიხარულითა და აღტაცებით შეხვდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელები, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამართულ კრებებზე და მიტინგებზე სოლიდარობას უცხადებდნენ რუსეთის პროლეტარიატს და ფიცს დებდნენ, რომ მათთან ერთად იარაღით ხელში დაიცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს.

ახასიათებდა რა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილ ვითარებას ამიერკავკასიაში, ი. ბ. სტალინი 1918 წლის მარტს გაზეთ „პრავდაში“ წერდა: „ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!“ მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები“.[1]

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას აღტაცებით შეეგებნენ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელები, რომელთა შორის ს. მ. კიროვი რევოლუციურ მუშაობას ჯერ კიდევ 1909 წლიდან ეწეოდა. 1917 წლის 5 ოქტომბერს ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისაგან კიროვი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატად და ვლადიკავკაზის საბჭოს წევრად. ამავე დროს ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი პარტიული მოღვაწე ამხ. მამია ორახელაშვილი, წევრად კი — ცნობილი რევოლუციონერი, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი სამუელ (ნოე) გრიგოლის ძე ბუაჩიძე.

ჩავიდა რა პეტროგრადში „რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის“ მისაღებად, კიროვმა

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 57.

აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გატარების საქმეში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოების მეორე ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ კიროვი ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნდა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღეებში ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციური ძალები გაერთიანდნენ თერგ-დაღესტნის კონტრრევოლუციურ მთავრობაში, რომელიც წარმოადგენდა კონტრრევოლუციურად განწყობილ კაზაკთა ზედაფენის, წვრილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ბლოკს და რომელიც დონის, კუბანისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებთან კავშირში მთელ თავის საქმიანობას წარმართავდა იქითკენ, რომ არ დაეშვა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება თერგის ოლქში.

ოქტომბრის რევოლუციის ბობოქარ დღეებში, მიუხედავად კონტრრევოლუციურ ძალების სასტიკი წინააღმდეგობისა, თერგის ბოლშევიკები ს. კიროვის, ნ. ბუაჩიძის და მ. ორახელაშვილის ხელმძღვანელობით რაზმავდნენ თერგის ოლქის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. კიროვი თითქმის ყოველ დღე გამოდიოდა მოხსენებებითა და სიტყვებით ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელების წინაშე, სადაც უბრალო და მიმზიდველი ენით უმარტავდა მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს ოქტომბრის რევოლუციის არსსა და მნიშვნელობას.

პეტროგრადიდან დაბრუნების დღეს, 1917 წლის 17 ნოემბერს, ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე კიროვი გამოვიდა მოხსენებით ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობისა და საბჭოების მეორე ყრილობის შედეგების შესახებ. თავის მოხსენებაში კიროვმა განმარტა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოების მეორე ყრილობის დიდი მნიშვნელობა და მოუთხრო ვლადიკავკაზის საბჭოს დელეგატებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა გმირულ ბრძოლებზე, რომლებმაც დიდი ლენინის მეთაურობით უზრუნველყვეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-

ციის გამარჯვება რუსეთში. „პიტერის მუშების და ჯარისკაცების დიდმა სიმტკიცემ, — განაცხადა კიროვმა თავის მოხსენებაში. ჩასძირა არამარტო კერენსკი, არამედ დანები და გოცები. აი პირველი დასკვნა ახალი რევოლუციის გაკვეთილებიდან“. ხაზი გაუსვა რა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების საქმეში მუშებისა და მშრომელი-გლეხობის კავშირის როლს, კიროვმა თავისი მოხსენება დაამთავრა შეძახილით: „გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობას! გაუმარჯოს რუსეთის მესამე დიდ რევოლუციას!“.[1]

კიროვის მოხსენების გარშემო ვლადიკავკავის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოხატული იყო საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი სრული ნდობა.

თერგ-დაღესტნის კონტრრევოლუციურმა მთავრობამ, როგორც კი გაიგო ვლადიკავკავის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ, მაშინვე მიიღო ზომები ვლადიკავკავის საბჭოსა და თერგის ბოლშევიკური ორგანიზაციების გასანადგურებლად. ვლადიკავკავში განლაგებულმა სამხედრო ნაწილებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ რევოლუციის მტრების გავლენის ქვეშ, დაუყოვნებლივ გამოიტანეს დადგენილება თერგ-დაღესტნის კონტრრევოლუციური მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ვლადიკავკავის ბოლშევიკები 1917 წლის ნოემბრამდე მენშევიკებთან ერთად ირიცხებოდნენ ერთ ორგანიზაციაში, სადაც მენშევიკები ცდილობდნენ გაეტარებინათ რევოლუციის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ვლადიკავკავის ბოლშევიკები ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის მეთაურობით განუხრელად იბრძოდნენ იმისათვის, რათა გადმოეყვანათ ვლადიკავკავის მუშები თავიანთ მხარეზე, შემდეგ კი განედევნათ მენშევიკები ვლადიკავკავის ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან. 1917 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 14.

დამფუძნებელი კრებისადმი დამოკიდებულების საკითხში ვლადიკავკაკის ბოლშევიკებმა კიროვის ხელმძღვანელობით თერგის პარტიულ კრებაზე სასტიკად დაამარცხეს მენშევიკები და მათზე საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს; ამ კრების მონაწილე 500 კაციდან მენშევიკების პლატფორმას ხმა მისცა მხოლოდ ათმა კაცმა, დანარჩენებმა კი ერთხმად დაუჭირეს მხარი ბოლშევიკების პლატფორმას. ამ კრების შემდეგ მენშევიკურმა ორგანიზაციამ ვლადიკავკაკში ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა.[1] ასევე ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის მეთაურობით ვლადიკავკაკის ბოლშევიკების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად 1917 წლის ნოემბრის ბოლოს ვლადიკავკაკის გარნიზონის ჯარის ნაწილები ბოლშევიკების მხარეზე გადმოვიდნენ და თავიანთ კრებაზე გამოიტანეს დადგენილებები ჯარისკაცთა კომიტეტებიდან მენშევიკებისა და ესერების განდევნის შესახებ.

თერგის ბოლშევიკების მიერ ს. კიროვის, ნ. ბუაჩიძის და მ. ორახელაშვილის მეთაურობით გაწეული მუშაობის შედეგად 1917 წლის ბოლოს დღის წესრიგში დადგა საკითხი ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღებისა, რომლის განსახორციელებლად, გამოხატავდა მუშათა, ჯარისკაცთა და მშრომელი გლეხობის ინტერესებს და ნება-სურვილს, 1917 წლის 30 დეკემბერს ვლადიკავკაკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა ხელისუფლების ცნობისა და რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დეკრეტისა და დადგენილებებისადმი დამორჩილების შესახებ.[2]

მაგრამ არ ეძინათ რევოლუციის მტრებს. ვლადიკავკაკის საბჭოს 30 დეკემბრის დადგენილების საპასუხოდ თერგ-დაღესტნის მთავრობის ბრძანებით კონტრრევოლუციურად განწყობილმა მთიელმა ოფიცრებმა 31 დეკემბერს ვლადიკავკაკის საბჭო დაარბიეს, ხოლო მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა:

---

[1] ს. მ. კიროვის მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა, 1938 წ. გვ. 35.

[2] ი. რაზგონი, ს. მ. კიროვის მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა, 1935 წ. გვ. 34.

ნ. ბუაჩიძე, მ. ორახელაშვილი და სხვები დააპატიმრეს. კიროვი კი შემთხვევით გადურჩა პატიმრობას. დაპატიმრებულ ამხანაგებს სიკვდილით დასჯა მოელოდათ. მაგრამ ისინი გადაარჩინეს მუშათა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც თერგის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაანთავისუფლეს ისინი პატიმრობიდან.

1918 წლის იანვრის დასაწყისში თერგის კონტრრევოლუციური ძალები შეტევაზე გადავიდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციურად განწყობილი მასების წინააღმდეგ. ბოლშევიკური ორგანიზაციები დაარბიეს. თერგდაღესტნის მთავრობამ გამოსცა ბრძანება კიროვის დაპატიმრების შესახებ. ქუჩაზე გააკრეს კონტრრევოლუციური შინაარსის პროკლამაციები წარწერით: „ძირს საბჭოები!“, „სიკვდილი ბოლშევიკებს!“, „სიკვდილი კიროვსა და ორახელაშვილს!“[1]

კონტრრევოლუციონერები ცდილობდნენ ეროვნული შუღლის გაღვივებას, რათა მშრომელების ყურადღება ჩამოეშორებინათ რევოლუციისაგან. 1918 წლის 5 იანვარს კაზაკთა ჯარის ნაწილები იარაღით გაუსწორდნენ ქ. ვლადიკავკაზში საბაზროდ მოსულ ინგუშებს. ამ პროვაკაციის შედეგად დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები კაზაკებსა და მთიელებს შორის.

ასეთ რთულ ვითარებაში კიროვმა თავისი სიცოცხლე ჩაგდო რა საფრთხეში, ღამით პირადად გამოცხადდა მთიელთა კონტრრევოლუციური მთავრობის თავმჯდომარე კაპლანოვთან, რომელსაც თეთრგვარდიელთა ბანდები იცავდნენ და აიძულა ის გაეცა განკარგულება შეეწყვიტათ ვლადიკავკაზში მთიელებსა და კაზაკებს შორის სისხლის მღვრელი ბრძოლები.

კონტრრევოლუციური ძალების შეტევაზე გადმოსვლის შედეგად ვლადიკავკაზის ბოლშევიკები იძულებული შეიქმნენ არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყვნენ, კიროვი კი 1918 წლის 7 იანვარს არალეგალურად ვლადიკავკაზიდან პიატიგორსკში გადავიდა, სადაც სათავეში ჩაუდგა პიატიგორსკის

---

[1] „ამხანაგი კიროვი“, 1935 წ. გვ. 75.

ბოლშევიკებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.[1]

თერგის ოლქის კონტრრევოლუციური ძალების მობილიზაციისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით თერგ-დაღესტნის კონტრრევოლუციური მთავრობის მიერ 1918 წლის იანვრის ბოლოს მოწვეულ იქნა თერგის ოლქის ხალხთა პირველი ყრილობა. ყრილობის მომზადებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა კაზაკების „სამხედრო საბჭო", რომელსაც სათავეში ედგნენ რევოლუციის დაუძინებელი მტრები, კაზაკი ოფიცრები რიმარი და პიატირუბლევი.[2]

იმისათვის, რომ ჩაეშალათ „თერგ-დაღესტნის" კონტრრევოლუციური მთავრობის ბოროტი ზრახვები და დაერაზმათ თერგის ოლქის მშრომელები კომუნისტური პარტიის გარშემო, თერგის ბოლშევიკებმა ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის მეთაურობით გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ თერგის ოლქის სახალხო ყრილობის მუშაობაში.

1918 წლის 25 იანვრიდან პირველ თებერვლამდე ქ. მოზდოკში მიმდინარეობდა თერგის ხალხთა პირველი ყრილობა, რომელსაც 600-მდე დელეგატი ესწრებოდა. პიატიგორსკიდან ყრილობის დელეგატების ჯგუფს ხელმძღვანელობდა ს. კიროვი, ვლადიკავკაზიდან კი — ნ .ბუაჩიძე.

კონტრრევოლუციურად განწყობილი კაზაკები და მთიელთა წარმომადგენლები მიზნად ისახავდნენ გამოეყენებინათ თერგის ოლქის ხალხთა ყრილობა რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ყოველგვარ საშუალებებს და ღონისძიებებს მიმართავდნენ, რათა ყრილობას მიეღო დადგენილება მთიელების, კერძოდ კი, ინგუშებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ.

ყრილობაზე ბოლშევიკმა დელეგატებმა ს. კიროვისა და

---

[1] ს. მ. კიროვის მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა. 1937 წ. გვ. 38.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები ტ. I, 1936 წ. გვ. 28.

ნ. ბუაჩიძის მეთაურობით მიიღეს გადაწყვეტილება თერგის ოლქის დემოკრატიული ძალები ბოლშევიკების მხარეზე დაერაზმათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსული კაზაკებისა და მთიელთა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ და ყრილობა გამოეყენებინათ როგორც ტრიბუნა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ბოლშევიკების ფრაქციამ ყრილობაზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მომხსენებლად გამოყო ამხ. კიროვი. ყრილობის პრეზიდიუმში უმთავრესად არჩეულ იქნენ ბოლშევიკები, მათ შორის ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე.

ყრილობაზე კიროვის ინიციატივით ბოლშევიკების ფრაქციამ შექმნა ბოლშევიკების, ჯერმენისტების, მენშევიკების, მემარცხენე და მემარჯვენე ესერების ბლოკი „სოციალისტური ბლოკის“ სახელწოდებით, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: გაერთიანდეს თერგის ოლქის ხალხთა დემოკრატიული ძალები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კაზაკებსა და მთიელებს შორის.

ყრილობაზე „სოციალისტური ბლოკის“ სახელით მოხსენებითა და სიტყვებით გამოვიდნენ ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე. რომლებმაც დამაჯერებლად განუმარტეს და დაუმტკიცეს ყრილობის დელეგატებს, რომ ნაციონალური ომები სასარგებლო იყო არა მშრომელთათვის, არამედ რევოლუციის მტრებისათვის.

11 თებერვალს კიროვმა საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა, რომლითაც მოუწოდა თერგის ხალხებს გაეერთიანებიათ თავიანთი ძალები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მას მაშინ დაუყოვნებლივ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების საკითხი არ დაუყენებია, რადგან ეს გამოიწვევდა ყრილობაზე „სოციალისტური ბლოკის“ დაშლას, რაც კონტრრევოლუციისათვის სასარგებლო იქნებოდა.

„ჩვენ — განაცხადა კიროვმა თავისი სიტყვის დასასრულს — ეიბრძვით მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დე-

მოკრატიული რესპუბლიკისათვის. დე ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა და გლეხთა კოჟრიანი ხელების ინტერესები, განაცხადოს: „გაუმარჯოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რესპუბლიკას!“.[1]

ყრილობამ კიროვის წინადადებით ერთხმად მიიღო დადგენილება თერგის ოლქის ხალხებს შორის ომის შეწყვეტის, ჩეჩნებისა და ინგუშების წარმომადგენლობის ყრილობაზე მოწვევის, კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ მთელი პროგრესული ძალების გაერთიანებისა და ხელისუფლების მტკიცე ორგანოს შექმნის შესახებ. ამ ორგანოს უნდა გადაეწყვიტა მიწის, სასურსათო, ნაციონალური, თვითმართველობის და სხვა საკითხები, რომლებიც რევოლუციამ დღის წესრიგში დააყენა.

თერგის ხალხთა პირველმა ყრილობამ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა თერგის ოლქის სახალხო საბჭო, რომლის შემადგენლობაში ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე აირჩიეს, რადგან მოზდოკში თავმყორილი კონტრრევოლუციური ძალები საფრთხეს ქმნიდნენ თერგის ოლქის სახალხო ხელისუფლების შექმნისათვის, ამიტომ ყრილობამ დაადგინა თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობა მოეწვიათ არა მოზდოკში, არამედ ქ. პიატიგორსკში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თერგის ოლქში შემავალი ყველა ერისა და ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლებს.

ყრილობაზე არჩეულმა თერგის ოლქის სახალხო საბჭომ თერგის ოლქის მშრომელებს გაუგზავნა ს. კიროვის მიერ შედგენილი მიმართვა ნაციონალური ომების შეწყვეტის, თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობის მოწვევისა და ხელისუფლების მტკიცე ორგანოს შექმნის აუცილებლობის შესახებ. „თერგის ოლქის ხალხები, — ნათქვამი იყო მიმართვის ბოლოს — მხარში ამოუდგებიან რევოლუციურ რუსეთს სამშობლოს თავისუფლების დაცვისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში“.[2]

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, 1936 წ. გვ. 22—23. იქვე, გვ. 27.

2. ა. მორგოშია.

ამრიგად, თერგის ოლქის ხალხთა პირველი ყრილობა, მთიელებთან ომის გამოცხადებისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღიდან, როგორც ამას რევოლუციის მტრები ვარაუდობდნენ, თერგის ბოლშევიკებმა ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით გადააქციეს ჩრდილოეთ კავკასიის მრავალეროვან ხალხთა შორის მშვიდობის, ძმობის დამყარებისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად.

აფასებდა რა თერგის ხალხთა პირველი ყრილობის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ ჩატარების საქმეში ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის როლს, სერგო ორჯონიკიძემ რუსეთის სფსრ-ის სახკომსაბჭოს სხდომაზე 1919 წლის 10 ივლისს განაცხადა: „მხოლოდ ჩვენი ამხანაგების, უმთავრესად ამხანაგების კიროვისა და ბუაჩიძის მარჯვე პოლიტიკის მეოხებით მოხერხდა კაზაკთა მაქინაციის ჩაშლა და არ იქნა დაშვებული ყრილობის მიერ მთიელებისათვის ომის გამოცხადება“.[1]

1918 წლის 16 თებერვალს ქ. პიატიგორსკში გაიხსნა თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობა, სადაც დელეგატების უმრავლესობა ბოლშევიკებს ემხრობოდა. თუ თერგის ხალხთა პირველ ყრილობაზე კაზაკებმა უფლება არ მისცეს ინგუშებს და ჩეჩნებს გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები, კიროვის მეთაურობით თერგის ბოლშევიკების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ინგუშებს და ჩეჩნებს მიეცათ საშუალება გამოეგზავნათ თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად თავიანთი დელეგატები, რომლებიც ყრილობის მუშაობის მთელს პერიოდში ბოლშევიკების მხარეზე გამოდიოდნენ. ჩეჩნებისგან ყრილობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ახალგაზრდა რევოლუციონერი ასლანბეკ შერიპოვი.[2]

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე. სიტყვები და სტატიები ტ. I, 1957 წ. გვ. 95.

[2] ა. შერიპოვი იყო ჩეჩენი ხალის სახელოვანი შვილი. კიროვის ახლო მეგობარი და ამხანაგი. ის იყო წითელი არმიის ჩეჩნელი ნაწილების შექმნის ორგანიზატორი. ა. შერიპოვი გმირულად დაეცა სამოქალაქო ომის ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების დაცვისათვის ბრძოლაში.

თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობის მოწვევა დაემთხვა დასავლეთის ფრონტზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გერმანელ ოკუპანტების შეტევაზე გადმოსვლას, რომელიც 1918 წლის 18 თებერვალს დაიწყო.

20 თებერვალს გერმანელ დამპყრობლებისაგან ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის დაცვის ლოზუნგით ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა კიროვი. თავის მოხსენებაში კიროვმა დახასიათა ის საშინელი საფრთხე, რომელიც მოელოდა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს გერმანელ დამპყრობლებისაგან. მან მოწოდებით მიმართა თერგის ოლქის მშრომელებს მტკიცედ დაერაზმათ თავიანთი რიგები გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე ყრილობაზე რამდენიმეჯერ გამოვიდნენ მოხსენებითა და სიტყვებით. ყრილობაზე ცარიზმის დამხობის ერთი წლის თავთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში კიროვმა განაცხადა: „ხალხი მიისწრაფის თავისუფლებისაკენ, ის მალე თავისუფალი იქნება. დე იცოდეს ყველამ რომ ჩვენ ვვინდა დავამარცხოთ არა მარტო ხალხის გვირგვინოსანი მტრები, რომელთა სურათები ღმერთის სურათების გვერდით ეკიდათ, არამედ ყველა ისინი რომლებიც ჩვენს სისხლში დაცურებული, და ჩვენი ცრემლებით მორწყული ოქროთი ბრჭყვინავდნენ. ჩვენ ნამდვილად გადავწყვიტეთ ბოლო მოვუღოთ ჩვენს ტანჯვას, გამარჯვება უდაოდ ჩვენი იქნება. რევოლუციის ძლიერი ალი აინთო ერთი წლის უკან, რომლის ნაპერწკლები მოედება მთელს მსოფლიოს, როგორც მაუწყებელი რუსეთის დიდი რევოლუციისა“.[1]

თუ თერგის ოლქის ხალხთა პირველ ყრილობაზე „სოციალისტური ბლოკის“ წარმომადგენლები – თერგის ბოლშევიკების მეთაურობით საკითხების განხილვის დროს ერთად გამოდიოდნენ, მეორე ყრილობაზე, როცა ბოლშევიკმა დელეგატებმა კიროვისა და ბუაჩიძის მეთაურობით მოითხოვეს მიწისა და სხვა მტკივნეული საკითხების გადაჭრა საბჭოთა რუსეთის

---

[1] სსრ კავშირში სამოქალაქო ომის დოკუმენტები ტ. I, 1944 წ. გვ. 255.

მთავრობის დეკრეტების საფუძველზე, ესერებმა, მენშევიკებმა და კონტრრევოლუციურად განწყობილ კაზაკთა ზედაფენის წარმომადგენლებმა ზურგი შეაქციეს ყრილობას და გაეთიშნენ ბოლშევიკებს. მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების წაქეზებით კაზაკ დელეგატებმა დატოვეს ყრილობა და ყრილობის ზურგს უკან, მისგან ფარულად, გააჩაღეს ომი მთიელების წინააღმდეგ.

ამრიგად, როგორც ამბ. ს. ორჯონიკიძემ რსფსრ სახკომსაბჭოს სხდომაზე 1919 წლის 10 ივლისს თავის მოხსენებაში განაცხადა სოციალისტური ბლოკი „პიატიგორსკის ყრილობაზე დაიშალა.[1]“

მიუხედავად ესერების, მენშევიკების და კონტრრევოლუციურად განწყობილ კაზაკთა ზედაფენის დელეგატების წინააღმდეგობისა, თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობაზე თერგის ბოლშევიკებმა ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის მეთაურობით შეძლეს გადაეწყვიტათ მიწის, ხელისუფლების მტკიცე ორგანოს შექმნისა და სხვა მთელი რიგი საკითხები საბჭოთა რუსეთის მთავრობის დეკრეტების მოთხოვნის შესაბამისად.

1918 წლის 4 (17) მარტს თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობამ თერგში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. კიროვის წინადადებით, ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა რევოლუციის ბელადს — ვ. ი. ლენინს. ყრილობამ აირჩია თერგის სახალხო საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელშიც ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე შეიდნენ.

კიროვი შეიყვარეს თერგის მშრომელებმა, როგორც ღვიძლი შვილი, რადგან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მან უჩვენა გზა მთიელ მოსახლეობას თავისუფლებისაკენ. „მეფის რეჟიმის დროს — განაცხადა კიროვმა ყრილობაზე — ბურჟუაზიის მესვეურებს აინტერესებდათ კავკასიის მთები იმიტომ, რომ მათ თავზე ლამაზად ლივლივებდნენ თავისუფალნი არწივნი, მაგრამ ისინი ვერ გამჩნევდენ თქვენ, არწივებს, რომელნიც ფრთებშეკრულნი ცხოვრობდით ამ მთების

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები ტ. I, 1957 წ. გვ. 96.

ძირას".[1] კიროვის მუშაობამ ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მისმა მგზნებარე სიტყვებმა მას დიდი სახელი მოუხვეჭა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის, ამიტომ იყო, რომ იგი ახალგაზრდა ბოლშევიკი, თერგის ოლქის ხალხთა ყრილობამ „საპატიო მოხუცად" აირჩია.[2]

მიუხედავად მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენელთა წინააღმდეგობისა, კიროვის წინადადებით თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობამ მიიღო დადგენილება საოლქო მთავრობის შესაქმნელად ყრილობის ქ. ვლადიკავკავში გადასვლის შესახებ. ამით კიროვი ცდილობდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც ყრილობის წინააღმდეგ პიატიგორსკში კონტრრევოლუციური ძალები ამზადებდნენ, და ბოლშევიკების ხელში გადმოსულიყო თერგის ოლქის ცენტრი, რათა იზოლაცია ეყო იქ მყოფი თერგ-დაღისტნის კონტრრევოლუციური მთავრობისათვის.

20 მარტს, ღამით, ყრილობის დელეგატები ვლადიკავკავში ჩავიდნენ. ამავე ღამეს თერგის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშათა შეიარაღებულმა რაზმებმა წითელი გვარდიის დახმარებით ქალაქი დაიკავეს. თერგ-დაღისტნის კონტრრევოლუციური მთავრობა კი დამხობილ იქნა. მეორე დღეს, 21 მარტს, ყრილობამ ვლადიკავკავში მუშაობა განაგრძო. ყრილობამ პირველ სხდომაზე საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა თერგის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, რომელიც შევიდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ყრილობამ შექმნა თერგის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი საბჭოთა მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამ ხ. ნ. ბუაჩიძე, სამხედრო კომისრად — ცნობილი რევოლუციონერი ი. ბუტირინი, განათლების კომისრად — კი ბოლშევიკი ა. მარკუსი[3].

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 223.

[2] ემ. იაროსლავსკი, ბოლშევიკის უკვდავი სახე, ჟურ. „პარტიული მშენებლობა" № 23/24, 1938 წ. გვ. 6.

[3] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები. ტ. I, 1937 წ. გვ. 96.

1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მაისისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა როგორც თერგში ისე როსტოვ-დონში, ეკატერინოდარში, ნოვოროსისკში, სტავროპოლში. ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნენ: თერგის, ყუბანის, შავიზღვის პირეთისა და სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკები.

„ამ ხნის განმავლობაში — წერდა ი. ბ. სტალინი გაზეთ „პრავდაში" 1918 წლის 1 ივნისს — შეიქმნენ დონის, ყუბან-შავი ზღვის და თერგის საოლქო სახალხო საბჭოები, რომლებიც თავის გარშემო აერთიანებენ მილიონობით მოსახლეობას, კაზაკებსა და არაკაზაკ გლეხებს, აფხაზებსა და რუსებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს, ოსებსა და ყაბარდოელებს, ქართველებსა და სომხებს. ამ ოლქების მოსახლეობამ უკვე დიდი ხანია სცნო საბჭოთა ხელისუფლება, ფართოდ სარგებლობს რა მინიჭებული თვითგამორკვევის უფლებით. ხოლო კავკავმა, კარაულოვებისა და ბოგაევსკების, ჩერმოევებისა და ბამატოვების ყოფილმა რეზიდენციამ, უკვე დიდი ხანია თავი გამოაცხადა თერგის სახალხო საბჭოს ადგილსამყოფელად.[1]"

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ჩრდილოეთ კავკასიაში ცოფს გვრიდა კონტრრევოლუციურ ძალებს, რომლებიც ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ მის დასამარცხებლად. რევოლუციის მონაპოვარის დასაცავად საჭირო იყო შეიარაღებული ძალები, რომლის შექმნას ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკებმა დროულად მოკიდეს ხელი. ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მასიურად შეიქმნა მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური წითელ არმიის ნაწილები.

ს. მ. კიროვი 1918 წლის ზაფხულზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა წითელი არმიის პირველი ჩინური ბატალიონის შექმნაში, რომლის მეთაურად თერგის საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ ჩინელი ხალხის სახელოვანი შვილი პაუ ტი-სანი დანიშნა, მის მოადგილედ კი-ლი უსი, რომელიც ამავე დროს მეთაურობდა ამავე ბატალიონის პირველ ასეულს.

ს. კიროვმა საზეიმო ვითარებაში მიტინგზე პირადად გა-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ; 4, გვ. 116.

დასცა ჩინურ ბატალიონს არმიის წითელი დროშა, სადაც მან წითელი არმიის ჩინელ მებრძოლებს წინასწარმეტყველურად განუცხადა: „რუსეთში რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლით, თქვენ იბრძვით ჩაგრული ჩინეთის განთავისუფლებისათვის. დადგება დრო, როდესაც რუსი მუშები გაუწვდიან თავიანთ ძმურ ხელს ჩინელ ხალხებს, რომლებიც დაამხობენ მჩაგვრელებს, მოიცილებენ მათ თავისი დევგმირი მხრებიდან".[1]

შინაგანი კონტრრევოლუციური ძალებისა და უცხოელი იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმისაგან თავის დასაცავად, საკუთარი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად თერგის ბოლშევიკებს არ გააჩნდათ საჭირო რესურსები. ამიტომ 1918 წლის აპრილის ბოლოს ვლადიკავკავის პარტიული ორგანიზაციისა და თერგის სახკომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება დახმარება ეთხოვათ საბჭოთა რუსეთის მთავრობისათვის, რომლის განსახორციელებლად შექმნა დელეგაცია ს. კიროვისა და ა. შერიპოვის შემადგენელობით. იმის გამო, რომ ჩეჩნეთში მდგომარეობა გამწვავდა, ა. შერიპოვი ვერ წავიდა, კიროვი კი თერგის ბოლშევიკების დავალების შესასრულებლად 1918 წლის მაისის დასაწყისში მოსკოვს გაემგზავრა.

მაშინ, როდესაც რუსეთში სოციალისტური რევოლუცია ტრიუმფალურად ვითარდებოდა, ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციური პარტიები: მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, ქვეყნის შიგნით შეძლებულ კლასებთან კავშირში ყოველგვარ ზომებს იღებდნენ იმისათვის, რათა არ დაეშვათ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

რევოლუციის შიშით დამფრთხალმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა, უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე დაიწყეს კონტრრევოლუციური ძალების თავმოყრა რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ უარი განაცხადეს ეცნოთ საბჭოთა მთავრობა და გადაწყვიტეს გამოყოფდნენ საბჭოთა რუსეთს.

---

[1] გაზ. „დროება" № 33, 1956 წ.

რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად 1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების და ესერების წარმომადგენელთაგან ამიერკავკასიის კოალიციური კონტრრევოლუციური მთავრობა ამიერკავკასიის კომისარიატის სახელწოდებით, რომელსაც სათავეში მენშევიკი ე. გეგეჭკორი ჩაუდგა.

„ამიერკავკასიის კომისარიატი,—წერდა ი. ბ. სტალინი, — ერთი მხრივ თავისი თათარი ბეგებით, როგორიც არიან ხანხოისკი და ხასმამედოვი, და მეორე მხრივ ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენტებით, როგორიც არიან ჟორდანია და გეგეჭკორი, ამ ანტისაბჭოთა კოალიციის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს“.[1]

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის შეიარაღებული ძალები უცხოელი დამპყრობლების დახმარებით ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ მუშებსა და გლეხებს. სწორედ ამიერკავკასიის კომისარიატი იყო ინიციატორი 1918 წლის 7 იანვარს სადგურ შამქორთან თურქეთის ფრონტიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი რევოლუციურად განწყობილი რუსი ჯარისკაცების დახვრეტისა. ამავე მთავრობის განკარგულებით თბილისში, ალექსანდროვის ბაღში, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური სეიმის გახსნის დღეს, 1918 წლის 10 თებერვალს, დახვრეტილ იქნა მიტინგის მონაწილე უიარაღო მუშები და ჯარისკაცები, რომლებმაც საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ამავე დღეს ამიერკავკასიის სეიმმა, მიუხედავად ამიერკავკასიის მშრომელების წინააღმდეგობისა, იურიდიულად გააფორმა ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორების საკითხი.

ნიღაბს ხდიდა რა ამიერკავკასიის კონტრევოლუციური მთავრობის ამ მუხანათურ მოქმედებებს, ი. ბ. სტალინი 1918 წლის მარტის გაზეთ „პრავდაში“ წერდა: „უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 57—58.

სოციალ-კონტრრევოლუციონერებს, და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის „სეიმურ ნაციონალურ“ დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული“.[1]

მიუხედავად მენშევიკური მთავრობის რეპრესიებისა, 1918 წლის გაზაფხულიდან მთელს საქართველოში იწყება გლეხთა მასიური აჯანყებები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგით, რასაც მენშევიკების მთავრობის მხრივ თან სდევდა თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს მშრომელებისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების სასტიკი დევნა-შევიწროება. ბოლშევიკური გაზეთები დახურეს, პარტიულ მუშაკებს მასიურად აპატიმრებდნენ. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული შეიქმნა არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყო.

1918 წლის მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი შექმნილი ვითარების გამო დროებით თბილისიდან სამუშაოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. ვლადიკავკაზში გადავიდა, თბილისში კი დატოვა სამხარეო კომიტეტის ბიურო მ. ცხაკაიას მეთაურობით, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

თბილისიდან ვლადიკავკაზში ჩავიდნენ პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრები: ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი, ნ. ალაჯალოვა, ს. კასიანი, ს. თოდრია, ა. ნაზარეტიანი და სხვები, რომლებიც ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით წარმართავდნენ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობას; ღებულობდნენ ზომებს ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. ფ. მახარაძე დაინიშნა თერგის საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 70—71.

სახალხო კომისრად, ს. ქავთარაძე კი — არჩეულ იქნა ვლადიკავკავის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ.[1]

როცა პარტიის სამხარეო კომიტეტი საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა, იგი მიზნად ისახავდა მიეწოდებინა აჯანყებული საქართველოს გლეხობისათვის იარაღი და სხვა საშუალებანი „შემდეგ კი დაეწყო ნამდვილი შეტევა ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ. ამის გარდა, განზრახული იყო ვლადიკავკავში მეორე პარტიული ყრილობის მოწვევა".[2]

ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასია „დამოუკიდებელ" ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა. 1918 წლის მაისის ბოლო რიცხვებში 35 დღის არსებობის შემდეგ ეს რესპუბლიკა დაიშალა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის „დამოუკიდებელ" ბურჟუაზიულ რესპუბლიკებად. მთელი ძალაუფლება საქართველოში მენშევიკებმა, სომხეთში დაშნაკებმა და აზერბაიჯანში მუსავატელებმა ჩაიგდეს ხელში.

მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა უცხოელი დამპყრობლების კარნახითა და დახმარებით ცალ-ცალკე თავიანთ რესპუბლიკებში შექმნეს ნაციონალისტური მთავრობები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ამიერკავკასიის მშრომელებს.

ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების მოღალატურმა მოქმედებამ ამიერკავკასიის მშრომელთა აღშფოთება გამოიწვია. ბრძოლის ავანგარდში ბაქოს პროლეტარიატი იდგა. ბაქოს მუშებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ხელში აიღეს ძალაუფლება, 1918 წლის მარტის მეორე ნახევარსა და აპრილის დასაწყისში იარაღით ხელში დაამარცხეს ამიერკავკასიის კომისარიატის პირველი ლაშქრობა ბაქოს კომუნარების წინააღმდეგ. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება გა-

---

[1] საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევები 1957 წ. გვ. 424—425.

[2] ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1924 წ. გვ. 101.

მოცხადდა. 1918 წლის 25 აპრილს ცნობილი რევოლუციონერის — ს. გ. შაუმიანის თავმჯდომარეობით შეიქმნა ბაქოს სახკომსაბჭო, რომელმაც უმოკლეს დროში მთელი რიგი სოციალისტური ღონისძიებები გაატარა.

ბაქოს პროლეტარიატის მაგალითისამებრ 1918 წლის პირველ ნახევარში ხელახლა გაჩაღდა რევოლუციური ბრძოლები ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებსა და სოფლებში. ამავე წლის გაზაფხულზე საქართველოში დაიწყო გლეხთა მასიური აჯანყებები ლეჩხუმის და დუშეთის მაზრებში, გურიასა და სამეგრელოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აჯანყებული გლეხები ამარცხებდენ მენშევიკების შეიარაღებულ ძალებს და ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლებას ამყარებდნენ.

ქვეყნის შიგნით მუშებისა და გლეხების რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაციონალისტურმა მთავრობებმა უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალები მოიწვიეს. საქართველოს მენშევიკების მთავრობამ, რომელსაც მენშევიკი ნ. ჟორდანია ედგა სათავეში, 1918 წლის 4 ივნისს თურქეთის მთავრობასთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალით თურქეთს გადასცა მთელი აჭარა, ახალციხის მაზრა და ახალქალაქის მაზრის ნაწილი. ივნისის პირველ ნახევარში „გერმანიის ჯარებმა ქართველ მენშევიკებთან შეთანხმებით დაიკავეს საქართველო“.[1]

1918 წლის ივნისში მუსავატელებმა განჯაში შექმნეს ბურჟუაზიული მთავრობა, რომელმაც საბჭოთა ბაქოს წინააღმდეგ საბრძოლველად თურქ-გერმანელი ოკუპანტები მოიწვია. აზერბაიჯანის კონტრრევოლუციურმა ძალებმა თურქეთისა და გერმანიის სამხედრო ნაწილებთან ერთად 1918 წლის ივნისში დაიწყეს სასტიკი შეტევა ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ. ბაქოს პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში მუსავატელებს აქტიურ დახმარებას უწევდნენ ქართველი მენშევიკები, რომლებმაც ბაქოს კომუნარების წინააღმდეგ საბრძოლველად სა-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია 1959 წ. გვ. 366.

ქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით ბათუმიდან ბაქოსაკენ თურქი დამპყრობლების შეიარაღებული ძალები გაატარეს.[1]

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობები ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ მიზნად ისახავდნენ დაეწყოთ ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, რომლის შესახებ 1918 წლის 2 ივლისს ს. კიროვი გაზეთ „პრავდაში" წერდა: „ისინი (ამიერკავკასიის ნაციონალისტური მთავრობები ა. მ.) როგორც ჩანს ფიქრობენ დაიწყონ კამპანია არამარტო ბაქოს წინააღმდეგ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო გზით, იმის იმედით, რომ თურქეთის ჯარების ჩარევის შეშვეობით მოახდენდნენ ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღისტანის მუსულმანური მასების მიმხრობას, მაგრამ მათ ალბათ არ იციან, რომ მთის აულებში ფეხგადგმულია აზრი, რომ ჩაგვრა ერთნაირად სამძიმოა მოსახლეობისათვის, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს ჩაგვრა — რუსეთის, გერმანიის, თურქეთის თუ სხვათა ხელისუფლებისაგან".[2]

მიუხედავად ბაქოს პროლეტარიატის გმირული ბრძოლისა და საბჭოთა რუსეთის დახმარებისა, შინაგანი კონტრრევოლუციური ძალებისა და უცხოელი ინტერვენტების ჯარების რკალში მოქცეულ ბაქოში 1918 წლის 31 ივლისს საბჭოთა ხელისუფლება დაეცა.

ბაქოს კომუნის დაცემის მეორე დღეს, 1917 წლის 1 აგვისტოს, მენშევიკების, დაშნაკებისა და ბუგების შემადგენლობით ბაქოში შეიქმნა კონტრრევოლუციური მთავრობა „ცენტროკასპის" სახელწოდებით, რომელმაც ბაქოს საბჭო დაითხოვა და მის მიერ გატარებული რევოლუციური ღონისძიებები გააუქმა. 20 აგვისტოს ამ კონტრრევოლუციური მთავრობის მოწვევითა და დახმარებით ბაქო ინგლისელმა დამპყრობლებმა დაიკავეს, რომლებმაც ქალაქში თეთრი ტერორი დაამყარეს. მათ დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ბაქოს კომის-

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები ტ. I, 1957 წ. გვ. 314.

[2] ს. მ. კიროვი, სიტყვები, სტატიები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 53—54.

რები, რომლებსაც სათავეში ს. შაუმიანი და ა. ჯაფარიძე ედგ-ნენ.

თურქ-გერმანელთა ჯარების შემოტევის შედეგად ინგლისე-ლები იძულებული შეიქმნენ დაეტოვებიათ ბაქო. 15 სექტემ-ბერს ბაქოში გერმანია-თურქეთის შეიარაღებული ძალები შემოვიდნენ. 20 სექტემბერს ინგლისელმა ოკუპანტებმა ესერ-მენშევიკ ჯალათების დახმარებით ამიერკავკასიის ქვიშიან უდაბნოში დახვრიტეს ბაქოს 26 კომისარი: ს. შაუმიანი, ა.ჯა-ფარიძე, მ.აზიზბეკოვი, ი. ფიოლეტოვი და სხვები, რომლებმაც თავიანთი გმირული სიცოცხლე დაამთავრეს შეძახილით „ჩვენ კომუნიზმისათვის ვკვდებით, გაუმარჯოს კომუნიზმს!“.

ამიერკავკასიის ნაციონალისტურმა მთავრობებმა გერმა-ნიისა და თურქეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით დაიწყეს ქვეყნის „მართვა“ უცხოელი დამპყრობლები ამიერ-კავკასიაში ისე იქცეოდენ როგორც საკუთარ კოლონიებში. მათი შეიარაღებული ძალები ადგილობრივი კონტრრევოლუ-ციური მთავრობის მოთხოვნითა და დახმარებით მხეცურად უსწორდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ ამიერკავკასიის მშრომელებს.

პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში დამარცხების შედეგად გერმანია და თურქეთი იძულებული შეიქმნენ 1918 წლის შემოდგომაზე დაეტოვებინათ ამიერკავკასია. მაგ-რამ მათი ადგილი დაიკავეს ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც ამიერკავკასიის ბურჟუა-ზიული ნაციონალისტური მთავრობების მთელი საქმი-ანობა თავიანთ კონტროლს დაუმორჩილეს. მათი კარ-ნახით, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ბურჟუ-აზიული რესპუბლიკის მთავრობები რევოლუციურად განწყო-ბილი მოსახლეობის მიმართ სასტიკ ზომებს ღებულობდნენ.

მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები ერთმანეთს უსისინებდნენ ამიერკავკასიის ხალხებს, აწყობდნენ ძმათა-მკვლელ ომებს. 1918 წლის ზაფხულში მათ მოაწყეს შეიარა-ღებული შეტაკებები ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შო-რის, ამავე წლის დეკემბერში კი ქართველებსა და სომხებს

შორის. დაშნაკები და მუსავატელები იყვნენ ორგანიზატორები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სისტემატური სასაზღვრო ინცინდენტების მოწყობისა. დაშნაკებმა მოაწყეს სომხეთში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ბრძოლა, მუსავატელებმა კი — აზერბაიჯანში მცხოვრები სომხების წინააღმდეგ. სწორედ ქართველი მენშევიკები და სომეხი დაშნაკები იყვნენ ინიციატორები საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდებისა.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოს მშრომელები საშინელ ტერორსა და ტანჯვა-წამებას განიცდიდნენ, სახალხო მეურნეობა გაპარტახდა, მუშებს ჯარიმები და უუფლებობა ტანჯავდა. მიუხედავად დაპირებისა, საქართველოს მშრომელმა გლეხობამ მიწა ვერ მიიღო, რადგან ჟორდანიას მთავრობა მტკიცედ იყო დაკავშირებული მემამულეებთან და თავადაზნაურებთან, რომელთა ხელშიც მიწა იმყოფებოდა.

გამოსავალი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს მშრომელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარული რევოლუცია მოეხდინათ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროშა აღემართათ.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ს. მ. კ ი რ ო ვ ი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

ბრესტის ზავის შედეგად ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთმა შიიღო დროებითი შესვენება, რომელიც გამოყენებულ იქნა სოციალისტური მშენებლობის დაწყებისათვის. მაგრამ სამოქალაქო ომმა, რომელიც 1918 წლის ზაფხულში დაიწყო, საშუალება არ მისცა საბჭოთა ქვეყანას განეგრძო მშვიდობიანი მშენებლობა.

1918 წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა მეტად გართულდა. ახლად შექმნილმა საბჭოებმა ვერ შეძლეს მრავალეროვან ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციონერთა მიერ გაღვივებული ნაციონალური შუღლის ჩაქრობა, რის გამო ისევ დაიწყო ნაციონალური ომები კაზაკებსა და მთიელებს შორის. კონტრრევოლუციურად განწყობილმა კაზაკებმა დაიწყეს ამბოხებები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ 1918 წლის 20 ივნისს საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ ვლადიკავკავში მიტინგზე ვერაგულად იქნა მოკლული თერგის საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. გ. ბუაჩიძე.

ასეთ მძიმე ვითარებაში 1918 წლის 11 ივლისს ვლადიკავკავში ჩამოვიდა რუსეთის სახკომსაბჭოს საგანგებო კომისარი ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომლის ინიციატივით, 1918 წლის 23 ივლისს, ქ. ვლადიკავკავში მოწვეულ იქნა თერგის ოლქის ხა-

ლხთა მეოთხე ყრილობა, რომლის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ შეეწყვიტა მთიელებსა და კაზაკებს შორის ძმათა მკვლელი ომები და დაერაზმა თერგის ოლქის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე. მისი წინადადებით ყრილობამ მიიღო დადგენილება კაზაკებსა და მთიელებს შორის სამოქალაქო ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, რომლის განსახორციელებლად კაზაკებთან გაიგზავნა ყრილობის მონაწილე მთიელი დეპუტატების დელეგაცია,[1] მაგრამ მენშევიკმა ბიჩერახოვმა, რომელიც სათავეში ედგა კაზაკთა შეიარაღებულ ძალებს, უარყოფითი პასუხი შემოუთვალა ყრილობას, ამავე დროს კაზაკთა შეიარაღებული ძალები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევაზე გადმოიყვანა. 6 აგვისტოს მეამბოხე კაზაკთა შეიარაღებული ბანდები ვლადიკავკაზში შეიჭრნენ. ყრილობა იძულებული გახდა მუშაობა შეეწყვიტა.

ვლადიკავკაზის დაცვის საქმეს სათავეში ჩაუდგა ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა შეტევაზე გადმოსულ კაზაკების წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო ოპერაციებს.

ვლადიკავკაზის დაცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დუშეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ ვლადიკავკაზში ჩასული 300-400 კაცისაგან შემდგარი ქართველთა წითელი რაზმი, რომელსაც სათავეში შამაცი ბოლშევიკი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი ედგა. ამ რაზმმა იკისრა ქალაქის დაცვა.[2]

1918 წლის აგვისტოში, როდესაც თერგზე საბჭოთა ხელისუფლების ბედი წყდებოდა ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ქართველმა და ჩინელმა წითელარმიელებმა ოს კერმენსტებთან ერთად 11 დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად იარაღით გარეკეს კაზაკთა კონტრრევოლუციური ძალები ვლადიკავკაზიდან. 18 აგვისტოს წითელი არმიის ნაწილები ვლადიკავკაზში შევიდნენ. ბრძოლების გამო შეწყვეტილმა თერგის ოლქის ხალხთა მეოთხე ყრილობამ მუშაობა განაახლა.

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1957 წ. გვ. 98.

[2] იქვე გვ. 99.

მიუხედავად ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკების მიერ ჩატარებული მუშაობისა 1918 წლის ივლისში დენიკინელებმა შეძლეს ჩრდილოეთ კავკასია მოეწყვიტათ ცარიცინისაგან, მათ აგვისტოში აიღეს ეკატერინოდარი. წითელი არმიის ნაწილები,რომლებსაც არ გააჩნდათ საკმაო შეიარაღება, იძულებული შეიქმნენ უკან დაეხიათ.

ახასიათებდა რა კავკასიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, 1918 წლის 2 ივლისს გაზეთ „პრავდაში" ს. კიროვი წერდა: „კავკასია იტანჯება რევოლუციის მოძალადეთა რკალში, მაგრამ კავკასიას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა და შორს არაა ის დრო, როცა ქართველი ჩხენკელი ბერლინში და ჩეჩნელი ნავთის მრეწველი ჩერმოევი კონსტანტინეპოლში, მხოლოდ თავიანთი სახელით ილაპარაკებენ".[1]

თერგის ბოლშევიკების დასახმარებლად, 1918 წლის აგვისტოში, კიროვმა მოსკოვში საბჭოთა მთავრობისაგან მიიღო ორი ეშელონი სამხედრო საჭურველი. რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი პირდაპირი გზა დენიკინელებს ეკავათ, კიროვმა სამხედრო-საჭურველი წამოიღო ჯერ რკინიგზით ცარიცინამდე, ცარიცინიდან — ვოლგით — ასტრახანამდე, მერე კი ასტრახანიდან ავტომანქანებით აგვისტოს ბოლოს ჩამოიტანა პიატიგორსკამდე და მიაშველა წითელი არმიის ნაწილებს.

აი როგორ მოგვითხრობს ზინაიდა გაბრიელის ასული ორჯონიკიძე კიროვის მიერ მოსკოვიდან სამხედრო დახმარების მოწყობას ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი წითელი არმიის ნაწილებისათვის:

„სერგეი მირონის-ძემ მოაწყო მოსკოვში დიდი სამხედრო ექსპედიცია. დიდი შრომით მან საჭურველი წამოიღო რკინიგზით ცარიცინამდე, ვოლგით — ასტრახანამდე. მერე ავტომანქანებით ველური ყალმუხების ველების გავლით აგვისტოს ბოლოს კიროვმა მიაღწია პიატიგორსკამდე. ჩვენმა XI არმიამ მიიღო გარკვეული გამაგრება. გაიგო რა ამის შესახებ, სერგო

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 54.

აღფრთოვანებული დარჩა თავისი მომავალი მეგობრის მამაცობით. ის შესანიშნავი ყმაწვილია თქვა სერგომ და ოქტომბრის რევოლუციის ერთი წლის თავზე ამხანაგების წრეში კიროვის სადღეგრძელო აიღო".[1]

პიატიგორსკში კიროვი რამდენიმე კვირა დარჩა. 1918 წლის ნოემბერში იგი მოსკოვში ჩავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლ წითელი არმიის ნაწილებისათვის ხელახლად სამხედრო დახმარება აღმოეჩინა.

1918 წლის შემოდგომისათვის საბჭოთა რუსეთი უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების რკალში აღმოჩნდა. 1918 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით შეიქმნა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლების დაცვის საქმეს. საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა.

პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე გაგზავნა თავისი სახელოვანი შვილები: ი. სტალინი, კ. ვოროშილოვი, ვ. ფრუნზე, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ვ. კუიბიშევი, ს. ბუდიონი და სხვები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ახლად შექმნილ წითელი არმიის ნაწილების ბრძოლას ოქტომბრის მონაპოვრის დაცვის საქმეში.

ჩრდილოეთ კავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად წითელი არმიის ნაწილებისაგან 1918 წლის ზაფხულის ბოლოს შეიქმნა XI წითელი არმია, რომელიც 1918 წლის განმავლობაში გმირულად იგერიებდა დონიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შემოჭრილ დენიკინის ჯარებს, მაგრამ 1918 წლის ბოლოსათვის პოზიციების შენარჩუნება შეუძლებელი შეიქნა. „შევიწროებულს ყოველი მხრიდან, მოწყვეტილს რუსეთის ცენტრს, მოკლებულს ფულს, ჩაცმულობას, იარაღს, ტყვია წა-

---

[1] ზ. ორჯონიკიძე, „კიროვი და სერგო" გაზ. „ინდუსტრია", 1939 წ. 2 დეკემბერი.

მალს, მუსრგავლებულს ტიფით 1918 წლის ბოლოს, დამარ-
ცხებულ მე-11-წითელ არმიას, არ სურს რა ჩაუვარდეს მოწი-
ნააღმდეგეს, იხევს ასტრახანის ველებით ასტრახანისაკენ".

დენიკინის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიურ მო-
ნაწილეობას იღებდნენ თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში
ჩასული რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები: ფ.
მახარაძე, ს. ქავთარაძე, ს. თოდრია, ა. ნაზარეტიანი და სხვე-
ბი. პარტიის სამხარეო კომიტეტმა დენიკინის ჯარების წინააღ-
მდეგ ძალთა მობილიზაციის მიზნით 1919 წლის 2 იანვარს
კავკავში მოიწვია კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეო-
რე ყრილობა, რომელმაც განიხილა დენიკინის წინააღმდეგ
ბრძოლის საკითხები.[2]

ჩრდილოეთ კავკასიაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ-
ლის შესახებ ს. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს 1919 წლის 24 იან-
ვარს დეპეშით წერდა:

„XI არმია აღარ არის. იგი საბოლოოდ გაიხრწნა. მოწი-
ნააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს იკავებს თითქმის წინააღ-
მდეგობის გაუწევლად. ღამე იდგა საკითხი, რომ დავტოვოთ
მთელი თერგის ოლქი და წავიდეთ ასტრახანისაკენ. ჩვენ ეს
პოლიტიკურ დეზერტირობად მიგვაჩნია. არ არის ყუმბარები
და ვაზნები. არ არის ფული. კავკავი, გროზნო აქამდე არ ღებუ-
ლობდნენ არც ვაზნებს, არც კაპიკ ფულს; ექვსი თვეა ისე ვა-
წარმოებთ ომს, რომ ვაზნებს ხუთ-ხუთ მანეთად ვყიდულობთ.

ვლადიმერ ილიას-ძევ, გაცნობებთ რა ამას, დარწმუნებული
იყავით, რომ ყველანი დავიხოცებით უთანასწორო ბრძოლაში,
მაგრამ ჩვენი პარტიის სახელს გაქცევით არ შევარცხვენთ...

ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ, სასიკვდილო საფრთხის
მომენტში გითვლით სალამს და მოველით თქვენს დახმარებას.

ორჯონიკიძე".[3]

ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი შეუნელე-
ბელ ყურადღებას აქცევდნენ ჩრდილოეთ კავკასიის დაცვის

---

[1] ს. ორჯონიკიძე „აღმოსავლეთის კარებთან" გაზ. „კომუნისტი" № 195, 1922 წ.

[2] ჟურ. „საქართველოს კომუნისტი" № 10, 1958 წ. გვ. 47.

[3] გ. კ. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1957 წ. გვ. 85.

საქმეს. ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით, ს. კიროვის მეთაურობით მოსკოვში მომზადებულ იქნა ახალი სამხედრო ექსპედიცია კავკასიის ბოლშევიკების დასახმარებლად.

კიროვმა, იცოდა რა XI არმიის მძიმე მდგომარეობა, ყოველგვარ ღონისძიებებს ღებულობდა რათა დაეჩქარებინა მათთვის სამხედრო დახმარება. მოსკოვში თეატრის მოედანზე სასტუმრო „მეტროპოლის“ მეოთხე სართულის იმ ოთახში, სადაც თვითონ ცხოვრობდა, კიროვმა მოაწყო ჩრდილოეთ კავკასიის დახმარების შტაბი.

1918 წლის 23 დეკემბერს ი. მ. სვერდლოვმა კიროვის მონაწილეობით კრემლში მოიწვია ჩრდილოეთ კავკასიის დახმარების აღმოსაჩენად გამზადებული ექსპედიციის მონაწილეთა თათბირი. ექსპედიციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ამხ. სვერდლოვმა. ექსპედიციის წინაშე იდგა ამოცანა: მიეწოდებინა XI არმიის ნაწილებისათვის იარაღი და მოეწყო საწვავის გადატანა გროზნოდან და ბაქოდან რუსეთის ცენტრალური რაიონებისათვის.

1918 წლის დეკემბრის ბოლოს კიროვის მეთაურობით 40 კაცისაგან შემდგარი სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც მოქონდა 35 მილიონი მანეთი, სამხედრო საჭურველი, ტანისამოსი მებრძოლთათვის და სხვა სამხედრო მოწყობილობანი, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დაიძრა. რადგან როსტოვით ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გზა დენიკინელებს ეკავათ, ექსპედიცია გაემგზავრა ჯერ როსტოვის გზით — ვოლგამდე, შემდეგ ვოლგით — ასტრახანამდე.

ექსპედიცია ასტრახანში 20 იანვარს ჩავიდა, სადაც კიროვის განკარგულებით ფული, იარაღი და სხვა სამხედრო მოწყობილობა გადატვირთულ იქნა, რომლის ნაწილი კიროვმა დააწყო სატვირთო მანქანაზე და გაემგზავრა თერგისაკენ, სადაც XI არმიის ნაწილები იბრძოდნენ. დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ კიროვმა მიაღწია ყიზლიარამდე სადაც შეხვდა XI არმიის დაქანცულ მებრძოლებს, რომლებიც უთავბოლოდ ასტრახანისაკენ იხევდნენ.

კიროვმა თვითონ შეამოწმა ფრონტზე შექმნილი მდგომა-

რეობა, რის შემდეგაც ასტრახანისაკენ გაბრუნდა, რათა მომზადებულიყო უკან დახეული XI არმიის ნაწილების მისაღებად. ასტრახანში ჩავიდა თუ არა კიროვმა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ დაუყოვნებლივ მოსკოვს აცნობა.

1919 წლის 25 თებერვალს ასტრახანის გუბერნიის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა სხდომაზე, ვ. ი. ლენინის წინადადებით, კიროვი არჩეულ იქნა ასტრახანის დროებითი სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრად და მის თავმჯდომარედ.

1919 წლის გაზაფხულის დასაწყისს ასტრახანში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად საჭირო შეიარაღებული ძალები არ იყო. იქ ჩასული XI არმიის ნაწილები მთლიანად დაავადებული იყო ტიფით. მოსახლეობას და ჯარისკაცებს შიმშილი და ეპიდემია ტანჯავდა.

ასტრახანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ის თიშავდა დენიკინს კოლჩაკისაგან და არ აძლევდა საშუალებას მათ შეიარაღებულ ძალებს გაერთიანებულიყვნენ, ის გზას უღობავდა ასტრახანის, ურალის, თერგისა და დონის კონტრრევოლუციურად განწყობილ კაზაკების ნაწილებს გაჭრილიყვნენ ცარიცინსა და სარატოვისაკენ. ასტრახანი წარმოადგენდა ვოლგის ჭიშკარს მდიდარი ნავთის საბადოებისა და პურის რაიონებისაკენ, მხოლოდ ასტრახანიდან შეეძლო შემოსვლა ვოლგაში ინგლისის ფლოტს ბაქოდან და პეტროვსკიდან.

ასტრახანი იყო ერთად-ერთი პუნქტი, რომლითაც ამიერკავკასიის ბოლშევიკები საბჭოთა რუსეთს უკავშირდებოდნენ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მხოლოდ კიროვის მეშვეობით შეეძლოთ ასტრახანიდან დაკავშირებოდნენ მოსკოვს, საიდანაც ისინი იღებდნენ სადირექტივო მითითებებს და საჭირო დახმარებას.

ს. კიროვმა მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს ასტრახანის დასაცავად. მისი ხელმძღვანელობით XI არმიის გაფანტული ნაწილებისაგან შეიქმნა საკმაოდ ძლიერი 33-ე დივიზია, რომელიც გმირულად იცავდა საბჭოთა ციხე-სიმაგრე ასტრა-

ხანს ვოლგაზე. კიროვი დაუღალავად მუშაობდა ვოლგის სამხედრო საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად, რომლის შესავსებად ვ. ი. ლენინმა ასტრახანში რამოდენიმე მსუბუქი ნაღმოსანი გააგზავნა. კიროვი სამხედრო საზღვაო ფლოტის მთელ რიგ ოპერაციებს თვითონ ხელმძღვანელობდა.

1919 წლის მარტში ასტრახანში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციურმა ძალებმა მოაწყვეს თეთრგვარდიელთა აჯანყება, რომელიც კიროვის მეთაურობით წითელი არმიისა და ვოლგის საზღვაო ფლოტის მებრძოლებმა სასტიკად დაამარცხეს. გამოირკვა, რომ აჯანყებას ხელს უწყობდნენ პარტიის რიგებში მტრული მიზნებით შემოპარული ანტისაბჭოთა ელემენტები. კიროვმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი თავკერძა მიტმასნილი და უცხო ელემენტებისაგან ასტრახანის პარტიული ორგანიზაციის გაწმენდის შესახებ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო კიროვს ჩაეტარებინა პარტიის რიგების პირველი წმენდა. „კიროვი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა წმენდაში, მას აინტერესებდა მისი მიმდინარეობა, თვითონ ისმენდა ინფორმაციას იმის შესახებ, ვინც ნამდვილად აღმოჩნდა პარტიის წევრის სახელის ტარების უღირსი.[1]

დაამყარა რა ასტრახანის პარტიულ ორგანიზაციაში სრული წესრიგი, 1919 წლის 3 აგვისტოს ასტრახანის პარტიულ კონფერენციაზე კიროვმა განაცხადა: „ვიდრე ასტრახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტია, მდინარე ვოლგის შესართავი საბჭოთა იყო, არის და იქნება!“.[2]

1919 წლის 3 ივლისს დენიკინმა გასცა ბრძანება მოსკოვზე შეტევის დაწყების შესახებ. დაიწყო ანტანტის მეორე ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. წითელი არმიის სამხრეთის ფრონტის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა წითელი არმიის 33-ე დივიზია, რომელსაც ლევანდოვსკი სარდლობდა, გადაესროლა სამხრეთის ფრონტზე ვორონეჟის

---

[1] ემ. იაროსლავსკი „ბოლშევიკის უკვდავი სახე“. ჟურ. „პარტიული მშენებლობა“, № 23/24, 1938 წ.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ I, 1936 წ. გვ. 87.

კიროვი ასტრახანის ფლოტილიის მეზღვაურებს შორის 1919 წელს.
ს. მოჩალოვის გრავიურა ხეზე.

რაიონში. ასტრახანის დაცვა კიროვის ხელმძღვანელობით ადგილობრივ ძალებს დაეკისრა.

ასეთ კრიტიკულ მომენტში ტროცკიმ გასცა ბრძანება ფრონტის ხაზის გასწორების საბაბით ასტრახანის დატოვების შესახებ, რასაც კიროვი არ დაემორჩილა და უპასუხა :„ასტრახანს არ დავტოვებთ“. მაშინ ტროცკიმ გასცა ბრძანება კიროვის ასტრახანიდან სხვა არმიაში სამუშაოდ გადაყვანის შესახებ, რაც კიროვმა არ შეასრულა და ვ. ი. ლენინს გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი ასტრახანში შექმნილი მდგომარეობისა ტროცკის მოქმედების შესახებ. სანამ ლენინისაგან პასუხი მოვიდოდა ტროცკიმ გამოსცა ბრძანება კიროვის მოხსნის შესახებ, მაგრამ ამასობაში მოსკოვიდან დეპეშით მოვიდა ლენინის ბრძანება ასტრახანის ბოლომდე დაცვისა და კიროვის ასტრახანში სამუშაოდ დატოვების შესახებ. კიროვისგან მიღებულ მოხსენებით ბარათზე კი რევოლუციის ბელადმა დიდმა ლენინმა დააწერა: „დაიცავით ასტრახანი ბოლომდის“.[1]

ამრიგად ვ. ი. ლენინის დავალებით ს. მ. კიროვი სათავეში ჩაუდგა ასტრახანის გმირული დაცვის საქმეს. კიროვმა XI არმიის რევოლუციური საბჭოს წევრ ვ. ვ. კუიბიშევსა, წითელი არმიის თურქმენეთის ფრონტის სარდალ გ. ვ. ფრუნზესა და პარტიის ასტრახანის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. კოლესნიკოვასთან[2] ერთად კომუნისტურ პარტიის ლენი-

---

[1] „ამხანაგი კიროვი“, 1935 წ. გვ. 122.

[2] ნადეჟდა ნიკოლოზის ასული კოლესნიკოვა დაიბადა 1882 წელს ქ. მოსკოვში, მოსამსახურის ოჯახში, არის პარტიის წევრი 1904 წლიდან. 1905 წლის რევოლუციამდე მუშაობდა მასწავლებლად მოსკოვში, არის რუსეთის სამივე რევოლუციის აქტიური მონაწილე. ეწეოდა ორალეგალურ რევოლუციურ მუშაობას მოსკოვში, ბაქოში, პეტროგრადში. რევოლუციური მუშაობისათვის რამოდენიმეჯერ იყო პატიმრობაში და გადასახლებაში.

1918 წელს ბაქოს სახკომსაბჭოსთან მუშაობდა განათლების კომისრად. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამარცხების შემდეგ სამუშაოდ გადავიდა ასტრახანში, სადაც არჩეული იქნა (რკპ(ბ) ასტრახანის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ. ნ. კოლესნიკოვა ს. კიროვთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ასტრახანის დაცვის საქმეში.

ნური ცენტრალური კომიტეტის დავალებით დიდი მუშაობა გასწია XI არმიის გაფანტული ნაწილების ბრძოლისუნარიან მდგომარეობაში მოსაყვანად. კიროვის ხელმძღვანელობით ასტრახანში საფუძველი ჩაეყარა XI არმიის ხელახალ აღორძინებას.

ასტრახანის დროებითი რევკომის გაუქმებასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წლის 26 აპრილს კიროვი დანიშნა XI არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად და ამავე არმიის რევოლუციური საბჭოს წევრად, ხოლო ამავე წლის ივლისში — ჯერ აღმოსავლეთის ფრონტის წითელი არმიის სამხრეთ ჯგუფის რევსაბჭოს წარმომადგენლად ასტრახანის მხარეში, მერე კი — მის თავმჯდომარედ.[1]

კიროვის მეთაურობით ასტრახანის ბოლშევიკებმა ასტრახანის მხარეში სამოქალაქო ომის ქარცეცხლში დაამყარეს რევოლუციური წესრიგი და მობილიზაცია უყვეს მთელ ძალებს შინაგანი კონტრრევოლუციისა და გარეშე ინტერვენტების გაერთიანებული ძალების დასამარცხებლად. კიროვმა ბრწყინვალედ შეასრულა ასტრახანის ბოლომდე დაცვისა და მის მისადგომებთან დენიკინის ჯარების განადგურების ლენინური გეგმა.

ახასიათებდა რა კიროვის დამსახურებას ასტრახანის დაცვის საქმეში გ. კ. ორჯონიკიძე კ. ე. ვოროშილოვს 1928 წლის 10 თებერვალს სწერდა: „ს. მ. კიროვი ასტრახანის ალყის დროს ის პირი იყო, რომელიც აღაფრთოვანებდა ქვეყნისაგან მოწყვეტილ ასტრახანის დამცველებს".[2]

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1920-1921 წ.წ. კოლესნიკოვა მუშაობდა აზერბაიჯანის სსრ განათლების კომისრად, 1921—1937 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე მოსკოვსა და იაროსლავსკში. ამჟამად ამხ. ნ. ნ. კოლესნიკოვა იყოფება პერსონალურ პენსიაზე.

1 ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 87.

2 ჩრდილოეთ ოსეთის ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის ისტორიული არქივი 93/20 ქ. ორჯონიკიძე, ს. ორჯონიკიძის ფონდი, ფურც. № 3.

როგორც ცნობილია, დენიკინის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ თერგის ბოლშევიკების ნაწილმა ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, ე. გეგეჭკორის, ი. ბუტირინის, ზ. ორჯონიკიძისა და სხვათა შემადგენლობით კავკასიის მთებისაკენ დაიხიეს. „ეს ისინი იყვნენ, — სწერდა ს. კიროვი ამ ამხანაგებზე — ვისაც ამ მძიმე ჟამსაც კი არ უნდოდათ კავკასია დაეტოვებინათ, მათ ამჯობინეს მარადიული ყინულით შეკრული და თოვლით დაბურული ხეობები და უღელტეხილები“.[1]

1919 წლის დასაწყისში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობა ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისში გადმოვიდა და სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1919 წლის აპრილის დამლევს ამხ. ს. ორჯონიკიძე ზამთრის მძიმე პირობებში კავკასიის ქედზე გადასვლით არალეგალურად თბილისში ჩამოვიდა, საიდანაც მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყო. ორჯონიკიძემ თბილისში მოაწყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრთა რამოდენიმე თათბირი, სადაც მისცა დირექტივა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ.[2] თბილისში ორჯონიკიძე ერთ თვემდე დარჩა. როგორც ზ. ორჯონიკიძე თავის მოგონებაში მოგვითხრობს, მრავალჯერ განხილვის შემდეგ კამოს წინადადებით გადაწყდა, ორჯონიკიძე და მისი ამხანაგები, — რადგან მოსკოვისაკენ მიმავალი გზა რევოლუციის მტრებს ქონდა დაკავებული, — მოსკოვში ბაქოდან ასტრახანის გზით წასულიყვნენ, სადაც ასტრახანის გმირული დაცვის საქმეს სერგეი კიროვი ხელმძღვანელობდა.

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, 1936 წ. გვ. 265.
[2] საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევები, 1937 წ. გვ. 436.

1919 წლის ივლისის პირველ ნახევარში მოსკოვში მიმავალმა 13-მა კაცმა ბაქოში მოიყარა თავი, მათ შორის იყვნენ: ს. ორჯონიკიძე, მისი მეუღლე ზ. ორჯონიკიძე, კამო, ცნობილი რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის მეუღლე ვარო ჯაფარიძე და სხვები.[1]

ბაქოში ს. ორჯონიკიძემ ა. მიქოიანთან ერთად, — რომელიც ამ დროს ბაქოში იატაკქვეშ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა — გამართა პარტიული თათბირი, რომელზეც დაისახა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გეგმა.

ბაქოდან ასტრახანში კასპიის ზღვით ს. ორჯონიკიძის და მისი ამხანაგების გადაყვანის ორგანიზაცია მოაწყეს ბაქოს ბოლშევიკებმა ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით. 13 ივნისს ს. ორჯონიკიძე და მისი ამხანაგები ბაქოდან წაიყვანა კიროვის მიერ ასტრახანიდან გამოგზავნილ ბოლშევიკ მატროსების ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ამხანაგი ნ. როგოვი ედგა.[2]

ს. ორჯონიკიძე და მისი ამხანაგები კიროვის მიერ გამოგზავნილი აფრიანი კარჭაპით მეცამეტე დღეს ასტრახანში ჩავიდნენ, სადაც ს. ორჯონიკიძე პირველად შეხვდა ს. კიროვს. ს. ორჯონიკიძემ ს. კიროვს გააცნო კავკასიაში შექმნილი ვითარება, ხოლო კიროვმა ორჯონიკიძეს გადასცა მასალები კავკასია — კასპიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ხოგიერთი მუშაკის მოღალატური მოქმედების შესახებ, რომლებმაც XI არმია დაღუპვის კარამდე მიიყვანეს.

27 ივნისს კიროვმა ასტრახანში ორჯონიკიძეს გადასცა მანდატი, სადაც ნათქვამი იყო, რომ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო კომისარი სერგო ორჯონიკიძე ამა და ამ ნო-

---

[1] ზ. ორჯონიკიძე „ბოლშევიკის გზა", 1956 წ. გვ. 248.

[2] ნიკიფორე თეოდორეს-ძე როგოვი, (1887—1920) იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი, რევოლუციური მუშაობისათვის მეფის ხელისუფლების დროს რამოდენიმეჯერ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1920 წლის თებერვალში საბრძოლო დავალების შესრულებას დროს კასპის ზღვაზე დენიკინელებმა როგოვი და მისი ამხანაგები დაიჭირეს და მხეცურად დახვრიტეს.

მერ დათბილული ვაგონით მიემგზავრება მოსკოვს, ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სახკომსაბჭოსათვის მოხსენების გასაკეთებლად.[1] ამავე დღეს ორჯონიკიძე მოსკოვს გაემგზავრა.

ასე ჩაეყარა საფუძველი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ორი დიდი რევოლუციონერის — სერგო ორჯონიკიძისა და სერგეი კიროვის გულითად მეგობრობას, რაც მათი ბრწყინვალე, მრავალფეროვანი და გმირული ცხოვრების მთელ მანძილზე გაგრძელდა.

ხელმძღვანელობდა რა ასტრახანის გმირული დაცვის საქმეს კიროვი ამავე დროს უზრუნველყოფდა სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას იატაკქვეშ მომუშავე კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და დენიკინის ზურგში მებრძოლ პარტიზანულ რაზმებისადმი. იგი პირადად ღებულობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში არალეგალურად მომუშავე ამხანაგებს, რომლებიც კასპიის ზღვით სათევზაო ნავებით ჩადიოდნენ მასთან ასტრახანში. ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან კიროვი ღებულობდა ადგილებზე შექმნილი მდგომარეობისა და პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ ზუსტ ინფორმაციებს, რასაც იგი დაუყოვნებლივ უგზავნიდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვ. ი. ლენინს.

როგორც ცნობილია საქართველოდან გერმანელი ჯარების წასვლის შემდეგ მათი ადგილი ინგლისელმა ოკუპანტებმა დაიკავეს. ქართველი მენშევიკები ინგლისელი დამპყრობლების სამსახურში ჩადგნენ.

საქართველო გადაიქცა დენიკინის ჯარების მომარაგების ბაზად. ქართველი მენშევიკები ინგლისელების მიითითებით უგზავნიდნენ დენიკინს ნავთს, საქართველოს რკინიგზით დენიკინის „მოხალისეთა არმიაში" იგზავნებოდა, ტყვია-წამალი და სხვა სამხედრო მოწყობილობა. საქართველოს სამხედრო გზაზე დაწესდა ინგლისელების კონტროლი.

დენიკინის არმიის წარმომადგენლებს მიენიჭა უფლება

---

[1] ზ. ორჯონიკიძე „ბოლშევიკის გზა", 1956 წ. გვ. 250.

მოეხდინათ მობილიზაცია მეფის არმიის ყოფილი ოფიცრებისა, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ.[1] 1919 წლის აგვისტოს საქართველოში დენიკინის წარმომადგენლად დაინიშნა გენერალი ბარათოვი, რომელიც ჟორდანიას მთავრობასთან შეთანხმებით ეწეოდა მეფის ყოფილი ოფიცრების მობილიზაციას დენიკინის ჯარების შესავსებად. ბარათოვს მთავარი შტაბი-ბინა ჰქონდა თბილისში, მისი ფილიალები კი— ბაქოსა და ერევანში.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებისა, იარაღით უწევდნენ წინააღმდეგობას დენიკინის აგენტების მოქმედებას. ხალხის წარმომადგენლები თავს დაესხნენ ბარათოვს, რათა მოეკლათ იგი. როგორც კი მიიღო ამის შესახებ ინფორმაცია, 1919 წლის 27 სექტემბერს კიროვმა ვ. ი. ლენინს დეპეშით მოახსენა, რომ 12 სექტემბერს თბილისში გამვლელ მანქანას, რომელშიაც ისხდნენ დენიკინის წარმომადგენელი ბარათოვი და საქართველოს სამხედრო მინისტრი შარაშენიძე, ბომბი ესროლეს, ბარათოვი მძიმედ დაჭრილია, შარაშენიძე კი მსუბუქად. არკადი ელბაქიძე, რომელმაც ბომბი ესროლა, მოკლულია.[2]

მიიღო რა საქართველოს ბოლშევიკებისაგან ინფორმაცია ადგილზე მუშაობის მიმდინარეობისა და შექმნილი ვითარების შესახებ, 1919 წლის 3 ივნისს ასტრახანიდან ს. კიროვი დეპეშით ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს წერდა: „საქართველოში საქმე უკეთაა, თუმცა პარტია მუშაობს არალეგალურად, ბევრი ამხანაგი ციხეშია, — პარტიის რიგებში 4 ათასამდე მუშა და გლეხია, ხალხის მასებში სწრაფად იზრდება თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი".[3] ამავე დეპეშაში კიროვი მიუთითებდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა მზადაა დადოს ხელშეკრულება დენიკინთან.

---

[1] საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევები 1957 წ. გვ. 431.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები და დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 147.

[3] იქვე. გვ. 144.

1919 წლის აგვისტოს ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე დაღესტნელები, ინგუშები, ჩეჩნები და ყაბარდოელები აჯანყდნენ დენიკინის წინააღმდეგ, მათ მთელ რიგ ბრძოლებში დაამარცხეს დენიკინის ჯარის ნაწილები და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ რომელიც დახმარებას უწევდა დენიკინს ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელი მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ანტანტის ქვეყნებს დახმარება თხოვა. ნიღაბს ხდიდა ჟორდანიას მთავრობის ამ მოღალატურ მოქმედებას 1919 წლის 16 ოქტომბერს კიროვმა, ვ. ი. ლენინს დეპეშით აცნობა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა სპეციალური ნოტით მიმართა მოკავშირეთა წარმომადგენლებს ამიერკავკასიაში მთიელი მოსახლეობის მოქმედების შესახებ და თხოვა მათ ჩარეულიყვნენ მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა შეეჩერებინათ მათი წინსვლა.[1]

ს. მ. კიროვი, ასრულებდა რა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებებს, ამიერკავკასიის კომუნისტებისაგან მოითხოვდა სისტემატურად მიეწოდებინათ ინფორმაციები ადგილზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რაზედაც ის 1919 წლის 31 აგვისტოს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერდა: „ეცადეთ გამოგზავნოთ თუ გინდ მოკლე ანგარიში, რომელსაც ჩვენგან ცეკა მოითხოვს. გარდა ამისა მოვითხოვ თქვენგან დაწვრილებით ინფორმაციას, რომელიც დიდი ხანია არ მიგვიღია.[2]

ზამთრის პერიოდში ნაოსნობის შეწყვეტასთან დაკავშირებით კიროვი მოითხოვდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან დაემყარებინათ ასტრახანთან კავშირი ხმელეთით, რომლის შესახებ იგი, 1919 წლის 6 დეკემბერს, პარტიის სამხარეო კომიტეტს წერდა: „თქვენგან არ არის არავითარი ინფორმაცია,

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 149.

[2] იქვე. გვ. 159.

ცეკა კი ჩვენ გვბრძანებს. ნაოსნობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ჩვენთან დაამყარეთ კავშირი ხმელეთით პეტროვსკიდან და ყიზლიარიდან".[1]

ს. მ. კიროვი იყო ორგანიზატორი დენიკინის ზურგში პარტიზანული მუშაობის გაშლისა.

1919 წლის სექტემბერს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში კიროვი მოითხოვდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან გაეშალათ დენიკინის ზურგში პარტიზანული მოძრაობა, დაენგრიათ გზები, ხიდები, ფლოტი, ხოლო ფრონტზე ინგლისელების ჯარების დენიკინის ჯარებით შეცვლასთან დაკავშირებით, ესარგებლათ მომენტით და დენიკინის ჯარის ნაწილებში შეეყვანათ სათანადოდ შემოწმებული და გამოცდილი მუშაკები: მემანქანეები, ცეცხლფარეშები, რადიოტელეგრაფისტები და სხვები. „მოკლედ, რომ ვთქვათ — მიუთითებდა კიროვი ამ წერილში — უნდა გავშალოთ მუშაობა ყველგან და მთელი ენერგიით".[2]

პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კავკასიაში გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანთა რაზმები ანგრევდნენ მოწინააღმდეგეთა კომუნიკაციებს, ხიდებს, ტყვია წამლითა და ჯარისკაცებით დატვირთულ მოწინააღმდეგის ეშელონებს თხრილებში უშვებდნენ. პარტიზანული შენაერთები მთელ რიგ ბრძოლებში ამარცხებდნენ დენიკინის შეიარაღებულ ძალებს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა კიროვის მითითებით დენიკინის ზურგში კავშირგაბმულობისა და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე მოაწყეს საიმედო მუშაკები, რომელთა მეშვეობით კიროვი ასტრახანიდან კავშირს ამყარებდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებთან, რომლის შესახებ 1920 წლის 12 იანვარს კიროვი ვ. ი. ლენინს დეპეშით სწერდა: „ბაქოსთან რადიოტელეგრაფის კავშირი აღვადგინეთ დღეს. სამხარეო კომიტეტისაგან მივიღეთ შემდეგი სახის ცნობა: ჯერჯერობით

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ 166

[2] ს. მ. კიროვის სახლ-მუზეუმი, ქ. ბაქო.

აზერბაიჯანში ძველი მთავრობაა. ვემზადებით გამოსვლისათვის. ვყიდულობთ იარაღს. ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა"[1].

დენიკინის ზურგში პარტიული მუშაობისა და პარტიზანული მოძრაობის მოსაწყობად კიროვი კონსპირაციის დაცვით უზრუნველჰყოფდა ასტრახანიდან კომუნისტების გაგზავნას. 1919 წლის 16 სექტემბერს კიროვი ბაქოს ბოლშევიკებს წერდა სასწრაფოდ დაეხვედრებინათ ბაქოს გზაჯვარედინზე ორმოტორიანი სათევზაო ნავი, ასტრახანიდან კასპიის ზღვით არალეგალურად მიმავალი 60 ამხანაგის მისაღებად. აქვე კიროვი მიუთითებდა, მოეწყოთ ისინი საიმედო ბინებში და ყოველგვარი ჩავარდნის გარეშე გაეგზავნათ ჩრდილოეთ კავკასიაში, ნოვოროსიისკში და ტაგანროგში.[2]

კავკასიის კომუნისტები ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვისა და ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ დაუღალავ მუშაობას დენიკინის წინააღმდეგ კავკასიის მშრომელების დასარაზმავად. ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევდნენ არალეგალურად მომუშავე პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც იარაღით, ისე კადრებით, რომლის შესახებ 1919 წლის სექტემბერში კიროვი ასტრახანიდან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სწერდა: „თქვენი მოთხოვნით ჩვენგან გაიგზავნა მუშაკები ბაქოში, დაღესტანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერკავკასიაში, გურიევსა და მუღანში, არმავირსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. შედეგი მათი მუშაობისა უკვე ჩანს. იმ ადგილებში, სადაც გაიგზავნენ ჩვენი მუშაკები, ყველგან პარტიზანული მოძრაობის ალი გიზგიზებს".[3]

ახასიათებდა რა სამოქალაქო ომის წლებში კიროვის დამსახურებას დენიკინის ზურგში პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციის საქმეში, ს. მ. ბუდიონი 1934 წელს გაზეთ „პრავდაში" წერდა: „ორლოვ-ყირიმის ოპერაციის დროს, როცა დენიკინი ტულასთან იდგა და თეთრგვარდიელებს ეგონათ,

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 197.
[2] იქვე. გვ. 166.
[3] სსრ კავშირის ისტორია, სოციალიზმის ეპოქა, 1957 წელი გვ 19.

რომ მოსკოვის დაპყრობის დღეები მოახლოვებულია, ამიერ-კავკასიელი ამხანაგების ჯგუფი ამხანაგების ს. ორჯონიკიძის და ს. კიროვის მეთაურობით სისტემატურად შლიდა დენიკინის ზურგს. ამხანაგი კიროვი იმ დროს ადგენდა აჯანყებულთა რაზმებს, რომლებიც არღვევდნენ რკინიგზის მუშაობას. აჯანყებულები მუდამ საქმეს უქიანურებდნენ დენიკინელებს როსტოვ-თბილისის ხაზზე, მათ არა თუ შეაჩერეს გზის მუშაობა, არამედ თეთრგვარდიელები მთებში შეიტყუეს. ამგვარად ფერხდებოდა დენიკინელების გაგზავნა ფრონტზე".[1]

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად და სამხედრო მოწყობილობებით და იარაღით მათ მოსამარაგებლად ს. მ. კიროვმა აზერბაიჯანის ბოლშევიკების დახმარებით 1919 წლის ზაფხულში შექმნა რამდენიმე ათეული იალქნიანი ნავისაგან საზღვაო ექსპედიცია, რომელსაც ეწოდა „იტაკქვეშ მომუშავე წყლის ბოლშევიკური ტრანსპორტი". ექსპედიციის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებას კიროვი ახდენდა. იმისათვის, რომ ექსპედიციის შემადგენლობა არ ჩავარდნილიყო, მეზღვაურებს გამზადებული ჰქონდათ საბუთები, თითქოს მეთევზეები იყვნენ. სინამდვილეში კი მათ ასტრახანიდან კასპიის ზღვით ბაქოში გადაქონდათ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის იარაღი, სამხედრო მოწყობილობანი, ფული, პარტიული ლიტერატურა, აგრეთვე რევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად დენიკინის ზურგში გადაყავდათ პარტიული მუშაკები, ბაქოდან ასტრახანში გადაქონდათ ბენზინი, საცხები ზეთი, ნავთობის სხვა პროდუქტები, და წერილობითი ინფორმაციები კიროვთან კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ; გადაყავდათ ბაქოდან მოსკოვში მიმავალი არალეგალური მუშაკები და სხვა. კიროვის მიერ შექმნილ საზღვაო ექსპედიციაში მუშაობდნენ ისეთი ცნობილი ბოლშევიკი მეზღვაურები, როგორიც იყვნენ: ნ. ფ. როგოვი, ფ. კ. გუბანოვი, დ. ი. მირზოიანი, შ. პ. მელნიკოვი და სხვები.

---

[1] ს. ბუდიონი, თეთრგვარდიელთა რიზხვა, გაზ. „კომუნისტი" 1935 წ. № 281.

კიროვი ასტრახანიდან ამიერკავკასიაში იატაკქვეშ მომუშავე პარტიულ ორგანიზაციებს და დენიკინის ზურგში მებრძოლ პარტიზანულ რაზმებს ამარაგებდა როგორც იარაღით, ისე ფულით. 1919 წლის ნოემბრის ბოლოს მან გამოგზავნა ბაქოში დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის 5 მილიონი მანეთი, გარდა ამისა — წერდა კიროვი ბაქოს ბოლშევიკებს, — გამოგზავნილია ოსტაპეკოსაგან 5 მილიონი, კოზლოვისაგან კიდეკ ხუთი მილიონი.[1] 1919 წლის 6 დეკემბერს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს კიროვი წერილობით აცნობებდა, რომ გამოუგზავნა მის განკარგულებაში ათი მილიონი მანეთი, დამატებით კიდევ გაგზავნილია „ჩაიკით" ხუთი მილიონი, გარდა ამისა ვაგზავნი მასალებს კამოსათვის „რადაც არ უნდა დაგიჯდეთ აცნობეთ კამოს ტვირთის მოსვლის შესახებ".[2].

ცნობილია რომ 1919 წლის ივლისში ს. მ. კიროვმა ასტრახანიდან ი. ო. კოლომიცევის მეშვეობით, საომარი კატარღით მუსავატელების ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული მულანის მშრომელებს გამოუგზავნა არალეგალურად იარაღი, პოლიტიკური ლიტერატურა და ინსტრუქციები,[3] რომელშიაც მოცემული იყო წერილობითი მითითებანი შემდგომი მოქმედების შესახებ.

კიროვი ასტრახანიდან ამიერკავკასიის ბოლშევიკებს უგზავნიდა პარტიის სადირექტივო წერილობით მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ გაეშალათ პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობა დენიკინის ზურგში, რის შესახებაც 1919 წლის სექტემბერში ასტრახანიდან პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს ის წერდა: „გამეორებით გაცნობებთ თქვენ. რომ ამ დღეებში მე თქვენ გამოგიგზავნეთ ცენტრალური კომიტეტის წერილი, მიიღეთ თუ არა არ ვიცი, ამის გამო გიგზავნით მას კიდ-

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. 1, 1936 წ. გვ. 165.
[2] იქვე, გვ. 166.
[3] იქვე, გვ. 157.

ევ ერთხელ",[1] ამავე წერილში კიროვი ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა უფრო მჭიდრო კავშირი ქონოდათ ასტრახანთან და მოსკოვთან, ხშირად გამოეგზავნათ ინფორმაციები ადგილებზე შექმნილი მდგომარეობისა და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

1919 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ბოლშევიკებმა რკპ (ბ) კავკასიის სამხრეთ კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყეს მზადება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად, რითაც დიდ დახმარებას გაუწევდნენ დენიკინის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლ წითელ არმიის ნაწილებს.

1919 წლის სექტემბრის ბოლოს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწვია სამხარეო კომიტეტის პლენუმი და მიიღო დადგენილება 24 ოქტომბერს საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. აჯანყება სამხარეო კომიტეტის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით უნდა დაწყებულიყო ერთდროულად ყველა რაიონში. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის სამხარეო კომიტეტმა შექმნა სამხედრო რევოლუციური შტაბი 22 კაცის შემადგენლობით და ყველა რაიონში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა.

მაგრამ, არ ეძინათ რევოლუციის მტრებს. ინგლისელი ოკუპანტებისა და მენშევიკების დაზვერვამ გაიგო რა აჯანყებისათვის მზადების მიმდინარეობა, აჯანყების დაწყების ორი დღის წინ, 22 ოქტომბერს, თბილისში თათბირზე სამხედრო რევოლუციური შტაბის შემადგენლობა და თათბირზე მოწვეული გარნიზონის ნაწილების წარმომადგენლები დააპატიმრა, რომლის შემდეგ ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი აჯანყება მენშევიკებისა და ინგლისელ დამპყრობთა გაერთიანებული ძალებით დამარცხებული იქნა.

ჟორდანიას მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს და მის ხელმძღვანელებს, დაიწყეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელების და აჯანყების მეთაურების მასიური დაპატიმრება. აჯანყების მეთაურებიდან რამდენიმე ათეული კაცი დახვრიტეს, რამდენიმე ათეულს კატორღა მი-

[1] ს. ჰ. კიროვის სახლ-მუზეუმში, ქ. ბაქო.

• • •

უსაჯეს. აჯანყების მოწყობის გამო დაპატიმრებულთა და კატორღამისჯილთა საერთო რაოდენობამ 2.000 კაცს მიაღწია.[1]

ეხებოდა რა აჯანყების დამარცხების შედეგად შექმნილ ვითარებას საქართველოში, კიროვი 1920 წლის 6 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ასტრახანიდან ე. დ. სტასოვას სწერდა: „თქვენთვის ცნობილია საქართველოში წარუმატებელი აჯანყების შესახებ. დაპატიმრებულია თითქმის ყველა პასუხისმგებელი ამხანაგი.“[2]

მიიღო რა ინფორმაცია მენშევიკების და ინგლისელი დამპყრობლების პარპაშზე საქართველოში, კიროვი, რომელსაც ჰქიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკებთან, 1920 წლის იანვრის მეორე ნახევარში ვ. ი. ლენინს წერდა: „სამხარეო კომიტეტი გვაცნობებს, რომ თბილისში დაპატიმრებულია ამხ. კამო, დაპატიმრების მიზეზები გაურკვეველია. გვაცნობეს, რომ განთავისუფლება საეჭვოა. ფიქრობენ რომ დაპატიმრება შედეგია საერთო დაპატიმრებებისა, რაც წარმოებს უკანასკნელი აჯანყების გამო, პატიმრებით სავსეა მთელი ციხეები, მთავრობა მოქმედებს ინგლისელების მითითებებით“.[3]

ნიღაბს ხდიდა რა ჟორდანიას მთავრობის ჯალათურ მოქმედებას აჯანყების მონაწილეთა მიმართ, კიროვი 1920 წლის 7 მარტს ასტრახანიდან რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობებდა: საქართველოში აჯანყების მოწყობის გამო დაპატიმრებულია ათასზე მეტი კაცი, დახვრეტილია სამასამდე.[4]

მიუხედავად დამარცხებისა, ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას საქართველოში ამაოდ არ ჩაუვლია. საქართველოს მუშების, რევოლუციური გლეხობისა და ჯარისკაცებისათვის ეს იყო დიდი სკოლა მომავალი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის.

---

[1] სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტატიების კრებული, 1957 წ. გვ. 220.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ I, 1936 წ. გვ. 198.

[3] იქვე, გვ. 197.

[4] იქვე, გვ. 205.

* * *

1919 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში წითელი არმიის ნაწილების მიერ ორიოლსა და ვორონეჟთან დენიკინის ჯარების დამარცხების შემდეგ, 1919 წლის 19 ნოემბერს კიროვის ხელმძღვანელობით XI არმია დენიკინის ჯარის ნაწილების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. ათი დღის გაატარებული ბრძოლების შედეგად დენიკინის ჯარები ასტრახანთან განადგურებულ იქნენ. 1919 წლის 1 დეკემბერს კიროვმა ასტრახანის მისადგომებთან თეთრგვარდიული ჯარების ნაწილების სრული ლიკვიდაციის შესახებ ვ. ი. ლენინს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „XI არმიის ნაწილები ჩქარობენ გაგიზიარონ ჩვენი რევოლუციური სიხარული ასტრახანთან თეთრი კაზაკების ნაწილების სრულ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. კიროვმა დეპეშა ასე დაამთავრა: „XI არმიის მოწინავე ნაწილები უკვე დგანან თერგის ოლქის საზღვართან- და მალე გაუწოდებენ თავიანთ განმათავისუფლებელ ხელს რევოლუციურ ჩრდილოეთ კავკასიას“.[1]

1920 წლის 3 იანვარს X და XI არმიების გაერთიანებული ძალებით განთავისუფლებული იქნა ცარიცინი, ხოლო 9 იანვარს ცხენოსანთა პირველმა არმიამ კ. ე. ვოროშილოვის, ს. მ. ბუდიონის და ე. ი. შადენკოს მეთაურობით გაანთავისუფლა დონის-როსტოვი, ამის შემდეგ გაიშალა წითელი არმიის ნაწილების შეტევა ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლებისათვის. ცარიცინის განთავისუფლების შემდეგ კიროვმა XI არმიის ნაწილები შემოაბრუნა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ.

1919 წლის 31 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ბიურო, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ს. ორჯონიკიძე, მის მოადგილედ კი — კიროვი. 1920 წლის 10 იანვარს ლიკვიდირებულ სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრონტის ნაცვლად შეიქმნა კავკასიის ფრონტი, რომლის სარდლად დაინიშნა ვ. ა. შორინი, კავკასიის ფრონტის

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 150—151.

რევოლუციური საბჭოს სამხედრო საბჭოს წევრად კი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ს. ორჯონიკიძე დანიშნა.

1920 წლის 17 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ეკატერინოდარი, და პიატიგორსკი, სადაც ს. ორჯონიკიძე მეორედ შეხვდა ს. კიროვს. 25 მარტს ჩვენმა ჯარებმა აიღეს გროზნო და მაიკოპი. 27 მარტს წითელმა არმიამ აიღო თეთრების უკანასკნელი დასაყრდენი სიმაგრე ნოვოროსიისკი. დენიკინი საზღვარგარეთ გაიქცა. დენიკინის არმიის ნაწილები წითელი არმიის ძლიერი დარტყმების შედეგად სოჭის რაიონში ტყვედ დანებდნენ[1] 30 მარტს ადგილობრივმა რევოლუციურმა ძალებმა ვლადიკავკავი გაანთავისუფლეს.

31 მარტს ახლახან განთავისუფლებულ ვლადიკავკავში სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი ერთად ჩავიდნენ. ორი წლის განშორების შემდეგ კიროვი აქ შეხვდა თავის მეუღლე მარიამ ლვოვის ასულ კიროვას, რომელიც ვლადიკავკავში არალეგალურად ცხოვრობდა და დენიკინის რეჟიმის მთელი საშინელებანი გადაიტანა.[2]

1920 წლის 31 იანვარს ვლადიკავკავში შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის რევკომი, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ს. ორჯონიკიძე, მოადგილედ კი ს. კიროვი.

დენიკინის ჯარებისაგან თერგის ოლქის განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება აღდგენილ იქნა მთელს ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში, რამაც შექმნა ხელსაყრელი პირობები ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლებისათვის. ბრძოლის ავანგარდში ბაქოს პროლეტარიატი იდგა.

კიროვი ასტრახანში მუშაობის დროს სისტემატურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა აზერბაიჯანის ბოლშევიკებს შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში. 1920 წლის 9 მარტს ბაქოში ს. კიროვი ა. მიქოიანის სახელზე გაგზავნილ წერილში ასტრახანიდან ბაქოს ბოლშევიკებს მიუთითებდა: „...მოაწყვეთ რეგულარული კავშირი რაზმებთან, გაძლიერებით ამზადეთ რაზმები XI არმიასთან ერთობლივი მოქ-

[1] სსრკ-ის ისტორია, სოციალიზმის ეპოქა, 1957 წ. გვ. 198.

[2] ზ. ორჯონიკიძე, „ბოლშევიკის გზა", 1956 წ. გვ. 279.

ს. მ. კიროვი და ს. ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში 1920 წ.

მედებისათვის; რომლის დაწყების დრო წინასწარ გვაცნობეთ".

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობების მთლიანად გამოსაყენებლად 1920 წლის 8 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, ნაცვლად რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა, შეიქმნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ორჯონიკიძე, კიროვი, სტასოვა, ნაზარეტიანი, ორახელაშვილი, სმილგა და სხვები.[1]

კავბიუროს მითითებით პარტიის ბაქოს კომიტეტთან შეიქმნა ცენტრალური სამხედრო შტაბი, რომელიც სათავეში ჩაუდგა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეს. 1920 წლის 22 აპრილს რკპ(ბ) ბაქოს ბიურომ გამოიტანა დადგენილება 27 აპრილს აზერბაიჯანში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ამავე დროს შეიქმნა აზერბაიჯანის რევკომი ცნობილი რევოლუციონერის ნ. ნ. ნარიმანოვის[2] თავმჯდომარეობით. აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით 27 აპრილს ღამით დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ბაქოში. აზერბაიჯანის რევკომმა დახმარებისათვის რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს მიმართა.

ვ. ი. ლენინის მითითებით აჯანყებული აზერბაიჯანის მშრო-

---

[1] საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევი, 1957 წ. გვ. 454.

[2] ნ. ნ. ნარიმანოვი — (1871—1929 წ.წ.) კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე მოსკოვსა და აზერბაიჯანში. იყო ცნობილი მწერალი, დრამატურგი. ჟურნალისტი და პუბლიცისტი.

[3] კ. ა. მეხანოშინი — (1884—1924) ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სამხედრო პიროვნება. იყო პარტიის წევრი 1913 წლიდან, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღეებში მუშაობდა რსდმპ(ბ) ცკ-ის სამხედრო ორგანიზაციის ბიუროს წევრად, 1918—1920 წ.წ. საბჭოთა რუსეთის სამხედრო კომისარიატის კოლეგიის წევრად. 1919—1921 წ.წ. — კავკასია-კასპიის ფრონტის რევსაბჭოს თავმჯდომარედ და თურქმენეთის ფრონტისა და XI არმიის სამხედრო საბჭოს წევრად. კ. ა. მეხანოშინი ს. ორჯონიკიძესა და ს. კიროვთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

შელების დასახმარებლად ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. მიქოიანისა და კ. მეხანოშინის[1] მეთაურობით 27 აპრილს 16 საათზე XI არმიის ნაწილები მთელი ფრონტით შეტევაზე გადმოვიდენ. 28 აპრილს მუსავატელების მთავრობა დამხობილ იქნა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამრიგად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხის დახმარებით აზერბაიჯანის მშრომელებმა პირველად გაარღვიეს იმპერიალიზმის ჯაჭვი აღმოსავლეთში და თავისუფლება მოიპოვეს.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა აზერბაიჯანის მშრომელებს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცების, დანგრეული ნავთის სარეწაოების აღდგენის და ნავთის პროდუქტების რუსეთის ცენტრალურ რაიონებში გაგზავნის საქმეში. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 3 დღის განმავლობაში ბაქოს ბოლშევიკებმა ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით ასტრახანში გაგზავნეს 1.239.000 ფუთი ნავთობის პროდუქტები.

1920 წლის 5 მაისს ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით შედგა აზერბაიჯანის კპ(ბ) ბაქოს ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია, სადაც მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კიროვი. თავის მოხსენებაში კიროვმა დაახასიათა შექმნილი ვითარება ამიერკავკასიაში და დასახა გზები და საშუალებები აზერბაიჯანში სოციალისტური მშენებლობის დაწყებისათვის.

კიროვმა თავის მოხსენებაში აზერბაიჯანის ბოლშევიკების წინაშე დააყენა სამი ძირითადი და გადაუდებელი ამოცანა. პირველი, — გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ბეგებისა და ხანების წინააღმდეგ, — ჩამოერთმიათ მათთვის მიწები და გადაეცათ მშრომელი გლეხობისათვის, მეორე — დაერტყათ მსხვილ კაპიტალზე, გაეტარებინათ ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია, მესამე — ბოლო მოეღოთ ნაციონალური შუღლისათვის და დაემყარებინათ ეროვნული მშვიდობა ამიერკავ-

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 179—180.

კასიაში.[1] ამ ამოცანების განსახორციელებლად კიროვი აზერბაიჯანის ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა გაეტარებინათ მტკიცე რევოლუციური ხაზი, დაეცვათ პარტიის რიგების სიწმინდე და ბოლშევიკური ერთიანობა. „ყოველივე იმას, — განაცხადა კიროვმა თავის მოხსენებაში, — რითაც ამჟამად მდიდარია აზერბაიჯანი და რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების საოცნებო საგანს წარმოადგენს, უნდა დაესვას მუშურ-გლეხური, საბჭოთა, კომუნისტური ნიშანი“.[2]

აზერბაიჯანის რევკომის 5 მაისის დეკრეტით გატარებულ იქნა მიწის ნაციონალიზაცია, რომლის ძალითაც ბეგებსა და ხანებს ჩამოერთვათ მიწები, რომელიც აზერბაიჯანის მშრომელ გლეხობას უფასოდ დაურიგდა.

ასევე აზერბაიჯანის რევკომის 27 მაისის დეკრეტით გატარებული იქნა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია, რომლის შედეგად ბაქოს ნავთის სარეწაოები ჩამოერთვათ კერძო მესაკუთრეებს და სახელმწიფო-საკუთრებად გამოცხადდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამტკიცდა.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რკპ(ბ) ც-კ-ის კავბიურო ვლადიკავკაზიდან ბაქოში გადმოვიდა, რომელმაც ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გაშალა მუშაობა ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მშრომელთა ბრძოლის მხარდასაჭერად.

როგორც ცნობილია საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1920 წლის დასაწყისში ორჯერ მიმართა წინადადებით საქართველოს მენშევიკურ მთავრობას რათა სამხედრო კავშირი დაედო საბჭოთა რუსეთთან დენიკინის ჯარების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით მოქმედებისათვის. მაგრამ ჟორდანიას მთავრობამ საბჭოთა რუსეთის ეს წინადადება არ მიიღო და გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლა დენიკინის მხარეზე, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებისათვის კი ანტანტის იმპერიალისტებს მიმართა.

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 179-180.

[2]. იქვე.

ევროპის და ამერიკის იმპერიალისტების დახმარებას აშკარა ჩარევის სახე რომ არ ჰქონოდა, ანტანტის ქვეყნებმა პარიზის კონფერენციაზე 1920 წლის იანვარში სცნეს საქართველოს „დამოუკიდებლობა", ამავე დროს გადაწყვიტეს აღმოეჩინათ მენშევიკებისათვის დახმარება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკებმა საქართველო გადააქციეს წითელი არმიის ძლიერი დარტყმის შედეგად საქართველოში უკან დახეული დენიკინის არმიის ნაწილების შესავსებ პუნქტად. ფოთის მიდამოებში დაბანაკდა დენიკინის ჯარის ნაწილები, საიდანაც მენშევიკები დენიკინის შეიარაღებული ძალების ნარჩენებს აგზავნიდნენ ყირიმში ვრანგელის ჯარების შესავსებად. მარტო 1920 წლის აპრილ-მაისში, საქართველოს მენშევიკური მთავრობის დახმარებით, ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა ყირიმში ვრანგელის არმიის შესავსებად გადაიყვანეს 10-12 ათასი თეთრგვარდიელი.[1]

თუ სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში, საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების იმედით, ჟორდანიას მთავრობას საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დამყარებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა და ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობის წინადადებებს უარით პასუხობდა, სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გადამწყვეტმა გამარჯვებებმა, ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ, მენშევიკების მთავრობა საგონებელში ჩააგდო და აიძულა იგი პოზიცია შეეცვალა. მენშევიკებმა გადაწყვიტეს დაედოთ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის განსახორციელებლად, საიდუმლოდ, 1920 წლის აპრილის შუა რიცხვებში, მოსკოვს გაგზავნეს დელეგაცია დამფუძნებელი კრების წევრის, გრიგოლ ურატაძის მეთაურობით.

ახასიათებდა რა მენშევიკების მლიქვნელურ, მერყევ პოლიტიკას, რკპ (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, 1920 წლის 6 დეკემბერს, ვ. ი. ლენინმა თქვა:

[1] გ. ხაჭაპერიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, 1957 წ. გვ. 254.

„ამას წინათ მენშევიკური გაზეთი საქართველოში წერდა: „დედამიწაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთი“. ვინ არიან მენშევიკები? ეს ის ხალხია, რომელსაც ცხვირი ქარისაკენ აქვს აწეული. როდესაც ჩვენ საერთაშორისო მხრივ სუსტნი ვიყავით, ისინი ყვიროდნენ: „ძირს ბოლშევიკებიო“. როდესაც ჩვენ გაძლიერება დავიწყეთ, ისინი ყვიროდნენ: „ჩვენ ნეიტრალურნი ვართო“. როდესაც მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობენ: „დიახ, აქ ორი ძალაა“.[1]

ურატაძე პირველად როსტოვში ჩავიდა. ამხ. ორჯონიკიძემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა მოსკოვში ვ. ი. ლენინს.

რადგან საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავიდან მშვიდობის მომხრე იყო, ამიტომ ვ. ი. ლენინმა საპასუხო წერილში, რომელიც პირდაპირი მავთულით ს. ორჯონიკიძეს გადასცეს, წერდა: „შეგიძლიათ აცნობოთ ბატონ ურატაძეს, რომ მთავრობა არაა მისი მოსკოვში ჩამოსვლის წინააღმდეგი“[2]. ურატაძე თავისი ორი მრჩევლით მოსკოვს ჩავიდა.

საბჭოთა მთავრობა, აწარმოებდა რა მოლაპარაკებას მენშევიკების დელეგაციასთან, ამავე დროს დაინტერესებული იყო საქართველოში შექმნილი მდგომარეობით, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი 1920 წლის 5 მაის ს. ორჯონიკიძეს დეპეშით წერდა: „თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ნათელია, რომ ზავი საქართველოსთან გამორიცხული არ არის. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ ყოველგვარი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ“.[3]

ს. ორჯონიკიძემ და ს. კიროვმა დაუყოვნებლივ მოახსენეს ლენინს: „თქვენი ბრძანება ზუსტად იქნება შესრულებული... აჯანყებული რაიონებია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია“.[4]

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, რომელიც თავიდანვე ანხორციელებდა ლენინურ საგარეო პოლიტიკას, იმისათვის, რომ დაეცვა საქართველოს კომუნისტები და რევოლუციურად გან-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, 555.

[2] ვ. გ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ, 1956 წ. გვ. 145.

[3] იქვე, გვ. 145.

[4] იქვე, გვ 146.

წყობილი საქართველოს მშრომელები მენშევიკების მთავრობის რეპრესიისაგან, 1920 წლის 7 მაისს დასდო სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან.

ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთის სახელით ხელს აწერდა: რსფსრ-ის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი, საქართველოს მენშევიკური მთავრობის სახელით კი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე.

საქართველოს მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას რადგანაც ის საშუალებას აძლევდა მათ აღედგინათ დიდ რუს ხალხთან მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის გატარების შედეგად დარღვეული ძმური კავშირი.

ესალმებოდა რა რუსეთის მშრომელებთან საქართველოს მშრომელების მეგობრული ურთიერთობის აღდგენას, ამხ. ფ. მახარაძე გაზეთ „კომუნისტში" 1920 წლის 8 ივნისს წერდა: „უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ საქართველო ამ ორნახევარი წლის განმავლობაში გზააბნეული იყო; რუსეთისაგან მოწყვეტის შემდეგ მან ბევრი იარა და ბოლოს ძველ ადგილას მივიდა; ის ისევ დაუახლოვდა რუსეთს. რუსეთს მართლა განახლებულს, სოციალისტურს, რუსეთს მუშებისას და გლეხებისას". საქართველოს მშრომელების, მუშების და გლეხების სახელით ჩვენ არ შეგვიძლია ამ ფაქტს არ მივესალმოთ.[1]

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების მიზანი საბჭოთა რუსეთის მთავრობის მხრივ მდგომარეობდა იმაში, რომ აღედგინა რუსეთისა და საქართველოს მშრომელებს შორის მენშევიკების ხელისუფლების დამყარებამდე არსებული მეგობრობა და ძმობა, გაენთავისუფლებინა ქართველი ხალხი უცხოელი დამპყრობლების ბატონობისაგან და არ მისცემოდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას საშუალება გამოსულიყო კაპიტალისტურ ქვეყნების მხარეზე რუსეთისა ან სხვა საბჭოთა რესპუბ-

[1] ტიბ. „კომუნისტი", № 5, 1920 წ

ლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო პირველი დოკუმენტი, რომელიც აღიარებდა სხვა ქვეყნებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობას, და საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას.

ანიჭებდა რა საბჭოთა რუსეთთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას უდიდეს მნიშვნელობას, ამხ. მ. ცხაკაია 1920 წლის ივნისის დასაწყისში საქართველოს მუშებისა და მშრომელი გლეხობისადმი მიმართვაში მიუთითებდა, რომ საბჭოთა რუსეთმა დაამარცხა საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები: კოლჩაკი, დენიკინი და სხვები და ამჟამად ებრძვის პოლონეთის ბურჟუაზიისა და მემამულეების გაჭოლაშქრებას. ამავე დროს იცავს რა მშვიდობას, ზავი შეკრა საქართველოსთან. ვინც მართლა ჭეშმარიტების და გულწრფელობის მოყვარულია, ვისაც ხალხის ბედნიერება და ქვეყნის აშენება სურს, მან ანგარიში უნდა გაუწიოს მთელ მსოფლიოსათვის აშკარა ფაქტს, რომ ერთად ერთი ბელადი, ერთად ერთი მებრძოლი „სოციალისტური რევოლუციისათვის, მძარცველ ავაზაკ-იმპერიალისტების წინააღმდეგ დღეს ჰრიან მხოლოდ ბოლშევიკები, რომლებიც წინ მიუძღვიან დიდ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებას“.[1]

საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად მენშევიკების მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა: გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებთან, დაუყოვნებლივ გაეყვანა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებიდან უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალები და მომავალში არ დაეშვა მათი შემოსვლის შემთხვევები; მიეცა ლეგალური არსებობისა და მუშაობის უფლებები კომუნისტური ორგანიზაციებისათვის და გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან ყველა, ვინც საბჭოთა რუსეთის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის იყვნენ დაპატიმრებულნი.[2]

საქართველოს ბოლშევიკებმა ლეგალური მუშაობის უფ-

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 1, 1920 წ.

[2] ხელშეკრულების ტექსტი იხ. გაზ. „კომუნისტი“, № 5, 1920 წ.

ლებები მისი გამოცხადების პირველ დღეებიდან მაქსიმალურად გამოიყენეს, დანგრეული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების აღსადგენად და გასაფართოებლად. 1920 წლის მაისში რკპ(ბ) საქართველოს ორგანიზაცია გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად. შეიქმნა საქართველოს კპ(ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტი. რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით მენშევიკები იძულებული შეიქმნენ გაენთავისუფლებინათ დაპატიმრებული კომუნისტების და კომკავშირლების დიდი ნაწილი. მენშევიკური საპატიმროებიდან რევოლუციურ მუშაობას დაუბრუნდა ათასზე მეტი კომუნისტი, მათ შორის ამხ. მიხა ცხაკაია.[1]

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 28-29 მაისს თბილისში მოიწვია პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა ლეგალიზაციის ვითარებაში პარტიული მუშაობის საკითხები. თათბირზე მიღებული რეზოლუცია ავალებდა პარტიულ ორგანიზაციებს გამოეყენებინათ ყველა ლეგალური საშუალებები პარტიული მუშაობის გაფართოებისა და მეზობელ ხალხებთან ძმური სოლიდარობისა და მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, „განსაკუთრებით მუშურ-გლეხურ რუსეთთან, რომელმაც განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა".[2] თათბირმა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა ლეგალური მუშაობის გაფართოებასთან ერთად შეენარჩუნებინათ პარტიის ძველ ლეგალური აპარატი.

თათბირი მიესალმა საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკას და „მის ბრწყინვალე გამარჯვებას სამოქალაქო ომის ფრონტებზე. თათბირმა დაავალა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, როგორც კი შესაძლებლობა იქნებოდა, მოეწვია პარტიული ყრილობა. თათბირმა საქართველოს კპ(ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტი შეავსო ახალი წევრებით და აირჩია საქართველოს პარტიული ორგანიზაციი-

---

[1] საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევები, 1957 წ. გვ. 455.
[2] გაზ. „კომუნისტი", 1920 წ. № 1.

დან მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად დელეგატები.[1]

თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს მუშაობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ჩატარდა პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია, რამაც ხელი შეუწყო პარტიის რიგებში მონოლითური ერთიანობისა და დისციპლინის დამკვიდრებას. რეგისტრაციის ჩატარების შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხელი მოჰკიდა ლეგალური პარტიული ორგანიზაციების შექმნას, განახლდა პარტიაში ახალ წევრთა მიღება, არჩეულ იქნა პარტიის თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

ლეგალიზაციის პერიოდში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გამოცოცხლდა პროფკავშირული და კომკავშირული მუშაობა. კომკავშირის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად პატიმრობიდან განთავისუფლებულ იქნა ამხ. ბ. ძნელაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ახალგაზრდობას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. 22 მაისს გაუქმდა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და არჩეულ იქნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი. 30 მაისს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი, სადაც დაისახა ღონისძიებანი ახალ ვითარებასთან დაკავშირებით კომკავშირული მუშაობის გაჩაღების შესახებ. 31 მაისს დაიწყო გამოსვლა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთ „მოლოდოი პროლეტარმა“.

1920 წლის 3 ივნისს ქართულ ენაზე, ხოლო 1 ივლისს რუსულ ენაზე, გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ორგანო გაზეთი „კომუნისტი“, რომელმაც მოსახლეობაში რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღა.

---

[1] გ. ჟვანია, ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, 1957 წ. გვ. 92.

ამრიგად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას შედეგად მოჰყვა პარტიული და კომ-ავშირული მუშაობის გამოცოცხლება, ხელშეკრულების და-დებამ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს მშრომელების ნდობა და მეგობრობა საბჭოთა რუსეთის მშრომელებისადმი და გააქარწყლა ის ცრუ ხმები და ჭორები, რასაც მენშევიკები ორნახევარი წლის განმავლობაში ავრცელებდნენ საბჭოთა რუსეთის შესახებ.

1920 წლის მაისის მეორე ნახევარში ს. მ.კიროვი ბაქოდან მოსკოვში იქნა გაწვეული. 1920 წლის 29 მაისს კიროვი საბ-ჭოთა მთავრობის მიერ დანიშნულ იქნა რსფს-რის სრულუფ-ლებიან წარმომადგენლად საქართველოში, რომლის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატის მიერ კიროვის სა-ხელზე გაცემულ დიპლომატიურ პასპორტში ნათქვამია:

„რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რეს-პუბლიკა.

დიპლომატიური პასპორტი № 6960

ცხადდება ყველას საყურადღებოდ, რომ წარმომდგენი ამისა რუსეთის მოქალაქე სერგეი მირონის-ძე კიროვი არის რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველო-ში და მიემგზავრება თბილისში. ამისათვის სახალხო კომისარ-თა საბჭო თხოვს მეგობრულ ხალხთა ყველა მთავრობას და წინადადებას აძლევს რუსეთის ყველა სამხედრო, სამოქალაქო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და თანამდებობის პი-რებს გაუწიონ მას ყოველგვარი დახმარება თავისუფალი და უმოკლესი გზით მგზავრობის შესაძლებლობის მიცემით.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის რწმუნებით

ლ. კარახანი.

მოსკოვი 1920 წლის 29 მაისი“.[1]

მოსკოვიდან საქართველოში გამომგზავრების წინ კიროვმა პირადად ვ. ი. ლენინისაგან მიიღო დირექტივა საქართველოში მუშაობის შესახებ. ლენინმა კიროვი წინასწარ გააფრთხილა

[1] ს. მ. კიროვის სახლ-მუზეუმი, ქ. ბაქო.

მენშევიკებისაგან მოსალოდნელი ხრიკებისა და ორპირობის შესახებ.

1920 წლის 3 ივნისს, ღამის 12 საათზე, რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შემადგენლობა კიროვის მეთაურობით სპეციალური მატარებლით თბილისში გამოემგზავრა.[1]

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება განსაკუთრებული დამატების ჩათვლით შესდგებოდა 21 მუხლისაგან. ხელშეკრულების მეხუთე მუხლის პირველი პარაგრაფით მენშევიკების მთავრობამ ვალდებულება იკისრა: „დაუყოვნებლივ გაანიარაღოს და ინტერიდირებულ იქნას ყველა გემები, რომლებიც საქართველოს ნავსადგურში იმყოფებიან და იმ ორგანიზაციებისა და ჯგუფების სამხედრო საზღვაო ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის დამხობას“.[2]

ქართველი მენშევიკები იმის იმედით, რომ 1920 წლის გაზაფხულზე დაწყებულ ანტანტის მესამე ლაშქრობაში საბჭოთა რუსეთი მალე დამარცხდებოდა, არც კი ფიქრობდნენ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის პირველი პარაგრაფით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას. პირიქით — ისინი ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ ვრანგელის არმიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მონაწილეობას იღებდა პოლონელ პანებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ანტანტის მესამე ლაშქრობაში.

26 მაისს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუსავატელებმა განჯაში მოაწყეს კონტრრევოლუციური ამბოხება, რომლის მომზადებაში მათ ქართველი მენშევიკები აქტიურ დახმარებას უწევდნენ თბილისიდან, სადაც თავს აფარებდნენ დონის, ყუბანის, თერგის კონტრრევოლუციური მთავრობის წარმომადგენლები, აქვე ხდებოდა ვრანგელის აგენტების შეი-

---

[1] საქართველოს ცსრ ორცსა, ფონდი 27, ს. I, ფ. 3.

[2] რსფსრ რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, 1922 წ. გვ. 10.

არაღება, რომლის შესახებ მოსკოვიდან თბილისში მიმავალი კიროვი 1920 წლის 9 ივნისს როსტოვიდან დეპეშით ვ. ი. ლენინს და გ. ვ. ჩიჩერინს სწერდა რომ მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებისა საქართველოს მთავრობა არ იღებდა ზომებს საქართველოს ტერიტორიიდან უცხოელ დამპყრობლების შეიარაღებული ძალების გასაყვანად, რის შედეგად ბათუმის ოლქი ისევ ინგლისელების ხელში იმყოფებოდა, ხოლო განჯაში მუსავატელების კონტრრევოლუციური ამბოხება მომზადებულ იქნა თბილისში, რომ მენშევიკების მთავრობა ვრანგელს აიარაღებდა იარაღით, საჭურვლითა და ნავთობით. ასევე ბათუმში მიმდინარეობდა ანტანტის ქვეყნების სამხედრო ძალების კონცენტრაცია საქართველოს მხრიდან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად. აქვე კიროვი ატყობინებდა ლენინს, რომ ინგლისელ იმპერიალისტებს ბათუმში ყავდათ 15 ათასი ქვეითი ჯარისკაცი, ქონდათ ორი დრედნოუტი, და ორი კრეისერი, პორტში იდგა საფრანგეთის ექვსმილიანი კრეისერი, ამერიკის ერთი ოთხმილიანი კრეისერი, იტალიის ერთი ორმილიანი კრეისერი, საბერძნეთის 5 მილიანი კრეისერი. გარდა ამისა ნავსადგურში იდგა მრავალი ნაღმოსანი, ხოლო გემებზე იყვნენ საზღვაო ჯარის ნაწილები, რომლებშიც 7 ათასამდე მებრძოლი იყო."[1]

როსტოვიდან კიროვი ბაქოში ჩავიდა, სადგურზე მას ს. ორჯონიკიძისა და ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით ბაქოს მუშებისა და XI არმიის წარმომადგენლები შეხვდნენ, რომლებსაც კიროვი მხურვალედ მიესალმა. კიროვი ბაქოდან სერგო ორჯონიკიძეს და მის მეუღლე ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძესთან ერთად გაემგზავრა ვლადიკავკაკში, საიდანაც თბილისში მიმავალი კიროვი ს. ორჯონიკიძემ და ზ. ორჯონიკიძემ დარიალის ხეობამდე გამოაცილეს.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ—წერს თავის მოგონებაში ზ. ორჯონიკიძე—ბაქოში სერგომ

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 225—226.

და კიროვმა თვენახევარზე მეტი ერთად იმუშავეს, ცხოვრობდნენ ერთ ბინაში, მაგრამ მალე გაიყარნენ. კიროვი დანიშნულ იქნა რსფსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლად მენშევიკურ საქართველოში, სადაც იგი უნდა წასულიყო საქართველოს სამხედრო გზით. სწორედ ამ დროს სერგო ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა წასულიყო და ჩვენ ყველა ერთად გავემგზავრეთ, ერთად ჩავედით ვლადიკავკაზში იქიდან კი სერგეი მირონის-ძე დარიალის ხეობამდე მივაცილეთ, სადაც შაშინ საბჭოთა რუსეთის ტერიტორია თავდებოდა. „მშვიდობით კირიჩ" უთხრა სერგომ და ორივემ მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი"[1], „ჩვენ გულთბილად გამოვეთხოვეთ მას და დიდხანს გავცქეროდით მიმავალს, ვიდრე მისი მანქანა კლდეს არ მიეფარა".[2]

1920 წლის 20 ივნისს საღამოს საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საქართველოში. ს. კიროვის მეთაურობით თბილისში ჩამოვიდა, კიროვთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რევოლუციონერი სერგო ქავთარაძე.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწყო საჯარო შეხვედრა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობისათვის, მაგრამ ჟორდანიას მთავრობამ ამის ნება არ დართო. მიუხედავად ამისა კიროვის ჩამოსვლის დღეს თბილისის სადგურის მოედანზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მენშევიკების მთავრობის ბრძანებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსი ჯალათ კედიას რაზმელებმა, მილიციონერებთან ერთად თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები ძალით გარეკეს სადგურიდან, რათა ისინი არ შეხვედროდნენ რევოლუციის დიდ ტრიბუნს.

თბილისის რკინიგზის სადგურზე კიროვს შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქარცივაძე

---

[1] ზ. ორჯონიკიძე, „კიროვი და სერგო", გაზ. „ინდუსტრია", 1939 წ. 2 დეკემბერი.

[2] ზ. ორჯონიკიძე, „ბოლშევიკის გზა", 1956 წ. გვ. 288.

და სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი ჯუღელი, რომლებმაც მლიქვნელური სიტყვებით შიმართეს კიროვს.

საპასუხო სიტყვაში კიროვმა მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის სურვილი და მიზანია მეგობრული კავშირისა და ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის და აგრეთვე საქართველოს მშრომელების გათავისუფლება კაპიტალისტური ქვეყნების უღლისაგან.

ამრიგად მენშევიკების მთავრობა, რომელიც შეშინებული იყო სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით და ქვეყნის შიგნით რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით, იძულებული შეიქმნა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლისათვის მოეწყო მლიქვნელური შეხვედრა, რომლის შესახებ 1920 წლის 28 ივნისს ს. მ. კიროვი ვ. ი. ლენინს და გ. ვ. ჩიჩერინს წერდა:

„20 ივნისს საღამოს 6 საათზე თბილისში ჩამოვედი, ქალაქში ჩამოსვლისას დამხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ქარციკაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ჯუღელი და სხვა თანამდებობის პირნი. მისიის შენობასთან ქართველ ხელისუფალთა მიერ დაყენებული იყო საპატიო ყარაული.

რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში

კ ი რ ო ვ ი".[1]

თბილისის სადგურიდან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა კიროვის მეთაურობით და მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლის თანხლებით მანქანით გაეშგზავნა საბჭოთა რუსეთის საელჩოში, რომელიც ველიამინოვის ქუჩაზე მდებარეობდა. მიუხედავად მენშევიკების მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებისა ქუჩაზე თავი მოეყარა დიდძალ ხალხს, რომელიც გზადაგზა აღტაცებით ესალმებოდა საბჭოთა

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 226.

რუსეთის წარმომადგენელს. საბჭოთა მისიისა და საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობისათვის გამოყოფილ შენობასთან დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. თბილისის მუშებმა, როგორც კი დაინახეს კიროვი მაშინვე მიესალმენ შეძახილით „გაუმარჯოს კიროვს, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს!“.

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საქართველოში შესდგებოდა 51 კაცისაგან. მათ შორის ქართველი იყო 6. სახელდობრ: ქავთარაძე სერგო ივანეს-ძე, რომელიც მუშაობდა საელჩოს მრჩევლად, ნუცუბიძე მარიამ ოტოს ასული — საელჩოს მდივნად, ლეკიშვილი სტეფანე იოსების-ძე — თარჯიმნად, რამაზიშვილი ნიკოლოზ პეტრეს-ძე—საელჩოს საქმის მწარმოებლის თანაშემწედ, თევდორაძე ელისაბედ ალექსის ასული — მემანქანედ და კონდრატაშვილი ილია — საელჩოს მცველად.[1] საბჭოთა რუსეთის საელჩოში კიროვთან შემდეგში მუშაობდა ამჟამად პერსონალურ პენსიაზე მყოფი, ძველი ბოლშევიკი. ლანჩხუთის რაიონის მცხოვრები მატრონე ქურიძე, რომელიც კიროვთან მუშაობის შესახებ ამბობს: „სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე მემახსოვრება სერგეი ჭირონის-ძე კიროვთან შეხვედრისა და მასთან საუბრის წუთები“.[2]

20 ივნისს საღამოს საელჩოს შენობაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი კიროვი პირველად შეხვდა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მუშათა წარმომადგენლებს, რათა გადაეცა მათთვის სალამი საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობისაგან. „ეს შეხვედრა, წერდა გაზეთი „კომუნისტი“, თავისთავად ცხადია არ გავდა საერთოდ მიღებულ შეხვედრებს „დიპლომატთან“. აქ პირდაპირ შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატის ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი, ელჩის უფლებით აღჭურვილი, და საქართველოს დაჩაგრული მუშების და გლეხების წარმომად-

---

[1] საქართველოს სსრ ორცსა, ფონდი 11, ს. 309, გვ. 234—235.

[2] ა. იმედაშვილი, ო. დემეტრაშვილი, პირველი კომკავშირელი ქალები, 1958 წ. გვ. 54.

ს. მ. კიროვი საქართველოში 1920 წელს.

გენლები, რომელთა შორის ბევრი მხოლოდ ერთი თვეა რაც ციხიდან გამოვიდა".[1]

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით კიროვს მიესალმა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც დაახასიათა რუსეთისგან ჩამოშორების შემდეგ საქართველოში შექმნილი ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ საქართველოს მშრომელები თითქმის სამი წლის განმავლობაში თავის უფროს ძმას — რუსეთის პროლეტარიატს მოწყვეტილები. მახარაძემ უამბო კიროვს თუ რა ტანჯვა გადაიტანეს ქართველმა კომუნისტებმა მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის გატარების შედეგად. მან თხოვა კიროვს გადაეცა საბჭოთა მთავრობისათვის თუ რა სიყვარულისა და სიხარულის გრძნობებით არიან გამსჭვალულნი საქართველოს მშრომელები საბჭოთა მთავრობის, რუსეთის მშრომელებისა და გმირი წითელი არმიისადმი.

ამხ. მახარაძემ საქართველოს ბოლშევიკების სახელით აღუთქვა კიროვს, რომ ისინი მთელ ძალღონეს მოახმარდნენ ივ დიად მიზანს, რომელიც ასე სასახელოდ და პირნათლად განახორციელა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ.[2]

მახარაძის შემდეგ კიროვს მიესალმენ საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტის, საქართველოს პროფესიონალური კავშირების და კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო კიროვმა, რომელსაც დამსწრენი ოვაციითა და ვაშას ძახილით შეხვდნენ. თავის მგზნებარე სიტყვაში კიროვმა დაახასიათა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, მან მიუთითა, რომ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი მტკიცე და ურყევი როგორიც ახლა. კიროვმა დამსწრეებს აღუთქვა მიიღებდა ყველა საჭირო ზომებს, რათა გაეფანტა ის ჭორები და ცრუ ხმები რაც ფართო მასშტაბით ავრცელებდა, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში საბჭოთა რუსეთის შესახებ, ბურჟუაზიული და ყვითელი სოციალისტური პრესა.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 4, 1920 წ.

[2] იქვე.

„რუსეთის მუშათა კლასი და მისი მთავრობა, — განაცხადა კიროვმა თავის სიტყვის დასასრულს, — არასოდეს არ ივიწყებენ სხვა ქვეყნის ჩაგრულ ამხანაგებს და არც საქართველოს მუშათა კლასი იქნება მის მიერ დავიწყებული“.[1]

კიროვის სიტყვამ დამსწრეთა გულში აღფრთოვანება და იმედი აღძრა, ისინი უკრავდნენ მას ტაშს გაბრწყინებული სახით.

ახასიათებს რა კიროვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „მისი სიტყვა მართლაც შეეფერებოდა გამარჯვებული მუშათა კლასის წარმომადგენელს. მის მზრუნველ და ლამაზ სიტყვაში ცეცხლივით ანათებდა გმირული ბრძოლა და დაუშრეტელი ენერგია რუსეთის პროლეტარიატისა. მისი სიტყვა იყო გაბედული, ვაჟკაცური, როგორიც უნდა იყოს საშინელი ბრძოლებიდან სახელოვნად გამარჯვებულისა“.[2]

საბჭოთა რუსეთის საელჩოს წინ შეკრებილი ხალხის მოთხოვნით, კიროვი აივანზე გამოვიდა, საიდანაც მან წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა. იგი საბჭოთა რუსეთის მთავრობის და მშრომელების სახელით მიესალმა საქართველოს მშრომელებს.

კიროვმა თავის სიტყვაში ილაპარაკა ქართველი ხალხის გმირულ წარსულზე, რომელმაც ქვეყანას მისცა შესანიშნავი ადამიანები, ცნობილი რევოლუციონერები,[3] მან ხაზი გაუსვა ქართველი ხალხის რუს ხალხთან მეგობრობას, რომელიც დამყარდა რუსეთის და საქართველოს მშრომელებს შორის ერთობლივ ბრძოლაში ჯერ ცარიზმის, მერე კი ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციონერების გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

კიროვმა ნიღაბი ახადა მენშევიკების და მშრომელთა სხვა ჯურის მტრების ცილისწამებლობას, რასაც ისინი ეწეოდენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. კიროვმა მიტინგის მო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 4, 1920 წ.

[2] იქვე.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 11, ს. 13.

ნაწილეებს განუცხადა: „თქვენს წინაშე დგას ბოლშევიკი საბჭოთა რუსეთიდან, ვგავართ თუ არა ჩვენ იმ საშინელებას, რასაც აქ სამი წლის განმავლობაში წერდნენ და გიამბობდნენ?“. მან რწმენა გამოთქვა, რომ ჭორები და ეპვები, რომელსაც მუშათა კლასის მტრები საბჭოთა რუსეთის შესახებ ავრცელებდნენ, მალე გაფანტული იქნება.“

კიროვმა შემდეგ დაახასიათა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების მნიშვნელობა, მან განმარტა, რომ ეს ხელშეკრულება არის რუსეთსა და საქართველოს მშრომელებს შორის მეგობრობის ხელშეკრულება, რომლის მიზანია მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვა. კიროვმა თავისი შესანიშნავი სიტყვა დაამთავრა შეძახილით: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და მის მოკავშირე საქართველოს!“[1]

კიროვის ორატორულმა და მართალმა სიტყვამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მშრომელების რევოლუციურ განწყობილებაზე. „თავის ჩამოსვლის დღეს, — წერდა ამხ. ფ. მახარაძე თავის მოგონებაში — კიროვმა თბილისში მრავალრიცხოვან მიტინგზე წარმოთქვა თავისი ერთერთი ბრწყინვალე სიტყვა, როგორიც მხოლოდ მას შეეძლო წარმოეთქვა. ამხანაგ კიროვის მგზნებარე და ღრმად მოფიქრებულმა სიტყვამ, რომელიც გამსჭვალული იყო გულწრფელობითა და უღრმესი სიმართლით, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე. ამასთან ბატონ ჟორდანიას და რამიშვილის აგენტები, რომლებიც იქვე იყვნენ, ცოფმორეული ბოროტებით აღსავსენი იძულებული გახდნენ დუმილით ბოლომდე მოესმინათ ეს მათი გამანადგურებელი სიტყვა“.[2]

„ეს იყო მართლაც ახალი სიტყვა, — წერდა ს. თოდრია, — ნათქვამი დიდი ტრიბუნის მიერ. ორატორმა მოაჯადოვა დამსწრენი. კიროვი ისეთი ორატორი იყო, რომ იგი არასოდეს არ ღლიდა მსმენელს“[3].

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 11, ს. 10. ფ. 1.

[2] გაზ. „კომუნისტი“, № 280, 1934 წ.

[3] გაზ. „კომუნისტი“, № 281, 1934 წ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლებმა კიროვს გაუმართეს ამხანაგური სადილი, რომელმაც გულწრფელ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. შემდეგ კიროვი მანქანით გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. გზადაგზა მას თბილისის მშრომელი მოსახლეობა ოვაციით ხვდებოდა.[1]

მიტინგის დამთავრების შემდეგ კიროვის მგზნებარე რევოლუციური სიტყვით გაბოროტებულმა კედიას განსაკუთრებული რაზმის წევრებმა მილიციონერებთან ერთად სასტიკად იძიეს შური საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლებზე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოწყობილ მიტინგში. ზოგი დააპატიმრეს, ნაწილს სცემეს. ბევრმა კი თავს უშველა გაქცევით.

„დაშინებული ხალხი გამორბის, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“ — ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ ტაში დაუკრეს იმ კაცს, რომელმაც თქვა: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს და მის მოკავშირე საქართველოს!“ თავისუფლების მოედანმა გუშინ აშკარად ერთხელ კიდევ იხილა თუ რაგორ ცინიზმამდე მიდის ბურჟუაზიის „თავისუფლება“. რამოდენიმედ ყოველივე ამის მოწმე ბატონი ურატაძე იყო. საინტერესოა ვიცოდეთ. როდესაც ის მოსკოვში ჩავიდა, ამგვარად შეხვდნენ მას?“.[2]

მენშევიკების მთავრობამ კარგად იცოდა რომ კიროვის სახით საქართველოში ჩამოვიდა მშრომელთა საყვარელი ადამიანი, რომელიც ახალ ძალას შემატებდა საქართველოს მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ამიტომ იყო, რომ მენშევიკების გაზეთები კიროვის ჩამოსვლას თბილისში ცოფმორეული შეხვდნენ.

მენშევიკების ოფიციალურმა გაზეთმა „ერთობამ“ კიროვის თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს, 1920 წლის 22 ივნისს, გამოაქვეყნა სპეციალური სტატია სათაურით: „საბჭოთა რუსეთის მისიის ჩამოსვლა“, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ. № 4.

[2] იქვე.

კიროვის საქართველოში ჩამოსვლის გამო. „სამწუხაროდ — წერდა „ერთობა“ — უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. კიროვის ჩამოსვლას ატყვია ჩვეულებრივი ნიშნები დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლობის ჩამოსვლისა პატარა სახელმწიფოში“.[1]

23 ივნისს ახალ სტატიაში „კიროვი და ბოლშევიკები“ „ერთობა“ ცოფს ჰყრიდა იმის გამო, რომ საქართველოს ბოლშევიკები მეგობრულად შეხვდნენ სერგეი მირონის-ძე კიროვს. „საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების ჩამოსვლისთანვე — წერდა „ერთობა“ — საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც თითქოს შეურიგდნენ დამოუკიდებელ დემოკრატიულ არსებობას, კვლავ ძველი ჰანგები აამღერეს. პირველ შეხვედრისთანვე ჯერ მ. კიროვს თავისი ტანჯვა შესჩივლეს და დახმარება თხოვეს... ბ-ნი კიროვიც აპირებს საქართველოს მუშების გაბედნიერებას“.[2]

ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“ კიროვის თბილისში ჩამოსვლის გამო „ერთობაზე“ მეტ გულისწყრომას გამოთქვამდა. 23 ივნისს ის თავის სტატიაში „პარტიის დელეგატი თუ სახელმწიფოს წარმომადგენელი?“ ისტორიულად წერდა: „აქ ის არის საინტერესო, რომ ჩვენი კომუნისტები კიროვს ისე კი არ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, არამედ როგორც პარტიის დელეგატს, ცეკას წარმომადგენელს და შესჩივიან როგორც ბატონს, — აი რა დღეში ვართო. ის კი ავიწყდებათ, რომ კიროვი უძლურია რაიმენაირად მალამო დასდოს მათ „ტკივილებს“, რადგან ეს ჩვენი შინაურული საქმეა და აქ ბ. კიროვი ვერ ჩაერევა“.[3]

საბჭოთა წარმომადგენლობის საქართველოში ჩამოსვლის გამო ასეთივე უკმაყოფილებას გამოთქვამდა მენშევიკების ორგანო — გაზეთი „ბორბაც“. აკრიტიკებდა რა მენშევიკური გაზეთების უსაფუძვლო შიშს, გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: როგორც „ერთობა“ ისე „ბორბა“ შიშს აუტანია „ვაი თუ საბჭოთა რუსეთის მისიის ჩამოსვლამ თბილისში წესრიგის

---

[1] გაზ. „ერთობა“, № 138, 1920 წ.

[2] გაზ. „ერთობა“, № 139, 1920 წ.

[3] გაზ. „სახალხო საქმე“, № 857. 1920 წ.

დარღვევა გამოიწვიოსო“ — თქვე დალოცვილებო — მიმართავდა მათ „კომუნისტი“ — „თუ ასე გეშინოდათ საბჭოთა მთავრობის, რად გზავნიდით გრ. ურატაძეს მოსკოვში საზაო ხელშეკრულების დასადებად?“.[1]

აქარწყლებდა რა საქართველოს მენშევიკების და მათი გაზეთების უსაფუძვლო შიშს და რომ თითქოსდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ჩაერეოდა მათ საშინაო საქმეებში, ს. მ. კიროვმა თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა: „ჩემი მისია საქართველოში მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის კეთილმეზობლური განწყობილება და მტკიცე მშვიდობა დამყარდეს. ამიტომ მე ჩემ უპირველეს მოვალეობად — საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების ორივე ქვეყნიდან არჩეულ წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისიის საშუალებით, — განხორციელება მიმაჩნია... საქართველოში ჩემი უმთავრესი მიზანია ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის დამოკიდებულების დამყარება. რუსეთის მხრივ ამისათვის ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული, რადგანაც ჩვენ გვაქვს გულწრფელი სურვილი, რომ კეთილი მისწრაფებანი სინამდვილედ ვაქციოთ“.[2]

მენშევიკები შიშს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთს არ გადაექცია საქართველო „აღმოსავლეთის კარებად“, რის გამო თავიანთი გაზეთის ფურცლებზე ათასნაირ მოჭორილ მასალებს ათავსებდნენ. ნიღაბს ხდიდა რა მენშევიკების ამ უსაფუძვლო შიშს საბჭოთა რუსეთის წინაშე, გაზეთ „ბორბას“ თანამშრომლებთან საუბარში კიროვმა განაცხადა: „რაც შეეხება საკითხს — ხომ არ ვაპირებთ ჩვენ გავხადოთ საქართველო „აღმოსავლეთის კარებად“ იმ მხრივ, რომ გადავაქციოთ იგი ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრად, — ამაზე უნდა განვაცხადო რომ ასეთი განზრახვა ჩვენ

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 5, 1920 წ.

[2] გაზ. „სახალხო საქმე“, № 854, 1920 წ.

არა გვაქვს. აღმოსავლეთის კარები ჩვენ უსაქართველოდაც ვიცით. ჩვენ რომ გვდომებოდა ამ კარების გაღება შავი ზღვით, საქართველოს მხრით, მაშინ ჩვენ სრულიად არ დაგვჭირდებოდა ბევრი რამის გაკეთება, რაც უკანასკნელ დროს გავაკეთეთ რუსეთ საქართველოს ურთიერთობის დარგში. ჩვენ არ გვჭირდება ნიღაბის აფარება. ჩვენ რომ სხვა ამოცანები გვქონოდა დასახული, მაშინ სულ სხვანაირად მოვიქცეოდით და არ დავდებდით შეთანხმებას საქართველოსთან".[1]

კიროვი საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღეებიდან ყოველგვარ ზომებს ღებულობდა რათა გაეფანტა ის საზიზღარი სიცრუე და ჭორები, რასაც ქართველი მენშევიკები და მათი პრესა საქართველოში საბჭოთა რუსეთის შესახებ ავრცელებდნენ. ამის შესახებ გაზეთი „კომუნისტი" 1920 წლის 25 ივნისის მოწინავეში „ყველაფერს სწერენ გარდა სიმართლისა", — წერდა: კიროვმა თავის სიტყვაში განაცხადა: „სადაც ვუკვირდები ყველგან, იმას ვხედავ რომ საბჭოთა რუსეთის შესახებ სიმართლეს არავინ ამბობს, სამაგიეროდ ჭორს, ცილისწამებას, სიცრუეს სოციალისტური რუსეთის შესახებ ფართე ასპარეზი აქვს დათმობილი".[2] კიროვმა 1920 წლის ივლისის ბოლოს მენშევიკური პრესის თანამშრომლებთან საუბარში აშკარად მიუთითა ყალბი მასალებითა და ჭორებით აღსავსე ინფორმაციებზე საბჭოთა რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ, აღნიშნა, რომ ხალხს სიმართლეს ყოველმხრივ უმალავდნენ.[3]

ჟორდანიას მთავრობა თბილისში ჩამოსულ საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური და საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლებს უნდობლობისა და ეჭვის თვალით უყურებდა, და ამიტომ მათ ჯაშუშები და აგენტები მიუჩინეს.

---

[1] გაზ. „ბორბა", № 140, 1920 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი", № 7, 1920 წ.

[3] გაზ. „კომუნისტი", № 8, 1920 წ.

ჟორდანიას მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად ვალდებულება იკისრა, ეღიარებინა „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება".[1]

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით საქართველოს მენშევიკების მთავრობამ პარტიული ორგანიზაციების სრული ლეგალიზაცია და ხელშეუხლებლობა იკისრა, მენშევიკებმა 1920 წლის ივნისის პირველი ნახევრიდან დაიწყეს საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა იმ ნაწილის უხეშად დარღვევა, რომელიც კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაციას შეეხებოდა. კიდევ მეტი, მენშევიკებმა 1920 წლის ივნისში თავიანთ ყრილობაზე გამოიტანეს სპეციალური დადგენილება „ყოველგვარი ძალღონით და საშუალებებით" — კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებისა და გაძლიერების შესახებ. მენშევიკებმა კვლავ განაახლეს საქართველოს ყველა კუთხეში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიმართ ძალადობა და რეპრესიები.

14 ივნისს მენშევიკების მთავრობის საგანგებო რაზმელები ერთდროულად თავს დაესხნენ საქართველოს კპ(ბ) დროებით ცენტრალურ კომიტეტს, თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიუროებს და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას. დააპატიმრეს 50-მდე კაცი, რომელთა უმრავლესობა საქართველოს საზღვარს გარეთ გადაასახლეს.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის გაჩხრეკისას კედიას რაზ-

---

[1] რსფს რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთდამოკიდებულებანი, 1922 წ. გვ. 16.

ველებმა რედაქციაში სხვა ამხანაგებთან ერთად დააკავეს ამხ. ფ. მახარაძე. ყოველგვარი საბუთების წარდგენის გარეშე, მის დაუსწრებლად გაჩხრიკეს მისი ბინა, საიდანაც წაიღეს მთელი რიგი მასალები.[1] ჟორდანიას მთავრობამ ადგილზე — გორის, თელავის, ახალციხის, ახალსენაკის, ზუგდიდისა და საქართველოს სხვა მაზრებში დახურა კომუნისტური ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები კი ციხეში ჩასვა. მენშევიკებმა დაიწყეს სასტიკი რეპრესიები რევოლუციურად განწყობილ მუშებისა და გლეხების მიმართ. მენშევიკებმა ძალადობის გზით მოახდინეს ბოლშევიკურად განწყობილ მუშა მელითონეთა ძველი კავშირის ლიკვიდაცია, შტატების შეკვეცისა და სხვა საბაბით დაიწყეს იმ მუშების დათხოვნა სამუშაოდან, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი საბჭოთა რუსეთისადმი თანაგრძნობაში.

ახასიათებდ რა საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ს. კიროვი თბილისში ჩამოსვლის მეხუთე დღეს, 1920 წლის25 ივნისს, ვ. ი. ლენინს და გ. ვ. ჩიჩერინს დეპეშით ატყობინებდა:

„კომუნისტების საწინააღმდეგო რეპრესიები, რომელიც დაიწყო სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ჩამოსვლამდე, ძლიერდება. ჩვენი აქ ჩამოსვლის დღე აღინიშნა ბევრი დაპატიმრებითა და ცემატყეპით. სრულუფლებიანი წარმომადგენლის შენობის წინ ყველა გამვლელს რეგისტრაციაში ატარებენ, ნაწილს კი აპატიმრებენ, კომუნისტების გარდა აპატიმრებენ საელჩოში მოსულ რუსეთის მოქალაქეებს. პატიმრებს ასახლებენ საზღვარს გარედ. დღეს დააპატიმრეს ამხანაგი იმის გამო, რომ მასზე მიცემული იყო შეკვეთა საბჭოთა დროშის დამზადებაზე. პროვინციაში რეპრესიები ძლიერდება, დაწვრილებით დამატებით გაცნობებთ“.[2]

ს. მ. კიროვი სასტიკ პროტესტს უცხადებდა ჟორდანიას მთავრობას საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების იმ ნაწილის დარღვევის გამო, რომელიც კომუნისტური პარტი-

---

[1] ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, დოკუმენტების კრებული, 1958 წ. გვ. 81.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 226.

ის ლეგალიზაციას შეეხებოდა. ამის შესახებ კიროვი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ ნოტაში 1920 წლის 28 ივნისს წერდა:

„მე უკვე ორჯერ მქონდა პატივი შემეჩერებინა თქვენი ყურადღება იმ სისტემატურ რეპრესიებზე, რომლებსაც განიცდიან ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრები თქვენი მთავრობის აგენტების მხრივ.

მიუხედავად ამისა ეს რეპრესიები არათუ კლებულობენ, არამედ, პირიქით, ყოველდღე ვღებულობ მე სულ ახალ-ახალ განცხადებებს კომუნისტური პარტიის წევრთა დაპატიმრების შესახებ, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში, სადაც ამავე დროს კომუნისტურ ორგანიზაციებს სრულიად ხურავენ. კომუნისტური ორგანიზაციები სრულიად დახურეს ფასანაურში, ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში, დუშეთსა და სხვა ადგილებში.

გარდა ამისა, ჩემს განკარგულებაშია სია კომუნისტური პარტიის წევრებისა, რომლებიც ციხეებში იმყოფებოდნენ რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებამდე და რომლებიც, წინააღმდეგ ხელშეკრულების მე-10 მუხლისა, ჯერაც არ არიან განთავისუფლებულნი. ამათ რიცხვში იმყოფება ელბაქიძე და სხვ. ყველაფერი ეს მაიძულებს გთხოვოთ თქვენ აუწყოთ თქვენს მთავრობას ჩემი ენერგიული პროტესტი ჩემი მთავრობის სახელით, რომელსაც არ შეუძლია არ დაინახოს ზემოაღნიშნულში საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს დადებული განსაკუთრებული დამატებითი ხელშეკრულების საიდუმლო შეთანხმების 1-ლი მუხლის პირდაპირი დარღვევა“.[1]

კომუნისტების დაპატიმრებისა და პარტიული ორგანიზაციების დარბევასთან ერთად, როგორც კიროვი მენშევიკების მთავრობისადმი გაგზავნილ 265 და 282 ნოტებში 1920 წლის 8 ივლისს წერდა, ჟორდანიას მთავრობის აგენტები სისტემატურად აკავებდნენ და ჩხრეკდნენ საბჭოთა რუსეთის საელჩოს დიპლომატიურ შიკრიკებს და მომსახურე პირებსაც კი.

---

[1] რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, 1922 წ. გვ. 17.

მენშევიკების შეიარაღებულმა აგენტებმა სადგურ ყაზბეგ ში გზაზე შეაჩერეს თბილისში მიმავალი რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული კომისიის წევრი, საბჭოთა რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ლ. ი. რუზერი, ივნისის დასაწყისში სადგურ მცხეთაში დაკავებულ იქნა დიპლომატიური შიკრიკი დემენტიევი, რომელსაც მიჰქონდა საბჭოთა რუსეთის საელჩოს დალუქული პაკეტი ვლადიკავკავში, მენშევიკების მთავრობის წარმომადგენლებმა სცადეს დალუქული პაკეტის გახსნა. პირველ ივლისს მენშევიკების აგენტების მიერ ყაზბეგში რამდენიმე დღით დაკავებულ იქნა დიპლომატიური კურიერი სუმსკი, რომელსაც ფოსტა მიჰქონდა, 5 ივლისს სადგურ ფოილოსთან დაპატიმრებულ იქნა თბილისიდან ბაქოში მიმავალი დიპლომატიური შიკრიკი ლაკირბაია, რომელსაც თან მიქონდა საბჭოთა რუსეთის საელჩოს პაკეტი და ფული. ასევე 1 ივლისს სადგურ ყაზბეგთან დაკავებულ იქნენ რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული კომისიის კონსულტანტები ბემე და იგოკოვი; 2 ივლისს საღამოს მცხეთასთან დააკავეს საბჭოთა რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელი რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული კომისიის წევრი შავროვი და ტელეგრაფისტები გონჩარენკო, კრილოვი და პავლოვი. 6 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის წარმომადგენლებმა დააკავეს საბჭოთა საელჩოს დაცვის წევრი დადიანი და სხვები.

როგორც ს. მ. კიროვი მენშევიკების მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში მიუთითებდა, განსაკუთრებული რაზმის წევრები მოურიდებლად, ყოველგვარი საბაბის გარეშე, აპატიმრებდნენ საბჭოთა საელჩოში შემსვლელ პირებს და ასახლებდნენ საქართველოდან. ასე მოექცნენ მოქალაქეებს ს. ლიხშტეინშტენს, ს. აკოპიანს, მეცნიერ მუშაკს გ. თუმანიანს და სხვებს. კიდევ მეტი, კედიას რაზმელები ასევე აპატიმრებდნენ იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის შენობაში.[1]

ნიღაბს ხდიდა რა მენშევიკური მთავრობის ამ პროვოკაცი-

---

[1] რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, 1922 წ. გვ. 19—22.

ულ მოქმედებებს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ ნოტაში ს. მ. კიროვი წერდა: „არ შემიძლია არ მივაქციო აგრეთვე თქვენი ყურადღება იმ სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ სადგომი რსფსრ წარმომადგენლობისა საქართველოში გადაიქცა იმ სანადირო ადგილად, სადაც ხელისუფლება აშკარად აპატიმრებს არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრებს, არამედ უბრალო მოქალაქეებსაც.

წარმომადგენლობის შენობიდან გასვლისას მიმავალთ სისტემატურად აჩერებენ, ჩხრეკენ, აპატიმრებენ და საქართველოს ფარგლებიდან აძევებენ“.[1]

ასეთი მოქმედების გამო კიროვი სასტიკ პროტესტს უცხადებდა მენშევიკების მთავრობას და საბჭოთა მთავრობის სახელით მოითხოვდა შეეწყვიტათ საბჭოთა საელჩოში მომუშავე პირებისა და იქ მიმომსვლელი მოქალაქეების მიმართ რეპრესიები.

მენშევიკები არ ინდობდნენ წითელ არმიელებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოხვდნენ. კედიას რაზმელებმა თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დააპატიმრეს და სამხედრო ციხეში ჩასვეს წითელარმიელები: ვიქტორ არდანოვი, ნიკოლაი შუმენკო, გრიგორი მიროშნიკოვი და ხოლსუმან ახლიტ ოღლი, რომლებმაც განცხადებით მიმართეს ს. კიროვს აღმოეჩინა დახმარება პატიმრობიდან განთავისუფლების საქმეში. „გთხოვთ თქვენ—წერდნენ ისინი კიროვს—გამოგზავნოთ ვინმე მისიიდან ჩვენთან შესახვედრად“.[2]

ხედავდა რა, თუ როგორ ყოველდღიურად იზრდებოდა საბჭოთა რუსეთის ავტორიტეტი და მისდამი სიყვარული საქართველოს მშრომელებში, მენშევიკების მთავრობა ახალახალ პროვოკაციებს მიმართავდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების მიმართ. 7 ივლისს ჟორდანიას მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განსაკუთრებული რაზმის წევრები შეე-

---

[1] რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ-დამოკიდებულება 1922 წ. გვ. 17.

[2] საქართველოს სსრ ორცსა, ფ. 27, ს. I, ფ. 1.

ცადნენ მოეხსნათ საბჭოთა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობიდან საბჭოთა სახელმწიფოს დროშა, მაგრამ საბჭოთა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობის მორიგემ მათ არ მისცა საშუალება შეესრულებინათ თავიანთი ბოროტი განზრახვა. მეორე დღეს, 8 ივლისს, საბჭოთა რუსეთის სავაჭროს წარმომადგენლობის შენობაში, სადაც ამავე დროს მოთავსებული იყო ნაწილი ამხანაგებისა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის და რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული კომისიის რუსეთის დელეგაციიდან, ორი შეიარაღებული მილიციელით გამოცხადდა განსაკუთრებული რაზმის აგენტი, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მოითხოვა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო დროშის მოხსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა იმით რომ, დროშის მოსახსნელად გამოიძახებდა განსაკუთრებული რაზმის უფროსს სამხედრო ძალებით. მიუხედავად მუქარისა, ჟორდანიას მთავრობის აგენტები არ იქნენ დაშვებული სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში დროშის მოსახსნელად. მენშევიკების პროვოკაციული მოქმედება ჩაიშალა.

ს. კიროვმა მენშევიკური მთავრობის აგენტების ამ თავხედური მოქმედების გამო 1920 წლის 9 ივლისს სპეციალური საპროტესტო ნოტით მიმართა ჟორდანიას მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოს დროშის შეურაცხყოფა ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც დროშა ეკუთვნოდა. „გთხოვთ გამოარკვიოთ — წერდა კიროვი ამ ნოტაში — გასცა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება დროშის მოხსნაზე. და თუ ასეთი ბრძანება არ იყო გაცემული, მაშინ გთხოვთ მისცეთ კანონიერ პასუხისგებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელისუფლების აგენტები, რომლებმაც ნება მისცეს თავიანთ თავს შეურაცხყოფის მიზნით თავს დასხმოდნენ რსფსრ-ის დროშას“.[1]

---

[1] რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, გვ. 23.

კიროვი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ მორიგ ნოტაში 1920 წლის 9 ივლისს პროტესტს უცხადებდა ჟორდანიას მთავრობას, რადგანაც მან კვლავ უფრო გააძლიერა რეპრესიები კომუნისტების მიმართ, რომ თბილისში და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კომუნისტების მასიური დაპატიმრება დაიწყო. სიღნაღში და ახალსენაკში მენშევიკების აგენტებმა დახურეს პარტიული ბიუროები და წაიღეს ოქმები და სარეგისტრაციო მასალები; ფასანაურში ივნისის შუა რიცხვებში აკრძალეს კომუნისტური პროპაგანდა; თბილისში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ადგილებში ციხეებში იტანჯებოდა მრავალი ათეული კომუნისტი ოფიციალური ბრალდებების წაყენების გარეშე. ამ ნოტაში კიროვი მიუთითებდა, რომ ახალსენაკის მაზრაში პირველ ივნისს დაპატიმრებულ იქნა 21 კომუნისტი, თელავში პირველ ივლისს — სამი კომუნისტი, 29 ივნისს ახალციხეში უმიზეზოდ დააპატიმრეს პარტიის მთელი სამაზრო კომიტეტი, ასევე პარტიის მთელი სამაზრო კომიტეტის შემადგენლობა დაპატიმრებულ იქნა ახალსენაკში, პირველ ივლისს გორში დაპატიმრებულ იქნა მთელი პარტიული კრება, აქედან 3 კომუნისტს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, 8 ივლისს თბილისში დააპატიმრეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი გიორგი სტურუა, რომელსაც ბრალდებად წამოუყენეს იარაღის შესყიდვა და შემოტანა. ლეჩხუმის მაზრაში, ფასანაურში და სხვა ადგილებში ადგილობრივი ადმინისტრაციის პირები აშკარად აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებენ კომუნისტურ აგიტაციას და არც მისცემდნენ კომუნისტებს ადგილზე ცხოვრების უფლებას. „ეს ცნობები საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა მიმართ მასობრივი რეპრესიების, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების დაპატიმრებებისა და პარტიული ბიუროების სადგომების დაბეჭვდის შესახებ, — წერდა კიროვი მენშევიკების საგარეო საქმეთა მინისტრს — მაიძულებენ გამოვიტანო დასკვნა, რომ თქვენი მთავრობის ხელისუფლების აგენტები ატარებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის სრული ლიკვიდაციის განმსაზღვრელ სისტემას და აღვნიშნო რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდი-

ნარე წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების განსაკუთრებული დამატების პირველი მუხლის პირდაპირი დარღვევა".[1]

მენშევიკები კომუნისტებს დაპატიმრებისას უყენებდნენ დაუსაბუთებელ ბრალდებებს; იყო შემთხვევები, როცა ცალკეულ კომუნისტებს სრულიად უსაფუძვლოთ ბრალდებად უყენებდნენ მატარებლის მძარცველთა ყაჩაღურ ბრბოში მონაწილეობის მიღებას, შეიარაღებული - აჯანყებისათვის მზადებას. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ცალკეულ პირებს პასუხისგებაში აძლევდნენ ბოლშევიკური გაზეთების წაკითხვისათვის და სხვ.

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ს. მ. კიროვის მიერ მენშევიკური მთავრობისადმი გაგზავნილ საპროტესტო ნოტების საპასუხოდ, ჟორდანიას მთავრობა, 1920 წლის 19 ივლისს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატისადმი დეპეშით გაგზავნილ პასუხში შეეცადა ბრალი დაედო საქართველოს კომუნისტებისათვის იმაში, რომ ისინი ჯარის ნაწილებში, მენშევიკების გვარდიისა და გლეხობის რიგებში ეწეოდნენ ბოლშევიკურ პროპაგანდას და სარგებლობდნენ ფულადი დახმარებით, რომელსაც თითქოსდა გარედან იღებდნენ. ამით ჟორდანიას მთავრობა ცდილობდა გაემართლებინა თავისი უკანონო მოქმედებები კომუნისტების დაპატიმრებებისა და პარტიული ორგანიზაციების დახურვის შესახებ.

აქარწყლებდა რა მენშევიკების მთავრობის მიერ ამ შეთითხნილი მასალებით თავის გამართლების ცდას, 1920 წლის 19 ივლისს მენშევიკების მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ ნოტაში კიროვი წერდა:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ეს მასობრივი დევნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას თქვენს მიერ მოყვანილი ფორმულებით; ამნაირად, არც თქვენს დეპეშას შეუძლია რამოდენიმედ მაინც შეარბილოს თქვენი მთავრობის აგენტების მოქმედება. მაშასადამე, ჩემს მიერ აღნიშ-

---

[1] რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, გვ. 23—25.

ნული დებულებანი ძალაში რჩება როგორც ჩემთვის, ისე ჩემი მთავრობისათვის".[1]

მენშევიკების მთავრობა ყველა ზომებს ღებულობდა და ახალ-ახალ პროვოკაციებს აწყობდა იმისათვის, რათა შეეფერხებინა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მუშაობა. 1920 წლის ივლისის მეორე ნახევარში ისევ დაიწყეს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის მოქალაქეების გასახლება, ასევე, განურჩევლად პარტიულობისა, აკავებდნენ და ასახლებდნენ ყველა იმ მოქალაქეებს, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობის ან რუსეთის საგარეო ვაჭრობის შენობაში. მენშევიკები საშუალებას არ აძლევდნენ ისეთ უენებელ ორგანოს, როგორიც იყო რუსეთის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობა, ეწარმოებინა რაიმე მუშაობა. ახასიათებდა რა მენშევიკური მთავრობის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისადმი, ს. მ. კიროვი ვ. ი. ლენინს სწერდა: „საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობის ირგვლივ კვლავ იგივე ატმოსფეროა — ეჭვიანობა, პროვოკაცია და ყველაზე საზარელი ხმები".[2]

რაც დრო გადიოდა მენშევიკები და მათი ლიდერები ახალი ძალით აჩაღებდნენ ანტისაბჭოთა კამპანიას, ბოლშევიკებს ხატავდნენ ცივილიზაციის მტრებად და პროვოკატორებად.

მენშევიკების მთავრობის და მათი აგენტების მუხანათობა იქამდე მივიდა, რომ მათ დაიწყეს კიროვის პირადი წერილების გახსნა და მათი დამახინჯებულად გაზეთში გამოქვეყნება. 1920 წლის ივლისში მენშევიკების მთავრობის აგენტების მიერ დაკავებული და გახსნილი იქნა XI არმიის მუშაკის ა. სმირსკის მიერ 5 ივლისს ბაქოდან თბილისში კიროვის სახელზე გამოგზავნილი პირადი წერილი. მენშევიკების გაზეთ „ბორბას" რედაქციამ სმირსკის წერილის შინაარსი დამახინჯებულად გამოაქვეყნა 17 ივლისის გაზეთის ფურცლებზე, რომელ-

---

[1] რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, გვ. 27.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 411, ს. 30611, ფ. 2.

შიაც ბოლშევიკებს ხატავდნენ „წითელ იმპერიალისტებად“, „დამპყრობლებად“, „ქართველი ხალხის მტრებად“ და სხვა.[1]

1920 წლის 19 ივლისს კიროვმა სპეციალური ნოტით პროტესტი გამოუცხადა ჟორდანიას მთავრობას იმის გამო, რომ მის სახელზე გამოგზავნილი წერილის დაკავებით და მისი გაზეთში გამოქვეყნებით მენშევიკებმა სასტიკად დაარღვიეს საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესი საელჩოს მიმოწერის საიდუმლოების დაცვისა და მისი ხელშეუხებლობის შესახებ. კიროვმა მოთხოვა მენშევიკურ მთავრობას დაუყოვნებლივ გამოერკვიათ თუ რა ვითარებაში მოხდა სმირსკის მიერ გამოგზავნილი წერილის დაკავება და მისი გაზეთში გამოქვეყნება. თუ წერილი ფალსიფიკაციაქმნილია — წერდა კიროვი თავის ნოტაში — კონკრეტული დამნაშავე პირები დაუყოვნებლივ უნდა იქნან მიცემული პასუხისგებაში. ამავე დროს მოითხოვა წერილის დედნის გამოგზავნა მის განკარგულებაში, ხოლო ის პირი, რომელმაც გახსნა წერილი, მიეცათ პასუხისგებაში, როგორც დამრღვევი საელჩოს კორესპონდენციის ხელშეუხებლობისა.

მენშევიკების მთავრობა შეეცადა დაეფარა რედაქციაში წერილის მიღების კვალი, რომლის შესახებ კიროვის საპროტესტო ნოტის პასუხში 1920 წლის 20 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი საბახტარიშვილი წერდა, რომ თითქოსდა საქართველოს მენშევიკების მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არ ქონდა კიროვის სახელზე გამოგზავნილი წერილის დაკავებასა და გახსნასთან, რომ სმირსკის წერილი „ბორბას“ რედაქციაში მოუტანია ვიღაც უცნობ პირს, რომელსაც არ სურდა ეთქვა თავისი გვარი და დაუტოვებია რედაქციაში სმირსკის წერილის ფოტოასლი. თითქოს წერილის მიმტან უცნობ პირს რედაქციაში განუცხადებია, რომ სმირსკის წერილის ფოტოსურათი მას უშოვია აზერბაიჯანში, ამიტომ ორიგინალი ამ წერილისა რედაქციას არა აქვსო.[2]

---

[1] ი. ნიკონოვი, კიროვი კავკასიაში, გამოუქვეყნებელი მასალები, ტ. I, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 29.

როგორც კი მიიღო კიროვმა საბახტარიშვილის პასუხი, მაშინვე კატეგორიულად მოითხოვა სასტიკ პასუხისგებაში მიეცათ რედაქციის მუშაკები, რომლებმაც დაარღვიეს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წერილის ხელშეუხებლობის დაცვის წესები, ხოლო სმირსკის წერილის ფოტოასლი გამოეგზავნათ მის განკარგულებაში.

კიროვის პრინციპულმა მოთხოვნამ აიძულა მენშევიკების საგარეო საქმეთა სამინისტრო სმირსკის წერილის დაკავების და გახსნის მასალები გადაეგზავნათ იუსტიციის სამინისტროში ზომების მისაღებად. სმირსკის წერილის საქმის ძიების დროს კიროვმა საქართველოს მენშევიკური მთავრობის სასამართლო პალატის პროკურატურის მუშაკებს სათანადო საბუთების წარდგენით დაუმტკიცა, რომ მისი მოთხოვნა გაზეთ „ბორბას“ რედაქტორის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იყო კანონიერი იმდენად, რამდენადაც რედაქციის მუშაკებმა აშკარად დაარღვიეს საელჩოს წერილის ხელშეუხებლობისა და მისი დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესი. რაც შეეხება სმირსკის, განუცხადა კიროვმა ჟორდანიას მთავრობის პროკურატურის მუშაკებს, — „მე ვიცი, რომ მას რაღაც წერილი მოუწერია ჩემთვის, მაგრამ ეს წერილი მე არ მიმიღია“[1]

სმირსკის წერილის საქმის გარჩევით კიროვმა საქართველოს მშრომელებს ერთხელ კიდევ ცხადად უჩვენა ჟორდანიას მთავრობის თაღლითური მოქმედების სისაძაგლე.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისა მენშევიკები სასტიკად სდევნიდნენ ბოლშევიკურ პრესას. მენშევიკების მთავრობამ გაზეთ „კომუნისტის“ ათი ნომრის გამოშვების შემდეგ 13 ივნისს აკრძალა მისი გამოცემა, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ, 18 ივნისს, იგი ისევ გამოვიდა „საქართველოს კომუნისტის“ სახელწოდებით. 17 ივლისს მენშევიკებმა ისევ დახურეს გაზეთი „კომუნისტი“, როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე. დალუქეს და დაარბიეს რედაქციები და სტამბები, დააპატიმრეს რე-

[1] ი. ნიკონოვი, კიროვი კავკასიაში, გამოუქვეყნებელი მასალები, ტ. I, გვ. 30—33.

დაქციის მუშაკები. გაზეთ „კომუნისტის“ დახურვის მოტივად მენშევიკებმა დაასახელეს გაზეთის მიერ მენშევიკების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა აჯანყების მასალების გამოქვეყნება.

ს. კიროვმა, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და მათ ბეჭდვით ორგანოებს მუშაობაში, 19 ივლისს სპეციალური საპროტესტო ნოტით მიმართა მენშევიკურ მთავრობას ბოლშევიკების ორგანიზაციებისა და მისი ორგანოს „კომუნისტის“ დახურვის გამო და მოითხოვა თანახმად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებებისა დაუყოვნებლივ მიეცა ნება გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემაზე, ამავე დროს გაენთავისუფლებინათ პატიმრობიდან რედაქციის მუშაკები.

მხოლოდ კიროვის ჩარევის შემდეგ მოხერხდა პრესის მუშაკების პატიმრობიდან განთავისუფლება და 1920 წლის 25 ივლისს გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემის განახლება „ახალი კომუნისტის“ სახელწოდებით.

აფასებდა რა კიროვს, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ იდეურ ხელმძღვანელს, გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემის ოცი წლისთავთან დაკავშირებით 1940 წლის 3 ივნისს თავის მისალმებაში წერდა: „რევოლუციის უშიშარი რაინდი, ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკი სერგეი მირონის-ძე კიროვი, რომელიც საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად მუშაობდა, მამობრივი სიყვარულით ზრუნავდა გაზეთზე, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობდა გაზეთის დაპატიმრებულ თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ, უზრუნველყოფდა ბოლშევიკური სიტყვის ტრიბუნის არსებობას საქართველოში“.

კიროვმა 1920 წლის ზაფხულში მენშევიკების მთავრობას რამოდენიმეჯერ მიმართა როგორც წერილობით ისე სიტყვიერი პროტესტით იმის გამო, რომ მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისა ჟორდანიას მთავრობას, სათანადო ბრალდების წაყენების გარეშე, ციხეში გამომწყვდეული ჰყავდა კომუნისტების დი-

დი ნაწილი. კიროვი მენშევიკების მთავრობისაგან მოითხოვდა დაპატიმრებულ კომუნისტებზე ან ბრალდების წამოყენებას ანდა მათ გათავისუფლებას. მიუხედავად კიროვის ამ პროტესტისა მენშევიკების მთავრობა მისი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას თავს არიდებდა.

1920 წლის აგვისტოს დასაწყისში საქართველოს ციხეებში დაპატიმრებულმა კომუნისტებმა ჟორდანიას მთავრობას წამოუყენეს მოთხოვნა სამი დღის ვადაში ან ბრალდებები წამოეყენებიათ ანდა გაენთავისუფლებინათ პატიმრობიდან. რადგან ჟორდანიას მთავრობამ არ შეასრულა პატიმრობაში მყოფი კომუნისტების მოთხოვნა, 1920 წლის 4-5 აგვისტოს ციხეში მყოფმა 200-მდე კომუნისტმა მასიურად შიმშილი გამოაცხადა.[1] პატიმარი კომუნისტების მიმართ, რომლებმაც შიმშილი გამოაცხადეს, ჟორდანიას მთავრობა ახალ-ახალ პროვოკაციებს მიმართავდა. ქუთაისის ციხეში მენშევიკების მთავრობის აგენტებმა პატიმრების წინააღმდეგ გუშაგების მეშვეობით მოაწყეს სროლები, რომლის საპასუხოდ პატიმრებმა ციხის ფანჯრებიდან წითელი და შავი დროშები ჩამოჰკიდეს, რასაც მენშევიკების მთავრობამ პატიმრების წინააღმდეგ ჯარის ნაწილების გამოყენებით უპასუხა.

კიროვმა 1920 წლის 6 აგვისტოს ახალი საპროტესტო ნოტით მიმართა ჟორდანიას მთავრობას, რათა შეეწყვიტათ კომუნისტების დევნა, კიდევ მეტი, კიროვი პირადად გამოცხადდა მენშევიკების საგარეო საქმეთა მინისტრ ე. გეგეჭკორთან და მოითხოვა მისგან საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებიათ პატიმრობიდან ბრალდების წაყენების გარეშე დაპატიმრებული კომუნისტები. გეგეჭკორმა პირობა მისცა კიროვს თუ შიმშილს შეწყვეტდნენ პატიმრობაში მყოფი კომუნისტების უდიდეს ნაწილს ციხიდან გაათავისუფლებდა, ხოლო ვინც ციხეში დარჩებოდა, მათ ბრალდებას წაუყენებდა.[2] კიროვი თავის მხრივ დაპირდა გეგეჭკორს რომ მიი-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი ფ. 157, აღ. 3, ფ. 1—2.

[2] იქვე, ფ. 1—4.

ლებდა ზომებს, რათა პატიმრებს მოეხსნათ შიმშილი იმ პირობით თუ ჟორდანიას მთავრობა შეასრულებდა დაპირებას კომუნისტების განთავისუფლების შესახებ.

5 დღის შემდეგ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევით პატიმრებმა შიმშილი შეწყვიტეს. მაგრამ მენშევიკების მთავრობამ, როგორც ყოველთვის ამჟამადაც გამოიჩინა ორპირობა, მან არ შეასრულა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისადმი მიცემული პირობა კომუნისტების განთავისუფლების შესახებ და პატიმარ კომუნისტებს არც ბრალდებები წაუყენა. მენშევიკების მთავრობის ამ თავხედურმა მოქმედებამ აიძულა კიროვი 1920 წლის 17 აგვისტოს გამოცხადებულიყო საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლორთქიფანიძესთან და მოეთხოვა— დაუყოვნებლივ შეესრულებინა მენშევიკურ მთავრობას თავისი დაპირება ბრალდების წაყენების გარეშე პატიმრობაში ‘ყოფ კომუნისტების განთავისუფლების შესახებ’ მაგრამ მენშევიკური მთავრობის დაპირებები, როგორც ყოველთვის აქაც დაპირებად რჩებოდა, ისინი წინააღმდეგი იყვნენ კომუნისტების პატიმრობიდან გათავისუფლებისა.

ახასიათებდა რა მენშევიკების მთავრობის მტრულ დამოკიდებულებას საქართველოს ბოლშევიკებისადმი 1920 წლის აგვისტოს კიროვი ჩიჩერინს თბილისიდან წერდა: — ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორთან საუბრიდან გამოვიტანე დასკვნები, რომ კომუნისტური პარტიის არსებობასთან ერთად მათ წარმოდგენილი არა აქვთ მუშაობა.[2]

აშკარად არღვევდნენ რა საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას მენშევიკები, მიუხედავად საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის არა ერთი პროტესტისა, კიდევ უფრო აძლიერებდნენ რეპრესიებს კომუნისტებისა და კომკავშირლების მიმართ. 1920 წლის 26 აგვისტოს მენშევიკების შეიარაღებულმა ძალებმა დაარბიეს მუშათა და გლეხ-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი ფ. 157, აღწ. 3, ფ. 1—6.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 211.

თა ახალგაზრდობის საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობა, დააპატიმრეს კომკავშირის ცენტრალური ბიუროს შემადგენლობა, ხოლო საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელი ბ. ძნელაძე დააპატიმრეს და საქართველოს ფარგლებიდან გაასახლეს.

მენშევიკები საქართველოში მცხოვრებ სხვა ერების მიმართ შოვინისტურ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მიენიჭებინათ ავტონომია აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთისათვის, ფეხქვეშ თელავდნენ მათ უფლებებს, ინტერესებს და კულტურას, რაც აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელების მხრივ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

1920 წლის აპრილის ბოლოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სამხრეთ ოსეთში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებულებმა დაამარცხეს მენშევიკების ჯარები და 8 ივნისს ცხინვალი დაიკავეს. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომლის თავმჯდომარედ ვ. დ. აბაევი იქნა არჩეული. 8 ივნისს მთელს სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. რევკომმა გამოთქვა ნება-სურვილი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ.

მაგრამ სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ვერ შეინარჩუნეს საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკების მთავრობამ თავისუფლებისათვის მებრძოლი ოსი მეომრების წინააღმდეგ გადაისროლა დიდძალი შეიარაღებული სამხედრო ძალები „სახალხო გვარდიის“ ნაწილების მეთაურის ვ. ჯუღელის და სამხედრო მინისტრის გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. ოსეთში გამგზავრების წინ ჟორდანიას მთავრობის სახელით ლორთქიფანიძემ სპეციალური მოწოდებით მიმართა ჯარის ნაწილებს, რათა დაუზოგავად, ცეცხლითა და მახვილით ამოეჟლიტათ აჯანყებული ოსი მოსახლეობა. 12 ივნისს მენშევიკების შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყო ლაშქრობა ოსი მოხელეების წინააღმდეგ. მათ ცეცხლით გადასწვეს ოსეთის სოფლები, ვინც ხელში უვარდებოდათ სიკვდილით სჯიდნენ. 20 ივნისს მენშევიკებმა ცხინვალში მხეცურად დახვრიტეს 13

ოსი კომუნისტი. ოსეთი ცეცხლის ალში გაეხვია. 100-ზე მეტი სოფელი მთლად გადაწვეს, დაიღუპა 5441 კაცი. დარბეული ოსი მოსახლეობა იძულებული შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქში შეეფარებინა თავი.

კეთილსინდისიერად ასრულებდა რა მენშევიკების მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, საბჭოთა რუსეთი ცდილობდა იარაღით ჩარევის გარეშე დაემყარებინა მშვიდობა აჯანყებულ ოსეთში, რომლის შესახებ კიროვმა მენშევიკების დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „მართალია რუსეთი მომხრეა ცალკეული ერების დამოუკიდებლობისა, მაგრამ იგი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ხელი შეუწყოს რომელიმე ერს იარაღით ბრძოლაში. პირიქით, საბჭოთა რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მშვიდობიანი გზით შეეჩერებინა შეტაკებანი სამხრეთ ოსეთში".[1] მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ზომებისა, მენშევიკურმა მთავრობამ, იარაღით გაუსწორდა რა აჯანყებულებს, გადაწყვიტა გაეხალებინა ოსები საქართველოს ტერიტორიიდან.

1920 წლის 11 ივლისს, მენშევიკების შეიარაღებული ძალების მხეცური მოქმედების შესახებ სამხრეთ ოსეთის რევკომმა დეპეშით აცნობა ვ. ი. ლენინს. რევოლუციის ბელადმა დირექტივა მისცა ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ორგანოებს სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული მოსახლეობის მოწყობის შესახებ. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა სპეციალური ნოტით პროტესტი განუცხადა მენშევიკურ მთავრობას ოსი მოსახლეობის დარბევისა და აწიოკების გამო. მან საბჭოთა მთავრობის სახელით მოსთხოვა ჟორდანიას მთავრობას ოსეთიდან გაეყვანა ჯარები; ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ქონდეს, როგორიც მას სურს" — წერდა ჩიჩერინი.[2]

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე", № 859 1920 წ.

[2] სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტატიების კრებული, 1957 წ გვ. 306.

მენშევიკების მიერ ჩადენილი მხეცობის შესახებ სამხრეთ ოსეთის რევკომმა ოსეთის მშრომელთა სახელით 1920 წლის 27 ივლისს სპეციალური წერილით მიმართა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში ს. მ. კიროვს და სთხოვა მას დახმარება. „სამხრეთ ოსეთის წითელ აჯანყებულებს გამოგველია ვაზნები, — წერდნენ ისინი კიროვს, — და იძულებული გავხდით მშვიდობიან მცხოვრებთა, ქალებსა და ბავშვთა ნაწილთან ერთად 20.000 კაცის რაოდენობით უკან დაგვეხია საბჭოთა თერგის ოლქში. ჟორდანიასა და კომპ. მთავრობის მენშევიკური ბანდები სდევნიან და ანადგურებენ მათ. დაბა, სოფლები, სადაც საბჭოთა ხელისუფლება იყო გამოცხადებული, გადამწვარია.

გთხოვთ ამხ. კიროვ, მიიღოთ სასწრაფო ზომები საბჭოთა ოსეთის მოქალაქეთა დასაცავად დევნისა და განადგურებისაგან“.[1]

კიროვი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ოსი მოსახლეობის თხოვნას. მან 1920 წლის 2 აგვისტოს სპეციალური ნოტით პროტესტი განუცხადა მენშევიკურ მთავრობას ოსი მოსახლეობის აწიოკებისათვის და მოთხოვა მას დაუყოვნებლივ შეწყვიტათ ოსი მოსახლეობის დევნა. თავის ნოტაში კიროვი ჟორდანიას მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა: „თქვენი მთავრობის ჯარების მიერ სამხრეთ ოსეთში, გორისა და რაჭის მაზრებში მომხდარი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, სამხრეთ-ოსეთიდან სტიქიურად დაიძრა თერგის ოლქის ფარგლებისაკენ ათიათასობით მასა, რომელიც კომპაქტურ ჯგუფებად გაიბნა ჩრდილოეთ ოსეთში, რითაც გაამწვავა მისი საკვებისათვის და სანიტარული მდგომარეობა.

ჩემს მიერ მიღებული ცნობებით, სამხრეთ ოსთა ტალღას მიყვებიან სულ ახალი და ახალი ჯგუფები, რომლებიც დროებით თავშესაფარს ეძებენ თერგის ოლქის ფარგლებში. როგორც აღმოჩნდა, ესენი არიან არა ლტოლვილნი, არამედ

---

[1] სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტატიების კრებული, 1957 წ. გვ. 306.

სამხრეთ ოსეთიდან გადასახლებულნი, რომლებსაც თქვენი მთავრობის აგენტები და ჯარის ნაწილები ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომ ისინი იძულებული არიან მიატოვონ დასახლებული ადგილები.

აღნიშნულის გამო გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ, ჯერ ერთი, თავის სამშობლოში — გორისა და რაჭის მაზრებში დაბრუნდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი, თერგის ოლქში გადახვეწილნი და შეწყვიტოთ თქვენი მთავრობის ადმინისტრაციის მოქმედება, რომელიც მიმართულია სამხრეთ ოსთა გადასახლებისაკენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებიდან რსფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე".[1]

ამრიგად სერგეი მირონის-ძე კიროვი საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან ელჩად მუშაობის პერიოდში გამოდიოდა მენშევიკური მთავრობის მიერ დაჩაგრული და დატანჯული მშრომელი მასების დამცველად და მეგობრად.

ს. მ. კიროვს თბილისიდან მჭიდრო კავშირი ქონდა ვ. ი. ლენინთან, ი. ბ. სტალინთან, გ. ვ. ჩიჩერინთან, ე. დ. სტასოვასთან, რომლებსაც იგი სისტემატურად უგზავნიდა ინფორმაციას საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ახასიათებდა რა მენშევიკური მთავრობის გამცემლური მოქმედების შედეგად საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებას, 1920 წლის 20 აგვისტოს, ს. მ. კიროვი ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

„ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ!

თქვენი წინასწარ განჭვრეტა ჩემი აქ მუშაობის შესახებ ბრწყინვალედ და ყოველ ნაბიჯზე დასტურდება. იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც აქ (ე. ი. მენშევიკურ საქართველოში ა. მ.) ჩვენი წარმომადგენლობა იმყოფება, ალბათ თქვენ ჩიჩერინმა მოგახსენათ.

საკმარისია, ითქვას, რომ დღემდე არ არის აღმოფხვრილი საქართველოს მთავრობის აგენტების მხრივ ჩვენდამი სავსებით თავისებური ყურადღების გამოვლინების უაღრესად მახინჯი

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 259.

ფორმები. ამ წარმოუდგენელმა „სიფრთხილემ“ გამოიწვია ის, რომ ჩვენი ისეთი უვნებელი ორგანოებიც კი, როგორიცაა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობა, მოკლებული არიან საშუალებას აწარმოონ რაიმე მუშაობა... ყველას, ვინც გამოდის ვაჭრობის სახკომისარიატის წარმომადგენლობის შენობიდან, აკავებენ ან აპატიმრებენ ან ასახლებენ საქართველოს საზღვრებიდან... როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენი ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც კომუნისტური პარტიის ლეგალურ არსებობას ითვალისწინებს, ძნელი მოსანელებელი აღმოჩნდა აქაური მენშევიკებისათვის, უაღრესად მტკიცე ორგანიზებულმა ქართველმა მენშევიკებმა, გაათავისუფლეს რა დაპატიმრებული კომუნისტები და საშუალება მისცეს დანარჩენებს გამოცხადებულიყვნენ, დაუყოვნებლივ დაიწყეს ფართო რეპრესიები კომუნისტური პარტიის მიმართ. ქართველმა მენშევიკებმა სრულიად წარმოუდგენელი, ფანტასტიკური მომიზეზებით ხელი მიჰყვეს დაპატიმრებებს და კომუნისტთა პარტიის ლიკვიდაციას და ამჟამად პარტია უაღრესად მძიმე მომენტს განიცდის: გაზეთები დახურულია, მთელი რიგი ორგანიზაციები სრულიად ლიკვიდირებულია, ბევრი ამხანაგი ციხეშია გამომწყვდეული, ბევრი გადასახლებულია საქართველოდან.

მიუხედავად ამისა ადგილობრივი ამხანაგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ასე თუ ისე, განაგრძონ ლეგალური არსებობა და არავითარ შემთხვევაში არ ჩაძვრნენ იატაკქვეშეთში. 17 ივნისს ერთ და იმავე დროს დახურეს ორი აქაური კომუნისტური გაზეთი, ყველა თანამშრომელი დაპატიმრებულია. დღეს ამხანაგები განცხადებას აძლევენ ახალი გაზეთის გამოშვების შესახებ. თავისთავად ცხადია ყველაფერ ამას მე სათანადოდ ვეხმაურები“.[1]

კიროვი სასტიკ პროტესტს უცხადებდა მენშევიკების მთავრობას იმის გამო, რომ მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისა, ჟორდა-

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, გვ. 10—11, 1939 წ.

ნიას მთავრობა არ წყვეტდა კავშირს ვრანგელთან, სისტემატურად უგზავნიდა მის არმიას ყირიმში ტყვია-წამალს, ბენზინს, ნავთს და ჯარის ახალ შევსებას მოხალისეთა სახით. კიროვი მენშევიკების მთავრობისადმი გაგზავნილ № 66 ნოტაში 27 ივნისს წერდა, რომ სევასტოპოლში მთელი რიგი ეკონომიური საკითხების მოსაგვარებლად ვრანგელთან ჩავიდა საქართველოს მთავრობის დელეგაცია დ. ვ. ვაჩეიშვილის მეთაურობით. ვრანგელთან საუბარში ვაჩეიშვილმა საბჭოთა რუსეთთან საქართველოს მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებას „უბრალო ნაგლეჯი ქაღალდი" უწოდა. 1920 წლის აპრილ-მაისში ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა ფოთიდან 10-12.000 თეთრგვარდიელი გადაიყვანეს ყირიმში. მენშევიკებმა დენიკინის განადგურების შემდეგ საქართველოში შექმნეს გენერალ ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით ლტოლვილთა კომიტეტი, რომელიც აგროვებდა და აგზავნიდა ყირიმში გენერალ ვრანგელთან თეთრგვარდიელთა ოფიცრებს და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებს.[1]

როგორც კიროვი საქართველოს მენშევიკების მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ ნოტაში 1920 წლის 21 ივლისს წერდა, 18 ივლისს მენშევიკებმა ბათუმიდან საფრანგეთის ალმით ყირიმში გაგზავნეს გემი „კიზილ-არვატი", რომელსაც მიყავდა 800-ე მოხალისე გენერალ ვრანგელთან, ასევე, ბათუმის ნავსადგურში დენიკინის არმიის ყოფილი მებრძოლებითა და ნავთით იტვირთებოდა გემი „პეტრე დიდი" ყირიმში გასაგზავნად. „მაგრამ ეს—მიუთითებდა კიროვი — არაა ერთეული შემთხვევა. ბათუმის ნავსადგურიდან სისტემატურად იგზავნება ყირიმში ნავთი, ბენზინი და ასევე ჯარისკაცები გენერალ ვრანგელის არმიის შესავსებად".

„ყოველივე ზემოთ ხსენებული, — წერდა კიროვი მენშევიკების საგარეო საქმეთა მინისტრს — გვაყენებს აუცილებლობის წინაშე განუცხადო კატეგორიული პროტესტი საქა-

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, 1957 წ. გვ. 203.

რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მის აგენტებს 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა გამო".[1]

იბრძოდა რა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, კიროვმა 1920 წლის 24 ივლისს სპეციალური ნოტით მიმართა საქართველოს მენშევიკების მთავრობას იმის გამო, რომ მათ ნეიტრალური ზონიდან, კერძოდ კი მამისონის გადასავალიდან, არამც თუ გაიყვანეს თავიანთი შეიარაღებული ძალები, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა, — არამედ კიდევ უფრო გააძლიერეს ისინი, ასევე, წინააღმდეგ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისა, მენშევიკებმა დაიწყეს ნეიტრალური ზონის, საქართველოს სამხედრო გზით დარიალის ხიდიდან ყაზბეგამდე, გამაგრება შეიარაღებული ძალებით.[2]

მენშევიკურმა მთავრობამ, გამცემლური მოქმედების ცხოვრებაში გატარების შედეგად, საქართველოს სახალხო მეურნეობა კატასტროფამდე მიიყვანა, რასაც თვითონ ჟორდანიას მთავრობის მესვეურებიც კი აღიარებენ. ახასიათებდა რა საქართველოს სახალხო მეურნეობაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. 1920 წლის 30 აგვისტოს ს. მ. კიროვი საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატში გ. ვ. ჩიჩერინს სწერდა, რომ საქართველოში სამეურნეო ცხოვრება კატასტროფულია. არ არის საწვავი, პური, გააქვთ მხოლოდ მარგანეცი და ქაღალდის ვალიუტა. მანეთის კურსი ეცემა ყოველ საათობით, თუ ჩვენი აქ ჩამოსვლის დროს ნიკოლოზის ფულის ათასი ნიშანი ღირდა 4.000 მანეთი ქართული ბონი, ახლა ნიკოლოზის ფულის 1.000 ნიშანზე იძლევიან 18.000 მანეთს.[3]

1920 წლის აგვისტოს მდგომარეობით საქართველოში მარცვლეულის ფასი 1915 წელთან შედარებით გაიზარდა

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი ფ. 50, ს. 49, გვ. 22.

[2] ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1958 წ. გვ. 595.

[3] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 228.

600-700-ჯერ, ფულის კურსი კი დაეცა 100-ჯერ და უფრო მეტად. პროდუქტების სიძვირისა და ფულის კურსის დაცემის გამო მოსახლეობის შემოსავალი ვერ ფარავდა გასავლის 30-%-ს. „სიძვირე — წერდა კიროვი ჩიჩერინს — ყოველდღე იზრდება, მაგრამ მთავრობა უძლურია შეაჩეროს ეს".[1]

წითელი არმიის გმირული ბრძოლების შედეგად 1920 წლის ივლისში ინგლისელი იმპერიალისტები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მათი უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი ამიერკავკასიაში—ქ. ბათუმი, მათი ადგილი კი ფრანგმა და იტალიელმა დამპყრობლებმა დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები თვითონ ხედავდნენ მოახლოებულ აღსასრულს, მაინც ორჭოფობდნენ და არ უნდოდათ კავშირი გაეწყვიტათ ანტანტის ქვეყნებთან.

ახასიათებდა რა მენშევიკების მთავრობის მერყეე პოლიტიკას და საქართველოს სახალხო მეურნეობაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, კიროვი 1920 წლის 30 აგვისტოს თბილისიდან ვ. ი. ლენინს წერდა:

„...აქ განსაკუთრებული ახალი ამბები არაფერია. საქართველოს მთავრობა უწინდებურად საგონებელშია ჩავარდნილი და არ იცის სრულიად გარკვევით საითკენ გადაიხაროს: ჩვენსკენ, თუ ანტანტისკენ. ამასობაში კი, საქართველოს სამეურნეო ცხოვრება ყოველდღე უფრო და უფრო გარკვეულად ირღვევა და შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ნოე ჟორდანიას საქართველოს ეგზარხოსთან ერთად მოუხდება გალობა „ბაბილონიის მდინარეებზე".[2]

ქართველი მენშევიკები სიტყვით ყოველ ნაბიჯზე გაიძახოდნენ, რომ ისინი მზად იყვნენ დაეცვათ საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, საქმით კი ამ ხელშეკრულებას ყოველ, ნაბიჯზე არღვევდნენ.

წითელი არმიის გამარჯვებამ პოლონეთის ფრონტზე და ბათუმიდან ინტერვენტების წასვლამ საგონებელში ჩააგდო მენ-

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ 1, 1936 წ. გვ. 228.

[2] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 151.

შევიკური მთავრობა. ასეთ ვითარებაში 1920 წლის აგვისტოს ჟორდანია იძულებული იყო შეხვედროდა კიროვს, რისთვისაც იგი აბასთუმანიდან თბილისში ჩავიდა. კიროვმა ჟორდანიასა და მენშევიკური მთავრობის სხვა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ისინი ბათუმიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ დაუკავშირდნენ ვრანგელს ყირიმში, რომელიც ემუქრება დონბასსა და ჩრდილოეთ კავკასიას, კიროვმა მოუწოდა მენშევიკ ლიდერებს აერჩიათ სწორი გზა მომაკვდავ ანტანტასა და მზარდ საბჭოთა ქვეყანას შორის.

კიროვთან საუბარში მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი თითქოს საბჭოთა რუსეთის მხარეზე იყვნენ, სინამდვილეში კი ვრანგელისაკენ ეჭირათ თვალი. ახასიათებდა რა ჟორდანიას მთავრობის ამ უსუსურ პოლიტიკას, 1920 წლის აგვისტოს კიროვი თბილისიდან ჩიჩერინს წერდა, რომ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები ჟორდანიას ჩათვლით სიტყვით ყოველთვის ხაზს უსვამენ, თითქოს მზად არიან მალე დაამყარონ ჩვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ საქმით პირიქით გამოუდით. „როგორც ჩანს ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოს მთავრობა მალულად უფრო ყირიმს შეჰყურებს ვიდრე მოსკოვს“.[1]

კიროვი ენერგიულ ზომებს ღებულობდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ნაციონალისტური მთავრობების და პარტიების მიერ ჩამოგდებული ეროვნული შუღლის ჩაქრობისა და სადაო ტერიტორიული საკითხების მოსაგვარებლად. 1920 წლის ზაფხულში კიროვმა რამოდენიმეჯერ ჩაატარა როგორც ცალცალკე, ისე გაერთიანებული თათბირები აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებისა, რომლის შედეგად აზერბაიჯანი დათანხმდა გადაეცა სომხეთისათვის სადაო ტერიტორიიდან შარუროდარალაგესკის მაზრა; ასევე დაითანხმა ისინი მოეწვიათ სამშვიდობო კონფერენცია სხვა სადაო საკითხების მოსაგვარებლად.

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები ტ. I, 1936 წ. გვ. 234—235.

კიროვის ხელმძღვანელობით რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, დიპლომატიურ მუშაობასთან ერთად, საჭირო ზომებს იღებდა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. კიროვი, თბილისში, საბჭოთა რუსეთის საელჩოში, არალეგალურად ინახავდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხ. მამია ორახელაშვილს, რომელსაც ჟორდანიას მთავრობის აგენტები დაეძებდნენ დასაპატიმრებლად. კიროვი ორახელაშვილისაგან იღებდა ინფორმაციას საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რასაც იგი აგზავნიდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში.[1]

კიროვს თბილისიდან სისტემატური კავშირი ქონდა ამხ. ე .დ. სტასოვასთან, რომელიც 1920 წლის ზაფხულში ბაქოში, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით მუშაობდა აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მოსამზადებლად. ამ კავშირზე ნათლად მიუთითებს კიროვის მიერ 1920 წლის 20 აგვისტოს ე. სტასოვას სახელზე გაგზავნილი წერილი, რომლითაც იგი ატყობინებდა მას ტრაპიზონიდან და საქართველოდან აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად დელეგატების წამოსვლის შესახებ. ამავე წერილში კიროვი თხოვდა ე. დ. სტასოვას დაეჩქარებინა მოსკოვიდან საქართველოს და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების წევრთა სიის გამოგზავნა, თხოვდა აგრეთვე გამოეგზავნა საქართველოში სამუშაოდ ორი-სამი ქართველი ამხანაგი, რომლებსაც აქ არ იცნობდნენ, და დაეჩქარებინათ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ქართველი დელეგატების. კერძოდ კი ამხ. ს. თოდრიას დაბრუნება. „ჩვენ ვშიშობთ — წერდა კიროვი სტასოვას. — რომ ფ. მახარაძეს ქართველები (ლაპარაკია ქართველ მენშევიკებზე ა. მ.) არ შემოუშვებენ საქართველოს სამეფოს ფარგლებში. დანარჩენები ალბად მოახერხებენ ჩამოსვლას, ყოველშემთხვევაში ცადონ“.[2]

---

[1] ს. მ. კიროვი სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები ტ. I, 1936 წ. გვ. 231.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 11, ს. ვ. გვ. 1.

1920 წლის 12 სექტემბერს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ წერილში კიროვი განმეორებით სთხოვდა სტასოვას XI არმიის შტაბის მეშვეობით დეპეშით გამოეგზავნა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაშიფრული სია, რადგან მოსალოდნელი იყო ცვლილებები, ვინაიდან ქართველი მენშევიკები არ უშვებდნენ საქართველოში მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესისა და აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის დელეგატებს ამავე წერილში კიროვი ატყობინებდა სტასოვას, რომ მიუხედავად რეპრესიებისა და დევნისა საქართველოში „პარტიული მუშაობა“ ცხოველდება, პარტიისადმი ინტერესი იზრდება, გაზეთის ტირაჟი კი დიდდება“.[1]

კიროვი დახმარებას უწევდა მუშაობაში როგორც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კომკავშირსაც. იგი პირადად ხვდებოდა ამხ. ბ. ძნელაძეს და სხვა კომკავშირულ მუშაკებს და აძლევდა მათ მითითებებსა და დარიგებებს მუშაობის შემდგომი წარმართვისათვის. მის პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს და საჯარო გამოსვლებს თბილისში საქართველოს კომკავშირის იდეურად გამოწრთობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

კიროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში, რომელიც ბაქოში გაიხსნა 1920 წლის პირველ სექტემბერს. ყრილობას 38 ეროვნებისაგან 2000-ე დელეგატი ესწრებოდა. ყრილობის მუშაობა 8 დღეს გაგრძელდა. მისი მიზანი იყო აღმოსავლეთის ხალხთა დარაზმვა ნაციონალური გათავისუფლებისათვის. ყრილობამ კიროვი სხვა ამხანაგებთან ერთად აირჩია მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტში, რომლის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ გაეერთიანებინა აღმოსავლეთის ხალხთა ძალები იმპერიალიზმის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის დამთავრების შემდეგ

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 443.

კიროვი ბაქოდან თბილისში დაბრუნდა. ყრილობიდან დაბრუ-ნებულმა კიროვმა თბილისში სრულუფლებიანი წარმომადგენ-ლობის მუშაკებისა და თბილისის პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრებაზე გააკეთა მოხსენება აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის შედეგების შესახებ.

კიროვმა ილაპარაკა ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობაზე, იმპერიალიზმისაგან დაჩაგრული აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მო-ძრაობის პერსპექტივებზე, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრო-ბაზე რუსეთის მშრომელებთან, და იმაზე, რომ ქართველი ხალხი, აზერბაიჯანის მშრომელების მსგავსად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და დიდი რუსი ხალხის დახმა-რებით ახლო მომავალში მოიპოვებდა თავისუფალ, ბედნიერ, სოციალისტურ ცხოვრებას.[1]

აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობიდან დაბრუნებუ-ლი კიროვი თბილისში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან იგი 1920 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ დაინიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურად რიგაში, რომელსაც პოლონეთთან საზავო ხელშეკრულება უნდა დაედო.

კიროვი ღვიძლი შვილივით შეიყვარეს საქართველოს მშრო-მელებმა, რომლებთან ერთად იგი აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის. კიროვი ისე შეეჩვია საქართველოში მუშაობას, რომ ეძნელებოდა რი-გაში წასვლა, მაგრამ მზად იყო პარტიის დავალება უყოყმანოდ და მისთვის ჩვეული ენერგიით შეესრულებინა. 1920 წლის 12 სექტემბერს კიროვი თბილისიდან ამხ. ე. სტასოვას სწერდა: თქვენ ალბათ გაიგებდით რადიოთი, რომ დანიშნული ვარ პო-ლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების დელეგაციის წევრად. ჩემთვის ეს ისე მოულოდნელია, როგორც თქვენთვის, მაგრამ თუ ეს აუცილებელია პოლონეთთან მშვიდობის დამყარებისა-თვის, მე მივდივარ. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩემი წაყვანა კავკასიიდან მიზანშეუწონელია. დასავლეთში არამც თუ არ მი-

---

[1] ვ. იმედაძე, იმ დღეების გახსენება, 1958 წ. გვ. 36.

შუშავნია, არამედ იქ არასოდეს არ ეყოფილვარ და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ „კავკასიაში მოვნახავ უკეთ საერთო ენას ვიდრე სხვაგან, სადაც არ უნდა იყოს ეს“.[1]

1920 წლის 17 სექტემბერს ს. კიროვი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა, მოსკოვიდან კი რიგაში, სადაც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლონეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად მოწვეული საზავო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც 1920 წლის 1 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა.

პოლონეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ს. კიროვი ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნდა და, როგორც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წევრი, ს. ორჯონიკიძესთან ერთად მრავალეროვან ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობაში ეწეოდა აქტიურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იგი ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის წინაშე სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებებითა და სიტყვებით.

ს. მ. კიროვი ი. ბ. სტალინთან და გ. კ. ორჯონიკიძესთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა თერგის ოლქის ხალხთა ყრილობის მუშაობაში, რომელიც ქ. კავკავში 1920 წლის 17 ნოემბერს შედგა. ყრილობაზე ი. ბ. სტალინმა გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია მთიელთა საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ი. ბ. სტალინის მოხსენების, ს. კიროვისა და ს. ორჯონიკიძის გამოსელის შემდეგ ყრილობამ საზეიმო ვითარებაში მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად იქნა მოწონებული წინადადება მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

1920 წლის ნოემბერში დაშნაკების ნაციონალისტური მთავრობისა და უცხოელი, დამპყრობლების ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდნენ სომხეთის მშრომელები. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სომხეთის რევკომი ს. ჟასიანის თავმჯდომარეობით. რადგან საკუთარი ძალები არ ყოფნიდათ,

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 241—242.

სომხეთის მშრომელებმა დახმარებისათვის დიდ რუს ხალხს მიმართეს. რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის წინადადებით სომხეთის მშრომელებს ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის და ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით XI არმია მიეშველა. XI არმიის ნაწილებმა სომხეთის მუშებსა და რევოლუციურ გლეხობასთან ერთად 1920 წლის 29 ნოემბერს დაამხეს დაშნაკური მთავრობა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საგონებელში ჩააგდო საქართველოს მენშევიკური მთავრობა. 1920 წლის შემოდგომაზე ჟორდანიას მთავრობის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია კ. კაუცკის მეთაურობით, რათა აღმოეჩინა დახმარება საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს არ შეეძლოთ საზოგადოების განვითარების ისტორიის ჩარხი უკუღმა დაეტრიალებინათ. ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გარდუვალი იყო, რომლის შესახებ საქართველოდან წასვლის წინ კაუცკი იძულებული გახდა ეთქვა: „ბოლშევიზმი ამეიერკავკასიაში გარდუვალია“.

ხედავდა რა თავისი აღსასრულის მოახლოებას, ჟორდანიას მთავრობა შეტევაზე გადმოვიდა. მენშევიკებმა აშკარად დაიწყეს რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა, მათ საქართველო გადააქციეს ვრანგელის განადგურებული არმიის ნარჩენების თავშესაფარად. ისინი საშუალებას აძლევდნენ ვრანგელის გემებს საქართველოს ნავსადგურიდან გასულიყვნენ კონსტანტინეპოლში. მენშევიკები საქართველოში ინახავდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან, დაღესტანიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან რევოლუციის შიშით საქართველოში გამოქცეული მთავრობების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში ქმნიდნენ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებს სამშობლოს „ხსნისა“ და „განახლების“ სახელწოდებით და უშვებდნენ კონტრრევოლუციურ მოწოდებებს. მათ საქართველოში შექმნეს შეიარაღებული ძალები საბჭოთა ხელი-

ხუფლების ზურგში კონტრრევოლუციური აჯანყებების მოსაწყობად. სწორედ ქართველი მენშევიკების დახმარებით შესძლო საიდ შამილმა 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში მოეწყო კონტრრევოლუციური აჯანყება დაღესტანში, რომლის შტაბი ლაგოდეხში მდებარეობდა. ასევე 1921 წლის თებერვალში ქართველმა მენშევიკებმა უცხოელი დამპყრობლების დახმარებით შესძლეს დაშნაკ ავანტურისტ ვრაციანის მეთაურობით მოეწყოთ სომხეთში ანტისაბჭოთა აჯანყება, რასაც სომხეთის მშრომელებმა XI არმიის ნაწილების დახმარებით ლიკვიდაცია უყვეს.

ჟორდანიას მთავრობა საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლუციურად განწყობილი მშრომელების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებას იღებდა ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებისაგან. 1920 წლის დეკემბერში თბილისში ჩამოვიდა „საფრანგეთის უმაღლესი კომისარი" შევალიე, ბათუმში კი საფრანგეთის ადმირალი დიუმენინი, ამავე დროს საქართველოს ნავსადგურებში ამერიკის, საფრანგეთისა და იტალიის სამხედრო გემები შემოვიდნენ. უცხოელი დამპყრობლების მხარდაჭერით და დახმარებით ქართველმა მენშევიკებმა 1920 წლის ბოლოს კიდევ უფრო გააძლიერეს რეპრესიები პარტიული ორგანიზაციებისა და რევოლუციურად განწყობილი მოსახლეობის მიმართ. 17 დეკემბერს დახურეს გაზეთი „ახალი კომუნისტი" და დააპატიმრეს რედაქციის თანამშრომლები, ამავე დღეს მენშევიკებმა დალუქეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობა, მენშევიკები იქამდე მივიდნენ, რომ დაიწყეს საბჭოთა რუსეთის საელჩოს თანამშრომლების დაპატიმრება; ჟორდანიას მთავრობის სამხედრო ნაწილებმა 1921 წლის იანვარში დაიწყეს პროვოკაციული თავდასხმები საზღვარზე მდგარი XI არმიის ნაწილების საგუშაგოებზე. ამრიგად საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ უსირცხვილოდ გააუქმა საბჭოთა რუსეთთან დადებული 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება.

ჟორდანიას მთავრობის ახალ-ახალი პროვოკაციული მოქმედებანი ემყარებოდა იმ იმედს, რომ რუსეთში მალე დამარცხდებოდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ მენშევიკ-ავანტიუ-

რისტების ამ გიჟური გეგმების განხორციელებას ბედი არ ეწერა, საქართველოს შინაგანი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა, მენშევიკების ხელისუფლება დაღუპვისაკენ მიექანებოდა, საქართველოს მშრომელთა გათავისუფლების საკითხი გარდუვალად დღის წესრიგში დგებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ შექმნილი პოლიტიკური ვითარების სრული და ამომწურავი დახასიათება მოგვცა კიროვმა 1921 წლის 21 იანვარს თავის გამოსვლაში ვლადიკავკავის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, სადაც მან თქვა:

„თუ ჩვენ აქამდე მენშევიკურ საქართველოს მმართველი წრეების ლანძღვა-გინებას და ცილისწამებას ვუყურებდით ისე, როგორც ფინიას ყეფას, ახლა უკვე დროა განვუცხადოთ მას, რომ თავისი გაკაპასებით მან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მიიყვანა იმ მომენტამდე, როცა ამბობენ, რომ ცა მოიღუშაო.

თუ აქამდე ჩვენი წარმომადგენლები უცხადებდნენ ნოე ჟორდანიას, რომ მისი პატარა მიწა, გაჟღენთილი კახური ღვინით, ჩვენ არც ერთი მხრით არ გვაინტერესებს, ახლა უკვე დადგა დრო მივუთითოთ მას, რომ კავკასია გადაიქცევა სამარედ არა საბჭოთა რუსეთისათვის, როგორც იგი იმუქრება, არამედ მისთვის და მისი თანამებრძოლი — მეფის გენერლებისა და ჟანდარმთა პოლკოვნიკებისათვის.

თუ ანტანტის ვასალები ცდილობდნენ კავკასიაში სამარე გაეთხარათ ჩვენთვის, უნიჭო და უნიათო ჟორდანიებს და ცალიკოვებს ხელი არ მიუწვდებათ, რომ შეასრულონ ეს მუქარა.

თუ გამხეცებულ ნოე ჟორდანიას თავისი უძლურების სიბრაზეში კიდევ აქვს შესაძლებლობა მხოლოდ თავისი ერთი ჩამომხმარი ფეხით გათელოს ქართველი კომუნისტები, უნდა განვუცხადოთ მას, რომ საკმარისია ჩვენ შევატოკოთ ერთი მხარი, რომ იგი აღმოჩნდეს იმ საფლავში, რომელსაც ჩვენ გვიწინასწარმეტყველებს.

თუ ჩვენ ნებას ვაძლევდით ამ მობუზღუნე ბებერს ილანძღოს, ცილისმწამებლობა გასწიოს, სისხლი ღვაროს, აპატიმრობს და აწამოს ხალხი და მიმართოს აჯანყებათა პროვოკა-

ციებს, ახლა უკვე დადგა დრო ყველას გასაგონად განეუცხადოთ დასავლეთ-ევროპის მუშებს:

„ნახეთ ვინ არიან მენშევიკები. ნახეთ, რა სისაზიზღრის ჩადენა შეუძლიათ მათ, კაპიტალის ამ ლაქიებს.“

თუ მენშევიკებმა დენიკინის და მეფის გენერლების განსაკუთრებული რაზმების, ყოფილი ჟანდარმერიის მეოხებით აქამდე შეინარჩუნეს ძალა-უფლება, ახლა ამის საშუალებას კარგავს ნოე ჟორდანია, რადგან მათსავე წრეში მოხდა განხეთქილება.

ჟორდანიას თანამოაზრეთა ნაწილმა დასტოვა იგი და განზე გადადგა.

ცა მოიღუშა. მაგრამ როგორც კი მეხი გავარდება ამ მომენტიდან საქართველოს ცის ტატნობზე აელვარდება წითელი ვარსკვლავი“.[1]

საქართველოში 1921 წლის თებერვლის პირველ ნახევარში შეიარაღებულმა აჯანყებამ დაიქუხა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მითითებით და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით 1921 წლის 11 თებერვალს ქვემო ქართლში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელიც ელვისებურად მოედო მთელს საქართველოს.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1921 წლის 16 თებერვალს ბორჩალოში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა საქართველოს რევკომი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მთელს აჯანყებას. რევკომმა საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა და მოწოდებით მიმართა საქართველოს მუშებს, რევოლუციურ გლეხობასა და ჯარისკაცებს დაემხოთ ადგილებზე მენშევიკების ხელისუფლება, შეექმნათ ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები და ხელში აეღოთ ძალაუფლება. რევკომმა თავისი მიმართვა დაამთავრა მოწოდებით:

„ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელნო!

წინ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის!

გაუმარჯოს ახალ დაბადებულ, სახალხო აჯანყების

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, კიროვის ფონდი № 30, ს. № 1, ფ. 1—2.

ცეცხლსა და კვამლში შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!"[1]

ხედავდა რა თავისი აღსასრულის მოახლოვებას, ჟორდანიას მთავრობა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტების დახმარებით ახალ-ახალ სამხედრო ძალებს აგზავნიდა საქართველოში აჯანყებული მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ საბრძოლველად.

17 თებერვალს დილის 4 საათზე მენშევიკურმა მთავრობამ თბილისის გენერალ გუბერნატორ ჩხიკვაძის ბრძანებით დააპატიმრა საბჭოთა რუსეთის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები: ს. ქავთარაძე, ლ. იურევიჩი და ი. ლებედევი. ამავე დღეს საღამოს დააკავეს საბჭოთა რუსეთის ელჩი საქართველოში ა. შეიმანი. მეორე დღეს — 18 თებერვალს მენშევიკებმა დააპატიმრეს საელჩოს დანარჩენი თანამშრომლები. მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებმა 18 თებერვალს ქუთაისის ციხეში გაგზავნეს დაპატიმრებული საბჭოთა რუსეთის საელჩოს მუშაკები, რომლებიც რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმის ციხეში გადაიყვანეს.[2]

ასეთ გადამწყვეტ მომენტში, საქართველოს მშრომელთა სახელით რევკომმა დახმარებისათვის რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს მიმართა.

ვ. ი. ლენინის მითითებით და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით XI არმიის ნაწილები ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით დაიძრნენ აჯანყებული საქართველოს მშრომელების დასახმარებლად. 1921 წლის 25 თებერვალს XI არმიის ნაწილებმა აჯანყებულ მუშებთან ერთად თბილისი გაათავისუფლეს. ამის შესახებ ს. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს დეპეშით აცნობა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

25 თებერვალს საქართველოს რევკომი თბილისში შევიდა

---

[1] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 281, ს. 212, გვ. 2—3.

[2] გაზ. „კომუნისტი", № 18, 1921 წ.

და შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნას. 26 თებერვალს რევკომმა ამხ. მამია ორახელაშვილის ხელმოწერით გამოსცა ბრძანება მთელი ძალაუფლების რევკომის ხელში გადასვლის, მენშევიკების ჯარებისა და გვარდიის ნაწილების დათხოვნისა და დემობილიზაციის შესახებ.[1]

1921 წლის თებერვალში პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით კიროვმა აჯანყებული საქართველოს მშრომელების დასახმარებლად მოაწყო ჩრდილოეთ კავკასიიდან გენების, ჯვრის, რუხის და სხვა უღელტეხილით ჩრდილოეთ ოსეთის და ქართველი წითელი პარტიზანების გადმოსვლა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს კიროვმა კავბიუროს გადაწყვეტილებით მოაწყო აჯანყებული საქართველოს მუშების და გლეხების დასახმარებლად მამისონის უღელტეხილზე XI არმიის 33-ე მსროლელი დივიზიის 98-ე ცხენოსანი ბრიგადის ცნობილი ლაშქრობა, რაც ზამთრის პირობებში შეუძლებლად იყო მიჩნეული, რადგან გადასავალზე 20 კილომეტრის მანძილზე თოვლის სიღრმე საქენ ნახევარს აღწევდა, სადაც საშინელი ქარბუქი და ყინვა იდგა.

როდესაც XI არმიის მეთაურებთან მამისონის უღელტეხილზე ცხენოსანთა ბრიგადის გადასვლის საკითხს იხილავდნენ ერთმა სამხედრო პირმა კიროვს უთხრა, რომ ასეთი საშინელი ზამთრის პირობებში მამისონის უღელტეხილის გადალახვის განხორციელება არამც თუ პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც შეუძლებელიაო. კიროვმა მას უპასუხა: „მართალია, ეს თეორიულად შეუძლებელია, მაგრამ კომუნისტურად შესაძლებელია. საკითხს წყვეტს ადამიანთა განწყობა და სიმხნევე, ბოლშევიკური მიზნის მისაღწევად არავითარი უღელტეხილი არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას“.[2]

საქართველოს მშრომელებისათვის ძმური დახმარების აღმოჩენის სურვილით აღფრთოვანებულმა წითელი არმიის მებ-

---

[1] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 437, ს. 10, ფურც. 2.

[2] „კიროვი კავკასიაში“. გაზ. „კინო“ № 56, 1935 წ.

რძოლებმა ქართველ პარტიზანებთან ერთად გამოიჩინეს რა გმირობა და სიმამაცე საშინელი სიძნელეების ვითარებაში, ნახევრად ტიტველ და შიშველ მდგომარეობაში გადალახეს მამისონის უღელტეხილი, დაეხმარნენ რაჭა-ლეჩხუმის მშრომელებს გათავისუფლების საქმეში და დაიძრნენ ქუთაისისაკენ, სადაც თბილისიდან გამოქცეული მენშევიკების მთავრობა აფარებდა თავს.

მამისონის უღელტეხილზე გადმოსული XI არმიის 293 ალაგირის პოლკის მებრძოლებმა, რომელსაც სამოქალაქო ომის გმირი ბ. ბაგიევი მეთაურობდა გაათავისუფლეს ონი, გადალახეს კიდარის უღელტეხილი და აქ რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობისაგან შექმნეს რაზმი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკებისაგან საჩხერის განთავისუფლების საქმეში.

ჩრდილოეთ კავკასიიდან კიროვის მიერ გამოგზავნილი წითელი არმიის ნაწილების ლეგენდარული ლაშქრობით თავზარდაცემული მენშევიკური მთავრობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ქ. ქუთაისი და ბათუმში გაქცეულიყო. გაქცევის წინა დღეებში მენშევიკმა ჯალათებმა ქუთაისში და მის ახლომახლო სოფლებში დაიწყეს კომუნისტების მასიური დაპატიმრება. დაპატიმრებული იქნა 500-ზე მეტი კომუნისტი. რადგან ციხეები არ ყოფნიდათ, კერძო ოჯახები საპყრობილეებად გადააქციეს. ყველგან კედიას რაზმის აგენტები დაძრწოდნენ, რომლებიც აპატიმრებდნენ ყველა იმათაც კი, ვისაც შორეული კავშირი ჰქონდა კომუნისტებთან. ასევე იჭერდნენ და ციხეში აგზავნიდნენ ბლეხებს, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს ჟორდანიას მთავრობას მენშევიკების ჯარის შესავსებად მობილიზაციის გამოცხადების გამო.

ქუთაისიდან გაქცევის წინ მენშევიკებმა ბათუმის ციხეში ქუთაისიდან გაგზავნეს ერთი ჯგუფი კომუნისტებისა 300 კაცის რაოდენობით, მაგრამ კომუნისტების მეორე ჯგუფმა უარი განაცხადა ქუთაისის ციხიდან ბათუმის ციხეში გადასვლაზე, ამის საპასუხოდ ციხეში შეიჭრნენ შეიარაღებული რაზმებით თბილისის მილიციის ყოფილი უფროსი სულაქველიძე, სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ფაჩულია და ქალაქ თბი-

ლისის ყოფილი თავი ჩხიკვიშვილი, რომლებმაც დაუწყეს პატიმრებს სროლა. დაიჭრა 10 კაცი. სროლის შეწყვეტის შემდეგ პატიმრებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რომლის შედეგად დასახიჩრდა 30-ზე მეტი კაცი. ჟორდანიას მთავრობის აგენტები მხეცურად მოექცნენ ცნობილ რევოლუციონერებს: ვანო სტურუას, მიხა ჩოდრიშვილს და ნესტორ ცერცვაძეს, რომლებიც მაშინ ქუთაისის ციხეში ისხდნენ.[1]

ქუთაისიდან გაქცევის წინ მენშევიკების ჯალათებმა ციხიდან გაიყვანეს კომუნისტების ერთი ჯგუფი და დახვრიტეს, მეორე ჯგუფი კი ბათუმის ციხეში გაგზავნეს, ხოლო კომუნისტები: მარდალეიშვილი, ივანოვი, უკლება და სხვები ჯერ აწამეს, მერე დახვრიტეს და იმისათვის, რომ თავიანთი ბოროტების კვალი დაეფარათ, მათ გვამებს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს. ნიღაბს ხდიდნენ რა მენშევიკების ამ შუასაუკუნეობრივ

ს. მ. კიროვი მამისონის უღელტეხილზე
1921 წლის თებერვალში.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 18, 1921 წ.

ბარბაროსულ მოქმედებებს ს. ორჯონიკიძემ და ფ. მახარაძემ ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს რადიოთი მოახსენეს:

„მენშევიკ ჯალათების რამიშვილის, სულაქველიძის, ფაჩულიას და სხვ. გაბოროტებამ იქამდე მიაღწია, რომ ქუთაისიდან დახევის დროს მათ გამოიყვანეს ციხიდან რამდენიმე კომუნისტი, მათ შორის მარდალეიშვილი, უკლება და სხვ. და მხეცურად წამების შემდეგ გაგლიჯეს ისინი და დანაშაულის კვალი, რომ დაეფარათ, მათ გვამებზე დაასხეს ბენზინი და დაწვეს. ასეთ მსხვერპლად მენშევიკური ჯალათებისა გახდა ამხ. ლუკიანე თაბუკაშვილი, მუშურ-გლეხური წითელი არმიელი, უფროსი უკრაინის ყოფილი პირველი წითელი არმიის ჯავშნიანი კოლონისა (ბრონეკოლონა), რომელიც ბრძოლის ველზე სიმამაცის გამოჩენისათვის დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენითა და სხვა ნიშნებით".[1]

ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით მამისონის უღელტეხილზე გადმოსულმა XI არმიის ნაწილებმა ქართველ პარტიზანებთან ერთად 10 მარტს ქ. ქუთაისი გაათავისუფლეს და გააგრძელეს შეტევა ბათუმის მიმართულებით, რომელიც ჟორდანიას მთავრობის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა.

წითელი არმიის ნაწილების გმირული ლაშქრობით დამარცხებული მენშევიკური მთავრობა 17 მარტს ღამით იტალიის გემით საზღვარგარეთ გაიქცა. მენშევიკებმა თან გაიტაცეს ქართველი ხალხის დიდძალი ქონება 17 გემით, რომლის ღირებულება ათეულ მილიონ ოქროს მანეთს შეადგენდა.[2]

17 მარტს საღამოს ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა ბათუმის რევკომი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. ქავთარაძე, ვ. სტურუა, ს. მეძმარიაშვილი, მ. ტოროშელიძე, თ. ჟღენტი, კ. საჯაია და სხვები. 18 მარტს ბათუმში წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ, ამავე დღეს ბათუმის რევკომმა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

საქართველოს მშრომელების მენშევიკების ბატონობისაგან გათავისუფლების საქმეში სიმამაცისა და გმირობის გამოჩენი-

---

1. გაზ. „კომუნისტი", № 18, 1921 წ.

2 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, 1957 წ. გვ. 348.

სათვის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 98-ე მსროლელი ბრიგადა დაჯილდოებულ იქნა საპატიო წითელი დროშით, ხოლო მამისონის უღელტეხილის გადმოლახვის გმირული ლაშქრობის მონაწილენი, XI არმიის 293 ალაგირის პოლკის მეთაური ვ. ბაგიევი, წითელი პარტიზანი დ. ხუგაევი და სხვები დაჯილდოებულ იქნენ წითელი დროშის ორდენით.[1]

აფასებდა რა კიროვის როლს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს მშრომელთა დასახმარებლად მე-XI არმიის ნაწილების მამისონის უღელტეხილის გადმოლახვის საქმეში, ს. მ. ბუდიონი წერდა: ეს იყო უდიდესი რეიდი, როცა ჩვენი არმიის ნაწილები გამოჩნდნენ სრულიად მოულოდნელი მიმართულებით და გადუჭრეს თბილისის მენშევიკებს გზა ბათუმისაკენ. კიროვმა ამ ლაშქრობაში გამოავლინა უდიდესი ორგანიზატორული სამხედრო ნიჭი და უნარი. როდესაც მე უკრაინაში გავიგე მამისონზე ლაშქრობის შესახებ, ჩემთვის ვთქვი „დიახ, ამის უნარი აქვს კიროვს".[2]

საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულების თანახმად თურქეთი იძულებული გახდა საბოლოოდ აეღო ხელი ბათუმზე და აჭარის ჩრდილოეთ ნაწილზე, რომელიც ჟორდანიას მთავრობამ თურქ დამპყრობლებს 1921 წლის მარტის პირველ ნახევარში გადასცა.

ამგვარად, 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისა და მისი პირმშოს — წითელი არმიის დახმარებით დაამხეს მენშევიკების ბატონობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმა საქართველოს მშრომელების განთავისუფლებას, რომლის შესახებ 1921 წლის 2 მარტს ს. ორჯონიკიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერდა:

---

[1] მ. ბ. ტრასკუნოვი, მე-11 არმიის გმირული საბრძოლო გზა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, 1958 წ. გვ. 257—258.

[2] ს. ბუდიონი, პირველი და უკანასკნელი შეხვედრები გაზ. „პრავდა", № 335. 1934 წ.

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი.“[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში წითელი არმიის როლზე, რომელსაც სათავეში გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი ედგნენ, ნათლად მიუთითებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე ი. ბ. სტალინის სახელზე ქალაქ მოსკოვში ქართველი ხალხის მიერ 1936 წლის 25 თებერვალს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„და როდესაც საქართველო ამბოხებით აიშალა
დუშეთსა და ლეჩხუმს შუა განსხვავება წაიშალა,
ყველა აღსდგა, არვინ გახდა მენშევიზმის მაჩანჩალა,
ოსეთი და სამეგრელო, — აფხაზეთის ზღვა და ჭალა,
თვით ლენინმა დაავალა, შენც ურჩიე სერგოს, კიროვს,
რომ ქართველი მენშევიზმი ეხლა უნდა გაიგმიროს,
მოგვეშველენ: წითელ ლაშქარს, გამარჯვება აქვს და
ერგოს,
რომ ვარსკვლავი ბოლშევიზმის, ყველა გულში
ჩაინერგოს.
ათას ცხრაას ოცდაერთის ქარბუქიან თებერვალში,
დასამარდა მენშევიზმი, ჩაიძირა უფსკრულ ზღვაში
და ბრწყინვალე ოქტომბერის რაც აანთო სხივი
თვალში.
ვიბრძვით დღემდე, ვიღლით შემდეგ შენი აზრის
ნათელ კვალში“[2]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა კონტრრევოლუციური მთავრობების რეჟიმისა და უცხოელ დამპყრობთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში დიდი როლი შეასრულეს კომუნისტური პარტიის სახელოვანმა შვილებმა ვ. ი. ლენინის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 189.

[2] გაზ. „კომუნისტი“, № 46, 1936 წ.

სახელოვანმა მოწაფეებმა და თანამებრძოლებმა ი. ბ. სტალინმა, გ. კ. ორჯონიკიძემ, ს. მ. კიროვმა და ა. ი. მიქოიანმა.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში ს. კიროვის დამსახურებაზე ნათლად მიუთითებს 1928 წლის 10 თებერვალს ს. ორჯონიკიძის მიერ კ. ე. ვოროშილოვის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„სსრ კავშირის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კ. ე. ვოროშილოვს.

ძვირფასო კლიმენტი ეფრემის-ძევ!

წითელი არმიის ათი წლისთავისათვის შენ აპირებ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვი ჩვენი საუკეთესო მებრძოლნი სამოქალაქო ომისა. ჩვენს ქვეყანაში ისინი მილიონობით არიან, ყველას ვერ გაიხსენებ. შენს გასახსენებლად ვასახელებ შემდეგ ამხანაგებს: ს. მ. კიროვს, (შენ მას ჩემზე ნაკლებად არ იცნობ, მაგრამ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას მის შესახებ). ს. მ. კიროვი ასტრახანის ალყის დროს ის პირი იყო, რომელიც აღაფრთოვანებდა ქვეყნისაგან მოწყვეტილ ასტრახანის დამცველებს.

1920 წელს კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით ამხ. კიროვი ჩვენი ძველი თვითმფრინავით გაფრინდა ასტრახანიდან სვიატოკრესტამდე და დასძრა ჯარი ჩრდილო კავკასიისაკენ. 1921 წელს ჩვენ მენშევიკურ საქართველოს წინააღმდეგ მივდიოდით, ამხ. კიროვი, თვითონ მიუძღვებოდა ჯარს მამისონის უღელტეხილზე, სადაც გზას იკაფავდა 1, 1,5 საჟენი სიღრმის თოვლში. მხოლოდ ამ ხ. კიროვის იქ ყოფნას შეეძლო აღეფრთოვანებინა თითქმის ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი წითელარმიელები ასეთი საგმირო საქმისათვის. მე აღარ ვამბობ ამხანაგ კიროვის მუშაობაზე, მას იცნობს ბევრი, ძალიან ბევრი ამხანაგი და მათ შორის შენც...“[1]

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა კიროვის დამსახურება საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე. სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა ქვეყნის დაცვისა და წითელი არმიის

---

[1] ჩრდილოეთ ოსეთის ისტორიის საკვლევი ინსტიტუტის ისტორიული არქივი, № 93/20, ქ. ორჯონიკიძე, ს. ორჯონიკიძის ფონდი, ფურცელი № 3.

შენებლობის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ს. მ. კიროვი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს მუშების, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით აეშენებინა სოციალისტური საზოგადოება.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ს. მ. კიროვის მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში.

ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში აუცილებელი იყო მუშათა კლასისა და მისი პროფკავშირების ჩაბმა, რომელსაც უნდა ემოქმედა არა სამხედრო ბრძანებით, როგორც ეს ომის დროს ხდებოდა, არამედ დარწმუნების მეთოდით. 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში კომუნისტური პარტიის რიგებში პროფკავშირის როლისა და ამოცანების საკითხზე მწვავე დისკუსია გაჩაღდა, რომლის წამომწყები და ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ ბრძოლის ამტეხი იყო ტროცკი, რომელიც მოითხოვდა „პროფკავშირების შებერტყვას“, „ქანჩების მოჭერას“. ტროცკის კვალდაკვალ გამოვიდნენ ანტიპარტიული ჯგუფები, რომლებიც თავიანთი მტრული მოქმედებებით ძირს უთხრიდნენ კომუნისტურ პარტიას, როგორც საბჭოთა სასახელმწიფოს ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას. ტროცკისტები წინააღმდეგნი იყვნენ პროფკავშირულ ორგანი-

ზაციებში დემოკრატიზმის გაშლისა, ისინი მოითხოვდნენ პროფკავშირთა გასახელმწიფოებრიობას, ამით ისინი ცდილობდნენ აეცხედრებინათ უპარტიო მუშები პარტიის წინააღმდეგ, ჩამოეგდოთ შუღლი მუშებსა და გლეხებს შორის, გაეთიშათ მათი კავშირი, დაემცირებინათ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი საბჭოთა სახელმწიფოში, რათა ძირი გამოეთხარათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ამრიგად, ამ დისკუსიას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დისკუსიას პროფკავშირების შესახებ, არსებითად ბრძოლა წარმოებდა იმის შესახებ თუ როგორი უნდა ყოფილიყო პარტიის დამოკიდებულება გლეხობასთან, უპარტიო მასებთან ახალ ვითარებაში.

ტროცკისტების ანტიპარტიული პლატფორმის დასაპირისპირებლად კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით შეიმუშავა თავისი პლატფორმა, სადაც განმარტებული იყო, რომ პროფკავშირი წარმოადგენს მშრომელთა აღზრდის სკოლას, რომელმაც მთელი თავისი მუშაობა უნდა აწარმოოს დარწმუნების მეთოდით. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასის ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, მშრომელების დარაზმვა სახალხო მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

1921 წლის დასაწყისში ს. კიროვი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ჩრდილო კავკასიაში ეწევა მუშაობას პარტიის რიგებს განმტკიცებისა და კომუნისტების მარქსისტულად აღზრდისათვის. 1921 წლის იანვარსა და თებერვალში ვლადიკავკაზში კომუნისტური ორგანიზაციების და მუშათა კრებებზე იგი გამოდის მოხსენებით სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობის შედეგებისა და პროფკავშირის როლისა და ამოცანების შესახებ, სადაც ფარდას ხდის ტროც-

კისტების გამცემლურ მოქმედებას და მტკიცედ რაზმავს ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკებს ლენინური პლატფორმის გარშემო.

1921 წლის თებერვლის დასაწყისში კიროვმა ელადიკავკავის საერთო საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტისა და პროფკავშირის როლისა და ამოცანების შესახებ. აქვე იგი არჩეულ იქნა თერგის მეორე საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატად. 1921 წლის 16 თებერვალს კიროვი თერგის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით პროფკავშირის როლის შესახებ წარმოებაში, სადაც მტკიცედ იცავს ჩვენი პარტიის ლენინურ პლატფორმას და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ოპოზიციონერებს გამთიშველი მოქმედებისათვის. ს. კიროვის ხელმძღვანელობით ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკებმა კონფერენციაზე სასტიკად დაამარცხეს ტროცკისტები, რის შედეგად კონფერენციის 175 დელეგატიდან ლენინურ პლატფორმას ხმა მისცა 172 დელეგატმა, ტროცკის პლატფორმას კი მხოლოდ სამმა. ამავე კონფერენციაზე კიროვი ერთხმად იქნა არჩეული პარტიის X ყრილობის დელეგატად, ხოლო პარტიის შეათე ყრილობაზე კი — რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

როგორც ცნობილია, დისკუსიის პერიოდში პარტიამ მხარი დაუჭირა ლენინის პლატფორმას, ოპოზიციონერები კი სასტიკად დამარცხდნენ. 1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობამ, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარებოდა, შეაჯამა დისკუსიის შედეგები და ხმის უმრავლესობით მოიწონა პარტიის ლენინური პლატფორმა. ყრილობამ ლენინის მოხსენების გარშემო მიიღო ლენინის მიერ შემუშავებული განსაკუთრებული რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის შესახებ", რომელიც მოითხოვდა ფრაქციული ჯგუფების

დაუყოვნებლივ დაშლას და კრძალავდა ფრაქციულ გამოსვლებს. ამასთან, ყრილობის ამ დადგენილების შეუსრულებლობა გამოიწვევდა პარტიიდან დაუყოვნებლივ გარიცხვას. ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისცა რწმუნება იმის შესახებ, რომ თუ პარტიის ცენტრალური კომიტეტის

გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი და ფ. ე. მახარაძე.

წევრი დაარღვევდა პარტიულ დისციპლინას ან დაუშვებდა ფრაქციულობას, მიეღო ზომები მისი ცენტრალური კომიტეტიდან და პარტიიდან გარიცხვამდეც კი.

ყრილობამ ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის შესახებ, ახალი ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ, რომლის ძალითაც ნატურალური სასურსათო

გადასახადი ნაკლები იყო, ვიდრე სასურსათო გაწერა. ზუსტად იყო დაწესებული გადასახადის ჩაბარების ვადები, რომლის რაოდენობა გამოქვეყნებული უნდა ყოფილიყო საგაზაფხულო თესვამდე. ხოლო ყველაფერი ის, რაც გლეხს გადასახადის ზევით დარჩებოდა, გადადიოდა მის სრულ განკარგულებაში თავისუფალი ვაჭრობისათვის. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, საქონელბრუნვის ერთგვარი თავისუფლება გააძლიერებდა გლეხის სამეურნეო დაინტერესებას, გაადიდებდა შრომის ნაყოფიერებას და გამოიწვევდა სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას.

ვ. ი. ლენინი საქართველოს ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა შეესწავლათ და შეეთვისებინათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსი, ფართოდ განემარტათ ის მოსახლეობისათვის, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი 1921 წლის 9 აპრილს ს. ორჯონიკიძეს წერდა: „თქვენ და ქართველმა ამხანაგებმა შეითვისეთ თუ არა მნიშვნელობა ჩვენი ახალი პოლიტიკისა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით? წაუკითხეთ ეს მათ და უფრო ხშირად მიგზავნეთ ცნობები“.[1]

საქართველოს ბოლშევიკები ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ვ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით განუხრელად ანხორციელებდნენ დიდი ლენინის ამ მითითებას. ფართოდ გაჩაღდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდა. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მოხსენება და სიტყვები პარტიის X ყრილობაზე და საბჭოთა მთავრობის დეკრეტები სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის შესახებ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმარტებას მიეძღვნა ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, მ. ორახელაშვილის და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების მოხსენებები, სიტყვები და სტატიები. 1921 წლის მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში კიროვი გამოდის მთელი რიგი მოხსენებებით რკპ(ბ) მეათე ყრილობის შედეგების, კრონშტად-

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 35, 510

ტის ამბებისა და საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ხალხმრავალ კრებებზე პიატიგორსკში, ვლადიკავკავში და ბაქოში. 1921 წლის 7 აპრილს თბილისში სახელმწიფო ოპერის თეატრში პარტიულ მუშაკთა და პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელთა კრებაზე კიროვმა გააკეთა მოხსენება პარტიის მეათე ყრილობის შედეგებისა და კრონშტადტის ამბების შესახებ. კრება შესავალი სიტყვით გახსნა მამია ორახელაშვილმა, რომელშიც განაცხადა, რომ პროლეტარული რევოლუციის აკვანი — საბჭოთა რუსეთი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ბრძოლის ახალ ხანაში შევიდა. საშოქალაქო ომის ჩვენი გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ბრძოლის ასპარეზი გადადის უფრო მთავარ, უფრო მძიმე, უსისხლო ფრონტზე. შესავალი სიტყვის დასასრულს ამხ. ორახელაშვილმა დაახასიათა რა პარტიის X ყრილობის მნიშვნელობა, სიტყვა მოხსენებისათვის მისცა ამხ. კიროვს, რომლის შესახებ მან განაცხადა: ამხანაგი კიროვი, — რომელსაც მთელი საქართველო იცნობს, როგორც მშვიდობისათვის თავდადებულ მებრძოლს და რევოლუციონერ დიპლომატს, — ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან და მოგახსენებთ თქვენ მეათე ყრილობის მუშაობის შესახებ.[1] კიროვის გამოჩენას ტრიბუნაზე კრება მქუხარე ტაშით შეხვდა.

კიროვმა თავის მოხსენებაში ნიღაბი ახადა საბჭოთა ქვეყნის მტრებს, რომლებიც პარტიის ყრილობის წინ ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს კომუნისტური პარტიის შიგნით განხეთქილების არსებობის შესახებ, რომელიც თითქოსდა, პარტიას დაშლით ემუქრებოდა. მაგრამ პარტიის X ყრილობამ, — განაცხადა კიროვმა,—ყველას დაუმტკიცა, რომ ჩვენი პარტია წარმოადგენს ერთიან, ბუმბერაზ სხეულს ერთიანი დისციპლინით, სიმტკიცით და თავდადებით. ყრილობამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, — თქვა მან, — რომ ჩვენ უძლეველნი ვართ, და ჩვენ შეგვწევს უნარი დახმარება აღმოვუჩინოთ არა მარტო ჩაგვრიდან ახლახან გათავისუფლებულ ჩვენს მოძმეებს საბჭო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 30, 1921 წელი.

თა ქვეყნის შიგნით, არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს იქით მყოფ შორეულ ძმებსაც, რომლებიც იტანჯებიან კაპიტალიზმის უღლის ქვეშ.[1]

შეეხო რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებას, კიროვმა მიუთითა იმაზე, რომ საჭიროა ისე მოვაწყოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სისტემა, რომ მოსახლეობა თვითონ იყოს დაინტერესებული მოთხოვნილების საგნების წარმოების გადიდებაში, ამისათვის ყრილობამ დაადგინა გაუქმოს პურის მონოპოლია და შეცვალა სასურსათო გაწერა ნატურალური გადასახადით, რომლის ძალითაც ზედმეტი ჭირნახულის ერთი ნაწილი გადადის სახელმწიფოს ხელში, მეორე კი გლეხს რჩება თავისუფალი ვაჭრობისათვის.

კიროვმა განმარტა, თუ რა უდიდესი ყურადღება მიაქცია პარტიის X ყრილობამ საბჭოთა ქვეყნის საგარეო ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს. მან მიუთითა, რომ ჩვენი სიძლიერის გამო ევროპის და ამერიკის სახელმწიფოები იძულებული არიან შეცვალონ ჩვენთან დამოკიდებულების პოლიტიკა და მიისწრაფვიან დაამყარონ საეაჭრო ურთიერთობა. ანალიზი გაუკეთა რა კაპიტალისტურ ქვეყნებთან საეაჭრო ურთიერთობის დამყარებას და მათზე ჩვენთვის სასარგებლო პირობებში სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგების იჯარით გადაცემის მნიშვნელობას, კიროვმა განაცხადა: „დე იმუშაონ, დე ჩადონ თავიანთი კაპიტალი ჩვენს საბჭოთა საქმეებში, ჩვენ კი ვეცდებით ამოვწუროთ აქედან სარგებლობა ჩვენი მუშათა და გლეხთა რესპუბლიკისათვის. ეს კი გამოაცოცხლებს ჩვენს მრეწველობას და განამტკიცებს ჩვენს მეურნეობას“.[2]

კიროვმა თავისი მოხსენების დასასრულს თქვა: „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს უბრალო ჭეშმარიტება ამხანაგ ლენინისა, რომ „საიდუმლოება ჩვენი ძლიერებისა და სისუსტე ჩვე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 30, 1921 წ.

[2] იქვე.

ნი მტრებისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს რაზმებს აერთებს შრომა, მტრის რაზმებს კი ერთმანეთის გაქურდვის სურვილი“, ასეთი შეკოწიწება მოწინააღმდეგის ძალებისა, თავს დიდხანს ვერ გაიტანს. ამიტომ ჩვენი მტრის რიგები იხრწნება. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ძალიან მალე სამრეკლოებიდან ახმაურდებიან ზარები ისე ძლიერად, ისე მრისხანე შემხუთავი ძახილით, რომ შეირყევა მთელი ძველი საძირკველი ბურჟუაზიული სამეფოსი და იგი სამუდამოდ დაემხობა“.[1]

1921 წლის 20. იანვარს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება მთიელთა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ, რომლის განსახორციელებლად ს. კიროვის და ს.ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ვლადიკავკაზში მოწვეულ იქნა მთიელთა დამფუძნებელი ყრილობა, რომელიც 1921 წლის 16 აპრილიდან 22 აპრილამდე მიმდინარეობდა. 16 აპრილს მიესალმა რა ყრილობას, სრულიად რუსეთის ცაკისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით, კიროვმა განაცხადა: ახალგაზრდა მთიელთა რესპუბლიკამ უნდა უჩვენოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღმოსავლეთში არაა „ბოლშევიკური ექსპერიმენტი“, არამედ მრავალმილიონიანი მასების სასიცოცხლო აუცილებლობაა.[2] 18 თებერვლის ამავე ყრილობაზე თავის მოხსენებაში კიროვმა მიუთითა, რომ საბჭოთა წყობილება რუსეთში შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ მტკიცედ დამყარებული საბჭოთა ხელისუფლებაა. მართალია იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა გააპარტახეს ქვეყანა, მაგრამ საბჭოთა ხალხი — განაცხადა მან — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებით, დაძლევს სიძნელეებს, გაჭირვებას და შიმშილს, გამონახავს ახალ წყაროებს, რესურსებს და აღადგენს სახალხო მეურნეობას.[3]

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 30, 1921 წ.

[2] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, გვ. 270.

[3] იქვე გვ. 271.

ყრილობის დახურვის წინ საბოლოო სიტყვაში კიროვმა გააფრთხილა ყრილობის დელეგატები, რომ საჭიროა ვიყოთ ფხიზელ მდგომარეობაში, რათა მზად შევხვდეთ ყოველგვარ შავ ღრუბელს, რომელიც შეიძლება კიდევ გაჩნდეს ლურჯი საბჭოთა ცის არენაზე.[1]

1921 წლის მაისის პირველ რიცხვებში კიროვი მონაწილეობას ღებულობს რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელიც კავკავში მიმდინარეობდა, პლენუმის მიერ იგი არჩეულ იქნა კავბიუროს პრეზიდიუმის წევრად. პლენუმმა კიროვი გამოჰყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სადაო საზღვრების მომწესრიგებელი კომისიის თავმჯდომარედ. 1921 წლის 17 მაისს კიროვი ხელმძღვანელობს მდინარე თერგის სანაპიროების გასამაგრებლად მოწყობილ შაბათობას. 1921 წლის მაისის ბოლო რიცხვებში კიროვი ისევ თბილისშია და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის წამოჭრილ სადაო საზღვრების საკითხების მოგვარების საქმეში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით დიდ პატივს სცემდა ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებებს. ვ. ი. ლენინი 1921 წლის 17 მარტს დეპეშით XI არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს აძლევდა დირექტივას, ყოველგვარი ღონისძიებანი გაეტარებინა საქართველოს რევკომთან შეთანხმებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოეჩინა ქართველი მოსახლეობის მიმართ.[2]

მიუხედავად დიდი რუსი ერისა და საბჭოთა რუსეთის მთავრობის პატივისცემისა საქართველოს მშრომელებისადმი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ მენშევიკებმა, ანტანტის იმპერიალისტებთან კავშირში, დაიწყეს ანტისაბჭოთა აგიტაცია, მიმართული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. „ბოლშევიკური

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. 1, 1936 წ. გვ. 294.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 35, გვ. 506.

რუსეთის აგრესორობის“, „დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობისა და დაღუპვის შესახებ“.

ვ. ი. ლენინი სასტიკ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკების ცილისმწამებლური კამპანიის წინააღმდეგ, იგი საქართველოს რევკომისაგან მოითხოვდა გაეჩაღებინა კონტრაგიტაცია, სადაც უნდა ეჩვენებინათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნამდვილი ვითარება და მენშევიკური პროპაგანდის მტრული, მტაცებლური ხასიათი, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ ს. ორჯონიკიძის სახელზე 1921 წლის 18 აპრილს გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

„საზღვარგარეთ გააფთრებულ აგიტაციას აწარმოებენ რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მარტოვი, წერეთელი და სხვები. საჭიროა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, სადაც აღნიშნული უნდა იქნას, ჯერ ერთი, რუსეთის სფს რესპუბლიკის სამშვიდობო როლი, მეორე, — აქტიური როლი საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებისა, რომელთაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, როლი აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობებისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ, როგორც სომეხ და აზერბაიჯანელ, ისე ქართველ აჯანყებულებს იმ მიზნით, რომ თავი დაეცვათ საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯებისაგან, მთავრობისა, რომელმაც თბილისში შეადგინა აზერბაიჯანის და სომხეთის ბურჟუაზიული მთავრობები სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის შიგნიდან ასაფეთქებლად“.[1]

ასრულებდნენ რა ვ. ი. ლენინის ამ ბრძნულ მითითებას, საქართველოს ბოლშევიკები ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით ბოლომდე ნიღაბს ხდიდნენ ქართველი მენშევიკების თავხედურ ცილისმწამებლობას, რომლის მიზანი იყო იმპერიალისტთა ახალი ლაშქრობის მოწყობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. 1921 წლის 26 მაისს თბილისში თავისუფლების მოედანზე (ახლანდელ

[1] „ლენინის კრებული ტ. XXXV“, გვ. 234—235.

ლენინის მოედანზე) გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე თავის მისასალმებელ სიტყვაში კიროვმა განაცხადა: „რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით გესალმები შენ, ახალ, ფართო თავისუფალ გზაზე მდგარო თავისუფალო საქართველოვ. მრავალი სიცრუე და ცილისწამება გაავრცელეს აქ აფრიალებული წითელი დროშების შესახებ, მაგრამ მხოლოდ თქვენი დიდი მეზობლის უსაზღვროდ ფართო მინდვრებზე მოიპოვეს მშრომელებმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მხოლოდ ამ დროშების ქვეშ შეუძლიათ მფარველობა მოიპოვონ ყველა მშრომელთ და დაჩაგრულთ. მხოლოდ საერთო ძმურ ოჯახში, წითელი დროშის ქვეშ მოვიპოვებთ ჩვენ დიდ სიხარულს.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ კავშირს!

გაუმარჯოს თავისუფალ. სოციალისტურ, მშრომელ საქართველოს!“[1]

აქარწყლებდა რა საბჭოთა ქვეყნის მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებს საბჭოთა რუსეთის მიერ სხვა ხალხების ნაციონალური კულტურის მოსპობის შესახებ, 1921 წ. 26 მაისს თბილისში დიდი ქართველი მწერლის შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე მისასალმებელ სიტყვაში კიროვმა მიუთითა, რომ საბჭოთა ქვეყნის მტრები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა რუსეთი ახრჩობს ნაციონალურ კულტურას, მაგრამ ეს სიცრუეა. პირიქით, ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუსმენთ ქართულ ენაზე ინტერნაციონალს, რომელსაც აღფრთოვანებაში მოვყევართ ახალი წარმატებებისათვის;[2] ხოლო 1921 წლის 10 დეკემბერს ბაქოს საბჭოს სახელით თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოსადმი მიძღვნილ მისასალმებელ სიტყვაში კიროვმა თქვა: „მე არ ვეკუთვნი პოლიტიკური ექიმების რიცხვს, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ყველა ხმები, გავრცელებული

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 71, 1921 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი“, № 72, 1921 წ.

საბჭოთა ხელისუფლების შესახებ საქართველოს გარეშე, სიცრუეა".[1]

კიროვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. თავის გამოსვლებში იგი უმარტავდა საქართველოს მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და რაზმავდა მათ ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კიროვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობის მუშაობაში, რომლებიც თბილისში 1921 წლის 21 მაისიდან 27 მაისამდე მიმდინარეობდა. ყრილობაზე მან სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში მოუწოდა ქართველ ქალებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში.[2]

1921 წლის 29 მაისს თბილისში სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზში პარტიული მუშაკების და პროფკავშირის წევრთა აუდიტორიის წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში ს. მ. კიროვმა დაახასიათა რა საბჭოთა ქვეყნის როგორც საგარეო ისე საშინაო მდგომარეობა, მიუთითა იმაზე, რომ სამოქალაქო ომში პირისპირ ბრძოლებში დამარცხებული მტრები იძულებული შეიქმნენ ჩაეგოთ იარაღი ქარქაშში, რომ ამჟამად საბჭოთა ქვეყანა შევიდა ახალ ფაზაში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ეკონომიური ბრძოლის ფაზაში. პირდაპირ ბრძოლებში დამარცხებული იმპერიალისტები ჩვენს საწინააღმდეგოდ ხმლის ნაცვლად ახლა ხელთ იღებენ საბუხჰალტრო დავთრებს, რათა შემოიჭრან საბჭოთა ქვეყანაში და მოშხამონ მუშურ-გლეხური რუსეთი. მაგრამ ამაოდ — განაცხადა კიროვმა — ბოლშევიზმი ისეთი სხეულია, რომელიც გახრწნას არ ექვემდებარება, კაპიტალიზმი კი იხრწნება. ჩვენ კაპიტა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 236, 1921 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი", № 72, 1921 წ.

ლიზმს არ დავუბრუნდებით, იქითკენ მიმავალი გზა იმდენად დავანგრიეთ, რომ ვინც მას დაადგება, უფსკრულში გადაიჩეხება. კიროვმა ოვაციის ქვეშ განაცხადა, რომ ჩვენ მივდივართ საკუთარი გზით, რომლის პირველი ბილიკი ვ. ი. ლენინმა გაკაფა. მან მიუთითა იმაზე, რომ საბჭოთა ოჯახი მრავლდება და იზრდება, საბჭოთა რუსეთის გარშემო ირაზმებიან ახალ-ახალი მოძმე რესპუბლიკები, რომ საქართველო, რომელიც არც ისე დიდი ხნის უკან იმყოფებოდა ანტანტის ბატონობის ქვეშ, უკვე გადაეხვია თავის უფროს ძმას — საბჭოთა რუსეთს.[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კპ (ბ) თბილისის პირველ ლეგალურ საქალაქო კონფერენციას, რომელიც 1921 წლის 5 ივნისს გაიხსნა ქ. თბილისში. კონფერენციას რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა კიროვი, რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

თავის სიტყვაში კიროვმა დაახასიათა ის რთული ამოცანები, რომლებიც სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში საქართველოს ბოლშევიკების წინაშე იდგა, მაგრამ, — მიუთითა მან, — ეს გაადვილებულია იმით, რომ თქვენ წინ გიდევთ რუსეთის კომუნისტური პარტიის მდიდარი გამოცდილება, სადაც წვრილ ბურჟუაზიის დიდი უმრავლესობის პირობებში, უმცირესობაში მყოფმა პროლეტარიატმა მოახდინა სოციალისტური რევოლუცია და მაგალითის მაჩვენებელი გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. „ამ მხრივ — განაცხადა კიროვმა — საქართველო ძალიან გავს რუსეთს. აქაც, როგორც რუსეთში, მუშები მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან უმცირესობას შეადგენენ. ამის მიუხედავად,საქართველოს კომუნისტური პარტიის ძირითადი შიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას მტკიცე, საიმედო მწყობრი რიგები, რათა ისინი იქცნენ ნამდვილ მოწინავე რაზმად წვრილბურჟუაზიულ სტიქიაში. საჭიროა უწინარეს ყოვლისა შევქმნათ ერთიანი,

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი“, № 84, 1921 წ.

მტკიცე, შედუღაბებული საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის გავლენა საგრძნობი იქნება ყველგან, როგორც ქალაქად, ისე შორეულ მივარდნილ სოფლებში".[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის მთავარ ამოცანად კიროვმა დასახა მისი რიგების განმტკიცება, რათა მას, რუსეთის კომუნისტური პარტიის მაგალითისამებრ, თავის ირგვლივ დაერაზმა მშრომელთა ფართო მასები და საფუძველი ჩაეყარა დიდი აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

კიროვმა თავისი სიტყვის დასასრულს საქართველოს ბოლშევიკებს მიუთითა, რომ შეიძლება დასაწყისში ადგილი ჰქონდეს მერყეობას, არევ-დარევას, მაგრამ ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის საჭიროა პარტიის რიგების „შინაგანი შუდღება და დისციპლინა, სიმტკიცე და მზადყოფნა, შესწირო მთელი შენი სიცოცხლე პარტიას, თუ ამას რევოლუცია მოითხოვს".[2]

ს. მ. კიროვის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კონფერენციაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც დაახასიათა საქართველოში შექმნილი ვითარება და განმარტა მიმდინარე ეტაპზე საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე მდგარი ამოცანები. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს კომუნისტურ პარტიას დღევანდელ მომენტში ყველაზე მთავარ საქმედ მიაჩნია საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება — განმტკიცება, ე. ი. ძალაუფლების შენარჩუნება მუშების და უღარიბესი გლეხების მიერ. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, რუსეთში ასეთის დამყარების სამი ნახევარი წლის შემდეგ, სავსებით უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს მთელი ის მდიდარი გამოცდილება, რომელსაც რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელმ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 81, 1921 წ.

[2] იქვე.

ძღვანელობით იქლევა საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკა რუ-სეთში“.[1]

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების განმტკიცების და მისი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პროფკავშირების პირველ კონფერენციას, რომელიც 1921 წლის 12 ივნისიდან 17 ივნისამდე ქალაქ თბილისში მიმდინარეობდა. კონფერენციას ესწრებოდა 207 დელეგატი, მათ შორის კომუნისტი იყო 167, დანარჩენები იყვნენ უპარტიოები, მენშევიკები და ფედერალისტები.[2] კონფერენციაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს პროფკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით 12 ივნისს კონფერენციას მიესალმა ს. კიროვი, რომელმაც მიუთითა იმაზე, რომ საბჭოთა საქართველოს პროფკავშირულმა ორგნიზაციებმა თავიანთ მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ რუსეთის პროლეტარიატის გამოცდილება, რომელიც ჭედს მუშათა და გლეხთა ბედნიერებას. კიროვმა ხაზი გაუსვა იმ ძნელ ამოცანებს, რომლებიც იდგა საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე, მან აქვე განაცხადა, რომ ეს სიძნელეები დაძლეულ იქნება მოკლე ხანებში. საჭიროა გვახსოვდეს თქვა კიროვმა — რომ მუშათა და გლეხთა ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ შაშხანით ხელში ვიბრძოლოთ საკუთარი მკერდით, არამედ საჭიროა ყოველდღე გავამაგროთ დაკავებული პოზიციები.[3]

კიროვმა თავის სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა საქართველოს მუშათა კლასს და პროფკავშირების კონფერენციის დელეგატებს, რასაც კონფერენციამ მქუხარე ტაშითა და „ინტერნაციონალის“ სიმღერით უპასუხა.

კონფერენციაზე კამათში მონაწილეობა მიიღო 12-მა კაც-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 83, 1921 წ.

[2] ს. მ. კიროვი, სიტყვები, სტატიები, დოკუმენტები, ტ. I, 1936 წ. გვ. 313.

[3] გაზ. „კომუნისტი“, № 88, 1921 წ.

მა, მათ შორის იყვნენ მენშევიკი დელეგატებიც, რომლებმაც პროვოკაციულად განაცხადეს, რომ საქართველოში სოციალიზმის აშენება არ შეიძლებაო და კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება მოითხოვეს. მენშევიკი დელეგატების ამ კონტრრევოლუციური განცხადების წინააღმდეგ კონფერენციაზე 13 ივნისს სიტყვა წარმოთქვა ს. მ. კიროვმა. გამოსვლაში მან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მენშევიკ მოლაყბეებს. კიროვმა ტაშის გრიალში განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ბევრად უფრო მტკიცეა ვინემ მენშევიკების ხელისუფლება იყო. მან მიუთითა იმაზე, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გავემიჯნეთ კაპიტალისტურ სამყაროს და ვადგივართ გზას ახალი სამყაროსაკენ, სადაც კომუნიზმის სამეფო სუფევს „სხვა სამყაროსაკენ მიმავალი გზის კომპასი დაკარგულია".[1]

17 ივნისს კონფერენციის დახურვის წინ კიროვმა ტაშის ქვეშ თქვა, რომ მენშევიკების დამფუძნებელი კრება მოკვდა ერთხელ და სამუდამოდ, ხოლო ამ შენობაში[2] იმუშავებს საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭო, და არც შეიძლება იყოს სხვანაირად, რადგან აქ კიდია ყველაზე ღირსეულის, მსოფლიოში მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ამხანაგ ლენინის სურათი. კიროვმა თავის სიტყვა დაამთავრა შეძახილით „გაუმარჯოს საქართველოს მუშებს!", რასაც კონფერენცია ოვაციით შეხვდა[3]

საქართველოს ახალგაზრდობის საახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩაბმისა და მისი რიგების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირის თბილისის პირველ ლეგარულ კონფერენციას, რომელიც 1921 წლის 19 ივნისს

---

[1] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I. 1936 წ. გვ. 315.

[2] საქართველოს პროფკავშირის კონფერენცია მიმდინარეობდა იმ შენობაში სადაც 1919 წ. 12 მარტს ჩატარდა მენშევიკების დამფუძნებელი კრება.

[3] ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I. 1936 წ. გვ. 317.

შედგა. კონფერენციამ განიხილა საკითხები: მიმდინარე მომენ-ტის შესახებ, თბილისის კომიტეტის ანგარიში და საკითხი საქართველოს კომკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ. თბილისის კომკავშირის კონფერენციამ ფაქტიურად საქართველოს კომკავშირის ყრილობის როლი შეასრულა, მისი გადაწყვეტილებები სახელმძღვანელო გახდა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციებისათვის.

კონფერენციაზე მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ს. მ. კიროვმა. შეეხო რა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას, კიროვმა ამავე დროს ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე რომლებიც დასახა რკპ(ბ) ყრილობამ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო ძლიერების აღდგენის საქმეში. კიროვი მოხსენების დასასრულს ვრცლად შეეხო კომკავშირის როლს და ამოცანებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სამეურნეო ძლიერების აღდგენის საქმეში. მან მიუთითა იმაზე რომ პარტიის მეათე ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელება დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორ ძალას და რევოლუციურობას გამოიჩენს კომკავშირი.[1]

კიროვის მოხსენების გარშემო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „მოისმინა რა ამხანაგ კიროვის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, თბილისის ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია ფიცსა დებს, რომ იგი მთელს თავის ძალებს მოახმარს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და სამეურნეო ფრონტებზე ბრძოლას".[2]

22 ივნისს კიროვმა თბილისში საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესის გახსნას მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა.

1921 წლის ივლისის დასაწყისში ი. ბ. სტალინსა და ს. კ. ორჯონიკიძესთან ერთად კიროვი მონაწილეობას იღებდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გაფართოებული

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 81, 1921 წ.

[2] იქვე.

პლენუმის მუშაობაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა. პლენუმზე მიღებულ იქნა დადგენილება ამიერკავკასიაში სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებზე.

როგორც ცნობილია საბჭოთა რუსეთი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე საქართველოს მშრომელებს ყოველმხრივ დახმარებას უწევდა, მაგრამ ძლიერი გვალვებისა და მოუსავლიანობის გამო 1921 წელს დამშეული აღმოჩნდა მთელი ვოლგისპირეთი. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს, რათა აღმოეჩინათ დახმარება დამშეული ვოლგისპირეთისათვის ლოზუნგით: „ათი უზრუნველჰყოფილი არჩენს ერთ მშიერს!“.

1921 წლის 16 აგვისტოს სახელმწიფო დრამატიული თეატრის დარბაზში თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კომკავშირული ორგანიზაციებისა და წითელი არმიის წარმომადგენლები, საბჭოთა რუსეთში შიმშილის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კიროვი, რომელმაც დაახასიათა შიმშილის შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობა ვოლგისპირეთში.

როგორც კიროვმა თავის მოხსენებაში მიუთითა, შიმშილმა მოიცვა ვოლგისპირეთის 11 გუბერნია, რომლის მოსახლეობის გადასარჩენად საჭირო იყო სულ ცოტა 70-80 მილიონი ფუთი პური.[1]

კიროვმა განმარტა თუ როგორ ცდილობდნენ კაპიტალისტური ქვეყნები შიმშილის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარება გამოეყენებინათ, საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ანტატის ახალი ლაშქრობის მოსაწყობად. მან მიუთითა, რომ „რუსეთის ნაციონალურმა კომიტეტმა“ პარიზში წინადადება მისცა ანტანტის ქვეყნებს აღმოეჩინათ რუსეთისათვის პურით დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი განაიარაღებდა წითელ არმიას და მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას[2]

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი“, № 139, 1921 წ.

[2] იქვე.

კიროვმა თავის მოხსენებაში დაბეჯითებით განაცხადა, რომ ევროპის იმპერიალისტებს გეგმა ჩაეშლებოდათ. მან რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ძმური დახმარებით შიმშილი ვოლგისპირეთში დაძლეული იქნებოდა „ჩვენ ევროპის იმპერიალისტებს ვუჩვენებთ, — თქვა კიროვმა თავის სიტყვის დასასრულს — რომ არა მარტო მათი იარაღი და ტანკი, არამედ ყველაზე საშინელი სტიქიური მტერი—შიმშილიც კი უძლურია მუშათა და გლეხთა გაერთიანებული ძალების წინაშე[1].

კიროვმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს აღმოეჩინათ ძმური დახმარება ვოლგისპირეთის დამშეული მოსახლეობისათვის.

კიროვის მოხსენების შემდეგ, იქვე კრებაზე დამშეულთა დასახმარებლად შეგროვებულ იქნა 50.000 მანეთი, ოქროს ბეჭდები და სხვა ძვირფასი ნივთები. საქართველოში შეიქმნა „დამშეულთა დამხმარე კომიტეტები“ და „დამშეულთა ფონდები“. 1921 წლის 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე დამშეულთა დასახმარებლად საქართველოში შეგროვებული იქნა 692.031.500 მანეთი ფულად, 500 მილიონი მანეთის პროდუქტები და სამრეწველო საქონელი. ვოლგისპირეთიდან საქართველოს ათასობით დამშეულმა ბავშვმა შეაფარა თავი.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს არჩევნები, რომლებიც 1921 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდა. 1921 წლის 10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო თეატრის დარბაზში თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა საზეიმო ვითარებაში გახსნა ამხ. მ. ორახელაშვილმა. თბილისის საბჭოს სხდომას მხურვალედ მიესალმნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. მიესალმა რა თბილისის საბჭოს ბაქოს საბჭოს სახელით, ს. კიროვმა აღფრთოვანებით განაცხადა: „როდესაც ბაქოში დავბრუნდები მე ვეტყვი ბაქოს საბჭოს, რომ კავკასიის გულში — თბილისში ასეთი რევოლუციური ენერგიით ფეთქს საქართველოს პროლეტარიატის გული — მისი პირველი წითე-

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი“, № 139, 1921 წ.

ლი საბჭო, რომ საქართველოს მშრომელი მასები საბოლოოდ გამოვიდნენ ფართო საბჭოთა გზაზე და იმ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დგას, ისინი წარმატებით წყვეტენ".[1] კიროვმა განუმარტა თბილისის საბჭოს დელეგატებს ის დიდი და რთული ამოცანები, რომლებიც აღდგენის პერიოდში თბილისის მშრომელების წინაშე იდგა. მან აშკარად განაცხადა, რომ დიდი ბრძოლები წინ გვიდევს „მაგრამ არაუშავს, ჩვენი მტრების მხარეზეა მხოლოდ ღმერთები და ჯვრის ძლიერება, ჩვენთან კი — მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი და ჩვენი წითელი დროშა".[2]

კიროვმა ოვაციის ქვეშ განაცხადა: „კაპიტალსტური მსოფლიო იშლება, რაც ვაშინგტონის კონფერენციამ დაამტკიცა".

კიროვმა განმარტა, რომ ვაშინგტონის კონფერენციის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ერთ კავშირად გაეერთიანებინა ყველა კაპიტალისტური ქვეყანა. მაგრამ ეს, — თქვა მან, — „ჰგავს მეშჩანი მოქალაქის ამოცანას — გამოიანგარიშოს თუ რამდენი ქაჯი შეიძლება დაეტიოს ნემსის წვერზე. სანამ ისინი ამ ამოცანის გადაწყვეტაში არიან, ჩვენ შევძლებთ საბოლოოდ გავაერთიანოთ ჩვენი რიგები. კურსი სწორადაა აღებული, ნამდვილი გზა არჩეულია და რამდენიც არ უნდა გადავაჯგუფოთ ჩვენი რიგები, რამდენიც არ უნდა ვიშიმშილოთ და სიცივით ვიკანკალოთ ამ გზის დაკარგვა შეუძლებელია. კაპიტალისტური სამყარო უკვე საფუძვლიანად შერყეულია".[3]

ანიშნებდა რა უდიდეს მნიშვნელობას თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგებს, კიროვმა მიუთითა, რომ ასეთივე საბჭოებით მალე მოიფინება მთელი საქართველო, შემდეგ კი გაერთიანდებით ამიერკავკასიისა და რუსეთის მშრომელებთან, გაერთიანებული ძალებით მოვიკლავთ შიმშილს, შევაკეთებთ დახეულ ტანისამოსს, გავწმენდთ შაშხანებს, რათა შევხვდეთ ღირსეულად კაპიტალისტების მორიგ შეტევას. თავისი სიტყვის დასასრულს ოვაციის ქვეშ კიროვმა განაცხადა: „კაპიტა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 236, 1921 წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ლისტური მსოფლიოს ბედი გადაწყვეტილია, მას ყოველ დღეღამე უახლოვდება სიკვდილი, ჩვენ ჩავუშვებთ სამარეში სისხლით გაჟღენთილ კაპიტალიზმის სხეულს, საფლავზე კი დავდგამთ ისეთ „ძეგლს“, რომელსაც ვერ შეარყევს ვერავითარი მიწისძვრა“.[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ჩაბმისათვის გარკვეული ადგილი უჭირავს კავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველ ყრილობას, რომელიც კიროვის ხელმძღვანელობით ქ. ბაქოში 1921 წლის 1 სექტემბრიდან 7 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. ყრილობას რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა კიროვი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა კავკასიის ახალგაზრდობის როლი კავკასიაში ეროვნული მშვიდობის დამყარებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მრავალეროვანმა კავკასიის მშრომელმა ახალგაზრდობამ, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ მტრულად იყო განწყობილი ერთმანეთის მიმართ, იწყო გაერთიანება, ეს კი მთელ საბჭოთა ფედერაციას „უსაზღვროდ, მეტისმეტად“ სჭირდება. ს. მ. კიროვმა ყრილობას უსურვა, რომ მას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა კავკასიის გაერთიანებული ახალგაზრდობის კავშირის შემდგომი მუშაობისათვის.

კიროვმა თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით: „გაუმარჯოს ათეული წლების მანძილზე განაწამებ კავკასიური მოდგმის ახალგაზრდა შვილებს!

გაუმარჯოს კავკასიის ხალხთა ცხოველ ტემპერამენტს და ახალგაზრდა კავკასიელ რევოლუციონერთა ახალ სიმღერებს!“.[2]

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელნიც მიმართული იყო კავკასიის ახალგაზრდობას შორის მეგობრობის

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 236, 1921 წ.

[2] გ. ევანია, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, 1956 წ. გვ. 30.

დამყარებასა და რუსეთის ახალგაზრდობასთან კავშირის გამტკიცებისაკენ.

საქართველოს მუშათა კლასის ერთიანობის შემდგომი გამტკიცებისა და მისი კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პროფკავშირის საბჭოს გაფართოებულ პლენუმს, რომელიც ქ. თბილისში ს. ორჯონიკიძის და ს. კიროვის ხელმძღვანელობით 1921 წლის 5 დეკემბერს შედგა.

პლენუმზე პროფკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, რომლებმაც შესანიშნავად ჩამოაყალიბეს პროფკავშირის როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ამიერკავკასიის ხალხთა შეგობრობის გამტკიცების საქმეში.

კიროვმა თავის სიტყვის ბოლოს ოვაციის ქვეშ განაცხადა: „ჩვენ მტკიცედ ვდგევართ კომუნიზმის დროშის ქვეშ და ყველას აქეთ მოუწოდებთ მოდით, ვიდრე გვიან არ არის“...[2]

სოციალისტურ მშენებლობაში ამიერკავკასიის ქალების ჩაბმის საქმეში გარკვეული ადგილი უკავია ამიერკავკასიის ქალთა პირველ ყრილობას, რომელიც კიროვის ხელმძღვანელობით თბილისში 1922 წლის მაისის ბოლო რიცხვებში ჩატარდა. ყრილობაზე საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კიროვი. მან თავის გამოსვლაში მიუთითა კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობის შედეგად მუშათა მძიმე მდგომარეობაზე. უჩვენა, რომ 1922 წლის მაისისათვის მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 5.000.000 უმუშევარი. „ყოველივე ეს—აღნიშნა ი. კიროვმა — ლაპარაკობს იმაზე, რომ ამერიკას არაფერი არა აქვს სატრაბახო თავისი ქვეყნის დამშვიდებული მდგომარეობის შესახებ“.[3]

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი“, № 231, 1921 წ.

[2] იქვე.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 2, ფ. 68, გვ. 63.

კიროვმა აღნიშნა, თუ როგორ შეიცვალა საბჭოთა ქვეყნის სასარგებლოდ დამოკიდებულება ევროპის ქვეყნებთან, რომ ევროპის კაპიტალისტები იძულებული შეიქნენ სამოქალაქო ომის ენის ნაცვლად საბჭოთა ქვეყანას ელაპარაკონ მშვიდობის ენით. „ეხლა — თქვა კიროვმა — ისტორია მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ. ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფრონტი ირღვევა, ჩვენი კი — მტკიცდება, ჩვენს ფრონტს ჩვენ კიდევ უფრო გავამტკიცებთ ყველა მიმართულებით".[1]

დაახასიათა რა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა კიროვმა მოუწოდა ამიერკავკასიის ქალებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ვ. ი. ლენინს რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად აუცილებლად მიაჩნდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ქართული წითელი არმიის შექმნა, რომლის შესახებ 1921 წლის 2 მარტს ს. ორჯონიკიძეს წერდა:

„საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია".[2]

საქართველოს კომუნისტები ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მეთაურობით დაუყოვნებლივ შეუდგნენ ლენინის ამ მითითებათა შესრულებას. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 11 მარტს გამოსცა ბრძანება მენშევიკური არმიისა და გვარდიის დაშლის შესახებ. 1921 წლის 21 მარტს საქართველოს სამხედროსაზღვაო საქმეთა კომისარიატმა გამოსცა ბრძანება წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნაზე საქართველოს რევკომის 1921 წლის 14 აპრილის დეკრეტით თბილისში დაარსდა კურსები წითელი არმიის ქართული ნაწილებისათვის უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად.

1922 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოების პირვე-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 2, ფ. 68, გვ. 63.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 189.

ლმა ყრილობამ ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით მიიღო დადგენილება ახლად შექმნილი წითელი არმიის ქართული ნაწილების განმტკიცებისა და გაძლიერების შესახებ. 1922 წლის აგვისტოში ქართული მსროლელი ბრიგადა გარდაიქმნა ქართულ დივიზიად, შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

ს. კიროვს, ს. ორჯონიკიძესა და მ. ცხაკაიასთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოსა და ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და სოციალისტურ შენებლობაში მათი ჩაბმის საქმეში.

1922 წლის 5 ივნისს ქ. თბილისში ს. ორჯონიკიძის და ს. კიროვის ხელმძღვანელობით გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეხუთე ყრილობა, რომელსაც 114 დელეგატი ესწრებოდა.

ყრილობამ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია ვ. ი. ლენინი. ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ს. ქავთარაძე, ბ. ძნელაძე, დ. კაჭარავა და სხვები.

ყრილობას რუსეთის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, რომელთა გამოჩენას ტრიბუნაზე დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ყრილობამ განიხილა: საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, ახალგაზრდობის კომკავშირის სრულიად რუსეთის მეხუთე კონფერენციის შედეგები, ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და სხვა საკითხები.

ყრილობამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო პარტიის XI ყრილობის დადგენილებები, განსაკუთრებით კი ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მუშაობის შესახებ.

ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის რიგების გამტკიცებისა და კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში გარკვეული ადგილი უკავია ამიერკავკასიის კომკავშირის მეორე ყრილობას, — რომელიც თბილისში ვ. ცხაკაიას, ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელო-

ბით 1922 წლის 16 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე მიმდინარეობდა.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებები კომკავშირული მუშაობის, მუშა ახალგაზრდობის პოლიტიკის, განათლების, ანტიკომუნისტურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ყრილობაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვეს: მიხა ცხაკაიამ, სერგო ორჯონიკიძემ და სერგეი კიროვმა. თავის სიტყვაში კიროვმა ყრილობის დელეგატებს განუცხადა: „ხუთი წლის წინათ განხორციელებული ოქტომბრის რევოლუციის შუქი ახლა ანათებს არა მარტო საბჭოთა ქვეყანას, არამედ მთელს მსოფლიოს. რევოლუცია გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. თქვენ ახალგაზრდა კომუნისტებმა ის რევოლუციური სიმღერა რომლითაც ჩვენ გამოვედით ოქტომბრის რევოლუციის დღეებში, უნდა გაამდიდროთ ახალი უფრო ძლიერი ნოტებით".[1] კიროვის ეს სიტყვა ძლიერმა ოვაციამ და დელეგატებისა და ორკესტრის „ინტერნაციონალის" ხმამ დაფარა.

ამრიგად სერგეი მირონის ძე კიროვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა საბჭოთა ქვეყნის მტრებს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის; ერთსულოვნად რახმავდა საქართველოს მშრომელებს კომუნისტური პარტიის ლენინურ-ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კიროვს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გამტკიცებისა და მის რიგებში ბოლშევიკური ერთიანობის დაცვის საქმეში. აფასებდა რა კიროვის დამსახურებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცების საქმეში 1934 წლის 6 დეკემბერს, კირო-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 35, ს 1, ფ. 29—30.

ვის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით მოწვეულ ხალხმრავალ სამგლოვიარო მიტინგზე თბილისში ამხ. ფ. მახარაძემ განაცხადა: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას კიროვი იყო უკვე ჩვენთან, საბჭოთა თბილისში და ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ბომავალი მუშაობის გეგმების შემუშავებაში, იძლეოდა თავის ბრძნულ რჩევა-დარიგებებს და მითითებებს".[1]

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 80, 1934 წ.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ს. მ. კ ი რ ო ვ ი ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ხ ა ლ ხ თ ა მ ე ბ ო ბ რ ო ბ ი ს ბ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა შ ი.

1921 წლის ზაფხულიდან ახალი ფურცლები იშლება ს. კიროვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. 1921 წლის ივლისში ვ. ი. ლენინის წინადადებით იგი არჩეულ იქნა აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ჩაუდგა რა სათავეში აზერბაიჯანის ბოლშევიკებს, ს. მ. კიროვმა ს. ორჯონიკიძესთან ერთად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, დარაზმა აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის მთელი მოსახლეობა სოციალისტური მშენებლობის დასაწყებად.

ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის გენიალური პროგრამა, მისი განვითარების გზები და საშუალებანი პირველად მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის მოხსენებებში, სიტყვებსა და საქართველოსა და კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილებში.

ვ. ი. ლენინი, რომელიც ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის საქმეში კომუნისტების ტაქტიკის თავისებურებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, 1921 წლის 14 აპრილს, კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: ყველა მნიშვნელოვან ამოცანათა შორის „...კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და განვავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური. ძნელი, მაგრამ სავსებით შესაძლებელი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად ყვე-

ლაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას".[1]

ამავე წერილში დიდი ლენინი, ითვალისწინებდა რა ადგილობრივ თავისებურებებს, კავკასიის კომუნისტებს აძლევდა მითითებებს: „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით. აი რა უნდა შეიგნოთ და რის განხორციელება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით".[2]

დიდი ლენინის გენიალური მითითებებით შეიარაღებულმა ამიერკავკასიის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეს.

ამიერკავკასიის მშრომელებზე ვ. ი. ლენინის მზრუნველობის შედეგად 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დასახმარებლად გაიღო 8 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი, უსასყიდლოდ მისცა საქართველოსა და სომხეთს პური და ნავთობ-პროდუქტები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ექვსი თვის განმავლობაში საბჭოთა რუსეთიდან დახმარების სახით წითელი არმიის ნაწილებისათვის გამოგზავნილი სურსათისა და სხვა პირველი მოხმარების საგნების ჩაუთვლელად, გამოგზავნილ იქნა: პური 250.000 ფუთი, სიმინდი — 50.000 ფუთი, მანუფაქტურა 720.000 — არშინი, ფეხსაცმელი — 6.000 წყვილი, შაქარი 15 ვაგონი, თევზი 30 ვაგონი, მარილი 60 ვაგონი, ზეთი ორი ვა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. 32, გვ. 397.

[2] იქვე, გვ. 399.

გონი, სულ 64.000 მილიარდ მანეთად ღირებული.[1] „ამას გარდა, — წერდა გაზეთი „კომუნისტი", — რსფს რესპუბლიკიდან მივიღეთ უამრავი სხვა საქონელი, რომლის ღირებულება კიდევ და კიდევ მილიარდებს უდრის".[2]

1921-22-წლებში საბჭოთა რუსეთმა მარტო სომხეთს დახმარების სახით მისცა სამი მილიონი მანეთი ოქროთი, სამრეწველო საქონელი. ივანოვის ქარხნის მუშებმა საჩუქრად გაუგზავნეს სომხეთს საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობა, რომლის ბაზაზე შეიქმნა ლენინაკანის მსხვილი საფეიქრო კომბინატი. გარდა ამისა რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მოსკოვის ყოფილი ლაზარევის ინსტიტუტის ბაზაზე მოამზადა და გაუგზავნა სომხეთს მაღალ კვალიფიციური კადრები და 100.000-ზე მეტი წიგნი. 1921-1922 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა საბჭოთა რუსეთიდან დახმარების სახით მიიღეს 1. 704. 661 ფუთი პურეული, 191.803 ფუთი შაქარი, 360 ფუთი ბრინჯი, 5.226 ათასი მეტრი ფართლეული. ასევე, ამიერკავკასიაში რუსეთიდან გამოგზავნილი იქნა 26 ორთქლმავალი და სახალხო მეურნეობის სხვა მოწყობილობანი.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთის უდიდესი ეკონომიური დახმარებისა, რომელსაც იგი უწევდა მოძმე ამიერკავკასიის ხალხებს სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარების საქმეში, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება მტრულ გარემოცვის პირობებში, როდესაც მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის დაზვერვათა ორგანოების დავალებით ამიერკავკასიაში გზავნიდნენ ჯაშუშებს და დივერსანტებს ძირგამომთხრელი კონტრრევოლუციური მუშაობის საწარმოებლად, შეუძლებელი იქნებოდა ისე, თუ ამიერკავკასიის ხალხებს შორის მთლიანად არ აღმოიფხვრებოდა ჯერ ცარიზმის, მერე კი კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიების — მენშევიკების, დაშნაკებისა და მუ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 81, 1921 წ.

[2] იქვე.

სავატელების ბატონობის პერიოდში უკიდურესად გაღვივებული ეროვნული შუღლი, მტრობა და უნდობლობა.

ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეროვნული მშვიდობის დამყარების, სახალხო ეკონომიკურობის აღდგენისა და განვითარებისათვის კომუნისტურ პარტიას ვ. ი. ლენინის მეთაურობით აუცილებლად მიაჩნდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება ერთ ფედერაციაში. 1921 წლის 2 აპრილს ვ. ი. ლენინი „აზნევთის" მმართველისადმი გაგზავნილ წერილში, ეხებოდა რა ბაქოდან ბათუმამდე ნავთის გადატანის ორგანიზაციის საქმეს მიუთითებდა: „აუცილებელია საოლქო სამეურნეო ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბაქო-ბათუმისათვის და სხვ. და რომელიც დამოუკიდებლად, სწრაფად, გაუჭიანურებლად გაუძღვება საქმეს".[1]. ხოლო, 1921 წლის 9 აპრილს, ვ. ი. ლენინი, პასუხად ს. ორჯონიკიძის ინფორმაციისა ამიერკავკასიაში შექმნილი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, მიუთითებდა: „დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის..."[2]

1921 წლის 14 აპრილს კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი.ლენინი, ესალმებოდა რა კავკასიის რესპუბლიკებს, წერდა:

„მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს".[3]

ვ. ი. ლენინის მითითებით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, რომელსაც ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი ედგნენ სათავეში, გაშალა მუშაობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საოლქო სამეურნეო ორგანოს შესაქმნელად. 1921 წლის აპრილის დასაწყისში აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტ-

---

[1] ციტირებულია ვ. ესაიაშვილის წიგნიდან, ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ, 1956 წ. გვ. 180.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 35, გვ. 510.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ 32, გვ 397.

რალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ.

1921 წლის 11 აპრილს ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე, მან დაახასიათა ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური პარტიების თარეშის შედეგად და მიუთითა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობაზე. აქვე განმარტა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ამიერკავკასიის რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ. ბაქოს საბჭოს ამავე სხდომაზე საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კიროვი, რომელმაც დაახასიათა ორი ბანაკის შეურიგებელი ბრძოლა, სამეურნეო სიძნელეთა ხასიათი, მიუთითა ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობის ფედერაციაში გაერთიანებისა და საბჭოთა რუსეთთან ძმური კავშირის აუცილებლობაზე. ბაქოს საბჭომ ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მოხსენების გარშემო მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებული კავშირის შექმნის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია:

„საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისათვის ამიერკავკასიაში აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო გაერთიანება თითეულ მათგანში ნაციონალური დამოუკიდებლობის, თვითმოქმედების, ენისა და კულტურის სრული შენარჩუნებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაქოს საბჭო მხურვალედ მიესალმება აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის, რკინიგზების გაერთიანების შესახებ... ბაქოს საბჭო დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის მშრომელი მასები ამ მოწოდებას გამოეხმაურებიან და მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალღონით საბჭოთა რესპუბლიკები, ამჟამადაც ისე, როგორც ყოველთვის, ახალ ფრონტზეც გამარჯვებას მოიპოვებენ.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კავშირს".[1]

აზეირბაიჯანის ბოლშევიკების ინიციატივას, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ბაქოს მუშებმა, მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციები და უპარტიო მასები, რასაც შედეგად მოჰყვა 1921 წელს ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კომისარიატის შექმნა, ქალაქი ბათუმი კი გამოცხადდა ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის მთავარ ნავსადგურად. 1921 წლის აგვისტოს დასაწყისში შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკის გაერთიანებული ორგანო — უმაღლესი ეკონომიური საბჭო, რომელსაც დაექვემდებარა რკინიგზის, ნავთის მრეწველობის, საფინანსო პოლიტიკის, საგარეო ვაჭრობის, ელექტროფიკაციისა და მელიორაციის საკითხები.[2]

ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული მშვიდობის დამყარებისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა 1921 წლის ივლისის დასაწყისში ი. ბ. სტალინის ჩამოსვლამ თბილისში. 1921 წლის 3 ივლისს ი. ბ. სტალინის, ს. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მონაწილეობით შედგა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში", რომელშიაც ნათქვამია: „საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო და სამეურნეო ურთიერთმხარდაჭერის საჭიროების გამო აუცილებლად საჭიროდ იქნას ცნობილი ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და საბჭოთა რუსეთს შორის სამხედრო, სავაჭრო და სამეურნეო-საფინანსო კონვენციის დადება ნებაყოფლობის საფუძველზე".[3]

პლენუმმა წინადადება მისცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს,

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი", № 41, 1921 წ.

[2] ა. იოსელიანი, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლა საქართველოში, 1921-25 წ.წ. გვ. 12.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 45, ფ. 120.

პროფსაბჭოებს და პროფკავშირთა საგზაო კომიტეტებს, ყოველმხრივ დაეჭირა მხარი საგარეო ვაჭრობისა და რკინიგზების გაერთიანებული ორგანოებისათვის მუშაობაში.

6 ივლისს თბილისის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა მოხსენებით „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში". თავის მოხსენებაში ი. ბ. სტალინმა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს გადაუდებელ ამოცანად დაუსახა: გაესრიულათ ნაციონალიზმის გველეშაპი, შეექმნათ ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად. ამავე დროს შეენარჩუნებიათ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.[1]

ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძესა და ა. მიასნიკოვთან ერთად, ხელმძღვანელობდა კავკასიის პირველი საბჭედრო პარტიული თათბირის მუშაობას, რომელიც 1921 წლის 12-14 აგვისტოს ჩატარდა. თათბირმა გარკვეული როლი შეასრულა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში. თათბირმა რკპ(ბ) კავბიუროს პოლიტიკური ანგარიშის გამო, რომლის შესახებ მოხსენებით ამბ. ს. ორჯონიკიძე გამოვიდა, მიიღო დადგენილება კავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის მშრომელები, ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურ ორგანიზაციებში მოკალათებული ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ამიერკავკასიის ხალხებს შორის მჭიდრო სამეურნეო, პოლიტიკურ-ეკონომიური თანამშრომლობის დამყარების, ნაციონალურ უმცირესობისათვის ავტონომიის მინიჭებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შესვლისა.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 109.

1921 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებათა შესასრულებლად პრაქტიკულად დაისვა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი. 1921 წლის 3 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმმა ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ და აუცილებლად მიიჩნია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ეკონომიური ცენტრის საკავშირო საბჭოს შექმნა. მიუხედავად კავბიუროს პლენუმის ამ დადგენილებისა წინააღმდეგ ნაციონალ-უკლონისტების გამოსვლისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გაერთიანების იდეა ღრმად შეიჭრა ამიერკავკასიის მოსახლეობაში. 1921 წლის ნოემბერში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და მშრომელებმა თავიანთ კრებებზე ერთსულოვნად მოიწონეს რკპ(ბ) ც. კ-ის კავბიუროს დადგენილება და გამოიტანეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის პრაქტიკულად განხორციელების შესახებ.

1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ იქნა პროექტი წინადადებისა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, პროექტში ნათქვამია:

„1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნას პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის.

2) წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და **მუშათა და გლეხთა მასების** წინაშე. ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და **გ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ** იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და

დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს".[1]

ვ. ი. ლენინის წინადადებით, 1921 წლის 29 ნოემბერს, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში,—აზერბაიჯანის ბოლშევიკებისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, ბაქოს პროლეტარიატი იდგა. ს. კიროვმა თავის მოხსენებაში, 1921 წლის 2 დეკემბერს, ბაქოს საბჭოს სხდომაზე, „ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციის შესახებ" შესანიშნავად დაასაბუთა ამიერკავკასიის ფედერაციის აუცილებლობა. „კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, — სთქვა მან, — როგორც ცნობილია, იყო ეროვნული მშვიდობის მიღწევა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ და მთლიანად ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ არის სავსებით განხორციელებული, მაგრამ კოშმარული წარსული, რომელიც ჯერ კიდევ არ ამოშლილა ჩვენი მეხსიერებიდან, ისტორიის შორეულ წარსულს ჩაბარდა. ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო ძლიერი გავხადოთ ეს ეროვნული მშვიდობა"[2].

ხაზი გაუსვა რა ნაციონალისტურ-კონტრრევოლუციური მთავრობების შოვინისტური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების შედეგად ამიერკავკასიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ეროვნული შუღლის აღმოსაფხვრელად კიროვმა მთავარ ამოცანად დასახა ამიერკავკასიის ეროვნებათა შორის მტკიცე კავშირის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა. მან მიუთითა იმაზე, რომ „სამეურნეო საკითხების ძირითადი გადაწყვეტა კავკასიის გაერთიანებაშია".[3]

კიროვმა თავის მოხსენებაში სასტიკად გააკრიტიკა ის მუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 33, გვ. 134.

[2] გაზ. „აზერბაიჯანსკოე იზვესტია", № 277, 1921 წ.

[3] იქვე.

შაკები, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებისა, აქვე მიუთითა, რომ ყოველი კომუნისტი საქმეს უნდა უდგებოდეს არა მარტო თავისი რესპუბლიკის, არამედ ყველა რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესების თვალსაზრისით. მან მოხსენების დასასრულს ოვაციის ქვეშ განაცხადა: „ყოველ მშრომელს ესმის, რომ დამოუკიდებლობა უნდა გავიგოთ ისე, რომ ყოველგვარი ღონისძიებით და საშუალებებით დამოუკიდებელი ვიყოთ მტრებისაგან, კაპიტალისტური ხროვისაგან, და არა ისე, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს აზერბაიჯანისაგან და პირიქით“.[1]

ბაქოს საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, რომლის შესახებ თავის დადგენილებაში ჩაწერა: „ბაქოს საბჭო, რომელმაც მოისმინა ამხ. კიროვის მოხსენება, ადგენს მთელი ძალღონით დავუჭიროთ მხარი დაწყებულ მუშაობას ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაუყოვნებლივ გასაერთიანებლად ერთ ფედერაციაში.[2]

ნაციონალ-უკლონისტების გამოვლინებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის იდეის გარშემო საქართველოს მშრომელების დარაზმვის საქმეში გარკვეული ადგილი უჭირავს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულ პლენუმს, რომელიც თბილისში 1921 წლის 5 დეკემბერს შედგა. პლენუმზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის აუცილებლობის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე, რომლებმაც ბრწყინვალედ დაასაბუთეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის აუცილებლობა. აკრიტიკებდა რა ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში, კიროვმა თქვა: „აბსოლუტურად სრული დამოუკიდებლობა არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს. არა მგონია საწინააღმდეგო მტკიცება დაიწყონ არა თუ პატარა, რომელსაც 2,5 მილიონი მოსახლეობა ჰყავს, არამედ თავის ოდენობით უზარმაზარი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა. ამის მტკიცებას,

---

[1] გაზ. „აზერბაიჯანსკოე იზვესტია“, № 277, 1921 წ.

[2] იქვე.

მგონი, ვერც ბუდუ მდივნისა და ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების წინამორბედნი დაიწყებენ“.[1]

თავის სიტყვაში კიროვი მიუთითებდა, რომ მსოფლიო გაითიშა ორ ნაწილად, ერთ მხარეზე დგას საბჭოთა ქვეყანა, ხოლო მეორე მხარეზე კი კაპიტალისტური სამყარო, ასეთ ვითარებაში ლაპარაკი დამოუკიდებლობის შესახებ საბჭოთა ქვეყნის შიგნით, იქნებოდა თავის სასიკვდილოდ განწირვა, ხოლო აზრი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულად გაერთიანების შესახებ — არ არის მოსკოვში ან ტამბოვში მოგონილი საქმე, არამედ ცხოვრებისაგან, თვით ხალხისაგან წამოყენებული გადაუდებელი ამოცანაა.[2]

ახასიათებდა რა აზერბაიჯანის მშრომელების ერთსულოვან მხარდაჭერას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმისადმი, კიროვმა თქვა: „იქ, აზერბაიჯანში დიდი ფილოსოფოსობა არ დაგვჭირებია. მხოლოდ გადასროლილ იქნა აზრი ფედერაციის შესახებ, — და არ დარჩენილა არც ერთი მუშა, რომელიც აღტაცებაში არ მოსულიყო ამის გამო. გუშინ ბაქოს ახალმა საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ აზრი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ არა თუ სწორია, ის რაც შეიძლება ჩქარა უნდა განხორციელდეს და არც ერთი დღით არ უნდა იქნეს გადადებულიო“.[3]

ხაზს უსვამდა რა ამიერკავკასიაში მშრომელების ერთსულოვან თანაგრძნობას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გაერთიანების იდეისადმი, კიროვმა მიუთითა: „მე ვფიქრობ, ამიერკავკასიაში არ მოიძებნება არც ერთი მუშა ან გლეხი, რომელსაც შეუძლია იფიქროს, რომ ფედერაცია ეწინააღმდეგება თვითეული რესპუბლიკის დამოუკიდებელი და თვითმყოფი არსების პრინციპებს“.

აკრიტიკებდა რა ნაციონალისტების მცდარ შეხედულებას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და ერთ

---

[1] გაზ. „აზერბაიჯანსკოე იზვესტია“, № 227, 1921 წ.

[2] იქვე.

[3] გაზ. „პრავდა გრუზიი“ № 231, 1921 წ.

ფედერაციაში გაერთიანების გარეშე მათი პირდაპირ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესვლის შესახებ, კიროვმა თქვა: „რატომ არ შემიძლია მე ბაქოდან აქ ჩამოსვლა უნებართვოდ, ამხ. სვანიძის ვიზის მიუცემლად? კომუნიზმის რომელ ანბანში სწერია ეს? თითქოს—პირიქით უნდა ყოფილიყო—ფოილოს ხიდამდეც და მის შემდეგაც — სრულიად ერთნაირად უნდა ვგრძნობდე თავს, ამ აზრით სრულებით ვერ უნდა შემემჩნია ფოილო. რსფსრ-თვისაც სულ ერთი არ არის, თუ როგორ მიელენ მასთან ამიერკავკასიის რესპუბლიკები: რიგის მიხედვით, თვითეული ცალ-ცალკე თუ მეგობრულ ოჯახად. ეს ინტერნაციონალურად. უფრო სწორი იქნებოდა და საბჭოურადაც, თუნდაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის თვალსაზრისით.[1]

კიროვმა განუმარტა პლენუმის მონაწილეებს ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინაშე იდგა და რომლის გადაჭრა მხოლოდ გაერთიანებული ძალღონით შეიძლებოდა, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ ფორმალურ ურთიერთობაში იქნებოდნენ ეს რესპუბლიკები. „ჩვენს წინაშე დგას უდიდესი სამეურნეო ამოცანები — თქვა მან, — მაგრამ მისთვის თავის გართმევას იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ მივკეტავთ ჩვენს ცალკეულ დამოუკიდებელ დუქნებს, აღვრიცხავთ ყველა ჩვენს საკმარისად განიავებულ რესურსებს და მთელს ჩვენს სახსრებს და ძალებს თავს მოვუყრით ერთ საერთო საბჭოთა ხაზინაში.[2]

გააკრიტიკა რა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ ქართველ ნაციონალ-უკლონისტების არასწორი შეხედულებები, კიროვმა თქვა: „თუ თავს დაგვატყდა უბედურება, თუ ამ სამხრეთის ცას კვლავ გადაეფარა იმპერიალისტური ღრუბლები,— გარწმუნებთ, ტირილი ფედერაციულად მოგვიხდება. თუ დაჰკრეს რსფსრ-ს, თქვენც ჩაგილურჯდებათ თვალები, თუ იმპერიალისტური მათრახი გადაჰკრეს რევოლუციურ ბაქოს—ნა-

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი", № 231, 1921 წ.
[2] იქვე

პერწკლები თვალებიდან დამოუკიდებელ საქართველოსაც წამოცვივა“.[1]

კიროვმა საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანად დასახა ამიერკავკასიაში ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახის შექმნა, დაუნდობლად ამოგლეჯა იმ არაჯანსაღი ნაციონალიზმის კბილებისა, რომლებიც ესობოდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა სხეულს და დახმარების აღმოჩენა ნაციონალური უმცირესობისათვის, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ენაზე ვერ ბედავდნენ კომუნისტური მოწოდებების წარმოთქმას.

თავის მოხსენების დასასრულს ს. კიროვმა ოვაციის ქვეშ განაცხადა „თუ სერიოზულად და არა ხუმრობით წარმოვთქვამთ ჩვენს დიად აღთქმას—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“, მაშინ აქ, ამ მრავალეროვან კავკასიის მაგალითზე უნდა დავამტკიცოთ ეს“.[2]

პლენუმზე გამოსული მენშევიკებისა და ფედერალისტების წარმომადგენლები ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდნენ. კიროვმა თავის საბოლოო სიტყვაში სასტიკად გააკრიტიკა ისინი.

კამათის დამთავრების შემდეგ კენჭი უყარეს მენშევიკებისა და ბოლშევიკების რეზოლუციებს ცალ-ცალკე. პლენუმის მონაწილე ათასი კაციდან მენშევიკების რეზოლუციას ხმა მისცა 15 კაცმა, კომუნისტების რეზოლუციას კი ყველა დანარჩენმა. პლენუმმა მოიწონა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების მიერ დროულად გატარებული ღონისძიებანი ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად, რომლის შესახებ თავის რეზოლუციაში ჩაწერა:

„საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს გაერთიანებულმა პლენუმმა საქარხნო კომიტეტებსა და ადგილკომებთან ერთად მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძისა და კიროვის მოხსენებანი ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ, ერთხმად ესალმება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი“, № 231, 1921 წ.

[2] იქვე.

სრულიად დროულ გადაწყვეტილებას — გააერთიანონ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ძალღონე ამ რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის საჩქაროდ აღსადგენად და ამიერკავკასიის ძმური რესპუბლიკების მშვიდობიანი საბჭოთა მშენებლობის ჩაშლის ყოველგვარი ცდის მოსაგერიებლად. ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაცია კიდევ უფრო განამტკიცებს ნაციონალურ მშვიდობას, რომელიც ამიერკავკასიაში დამყარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გასაბჭოების დღიდან, და მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ამიერკავკასიის ყველა ერის მძლავრ ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას".[1]

ეყრდნობოდა რა ამიერკავკასიის მშრომელთა ერთსულოვან მხარდაჭერას, კავკასიის სამხარეო მეორე პარტიულმა თათბირმა 1921 წ. 7 დეკემბერს, გამოიტანა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესაქმნელად პრაქტიკული მუშაობის დაწყების შესახებ. ამავე საკითხს მიეძღვნა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოებისა და კომუნისტური პარტიების ყრილობები, სადაც მოწონებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში გარკვეული როლი შეასრულა აზერბაიჯანის კპ(ბ) მეოთხე ყრილობამ, რომელიც 1922 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში შედგა. ყრილობაზე აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა კიროვმა. ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარებამ საშუალება მისცა მას, აზერბაიჯანში ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ, აზერბაიჯანის კომუნისტების IV ყრილობაზე განეცხადებინა, რომ მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა და მნიშვნელოვანი ხვეულებისა ჩვენს მუშაობაში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ერთა შორის მშვიდობა აზერბაიჯანში უდავოდ მიღწეულია".[2]

კიროვმა თავის მოხსენებაში შეაჯამა ფედერაციის შესაქმ-

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი", № 231, 1921 წ.

[2] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი", № 31, 1922 წ.

ნელად აზერბაიჯანის ბოლშევიკების მიერ ჩატარებული მუშაობა. ხაზი გაუსვა რა ამიერკავკასიის მშრომელების ერთ ოჯახში გაერთიანების უდიდეს მნიშვნელობას, მან განაცხადა: თითოეულმა ხალხმა, რომელიც ახლა საბჭოთა ხელისუფლებას აღიარებს, უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების განკერძოებული არსებობა ნიშნავს დაღუპვას, აშკარა დაჭკნობას თავის პატარა ნაციონალურ ყლორტზე. ყოველი ხალხის, ყოველი მუშის და გლეხის კანონიერ სურვილს წარმოადგენს მისწრაფება ეძიოს მოკავშირე მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკაში.[1]

ყრილობამ მოითხოვა დაეჩქარებინათ ამიერკავკასიის ფედერაციის პრაქტიკული განხორციელება. ამის შესახებ კიროვის მოხსენების გამო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სამეურნეო ნგრევის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის, მძლავრი სამხედრო ძალის შესაქმნელად, საგარეო კონტრრევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ, ნაციონალური მტრობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციისათვის აუცილებელია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის პრაქტიკული განხორციელება“.[2]

ყრილობამ დაავალა აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ულმობელი ბრძოლა ეწარმოებია ნაციონალიზმისაკენ გადახრის ყველა ტენდენციის წინააღმდეგ, ამასთან, მკაცრი კონტროლი დაეწესებინა ყრილობისა და ზემდგომი პარტიული ორგანოების ყველა დადგენილების სისრულეში მოყვანისათვის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველ ყრილობას, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში 1922 წლის 18 თებერვლიდან 27 თებერვლამდე. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ს. ორჯონიკიძემ. ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და მ. გ. ცხაკაია. ყრილობაზე არჩეულ

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, № 31, 1922 წ.

[2] იქვე.

იქნა საქმიანი პრეზიდიუმი 15 კაცის შემადგენლობით, მათ შორის: ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ს. მამულია და ა. მიასნიკოვი. ყრილობაზე მისასალმებელ სიტყვაში კიროვმა აღნიშნა: ჩვენ არ გვეპატიება—რომ არ გაგვეხსენებინა საქართველოს გუშინდელი „მასპინძლები". ეს იმიტომ არის აუცილებელი, რომ მენშევიკები კვლავ ცდილობენ მოწამლონ საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ნაწილი, მაგრამ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის გახსნის წინ საჭიროა განვაცხადოთ, რომ მენშევიზმი მოკვდა სამუდამოდ.[1]

ამიერკავკასიის ხალხები, — თქვა კიროვმა, — ნებაყოფლობით საფუძველზე, თავიანთი სურვილით ერთიანდებიან ერთ კავშირში რომელსაც იმპერიალისტების შემოტევისაგან იცავს წითელი არმიის შეიარაღებული ძალები, რომლის გარეშე თანამედროვე ვითარებაში არც ერთი სახის კავშირის არსებობა არ შეიძლება. ვაერთიანებთ რა ჩვენს კომუნისტურ ორგანიზაციებს, — თქვა კიროვმა, — ამით ჩვენ ვიწყებთ დიად საბჭოთა კედლის აგებას, რომლის დახმარებით ჩვენ შევძლებთ გავაერთიანოთ ყველა ჩვენი საარსებო ძალები, გაფანტული სიმდიდრე და შესაძლებლობა, რათა საჭირო შემთხვევაში გაერთიანებული ძალით დავხვდეთ მტერს.[2]

დაახასიათა რა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, ს. კიროვმა მიუთითა იმაზე, რომ აუცილებელია ამიერკავკასიის მშრომელების გაერთიანება ერთ ფედერაციაში, რათა დავაჩქაროთ მათი შესვლა საბჭოთა ქვეყნის დიდ კომუნისტურ ოჯახში.[3]

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 2, ს. 1, ფ. 36.

[2] იქვე, ფურცელი 36—37.

[3] იქვე, ფურცელი 37.

რკპ(ბ), ც. კ-ის კავბიუროს მუშაობის შესახებ ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომელმაც ნიღაბი ახადა რა ნაციონალ-უკლონისტების გამთიშველ მოქმედებას, გადაუდებელ ამოცანად დასახა უმოკლეს დროში ამიერკავკასიის ფედერაციის პრაქტიკული განხორციელება. ყრილობამ სასტიკად გაკიცხა ნაციონალ-უკლონისტები გამთიშველი მოქმედებისათვის, ამავე დროს, დაამტკიცა საკავშირო ხელშეკრულებანი და ამიერკავკასიის ეკონომიური საბჭოს დებულებები. ყრილობამ დაავალა პარტიის სამხარეო კომიტეტს:

„ა) აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა ნაციონალისტური გადახრებისა და ტენდენციების წინააღმდეგ პარტიაში.

ბ) დააჩქაროს ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკური გაერთიანებული ცენტრის შექმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატებითი მუშაობა მისი ეკონომიური ძლიერების აღსადგენად.

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყველაზე მსხვილ პროლეტარულ ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა იყვნენ მთავარი დასაყრდენი პუნქტები ახალი სამხარეო კომიტეტის მუშაობაში, არ შეასუსტონ ისინი მუშაკების ხშირი გადასროლით ან გაწევევით".[1]

ყრილობამ წინადადება მისცა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია პარტიული ორგანიზაციების მიერ ყრილობის დადგენილების ზუსტად გატარებისათვის.

„ყრილობის დადგენილებებისა და პარტორგანოების დირექტივების შეუსრულებლობას ან მისგან გადახვევას, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — უნდა მოყვეს დაუყოვნებლივი და აუცილებელი გარიცხვა პარტიის რიგებიდან".[2]

ყრილობამ აირჩია რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომი-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 2, ს. 1, ფ. 507.

[2] იქვე.

ტეტი. სამხარეო კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ: ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი; ნ. ნარიმანოვი, ა. მიასნიკოვი და სხვები. ყრილობამ რკპ(ბ) XI ყრილობის დელეგატად გადამწყვეტი ხმით აირჩია 24 კაცი, მათ შორის: ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. თოდრია, ს: მამულია, ს. გეგეჭკორი. 1922 წლის 23 თებერვალს შედგა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი პლენუმი, სადაც სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე და მ. ორახელაშვილი, კანდიდატად კი—ა. მიასნიკოვი. ამავე პლენუმზე პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილი. პლენუმმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევის შესახებ.

საბჭოთა რესპუბლიკები თავიდანვე მიისწრაფოდნენ საბჭოთა რუსეთთან ძმური თანამშრომლობისა და მათთან ერთად ერთობლივი მოქმედებისაკენ. მათ რსფს რესპუბლიკასთან დადეს ხელშეკრულებები, რომლების ძალითაც ამყარებდნენ მასთან სამეურნეო და სამხედრო კავშირს. 1921 წლის 22 თებერვალს საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას გადასცეს წარმომადგენლობის უფლება გენუის კონფერენციაზე. გამოხატავდა რა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ნება-სურვილს, სრულიად რუსეთის საბჭოთა X ყრილობამ 1921 წლის დეკემბერში ამიერკავკასიიდან რსფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აირჩია ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, ა. მიასნიკოვი, ნ. ნარიმანოვი, შ. ელიავა, ეშბა და სხვ. ამით რსფს რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ისე, როგორც ადრე, სხვა ეროვნული რესპუბლიკების მიმართ, მიიღო ფედერალური ორგანოს უფლებები.[1]

---

[1] ი. მ. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1958 წ. გვ. 109—110.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლისთავზე 1922 წლის 25 თებერვალს, თბილისში, საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ს. კიროვი, მოიწონა ფედერაციის შესაქმნელად ჩატარებული მუშაობა და დაავალა ახლად არჩეულ საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მომავალ ყრილობაზე დაეყენებინა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გაერთიანების შესახებ. ყრილობამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუცია და აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა.

1922 წლის 12 მარტს ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვისა და ა. მიასნიკოვის ხელმძღვანელობით შედგა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების უფლებამოსილი კონფერენცია, რომელმაც დაამყარა ამიერკავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირი, აქვე შექმნილ იქნა ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის მთავრობა (საკავშირო საბჭო), რომლის თავმჯდომარედ ა. ფ. მიასნიკოვი იქნა არჩეული.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალ-უკლონისტებმა მშრომელთა ფართო მასების წინაშე არაერთხელ განიცადეს მარცხი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხში, მათ მაინც კვლავ მიმართეს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს პროტესტით, რომელშიც ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გაერთიანების წინააღმდეგ. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა 1922 წლის 5 აპრილს ხელმეორედ მიეღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის აუცილებლობის შესახებ.[1]

საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის, სამეურნეო და ეროვნული განვითარების ინტერესები მოითხოვდენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანებას, რომლის განსახორციელებლად პარტიამ მუშაობა გააჩაღა 1922 წლის

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 12, ს. 479, ფ. 9.

მეორე ნახევარში. 1922 წლის 10 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს დადგენილებით შეიქმნა კომისია ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ვ. ვ. კუიბიშევის, გ. ი. პეტროვსკისა და ა. ფ. მიასნიკოვის შემადგენლობით. კომისიას დაევალა განეხილა და მოემზადებინა საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარსადგენად.

1922 წლის სექტემბერში კომისიამ განიხილა და მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შესვლას რსფსრ შემადგენლობაში ავტონომიის საფუძველზე, რომლის თანახმად ნაციონალურ რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები უნდა ჰყოლოდათ რსფს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში.

ავტონომიზაციის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანების აზრს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად თავიდანვე იზიარებდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. ამის შესახებ ორჯონიკიძესა და კიროვს უცნობებიათ სტალინისათვის. ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელზე ი. ბ. სტალინის მიერ 1922 წლს 29 აგვისტოს გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „მე სრულიად ვეთანხმები ორჯონიკიძესა და კიროვს მასში, რომ აუცილებელია რეალური პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შექმნა საქმით ერთიანი სამეურნეო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ ტერიტორიაზე ხელმძღვანელი ცენტრით მოსკოვში. ამისათვის აუცილებელია, ჩემის აზრით, გაერთიანდეს საგარეო ურთიერთობა და სამეურნეო ორგანოები, მოსკოვის სახკომსაბჭოს, თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალუ-

რი აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენციის გავრცელებით ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე".[1]

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ ი. ბ. სტალინის მიერ წარმოდგენილი თეზისები საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ განსახილველად გაუგზავნა ნაციონალური რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს. თეზისების განხილვის დროს სხვადასხვა აზრი წარმოიშვა. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 16 სექტემბერს მოიწონა ი. ბ. სტალინის თეზისები, ხოლო ამავე სამხარეო კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 18 სექტემბერს მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესვლისა და ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის მოსამზადებლად პლენუმმა ვამოჰყო კომისია ამხანაგების: ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. მიასნიკოვის, ფ. მახარაძის და ნ. ნარიმანოვის შემადგენლობით.[2]. ასევე სომხეთის და აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა მოიწონეს სტალინის თეზისები, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სადაც უმრავლესობა ნაციონალ-უკლონისტებს ეკავათ, 1922 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება ავტონომიზაციის პრინციპით საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების უარყოფის შესახებ, ჩათვალა იგი ნაადრევად და მოითხოვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის ლიკვიდაცია. ამავე დროს მან საჭიროდ ცნო ნაციონალურ რესპუბლიკათა სამეურნეო ღონისძიებათა და საერთო პოლიტიკის გაერთიანება „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტების შენარჩუნებით". საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ამ დადგენილების წინააღმდეგ ხმა მისცეს სხვა იქ

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 13, ს. 191, ფ. 18.

[2] იქვე, ფ. 1, ს. 1, ფ. 50.

დამსწრე მთელ რიგ ამხანაგებთან ერთად ს. ორჯონიკიძემ და ს. კიროვმა.[1]

ვ. ი. ლენინი, რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მთელ მოსამზადებელ მუშაობას, 1922 წლის სექტემბრის ბოლოს გორკაში გაეცნო ი. ბ. სტალინის თეზისებს და ნაციონალური რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების რეზოლუციებს. 1922 წლის 27 სექტემბერს ვ. ი. ლენინმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი გაგზავნილ წერილში წამოაყენა საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის რსფს რესპუბლიკის, ნებაყოფლობითი გაერთიანება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად მათი ნებაყოფლობისა და სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ ვ. ი. ლენინის გენიალური მითითების საფუძველზე გადაამუშავა რეზოლუციის წინაპროექტი და წარმოადგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის ახალი პროექტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1922 წლის 6 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ეს პროექტი ითვალისწინებდა რსფსრ, უკრაინის, ამიერკავკასიის ფედერაციული და ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობით თანასწორუფლებიან გაერთიანებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ სსრ კავშირის შექმნის საკითხი ხელახლა იქნა დასმული საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების წინაშე განსახილველად. უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება სსრკ-ის შექმნის შესახებ.

---

[1] ი. მ. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1958 წ. გვ. 115.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 21 ოქტომბერს მხარი დაუჭირა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებას „საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ", მაგრამ კვლავ მოითხოვა ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია და საქართველოს უშუალოდ შესვლა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში.[1] რადგან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ლენინის მეთაურობით დაგმო ნაციონალ უკლონისტების ეს გამოიშველი მოქმედება, 1922 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ გაშალა მუშაობა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესასვლელად.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანში ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამ ფედერაციის საშუალებით მისი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგ გამოდიოდა ნაციონალ-უკლონისტების ორი ჯგუფი. ერთ ჯგუფს, რომელსაც სათავეში ახუნდოვი და გუსეინოვი ედგნენ, ნაადრევად მიაჩნდა ფედერაციის შექმნა, ხოლო მეორე ჯგუფი, რომელსაც კადირილი ედგა სათავეში, წინააღმდეგი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და მოითხოვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირდაპირ შესვლას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, რომლის შესახებ სპეციალური განცხადებით მიმართეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. აკრიტიკებდა რა აზერბაიჯანის ნაციონალისტების ამ მცდარ შეხედულებებს, 1922 წლის ნოემბრის დასაწყისში აზერბაიჯანის პარტიულ კონფერენციაზე ს. კიროვი მიუთითებდა: „მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან, რატომ არის, რომ ბელორუსია უშუალოდ შედის კავშირში, აზერბაიჯანი კი ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით? რა კი ასე დაისვა საკითხი — თქვა კიროვმა — მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ბელორუსიას არასოდეს არ განუცდია ის, რაც ამიერკავკა-

[1] სსრკ-ის ისტორია, სოციალიზმის ეპოქა, 1957 წ. გვ. 281.

სიის ხალხებმა განიცადეს. „ვისაც კი ვკითხავდით — რა აჩის ამიერკავკასიაო? გიპასუხებდათ — ეს რაღაც ძალზე შშფოთვარე ქვეყანაა, სადაც პერიოდულად ხოცვა-ჟლეტა იმართება. ამის მსგავსი ჩვენ არცერთ სხვა რესპუბლიკაში არ გვინახავს“.[1]

კიროვმა ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ მოწამლეს ნაციონალისტურმა პარტიებმა ნაციონალიზმის შხამით მოსახლეობა და იქვე მიუთითა: „ამ შხამის ნაშთი უნდა მოვსპოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის მეშვეობით. საერთო ოჯახში, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში, ჩვენ უნდა შეეიდეთ, როგორც ამიერკავკასიის ძმური კავშირი“.[2]

აზერბაიჯანის მშრომელებმა კიროვის ხელმძღვანელობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ნაციონალ-უკლონისტებს და ერთსულოვნად დაირაზმნენ ამიერკავკასიის ფედერაციის ლენინური იდეის სახელოვნად გატარებისათვის. აზერბაიჯანში არ დარჩენილა არც ერთი მაზრა, არც ერთი კუთხე, სადაც მუშები და გლეხები არ შეკრებილიყვნენ და არ გამოეტანათ დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის სასარგებლოდ.

აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, რომელიც ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით 1922 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში შედგა, ერთხმად დაუჭირა მხარი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ და თავის დადგენილებაში ჩაწერა:

„პარტიის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილება ცნობილ იქნას სწორად და დროულად; რომელიც პასუხობს აზერბაიჯანის და ამიერკავკასიის მშრომელი მასების ერთსულოვან მოთხოვნებს. დაუყოვნებლივ დაიწყოს ფართო კამპანია საბ-

---

[1] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1922 წ. გვ. 52.

[2] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, № 248, 1922 წ.

ჭოთა რესპუბლიკების კავშირის პრაქტიკულად განხორციელებისა, ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისა და ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის უახლოეს დროში მოწვევისათვის".[1]

ამიერკავკასიის II პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1922 წლის 11 ნოემბერს შედგა, და სადაც ს. ორჯონიკიძე გამოვიდა მოხსენებით, მოიწონა სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი, მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შესვლას სსრ კავშირში და მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევის შესახებ.

ასრულებდა რა ამიერკავკასიის მეორე პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებას, რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 12 ნოემბერს მიიღო დადგენილება ამავე წლის 10 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევის შესახებ. პლენუმმა ამიერკავკასიის საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენების გასაკეთებლად დაამტკიცა ს. კიროვი.[2]

1922 წლის 10-13 დეკემბერს ქ. ბაქოში შედგა ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელსაც 560 დელეგატი ესწრებოდა, აქედან გადამწყვეტი ხმით — 528. ყრილობამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი 40 კაცის შემადგენლობით. მათ შორის: ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, ნ. ნარიმანოვი, ფ. მახარაძე, ა. მიასნიკოვი და შ. ელიავა. ყრილობამ თავის პირველ სხდომაზე მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. დეპეშაში ნათქვამია:

„ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელიც შეიკრიბა ბაქოში და ამტკიცებს საბჭოთა პირობებში ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა განუყრელ კავშირს, ამიერკავკასიისა, რომელიც საბოლოოდ განთავი-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 2, ს. 1, ფ. 24.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 2, ს. 1, ფ. 24.

სუფლდა ანტანტისა და მის მსახურთა — მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავათელების მონობისაგან, ვინც ხელოვნურად დააქუცმაცა სამ ნაწრად ამიერკავკასიის ერთიანი ცოცხალი სხეული, — გიგზავნით თქვენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმ მრავალმილიონიანი მშრომელი მასების ბელადს, რომლებიც აჯანყდნენ და ჯანყდებიან მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ — მხურვალე ძმურ სამხრეთულ სალამს.

დავამყარეთ რა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა, როგორც საწინდარი საბჭოთა ხელისუფლების ურყევობისა ამიერკავკასიაში, და შემოვდივართ რა ერთიანი ოჯახით საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში, ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი გამოცდილი და მოხერხებული ხელმძღვანელობით და კომინტერნის დროშით, ჩვენ შეგძლებთ აქ, აღმოსავლეთის ზღურბლზე, საბჭოთა ხელისუფლების მძლავრად განმტკიცებას, ჩვენი ერთიანი მეურნეობის აღორძინებასა და საბჭოთა გავლენის გავრცელებას გამოღვიძების გზაზე მდგომ მთელ აღმოსავლეთში.

გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან დიდ ოჯახს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას, რომელსაც მოაქვს თავისუფლება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელი მასებისათვის!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს — ძვირფას ილიჩს!"[1]

ყრილობის დღის წესრიგის პირველ საკითხზე ამიერკავკასიის ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ს. მ. კიროვი, რომელმაც დაახასიათა პარტიის მიერ მიღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავრცელებამ — თქვა მან, — გვიჩვენა, რომ კაპიტალისტური რკალი, რომელშიაც დიდი ხანი იყო მოქცეული საბჭოთა რე-

---

[1] ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1923 წ. გვ. 92—93.

სპუბლიკები, გარღვეულია. მოწინააღმდეგენი უძლურნი აღმოჩნდნენ საბჭოთა ქვეყნის ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინაშე. გახსოვდეთ, რომ „თითოეული ქვა, რომლითაც ჩვენ ვაგებთ და ვაშენებთ სოციალიზმის დიად შენობას, უფრო დიდი აგიტაციაა, ვინემ ყველა წიგნი, ყველა სოციალისტის მიერ დაწერილი“.[1] კიროვმა მოუწოდა ამიერკავკასიის მშრომელებს დაერაზმათ მთელი ძალები სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ჩვენ, — მიუთითა მან, — უნდა ვიმუშაოთ მთელი ენერგიით, უნდა ვისწავლოთ საქმე, დაწყებული უბრალო სახელმწიფოებრივი ანბანიდან..

კიროვმა, დაახასიათა რა საბჭოთა ქვეყნის როგორც საშინაო ისე საგარეო მდგომარეობა, ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის ხალხების ერთ ფედერაციაში გაერთიანებისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის მნიშვნელობას. მან ოვაციის ქვეშ განაცხადა: „ჩვენ გვინდა ხელში ავიღოთ ის ბერკეტი, რომლის შემწეობითაც ჩვენ გადავაგდებთ ყველაფერს, რასაც ეწოდება: დამონავება, გამცემლობა და სიცრუე. დე, ბნელოდეს ჯერ კიდევ დასავლეთ ევროპის მუშებისათვის, მაგრამ ისინი მალე იხილავენ იმ უდიდეს მზეს, რომელიც სხივსა ფენს საბჭოთა მხარეს. ამ მზეს ვერ დაჩრდილავს ვერავითარი რეაქცია და ვერც შემთანხმებელთა პოლიტიკა. ჩვენ ვიცით, რომ მზე ანათებს მთელ კაცობრიობას და თუ მხოლოდ ნაწილი ლოკულობს ამ მზეზე, ეს ხდება იმისათვის, რომ ის კიდევ შიშშია ერწმუნოს სოციალიზმის დიადი მზის სხივებს“.[2]

ყრილობაზე ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე; მან სასტიკად გააკრიტიკა ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ისწრაფოდნენ გაეთიშათ ამიერკავკასიის ხალხები და ჩამოეგდოთ მათ შორის შუღლი. ორჯონიკიძემ ბრწყინვალედ დაასაბუთა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ფედერაციის საშუა-

---

[1] ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1923 წ. გვ. 2.

[2] იქვე.

ლებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესვლის აუცილებლობა. მოხსენების დასასრულს მან განაცხადა: „საერთო ოჯახში, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ჩვენ მივდივართ არა ცალ-ცალკე — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, არამედ მივდივართ როგორც საერთო ოჯახი ამიერკავკასიის ხალხებისა, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ პირველ ყრილობაზე და ხმამაღლა გამოაცხადეს ნაციონალური მშვიდობა, მშვიდობა, რომელიც არის და იქნება".[1]

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაადასტურა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა და შეადგინა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 150 წევრისა და 50 კანდიდატის შემადგენლობით. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ მ. ცხაკაია, ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, ა. მიასნიკოვი, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ს. ქავთარაძე, მარიამ ორახელაშვილი, ს. გეგეჭკორი, ნ. ლაკობა და სხვ.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ წინადადებით მიმართა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს მოეწვია ოთხი რესპუბლიკის: რუსეთისა და ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინისა და ბელორუსიის სსრ საბჭოების გაერთიანებული ყრილობა და განეხილა საკითხი სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ასეთივე გადაწყვეტილებები გამოიტანეს უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოების ყრილობებმა. ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ აირჩია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი ყრილობის დელეგატები: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, ს. მამულია, ა. მიასნიკოვი და სხვები, რომელთაც დაევალათ ხელი მოეწერათ საკავშირო ხელშეკრულებაზე.[2] 1922 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის ცაკის პირველმა სესიამ აირჩია

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1957 წ. გვ. 331.

[2] ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 129.

ამიერკავკასიის მთავრობა — ამიერკავკასიის სახკომსაბჭო, ნაცვლად სამოკავშირო საბჭოსი. ამავე სესიაზე მიღებულ იქნა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.

1922 წლის 26 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობამ, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ნაციონალური რესპუბლიკების ინიციატივას და მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

1922 წლის 30 დეკემბერს გაიხსნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი ყრილობა, რომელმაც ი. ბ. სტალინის მოხსენების გარშემო მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ და დაავალა, საბჭოთა კავშირის ცაკს შეემუშავებინა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი.

აფასებდა რა საბჭოთა რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანების მნიშვნელობას, ი. ბ. სტალინმა თავის მოხსენებაში ყრილობაზე განაცხადა: „საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში დღევანდელი დღე გარდატეხის დღეა. იგი ზღვარს სდებს ორ პერიოდს შორის: ესაა ძველი, უკვე განვლილი პერიოდი, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები თუმცა ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ ცალ-ცალკე მიდიოდნენ და უწინარეს ყოვლისა თავისი არსებობის საკითხისათვის ზრუნავდნენ, და ახალი, უკვე დაწყებული პერიოდი, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების განცალკევებულ არსებობას ბოლო ეღება, როდესაც რესპუბლიკები ერთიანდებიან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ სამეურნეო ნგრევასთან წარმატებითი ბრძოლისათვის...“[1] შემდეგ სტალინმა მიუთითა, რომ: „...დღევანდელი დღე არის არა მარტო შედეგთა შეჯამების დღე, იგი ამასთან ერთად არის დღე ახალი რუსეთის ზეიმისა ძველ რუსეთზე, ევროპის ჟანდარმ რუსეთზე, აზიის ჯალათ რუსეთზე“.[2]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის მუშაობაში, როგორც ამიერკავ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 172.

[2] იქვე, გვ. 174.

კასიის მშრომელების წარმომადგენელი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ს. მ. კიროვი, რომელმაც თავის სიტყვაში მოაგონა ყრილობის დელეგატებს, თუ რა აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ მშრომელები მეფის ხელისუფლების დროს. კიროვმა, ხაზი გაუსვა რა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის უდიდეს მნიშვნელობას, მიუთითა იმაზე, რომ საჭიროა ეს დღე აღინიშნოს ისე, რომ დარჩეს იმის ცოცხალ ძეგლად, თუ რა ხდება დღეს. მალე დადგება მომენტი, — თქვა მან, — როდესაც ამ დარბაზში საბჭოთა კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების დელეგატებს არ ეყოფათ ადგილი, ამიტომ კიროვმა მუშების სახელით შემოიტანა წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უახლოეს დროში მოეკიდა ხელი ისეთი შენობის აგებაზე, რომელიც დაიტევდა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლებს.[1]

ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და მათი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის საბჭოების მეორე და მესამე ყრილობებს, რომელთა მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიროვი. ამიერკავკასიის საბჭოების მეორე ყრილობაზე, რომელიც 1924 წლის 4-7 იანვარს შედგა, კიროვი არჩეულ იქნა როგორც ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში, ისე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და სრულიად საკავშირო საბჭოების II ყრილობის დელეგატად.

1925 წლის 10 აპრილიდან 14 აპრილამდე მიმდინარეობდა ამიერკავკასიის საბჭოების III ყრილობა, რომელმაც განიხილა ამიერკავკასიაში სოციალიზმის მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები. ყრილობამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი 59 კაცის შემადგენლობით. მათ შორის: მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, მ. ორახელაშვილი და შ. ელიავა. ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 207 წევრის და 117 კანდიდატის შემადგენლობით. წევრებად არ-

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 177—178.

ჩეული იქნენ: მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, მ. ორახელაშვილი, გ. სტურუა, ა. გეგეჭკორი და სხვ. ყრილობამ აირჩია აგრეთვე სრულიად საკავშირო საბჭოების III ყრილობის დელეგატები. საბჭოების მესამე ყრილობის დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით სხვა ამხანაგებთან ერთად არჩეულ იქნა ს. მ. კიროვი.[1]

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ ამიერკავკასიის ნაციონალ-უკლონისტების ბრძოლა ფედერაციის წინააღმდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. ისინი მოითხოვდნენ ფედერაციის გაუქმებას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცალ-ცალკე უშუალოდ შესვლას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ბოიკოტს უცხადებდნენ გაერთიანებულ ორგანოებს და წინააღმდეგნი იყვნენ საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების ხმარებაში შემოღებისა. ტროცკი, რომელიც მხარს უჭერდა ნაციონალ-უკლონისტებს, მოითხოვდა ს. ორჯონიკიძისა და ს. გეგეჭკორის გაწვევას ამიერკავკასიიდან. მაგრამ როგორც ი. ბ. სტალინი 1923 წლის 3 აპრილს ს. კიროვს დეპეშით აცნობებდა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით უარყოფილ იქნა ტროცკის გამცემლური მოთხოვნა, ს. ორჯონიკიძე და ს. გეგეჭკორი დატოვებულ იქნენ ამიერკავკასიაში სამუშაოდ, ხოლო ბ. მდივანი, რომელიც სათავეში ედგა ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს, გაწვეულ იქნა საქართველოდან.[2]

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში ნაციონალ-უკლონისტების გამოვლინებისა და დამარცხების საქმეში გარკვეული ადგილი უჭირავს რკპ(ბ) ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის II ყრილობას, რომელიც თბილისში 1923 წლის 19 მარტიდან 23 მარტამდე მიმდინარეობდა. ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში ს. მ. კიროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია: ლენინი, სტალინი, კაშენი და კლარა ცეტკინი. ყრილობის საქმიან

---

1 ამიერკავკასიის საბჭოების III ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1925 წ. გვ. 75.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 10, გვ. 15.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 18 კაცი, მათ შორის მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, მ. ორახელაშვილი, ნ. ნარიმანოვი და ა. მიასნიკოვი.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს — დიდ ლენინს.

ყრილობაზე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომელიც ვრცლად შეეხო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობას, ამავე დროს მკაცრად გააკრიტიკა ნაციონალ-უკლონისტები გამთიშველი მოქმედებისათვის.

ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი, რომელიც მიმართული იყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და მათი მჭიდრო თანამშრომლობის გაფართოებისაკენ.

ყრილობაზე კიროვი მეორედ იქნა არჩეული პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად. ყრილობამ აირჩია რკპ(ბ) XII-ყრილობის დელეგატები 33 კაცის შემადგენლობით. მათ შორის გადამწყვეტი ხმით — 25. პარტიის XII ყრილობის დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნა ს. მ. კიროვი.[1]

ნაციონალ-უკლონისტები საბოლოოდ მხილებულ და განადგურებულ იქნენ რკპ(ბ) XII ყრილობაზე, რომელიც 1923 წლის აპრილში ჩატარდა.

„ქართული შოვინიზმი (საქართველოში), — ნათქვამია რკპ(ბ) XII ყრილობის რეზოლუციაში, — მიმართული სომხების, ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგ; აზერბაიჯანული შოვინიზმი (აზერბაიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ; უზბეკური შოვინიზმი (ბუხარასა და ხორეზმში), მიმართული თურქმენებისა და ყირგიზების წინააღმდეგ; სომხური შოვინიზმი და სხვ., — ყველა ამ სახის შოვინიზმი, რასაც ამასთანავე ხელს უწყობენ ახალი ეკონომიური პოლიტი-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 13, ს. 182, ფ. 424.

კისა და კონკურენციის პირობები, წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკას ჩხუბისა და კინკლაობის ასპარეზად გადაქცევას უქადის. რაღა თქმა უნდა, ყველა ეს მოვლენა აფერხებს ერთიან სახელმწიფო კავშირად ხალხთა ფაქტიური გაერთიანების საქმეს".[1]

ყრილობამ დაჰგმო როგორც ველიკორუსული შოვინიზმი, ისე ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, როგორც კომუნიზმის საქმისათვის მავნე და საშიში, და მოუწოდა პარტიას მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ. პარტიის XII-ყრილობაზე კიროვი არჩეულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

ასრულებდნენ რა რკპ(ბ) XII-ყრილობის გადაწყვეტილებას, აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა ს. კიროვის მეთაურობით გამოავლინეს და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ბურჟუაზიული ნაციონალისტური ჯგუფები, რომლებიც პარტიის XII-ყრილობის შემდეგ გამოვიდნენ და ცდილობდნენ ნაციონალური საკითხი კინკლაობისა და ჯგუფობრივი ბრძოლის იარაღად გადაექციათ, რათა რყევა შეეტანათ აზერბაიჯანის ბოლშევიკების რიგებში. აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციაში ნაციონალ-უკლონისტების განადგურების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბაქოს საერთო საქალაქო XIII-პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც კიროვის ხელმძღვანელობით 1924 წლის აპრილში ჩატარდა.

კონფერენციამ განიხილა საკითხი „ანტიბოლშევიკური გადახრის შესახებ ნაციონალურ საკითხში" და შეაჯამა ის მუშაობა, რომელიც გასწიეს ბაქოს ბოლშევიკებმა პარტიის XII ყრილობის დადგენილების განსახორციელებლად. კონფერენციამ გამოავლინა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფს, რომელიც ხანბუდაგოვის მეთაურობით ცდილობდა დაერღვია ინტერნაციონალური კავშირი პარტიისა და მუშათა კლასის რიგებში.

პარტიულმა კონფერენციამ დაჰგმო აზერბაიჯანის ნაციო-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცეკას პლენუმების რეზოლუციების და გადაწყვეტილებების კრებული, ნაწილი I, 1954 წ. გვ. 921.

ნალისტების კონტრრევოლუციური გამოლაშქრება ნაციონალურ საკითხში. მან თავის რეზოლუციაში ჩაწერა: „პარტკონფერენცია, რომელიც აჯამებს და ანალიზს უკეთებს ცალკეული ამხანაგების პოზიციას, აღნიშნავს, რომ ამხანაგთა ამ ჯგუფის სახით ჩვენ გვაქვს არა მარტო პირდაპირი დაშორება ნაციონალური საკითხის ბოლშევიკური ლენინური გაგებიდან, არამედ, აგრეთვე, აშკარა გარკვეული წვრილბურჟუაზიული გადახრაც".[1]

კონფერენციამ დაავალა პარტიული კონტროლის კომისიას სასტიკი კონტროლი გაეწია პარტიის პროლეტარული ხაზის დაცვის საქმისათვის, ძირშივე მოესპო კინკლაობა, დაჯგუფება და ფრაქციული მუშაობა, როგორც პარტიის ერთიანობისათვის საშიში მოქმედება.

ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის ჩატარებულმა მუშაობამ, რომელიც ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გასწიეს, ს. მ. კიროვს საშუალება მისცა აზერბაიჯანის კპ(ბ) VI ყრილობის ტრიბუნიდან 1924 წლის მაისში ეთქვა: „ჩვენ საქვეყნოდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციამ საბოლოოდ მიიღო თავისი ნამდვილი სახე, თავისი იურიდიული გაფორმება და წარმოადგენს ფედერაციას არა ფორმალურად, როგორც ეს წინათ იყო, არამედ ფედერაციას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით".[2]

პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში გარკვეული როლი ითამაშა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების III ყრილობამ, რომელიც თბილისში 1924 წლის 13 მაისიდან 15 მაისამდე მიმდინარეობდა. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. მ. ცხაკაიამ. ყრილობაზე რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომელმაც დაახასიათა როგორც საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, ისე ის მუშაობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში გასწიეს ამიერკავკასიის კომუნისტებმა

---

[1] აზერბაიჯანის კპ(ბ) ბაქოს ორგანიზაციის XII კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში, 1924 წ. გვ. 219.

[2] გაზ. „ზარია ვოსტოკა", № 278, 1924 წ.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა, ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარებისა და კომუნისტების მარქსისტულად აღზრდის საქმეში. ყრილობის როგორც მომზადებაში, ისე ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიროვი. ყრილობამ იგი მესამედ აირჩია პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად.

პარტიის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების III ყრილობამ აირჩია რკპ(ბ) XIII ყრილობის დელეგატები 45 კაცის შემადგენლობით. ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით არჩეულ იქნენ: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ა. მიასნიკოვი, ვ. სტურუა, შ. ელიავა და სხვები.[1]

როგორც ცნობილია, 1924 წლის აგვისტოს ბოლოს მენშევიკები, სხვა ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, უცხოელი იმპერიალისტებისა და II ინტერნაციონალის დავალებით შეეცადნენ მოეწყოთ კონტრრევოლუციური აჯანყება საქართველოში. მენშევიკების ეს ავანტურა მიზნად ისახავდა დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და აღედგინა კაპიტალიზმი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. აჯანყებაში ძირითადად მონაწილეობა მიიღეს ანტისაბჭოთა ელემემტებმა: მეფის ყოფილმა ოფიცრებმა, კულაკებმა, ვაჭრებმა, ხუცებმა, თავადაზნაურობამ და სისხლის სამართლის დამნაშავე პირებმა.

საქართველოს მუშები, მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია ზიზღითა და აღშფოთებით შეხვდნენ მენშევიკების სისხლიან ავანტიურას. ახლად შექმნილი ქართული წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს მშრომელების დახმარებით უმოკლეს დროში ლიკვიდაცია უყვეს მენშევიკების აჯანყებას. მენშევიკების ავანტიურა სამარცხვინოდ ჩაიშალა.

1924 წლის ოქტომბერში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის საკითხი, რომლის შესახებ პლენუმზე მოხსენება ამხ. ს. ორჯონიკიძემ გააკეთა. ამხ. ორჯონიკიძემ თავის მოხსენებაში გააშუქა ის მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყეს აგვის-

[1] „ამიერკავკასიის კპ(ბ) III ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში", 1924 წ. გვ. 169.

ტოს აჯანყებას საქართველოში და ჩამოაყალიბა საქართველოს კომუნისტების ამოცანები მიმდინარე ეტაპზე სოფლად მუშაობის დარგში.

პლენუმმა ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო სოფლად მოსახლეობას შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

მენშევიკების კონტრრევოლუციური აჯანყების ჩაშლამ დაამტკიცა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე. მანვე ცხადყო, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები ერთხელ და სამუდამოდ დადგნენ სოციალიზმის გზაზე.

უკეთებდა რა ანალიზს მენშევიკების სისხლიანი ავანტიურის შედეგს, ს. კიროვმა თავის გამოსვლაში ამიერკავკასიის რკინიგზელთა ყრილობაზე 1924 წლის 15 ოქტომბერს განაცხადა: უკანასკნელმა ამბებმა, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში, გვიჩვენა ჩვენი სიმტკიცე. მოტყუებული გლეხების უმნიშვნელო ნაწილის გარდა თავადაზნაურობის მხარეზე არავინ არ წასულა. აჯანყების მიმდინარეობამ გვიჩვენა, თუ რამდენად სწორად გვქონდა აღებული კურსი ჩვენს სახელმწიფო მშენებლობაში, რამდენად სწორად გვაქვს გაშლილი ჩვენი სოციალისტური პროგრამა. „მიუხედავად ყოველმხრივი მომზადებისა აჯანყების მთელი ეპიზოდი მხოლოდ 2-3 დღით შემოისაზღვრა“.[1]

საქართველოში კონტრრევოლუციური გამოსვლების შესახებ 1924 წლის 29 ნოემბერს აზერბაიჯანის კპ(ბ) ბაქოს კომიტეტმა კიროვის ხელმძღვანელობით წერილით მიმართა პარტიულ ორგანიზაციებს და რაიონულ კომიტეტებს. წერილში ნათქვამი იყო, რომ სისხლიანი ავანტიურის გზით ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის იმპერიალისტები მიზნად ისახავდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში, ხელთ ეგდოთ ბაქოს ნავთი, ამისათვის ამარაგებდნენ ისინი ქართველ მენშევიკებს ფულით და სხვა რესურსებით. როგორც წერილ-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის არქივი, ფ. 268, გვ. 119.

ში არის ნაჩვენები, საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტებს დაგეგმილი ჰქონდათ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის მასიური გამოსვლის შემთხვევაში აჯანყებულებისათვის აჭარაში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში ხელმძღვანელობა გაეწიათ თურქ ოფიცრებს.[1] მაგრამ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ამ გიჟურ გეგმას განხორციელება არ ეწერა. მათ ვერ შეძლეს ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანსა და აზერბაიჯანში კონტრრევოლუციური აჯანყების მოწყობა, ხოლო საქართველოში უცხოელი დამპყრობლების დახმარებით მენშევიკების მიერ მოწყობილი ავანტიურისტული გამოსვლები სასწრაფოდ იქნა ლიკვიდირებული.

1925 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის კპ (ბ) VII ყრილობაზე ს. მ. კიროვმა რესპუბლიკის ბოლშევიკების წინაშე დააყენა ამოცანა—შემდგომაც განემტკიცებინათ ამიერკავკასიიის რესპუბლიკების ფედერაცია, როგორც პოლიტიკურად, ისე მეურნეობრივად, ამასთან მოითხოვა ჯეროვანი ყურადღება მიექციათ საზღვრისპირა მხარეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რათა შექმნილიყო ამიერკავკასიის ხალხთა ნამდვილი ძმური ოჯახი.

1925 წლის 5 დეკემბრიდან 9 დეკემბრამდე ქ. თბილისში მიმდინარეობდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების IV ყრილობა, რომელმაც შეაჯამა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები.

ყრილობაზე საანგარიშო პერიოდში რკპ (ბ) ამიერკავკასიის საშხარეო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე. ყრილობამ ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლუციაში ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან მოითხოვა კიდევ უფრო გაეძლიერებინათ მუშაობა ამიერკავკასიის ფედერაციისა და

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 281. გვ.—11.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი გამტკიცებისათვის. ყრილობამ მოითხოვა განეგრძოთ ბრძოლა ნაციონალიზმის ნაშთების წინააღმდეგ მისი საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობის მუშაობა, ყრილობის პრეზიდიუმის თხოვნით შეაჯამა კიროვმა, მან აღნიშნა: ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების IV ყრილობაზე ჩვენ მივიღეთ ამიერკავკასიის ფედერაციის გამტკიცების ახალი პროგრამა, ამიერკავკასიის ფედერაციის ეკონომიური საძირკველის განმტკიცების, სოფლად მუშაობის გაუმჯობესებისა და მრეწველობის შემდგომი განვითარების პროგრამა.[1] კიროვმა თავისი სიტყვის დასასრულს ოვაციის ქვეშ განაცხადა: „თუ კაცობრიობას, თუ მშრომელთ და ჩაგრულთ ნამდვილად სურთ გამონახონ გზა რაიმე ახლისაკენ, რაიმე ისეთისაკენ, რაც ნამდვილად იხსნის ყველა ჩაგრულს, მათ უნდა შეიგნონ, რომ ხსნა ახლა მოდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, რომელიც დაარსა კაცობრიობის დიდმა მოციქულმა ვ. ი. ლენინმა, სწორედ ამ კავშირისაგან, რომელიც ჩვენ ვალდებული ვართ განვამტკიცოთ დღეს და რომლის საფუძველზედაც ჩვენ უნდა წავიყვანოთ კაცობრიობა ბედნიერებისაკენ, სოციალიზმისაკენ, ჰეშმარიტი თანასწორუფლებისაკენ“.[2]

ყრილობამ კიროვი აირჩია რკპ (ბ) XIV ყრილობის დელეგატად და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად.

ამრიგად, ს. კიროვი ს. ორჯონიკიძისა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად სახალხო მეურნეობის აღდგენის მძიმე წლებში განუხრელად იბრძოდა ამიერკავკასიაში ხალხთა მეგობრობის გამტკიცებისათვის. სწორედ ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ნაციონალ-უკლონისტებთან სასტიკი ბრძოლის ვითარებაში შექმნეს ერ-

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, № 284, 1925 წ.

[2] იქვე.

ოვნული მშვიდობისა და მეგობრობის ნიმუში — ამიერკავკასიის ფედერაცია.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება ერთ ფედერაციაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ფედერაციის საშუალებით პარტიამ შეძლო შეენარჩუნებინა და კიდევ უფრო განემტკიცებინა ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეროვნული მშვიდობა და მეგობრობა. ფედერაციამ თავისი არსებობის 14 წლის განმავლობაში დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკების აგრარულიდან სამრეწველო რესპუბლიკებად გადაქცევის საქმეში. ამიერკავკასიაში ფედერაციის საშუალებით მიღწეულ იქნა დიდი წარმატებები როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური და კულტურული განვითარების ფრონტებზე. ამიერკავკასიის ფედერაცია, მას შემდეგ რაც მან თავისი როლი შეასრულა, 1936 წლის დეკემბერში ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმებულ იქნა. ამირკავკასიის რესპუბლიკები: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, როგორც სრულუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკები, პირდაპირ შევიდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში.

* * *

ამიერკავკასიაში მუშაობის პერიოდში ს. კიროვმა ს. ორჯონიკიძესთან ერთად დიდი მუშაობა გასწია კომუნისტების მარქსისტულად აღზრდისა და მათ რიგებში ლენინური ერთიანობის შესანარჩუნებლად. მათი ხელმძღვანელობით აზერბაიჯანში ბოლშევიკები ულმობლად იბრძოდნენ ლენინიზმის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ პარტიის რიგებში შეეტანათ რყევა და უნდობლობა. კიროვი აზერბაიჯანის ბოლშევიკებს ზრდიდა ანტიმარქსისტული დაჯგუფების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის სულისკვეთებით. კიროვის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის ბოლშევიკების მიერ პარტიის რიგების ერთიანობის განსამტკიცებლად ჩატარებულმა მუშაობამ ბაქოში მისი სამუშაოდ მოსვლის ნახევარი წლის შემდეგ საშუალება მისცა მას აზერბაიჯანის კპ (ბ) IV ყრილო-

ბაზე 1922 წლის თებერვალს განეცხადებინა: „წინათ არსებული შინაპარტიული უთანხმოება მოსპობილია“.[1]

ისარგებლეს რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის — ვ. ი. ლენინის ავადმყოფობით, საერთაშორისო მდგომარეობის გართულებითა და ქვეყნის სამეურნეო სიძნელეებით, კონტრრევოლუციონერებმა ტროცკის მეთაურობით უტიფრად დაარღვიეს ვ. ი. ლენინის წინადადებით პარტიის X ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება ფრაქციების აკრძალვის შესახებ და არალეგალურად დაიწყეს ანტილენინური ჯგუფების ნამსხვრევთა შეგროვება პარტიაზე იერიშის მისატანად. ტროცკიმ შეკრიბა პარტიაში მყოფი ყველა ანტილენინური ელემენტები, ოპოზიციური ჯგუფები და შეთითხნა „46 ოპოზიციონერის პლატფორმა“, რომელშიც ისინი წინასწარმეტყველებდნენ მძიმე ეკონომიურ კრიზისს, საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას და მოითხოვდნენ ფრაქციათა და დაჯგუფებათა თავისუფლებას. „46-ის პლატფორმის“ შემდეგ ტროცკიმ გამოუშვა წერილი, რომელშიც ლაფში სვრიდა პარტიულ კადრებს, აყენებდა ახალ ცილისმწამებლურ ბრალდებებს პარტიის მიმართ. ოპოზიცია ცდილობდა შეერყია პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი და პარტიის წევრები დაეპირისპირებინა პარტიული აპარატისათვის, ხოლო ახალგაზრდობა კი — პარტიის ძველი კადრებისათვის.

ტროცკისტები აგრეთვე გაჰყვიროდნენ პარტიის ლენინური გვარდიის გადაგვარებაზე. ამრიგად, 1923 წლის შემოდგომაზე ტროცკისტებმა პარტიას ახალი დისკუსია მოახვიეს თავს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ს. ორჯონიკიძის და ს. კიროვის მეთაურობით დისკუსიის პერიოდში მტკიცედ დაიცვეს პარტიის ლენინური ხაზი, დაამარცხეს ტროცკისტ-მყვირალები და ერთსულოვნად დაირაზმნენ კომუნისტური პარტიის ლე-

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 57.

ნინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. 1923 წლის 24 დეკემბერს ბაქოს პარტიული აქტივისა და უჯრედების ბიუროს კონფერენციის ტრიბუნიდან ამხანაგმა კიროვმა აზერბაიჯანის კომუნისტებს განუცხადა: „ჩვენ აქ—ჩვენს კონფერენციაზე,—უნდა ვთქვათ, რომ პარტიის შიგნით აღ უნდა ექნეს ადგილი არავითარ დაჯგუფებას. იქონიეთ მხედველობაში, რომ ამ მომენტში ჩვენ უნდა ვიყოთ უფრო ძლიერნი, ვიდრე ოდესმე. არც ერთი მწკრივი ჩვენს რიგებში არ უნდა შედრკეს... მე ვფიქრობ, რომ ბაქოს ორგანიზაციას ესმის ეს და თავის მტკიცე სიტყვას იტყვის პიტერის (ლენინგრადის) შემდეგ“.[1]

აჯამებდა რა დისკუსიის პერიოდში ტროცკისტების წინააღმდეგ აზერბაიჯანის ბოლშევიკების მიერ ჩატარებული ბრძოლის შედეგებს, 1924 წლის მაისში აზერბაიჯანის კპ (ბ) VI ყრილობაზე კიროვმა თქვა: „აზერბაიჯანის ორგანიზაცია თავიდანვე იდგა ლენინური პოზიციის თვალსაზრისზე და მეტ ერთიანობას და დარაზმულობას, როგორც აზერბაიჯანშია, იშვიათად თუ ნახავთ სადმე“.[2]

როგორც ცნობილია, დისკუსიის პერიოდში ტროცკისტები სასტიკად დამარცხდნენ. რკპ (ბ) XII კონფერენციამ, რომელიც 1924 წლის იანვარში შედგა, მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება დისკუსიის შედეგებზე სასტიკად დაჰგმო ტროცკისტული ოპოზიცია და აღნიშნა, რომ ამ ოპოზიციის სახით პარტიას საქმე აქვს მარქსიზმიდან წვრილბურჟუაზიულ გადახრასთან. კონფერენციის გადაწყვეტილებანი მოწონებულ იქნა რკპ (ბ) XIII ყრილობისა და კომინტერნის V კონგრესის მიერ. მიუხედავად ამისა, ტროცკისტებმა არ შეწყვიტეს თავიანთი მოღალატური მოქმედება. ისარგებლა რა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებით, 1924 წლის შემოდგომაზე ტროცკიმ დაბეჭდა სტატია „ოქტომბრის გაკვეთილები“, რომელშიც ის ცილს სწამებდა მთელ პარტიასა და მის ბელადს — ვ. ი. ლენინს. იგი

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის არქივი, ს. კიროვის სტატიები და მოხსენებები, ტ. III, გვ. 273—274.

[2] გაზ. „ზარია ვოსტოკა“, № 278, 1924 წ.

ცდილობდა ლენინიზმი შეეცვალა ტროცკიზმით. პარტია ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით აღშფოთებით შეხვდა ტროცკის ამ ცილისწამებას ბოლშევიზმის გმირულ ისტორიაზე და მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს ტროცკისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

1924 წლის 2 დეკემბერს აზერბაიჯანის კპ (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმზე კიროვი გამოვიდა მოხსენებით „ტროცკის გამოსვლის შესახებ“, სადაც დაგმო ტროცკის გამცემლური მოქმედება და მოუწოდა აზერბაიჯანის ბოლშევიკებს ერთსულოვნად დარაზმულიყვნენ ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ტროცკისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. კიროვის მოხსენების გარშემო პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „ცდებს — შეიცვალოს ლენინიზმი ტროცკიზმით — მთელი ჩვენი პარტიის მიერ უნდა გაეწიოს გადამწყვეტი და ძლიერი წინააღმდეგობა, როგორც ეს ხდებოდა არა ერთხელ წინა წლებში“.[1]

ტროცკიზმის გამოვლინებისა და განადგურების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ვ. ი. ლენინის მოწაფესა და თანამებძლოს, დიდ მარქსისტ-ლენინელს ი. ბ. სტალინს, რომელიც ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით დარაზმა პარტია დიდ მონოლითურ ძალად ტროცკისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა ჯურის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ი. ბ. სტალინმა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საკავშირო ცენტრალური საბჭოს ფრაქციის პლენუმზე 1924 წლის ნოემბერში წარმოთქვა სიტყვა „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?“, რომელშიც ნიღაბი ახადა ტროცკის მტრულ მოქმედებას და კომუნისტურ პარტიას ამოცანად დაუსახა: „დაასამაროს ტროცკიზმი, როგორც იდეური მიმდინარეობა“. ტროცკიზმის იდეური განადგურებისა და ლენინიზმის დაცვის საქმეში დიდი როლი შეასრულა ი. ბ. სტალინის შრომამ „ლე-

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სიტყვები და სტატიები. 1939 წ. გვ. 59.

ნინიზმის საფუძვლების შესახებ", რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა.

კიროვს მიუძღვის უდიდესი დამსახურება ბაქოს ნავთის მრეწველობისა და აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში, ასევე დიდი მუშაობა გასწია მან აზერბაიჯანში, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისა და აზერბაიჯანელი ქალის საშუალო საუკუნეობრივი მონობიდან გამოყვანის, მისი კომუნისტურად აღზრდისა და სოციალისტური მშენებლობაში ჩაბმის საქმეში.

1921—1925 წლებში აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა კიროვის მეთაურობით დიდი მუშაობა ჩაატარეს ბაქოს ნავთის მრეწველობაში ნავთის ახალი სარეწაოების ათვისების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კიროვი ს. ორჯონიკიძესთან ერთად არის ინიციატორი ბაქო-ბათუმის ახალი ნავთსადენის გაყვანისა და ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების აშენებისა. როგორც ცნობილია, ბაქოში ტრამვაის ხაზი რომელიც 1924 წელს ამუშავდა პირველად გაყვანილ იქნა კიროვის ხელმძღვანელობით. კიროვი არის აგრეთვე ინიციატორი და ორგანიზატორი ბაქოსა და საბუნჩიას შორის საბჭოთა კავშირში პირველი ელექტროფიცირებული რკინიგზის გაყვანისა, რომელიც ექსპლოატაციაში 1926 წელს შევიდა და რომელმაც გადაწყვიტა ნავთის სარეწაოებს შორის კავშირის პრობლემა.

აზერბაიჯანის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში კიროვი ედგა, სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში ბაქოს მუშებმა არა მარტო დაამთავრეს ბაქოს ნავთის მრეწველობის ომამდელი დონის აღდგენა, არამედ მიაღწიეს იმას, რომ ნავთის მრეწველობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე ადრე მთლიანად შევიდა რეკონსტრუქციის პერიოდში, ნავთის კაპიტალის განახლების პერიოდში, რამაც მოამზადა ნიადაგი ნავთის მრეწველობაში პირველი ხუთწლიანი გეგმის ორნახევარ წლის განმავლობაში შესრულებისათვის.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კიროვის დამსახურება საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, 1931 წლის აპრილში ნავთის მრეწველობაში პირველი ხუთწლიანი გეგმის

ვადაზე ადრე შესრულებასთან დაკავშირებით, ნავთის მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ს. მ. კიროვი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

კიროვის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის ბოლშევიკები შეუნელებელ ყურადღებას აქცევდნენ პარტიის რიგების განმტკიცებას, მისი რიგების სიწმინდესა და კომუნისტთა იდეური გამოწრთობის საქმეს.

ს. მ. კიროვი აზერბაიჯანში მოღვაწეობის პერიოდში მუშაობდა ისეთი რთული ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორიც იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება, აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა და ამიერკავკასიაში ერთა შორის მეგობრობის დამყარება. ამავე დროს იგი დიდ ყურადღებას აქცევდა კომუნისტების პოლიტიკური განათლებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს. კიროვი კომუნისტებისაგან მოითხოვდა არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გაეშალათ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ხოლო პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებით გაემახვილებინათ ყურადღება კომუნისტების ლენინურად აღზრდაზე, როგორც ყველაზე ღირსეულ, ყველაზე ძვირფას და ყველაზე უახლოესზე ყოველი ბოლშევიკისათვის.[1] მას ყოველთვის მტკიცედ ეპყრა ხელთ მარქსისტულ-ლენინური კომპასი, რომელსაც საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიჰყავდა და მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ჩვენი პარტიის დამაარსებელმა დიდმა ბელადმა, ვ. ი. ლენინმა, — განაცხადა კიროვმა აზერბაიჯანის კომუნისტების

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 85.

VII ყრილობაზე 1925 წლის დეკემბერს, — ჩვენ დაგვიტოვა ზუსტი მარქსისტულ-ლენინური კომპასი. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, შევინარჩუნებთ თუ არა ამ კომპასს. თუ ჩვენმა პარტიამ შეძლო ამ კომპასის შენარჩუნება, — მიუთითებდა კიროვი, — მაშინ პროლეტარიატის საქმის გამარჯვება, ჩვენი ქვეყნის მშრომელების საქმისა და ასევე მთელი მსოფლიოს მშრომელების საქმის გამარჯვება, უეჭველად, უზრუნველყოფილი იქნება.[1]

1924 წლის 22 აპრილს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს ორგანიზაციის პარტიული კლუბის გახსნისას სერგეი მირონის ძე კიროვმა წარმოთქვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 54 წლისთავისადმი მიძღვნილი მგზნებარე სიტყვა, რომელშიც მან ვ. ი. ლენინი დაახასიათა, როგორც კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, როგორც რევოლუციის გენია, — უდიდესი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი, როგორც არაჩვეულებრივი რევოლუცირნელი, როგორც მამა ყველა ჩაგრული რასისა და ეროვნებისა, როგორც ყველაზე უბრალო და უგულითადესი ადამიანი და ამხანაგი.

ლენინის, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის შესახებ კიროვი ამბობდა:

„თქვენ იცით, რომ ილაპარაკო დაუვიწყარი ილიჩის ცხოვრებაზე — ეს იგივეა, რაც ილაპარაკო რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრებასა და მოძრაობაზე, ისე მჭიდროდ გადაეწნასკვა ილიჩის პირადი ცხოვრება რუსეთის მუშათა მოძრაობის ბედს.

სრული 54 წლის წინათ რუსეთის დიდი მდინარის პირას დაიბადა ადამიანი, რომელმაც შეძრა მთელი მსოფლიო. ამ

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი", № 275, 1925 წ.

დროს იბადებოდა აგრეთვე მსოფლიო რევოლუციის მოწინავე — რუსეთის მუშათა კლასი.

ლენინმა ადრე გამოამჟღავნა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მონაცემები. უკვე ახალგაზრდობიდანვე — სიჭაბუკიდან განიმსჭვალა იმ იდეებით, რომელსაც მან შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე".[1]

ლენინზე, როგორც უდიდეს თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსზე, იყო ნათქვამი კიროვის სიტყვები:

„შეერთებამ უღრმესი თეორეტიკოსისა არანაკლებ ღრმა პრაქტიკოსთან, გადააქცია იგი უდიდეს არაჩვეულებრივ რევოლუციონერად, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ არ უნახავს მსოფლიოს".[2]

ლენინზე, როგორც ყველა ხალხის და ჩაგრული ერების მამაზე, ს. მ. კიროვმა თქვა:

„თუ რუსი გლეხი უწოდებს ლენინს მამას, ყვითელი, შავი და სხვა რასის ადამიანები არანაკლები უფლებით უწოდებენ მას აგრეთვე მამას. მსოფლიო ბრძოლის მასშტაბით სოციალიზმისათვის ლენინმა გაითვალისწინა აღმოსავლეთის უდიდესი არმია.

ჩვენ ვხედავთ უდიდეს მოძრაობას, აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ მხოლოდ განვითარებას იწყებს. მხოლოდ გენიალურ ილიჩს შეეძლო განეჭვრიტა, რომ აღმოსავლეთს შეუძლია გახდეს რევოლუციური, ამაშია მისი დიდი დამსახურება".[3]

დაახასიათა რა ვ. ი. ლენინი, როგორც კომუნისტური პარტიის ბელადი და დიდი ორგანიზატორი, კიროვმა განაცხადა:

„ჩვენი პარტიის ისტორია არის ილიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) შექმნაში მან გამოავლინა თავისი თავი, როგორც დიდმა ორგანიზატორმა. უნარი განჭვრეტისა, უდიდესი ენერგია, შეურიგებლობა ოპორტუნიზმთან ბრძოლაში აძლევ-

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 179.

[2] იქვე გვ. 180.

[3] იქვე გვ. 181.

დნენ მას შესაძლებლობას მსოფლიოში უდიდესი პარტიის ჩამოყალიბებისა.

ჩვენს პარტიაში ბევრია მედგარი ადამიანი, მაგრამ ისეთი, როგორიც ლენინია არ ყოფილა. კომინტერნში ყველა შემსვლელს იგი უკარნახებდა მკაცრ პირობებს. მან შეძლო შეექმნა ჩვენი პარტიისათვის კოლოსალური ავტორიტეტი.

დადგება დრო, როცა ამოიღებენ არქივიდან დოკუმენტებს, სადაც ფიქსირებული იქნება ილიჩის გიგანტური მუშაობა. მაგრამ არის სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც ლაპარაკობენ ილიჩზე, როგორც დიდ წინასწარმეტყველზე. მან იწინასწარმეტყველა იმპერიალისტური ომი და თებერვლის რევოლუცია; როდესაც დადგა თებერვალი, ილიჩი წერდა, რომ მწიფდება მეორე რევოლუცია, რომელიც წაიყვანს მუშებსა და გლეხებს ინგლისური და ფრანგული კაპიტალის წინააღმდეგ, იგი არ შემცდარა.

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის შესწავლა, ეს არის შესწავლა თვით ლენინისა".[1]

ახასიათებდა რა ვ. ი. ლენინს, როგორც ყველაზე გულითად ადამიანსა და ამხანაგს, ს. მ. კიროვი ამბობდა:

„ვიტყვი რამოდენიმე სიტყვას ლენინზე როგორც ადამიანზე, უფრო გულითად ადამიანს ჩვენთაგანი არასოდეს არ შეხვედრია. იგი იყო მრავალმხრივი. იგი შოულობდა ყველა ჩვენთაგანის გულების გასაღებს. განა იყო ისეთი წევრი პარტიისა, რომელსაც არ ცოდნოდა მისი გულითადობა!

ამხანაგების წრეში იგი ხედავდა ყოველ წვრილმანს, მაგრამ ამას არ იმჩნევდა, იგი ყოველთვის იყო მისაწვდომი და ურთიერთობის მოყვარე, მუშებთან და გლეხებთან მას დიდხანს შეეძლო ლაპარაკი წვრილმანებზე, ჩვენი მტრებიც კი მოხიბლულნი იყვნენ ილიჩით.

არავინ არ იცნობდა კაცობრიობას ისე, როგორც იგი და მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას მისი რევოლუციური სითამამე".[2]

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 181.

[2] იქვე გვ. 182.

ამთავრებდა რა თავის შესანიშნავ სიტყვას ვ. ი. ლენინზე, კიროვმა მოუწოდა აზერბაიჯანის ბოლშევიკებს: განუხრელად ევლოთ ლენინიზმის გზით, უკუეგდოთ ყოველივე ის, რაც შეურაცხყოფდა ადამიანს. ამის შესახებ მან განაცხადა:

„ლენინი გარდაიცვალა... მან საძირკველი ჩაუყარა მომავალ სოციალისტურ წყობილებას. ყველა ჩვენთაგანი, ვინც გაიზარდა კომუნისტურ პარტიაში, გრძნობს ილიჩის ხელმძღვანელ ხელს და თუ ჩვენ შევძელით პარტიაში ილიჩის სული შევინარჩუნოთ, ჩვენ სოციალიზმის მშენებლობას ბოლომდის მივიყვანთ. ჩვენ ეხლა მაინც გვეადვილება ეს, რადგან ჩვენ გვაქვს საიმედო, შემოწმებული პარტიული კომპასი და ჩვენ ადვილად ვიპოვით გზას.

ილიჩი გვეუბნებოდა ჩვენ: იარე წინ და წინ, რომ მხეცმა კაპიტალიზმმა ბრძოლის ველზე კიდევ არ გაყაროს მუშები და გლეხები. მისი მემკვიდრეობიდან ჩვენ შევქმნით ლენინიზმს. მხოლოდ ერთი გზაა მომავლისაკენ — ლენინიზმის შესწავლა.

გავიმსჭვალოთ ჩვენი ბელადის შთაგონებით, შევიძულოთ ყველა ძაფები ჩვენი სულისა, რომელიც ამონებს და შეურაცხყოფს ადამიანს“.[1]

ს. მ. კიროვი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა კომუნისტების მიერ ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საქმეს, როგორც კომუნისტების მარქსისტული აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ბოლშევიზმის ისტორია, — ამბობდა კიროვი, — არის საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო იარაღი კომუნიზმისათვის ბრძოლაში. დაუცხრომელი იარაღი საბჭოთა ქვეყნის მუშებისა და გლეხების ხელში კომუნიზმის მშენებლობისათვის. პარტიის ისტორია, — მიუთითებდა კიროვი,—გვასწავლის, თუ როგორ გავათავისუფლოთ მშრომელები კაპიტალისტური მონობისაგან და როგორ მოვიპოვეთ მუშათა კლასის დიქტატურა. ყოველი სტრიქონი ჩვენი პარტიის ისტორიისა — ეს ბრძოლის უბრალო ქრონიკა როდია, არამედ ეს არის .დიდი, ღრმა მეცნიერება, რომლის შეუსწავ-

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 183.

ლელად ვერ მოახდენ პროლეტარულ რევოლუციას'. ამიტომ კიროვი მოითხოვდა კომუნისტებისა და კომკავშირელებისაგან დაუფლებოდნენ კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიას.

• • •

პარტია კარგად იცნობდა კიროვს, როგორც დაუშრეტელი ენერგიის ადამიანს და კომუნიზმის საქმისადმი დაუღალავ მებრძოლს. ამიტომ მას გზავნიდა სამუშაოდ სოციალიზმის მშენებლობის ყველა რთულ და პასუხსაგებ უბანზე. როცა ზინოვიევის საზიზღარი ბანდა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ გამოვიდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით პარტიის XIV ყრილობის მიმდინარეობის დროს ს. ორჯონიკიძესა და ა. მიქოიანთან, ყრილობის დამთავრების შემდეგ კი ამხანაგებთან: კ. ვოროშილოვთან, მ. კალინინთან, ა. ანდრეევთან და გ. პეტროვსკისთან ერთად კიროვი იგზავნება ლენინგრადში, სადაც განუმარტავს ლენინგრადის ბოლშევიკებს პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ნიღაბს ხდის ზინოვიევის ტროცკისტული, კონტრრევოლუციური ჯგუფის გამცემლურ მოქმედებებს.

1926 წლის იანვარში კიროვი არჩეულ იქნა საკავშირო კპ (ბ) ლენინგრადის საოლქო და ჩრდილო-დასავლეთ ბიუროს მდივნად, 1927 წელს კი — საკავშირო კპ (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად.

თუ რაოდენი იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკებისა და ყველა მშრომელის გრძნობები და სიყვარული კიროვის მიმართ, ამაზე ნათლად მეტყველებს ბაქოს პარტიული აქტივის კრების მიმართვა ლენინგრადის ბოლშევიკებისადმი კიროვის ლენინგრადში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით. მიმართვაში ნათქვამია: „პარტიის უმაღლესი ორგანოს — ცენტრალური კომიტეტის ნებასურვილით და, ამრიგად, მთელი პარტიის ნებასურვილით, ჩვენი პარტიის აზერბაიჯანის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ბაქოს მუშათა საყვარელი ადამიანი, ამხანაგი სერგეი მირონის ძე კიროვი გამოგზავნილია სამუშაოდ

ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 183.

თქვენთან, ლენინგრადის ორგანიზაციაში. რა ძნელიც არ უნდა იყოს განშორება ამხანაგ კიროვთან, რა ძვირფასიც არ უნდა იყოს ჩვენთვის ამხანაგი კიროვი, ჩვენ გვანუგეშებს ერთი აზრი, რომ ის ლენინგრადში იქნება.

ბაქოში კიროვის ხუთი წლის მუშაობამ ჩვენ დაგვანახა, რომ ის არა მარტო საუკეთესო მუშაკია, არამედ საუკეთესო ამხანაგიცაა. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ კიროვის თქვენთან გადაყვანით არა მარტო კმაყოფილი იქნებით, არამედ, თქვენ მას მალე ისე შეიყვარებთ, როგორც ის შეიყვარეს ბაქოს მუშებმა.

თქვენ, ამხანაგო ლენინგრადელო კომუნისტებო! ანხანაგ კიროვის სახით შეიძინეთ ურყევი, მტკიცე, ძველი ბოლშევიკ-ლენინელი, თქვენი ორგანიზაციის საუკეთესო უნარიანი ხელმძღვანელი".[1]

აცილებდნენ რა ბაქოდან ლენინგრადში სამუშაოდ მიმავალ კიროვს, ამიერკავკასიის მშრომელებმა მას ბაქოს ბოლშევიკების მეშვეობით განუცხადეს: „როგორადაც ძნელი არ არის ჩვენთვის შენი დაშორება, როგორადაც ძვირფასი არა ხარ ჩვენთვის, ჩვენ გვანუგეშებს ერთი აზრი, რომ შენ ლენინგრადში იქნები. შენმა ხუთი წლის მუშაობამ ბაქოში დაგვანახა, რომ შენ იყავი საუკეთესო მუშაკი და ამხანაგი. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შენ ლენინგრადშიაც იქნები ისეთივე, როგორც იყავი ბაქოს მუშებისა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელებისათვის".[2]

პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი კიროვს იცნობდა, როგორც კომუნიზმის საქმისადმი თავდადებულ მებრძოლს. იგი ულმობლად უსწორდებოდა სოციალიზმის ყველა ჯურის მტრებს. მაგრამ ამავე დროს ის იყო უაღრესად ჰუმანური,

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი", 1926 წ. 13 იანვარი.

[2] გაზ. „კომუნისტი", № 281, 1934 წ.

მგრძნობიარე ადამიანი, თავისი მეგობრებისა და ამხანაგების მწუხარებას იგი ისე განიცდიდა, როგორც საკუთარს.

კიროვი დიდად აღაშფოთა ინგლისელი და ესერი ჯალათების მიერ 1918 წლის შემოდგომაზე ბაქოს 26 კომისრის ვერაგულმა დახვრეტამ. 1920 წლის 8 სექტემბერს კიროვმა ბაქოს მუშებსა და აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის დელეგატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბაქოში თავისუფ-

ბ. სტალინი, ს. კიროვი. ნ. მ. შვერნიკ ლენინგრადში 1926 წ.

ლების მოედანზე 26 კომისრის ნეშტის გადმოტანასა და დასაფლავებაში. ხოლო 1921 წელს კიროვმა ბაქოს კომისრების საფლავთან მგზნებარე. ამარელვებელი სიტყვა წარმოთქვა.

ახასიათებდა რა კიროვს, როგორც უბრალო, თავმდაბალ მოქალაქეს და რევოლუციის დიდ ტრიბუნს, ამბ. ს. თოდრია თავის მოგონებაში წერდა: საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად მუშაობის დროს „მე ამხ. კიროვს გავეცანი პირადად. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ამ კაცმა, რომელზედაც ამდენი სათავგადასავლო ამბები მსმენია. უბრალო, სადა, თავმდაბალი ამხ. კიროვი ყოველთვის თბილად მხვდებოდა. მას აინტერესებდა ყოველი ამხანაგის პირადი ამბავი. სწუხდა, როცა გაიგებდა ამა თუ იმ ნაცნობის გაჭირვების შესახებ და ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მას.

ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბების ხანებში მე მოვიბმინე ამხ. კიროვის სიტყვა ბაქოში. ვებერთელა დარბაზი სავსე იყო ბაქოს პროლეტარებით. კიროვმა სიტყვა დაიწყო. ჯერ იგი ლაპარაკობდა წყნარად, მშვიდად. შემდეგ ორატორი შევიდა ექსტაზში. მისი ხმა სჭექდა. ორატორმა უხილავი ცეცხლი დაანთო დარბაზში. ორატორი მოშორდა კათედრას, იგი მოდის ავანსცენისაკენ და მატულობს მისი ხმის მჭექარება. უხილავი ცეცხლის ალი მოედო ყველას გულს. დარბაზი გაიტაცა ორატორმა და გაისმა ტაშის გრიალი კიდევ და კიდევ.

შემდეგაც მრავალჯერ შევხვედრივარ მას. ყოველთვის მომხიბლავ შთაბეჭდილებას სტოვებდა იგი მნახველზე".[1]

დიდად აფასებდა კიროვს, როგორც ფართე ჰორიზონტის მქონე ადამიანს, გონიერ მუშაკს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში მოსკოვიდან თბილისში მომავალი ფ. მახარაძე, რომელსაც კიროვი ჩრდილოეთ კავკასიაში შეხვდა, ვლადიკავკავიდან მოსკოვში მიხა ცხაკაიას წერდა: „უნდა მოგწერო კიდევ აი რა, კიროვმა აქ ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა და ეს არა იმიტომ, რომ მეტისმეტი ყურადღებით მომექცა მე პირადად შეხვედრის

[1] გაზ. „კომუნისტი", № 281, 1934 წ.

დროს, არამედ თავისი გონიერი შეხედულებებითა და მსჯელობით".[1]

ს. მ. კიროვისა და ს. კ. ორჯონიკიძის ხუთი წლის განმავლობაში ერთად მუშაობა ამიერკავკასიაში ნიმუშია მეგობრობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობისა. მათი მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, კიდევ უფრო განმტკიცდა მათი ერთად მუშაობის დროს ამიერკავკასიაში. ისინი ყველა საკითხებს ერთად წყვეტდნენ. როგორც ს. ორჯონიკიძის უახლოესი მეგობარი ზინაიდა გაბრიელის ასული ორჯონიკიძე მოგვითხრობს, სერგოს თბილისში და კიროვის ბაქოში მუშაობის პერიოდში, გარდა ხშირი მიმოწერისა და ტელეფონით კავშირისა, ისინი სისტემატურად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად დადიოდნენ ნავთის საწარმოებში, ფაბრიკებსა და სოფლებში. ისინი ერთად მიემგზავრებოდნენ მოსკოვში კონფერენციებსა და პლენუმებზე. სერგოს უხაროდა ის წარმატებები, რომელიც აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა ს. კიროვის ხელმძღვანელობით მოიპოვეს 1921-1925 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში[2].

ს. კიროვისადმი სიყვარული ს. ორჯონიკიძემ გამოხატა კიროვის ლენინგრადში სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მუშაკებისადმი გაგზავნილ წერილებში.

ახასიათებდა რა კიროვს, როგორც საუკეთესო მეგობარსა და მუშაკს, ს. ორჯონიკიძე თავის ლენინგრადელ ამხანაგს წერდა:

„ჩვენი კიროვი ყოველმხრივ დაგეხმარებათ, რათა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ აღადგინოთ ლენინგრადის ორგანი-

---

[1] ნ. მახარაძე, ფილიპე მახარაძე, 1958 წ. გვ. 95.

[2] ზ. ორჯონიკიძე „კიროვი და სერგო", გაზ. „ინდუსტრია", 1939 წ. 2 დეკემბერი.

ზაციის ერთიანობა. ვირწმუნოთ, რომ უახლოეს დროში ბოლო
ᲛᲝᲔᲚᲔᲑᲐ იმ ურთიერთობას, რომელიც თქვენთან არსებობს“.[1]

ლენინგრადელი ამხანაგებისადმი გაგზავნილ მეორე წერილში სერგო აღნიშნავდა:

„ძვირფასო მეგობრებო! თქვენი აურზაური ძალიან ძვირად დაგვიჯდა: წაგვართვეს ჩვენ ამბ. კიროვი. ჩვენთვის ეს ძალიან დიდი დანაკარგია, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გაგამტკიცეთ ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ყოველივეს დასძლევთ და რაღაც ორიოდე თვის შემდეგ ყველაფერი მოგვარებული იქნება. კიროვი უაღრესად კარგი ვაჟკაცია, ოღონდ თქვენს მეტს რავის იცნობს. დარწმუნებული ვარ მეგობრული ნდობით მოეპყრობით მას. სულითა და გულით გისურვებთ სრულ წარმატებებს.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი სერგო“[2]

ლენინგრადში კიროვისა და მოსკოვში სერგოს სამუშაოდ გადასვლის შემდეგ, მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ისინი ზრუნავდნენ ერთმანეთის ჯანმრთელობაზე, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის განუყრელი მეგობრები იყვნენ. აი რას წერდა ს. ორჯონიკიძე 1928 წლის ზაფხულში კისლოვოდსკიდან ლენინგრადში კიროვს:

„როგორ ჩატარდა შენი ნადირობა? ბევრი ნადირი დახოცე? შენ, ძმაო, ყოველ შემთხვევაში კაცურად დაისვენე, თუ არა უცებ რაიმე რომ გამოგიჩნდეს, მერე კი გვიანი იქნება. დაისვენე ყველას საკეთილდღეოდ, კაცურად დაისვენე.

მე თავს, არა უშავს, კარგად ვგრძნობ, თუმცა თირკმლები ძტკივა თითქმის ყოველთვის. მალე დავბრუნდები მოსკოვში და იქ გადავწყვეტთ როგორ იქნება შემდეგ. საქმე თითქმის ძალიან არასასურველია. მაგრამ აქ ვერაფერს ვერ გავხდები.

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 85. აღწ. 25. ს. 108. ფურც. 2.

[2] იქვე.

[2] იქვე, ფურც. 1.

მარუსია გიამბობს ყველაფერს გარკვეულად. მე გაგიქებით მინდა ვისაუბრო შენთან ძალიან ბევრ საკითხებზე, მაგრამ წერილში ყველაფერზე ვერ იტყვი, უკეთესია გადავდოთ შეხვედრამდე!

ამა, იყავი ჯანმრთელად, დაისვენე აუცილებლად.
მაგრად, მაგრად გეხვევი შენ,
შენი სერგო"[1]

სათავეში ედგა რა ლენინის ქალაქის გმირ პროლეტარიატს. კიროვი სისტემატურ დახმარებას უწევდა საქართველოს. და ამიერკავკასიის მშრომელებს მუშაობაში. როდესაც კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარების საქმეში დაშვებულ იქნა დამახინჯებანი, საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით 1930 წლის ნოემბერს "კიროვი ჩამოდის ამიერკავკასიაში და პრაქტიკულად ეხმარება ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შეცდომათა გამოსწორების საქმეში. კიროვ-ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე გამოდის მოხსენებებით თბილისში, ბაქოსა და ერევანში და რაზმავს ამიერკავკასიის მშრომელებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

1930 წლის 18 ნოემბერს, თბილისში საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო კომიტეტის საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე კიროვი გამოვიდა მოხსენებით შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. 19 ნოემბერს საღამოს 7 საათზე თბილისის ოპერის თეატრში ამავე საკითხზე კიროვი გამოდის მოხსენებით საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული კონტროლის გაერთიანებულ პლენუმზე, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტის მდივნები და თბილისის პარტიის აქტივი, სულ 2.000-ე კაცი.[2] კიროვის გამოჩენას ტრიბუნაზე პლენუმის მონაწილენი ოვაციით შეხვდნენ.

---

[1] ი. რაზგონი, ს. მ. კიროვი, 1938 წ. გვ. 107—108.
[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 260, 1930 წ.

კიროვმა თავის შესანიშნავ მოხსენებებში ნათელყო საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობა და მიზეზები კოლექტივიზაციის გატარების საქმეში დაშვებული შეცდომებისა.

კიროვის მოხსენების გამო პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილ იქნა მეშარჯვენე გადამხრელების ანტიპარტიული მოღალატური მოქმედება. პლენუმმა მოუწოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მჭიდროდ დარაზმულიყვნენ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გადამხრელების, ველიკოდერჟავული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პლენუმმა კიროვის მოხსენების გარშემო დასახა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის როგორც პოლიტიკურად, ისე მეურნეობრივად განმტკიცებისაკენ.

პლენუმზე მიღებული გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მოუწოდებდა გაეშალათ სოფლად მუშაობა მასიური კოლექტივიზაციის განხორციელებისა და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის მოსამზადებლად. კიროვის მოხსენების გარშემო ასეთივე დადგენილება იქნა მიღებული საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ისე, როგორც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, დაგმო მემარჯვენე გადამხრელების გამთიშველი მოქმედება და მოითხოვა მათი ლიდერების სასტიკად დასჯა.[1]

კიროვს აღაფრთოვანებდა საქართველოს მშრომელთა წარმატებები, რომლებსაც ისინი აღწევდნენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამაზე ნათლად მიუთითებს კიროვის ხელმოწერით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-

---

[1] ი. ნოკონოვი, კიროვი კავკასიაში, გამოუქვეყნებელ მასალები, ტ. I, გვ. 65—70.

ბის ათი წლისთავზე ლენინგრადის ბოლშევიკების მისალმება საქართველოს მშრომელებისადმი, რომელშიაც ნათქვამია:

„საკავშირო კპ(ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტისაგან

ლენინგრადი 25 თებერვალი.

საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში ათი წლის თავისუფალი არსებობის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკამ მიაღწია უდიდეს წარმატებებსა და გამარჯვებებს. ნაცვლად მეფის კოლონიისა, სადაც მძვინვარებდა ბაში-ბუზუკებისა და მეფის „ნამესტნიკების" თვითნებობა, ნაცვლად რომანოვების გვირგვინის მარგალიტებისა და მათი უკანასკნელი ციხე-სიმაგრისა, სადაც მოკალათებული იყო რუსეთის მენშევიზმი, — საქართველო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით იქცა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნად და სოციალისტური რევოლუციის დასაყრდენად აღმოსავლეთის მიჯნაზე.

საერთო ძალღონით საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა სომხეთის პროლეტარიატთან და მუშაკებთან ერთად და მათთან ძმურ კავშირში ყოფნით ქართველმა მუშებმა და გლეხთა მასებმა დაამყარეს ურღვევი მტკიცე ნაციონალური მშვიდობა ამიერკავკასიაში. ეს უდიდესი წარმატებანი და გამარჯვებები იმის სრული თავდებია, რომ საბჭოთა საქართველოს მუშები და კოლმეურნეები კიდევ უფრო გააძლიერებენ დიად მშენებლობას და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან და მუშაკებთან ხელიხელჩაკიდებულნი დაამთავრებენ ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტ წელს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას, და თუ საჭირო იქნება, გამანადგურებელი შეტევით უპასუხებენ საერთაშორისო კაპიტალიზმისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ჯურის მტრების მოქმედებებს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ დიად მშენებლობას და შეანელონ ამ მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის ფედერაციას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა სამშობლოს!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში!

საკავშირო კპ(ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი კიროვი".[1]

ლენინის ქალაქის ბოლშევიკებმა კიროვის მეთაურობით ნიღაბი ახადეს ხალხის მტრებს და დაუნდობლად გაანადგურეს კაპიტალიზმის რესტავრატორთა კონტრრევოლუციური ბანდა ლენინგრადში. კიროვის ხელმძღვანელობით ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია გადაიქცა ჩვენი პარტიის საიმედო ბურჯად და მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ, რომლის შესახებ ლენინგრადში სამუშაოდ გადასვლის ერთი წლის შემდეგ 1927 წლის იანვარში ლენინგრადის მე-24 საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე კიროვმა განაცხადა: „შლაგბაუმი ლენინგრადისაკენ მიმავალ გზაზე ოპოზიციისათვის დახურულია, დახურულია, საბოლოოდ".[2]

ლენინგრადში კიროვმა უაღრესი გადამწყვეტი ბრძოლა მოაწყო ბოლშევიზმის ყველა და ყოველგვარი ჯურის მტრების წინააღმდეგ. ლენინგრადის ბოლშევიკების სახელით პარტიის XV ყრილობაზე ოვაციის ქვეშ კიროვმა განაცხადა: „...ოპოზიცია უნდა მოვკვეთოთ უაღრესი გამბედაობით, უაღრესი სიმტკიცით და უაღრესი ულმობელობით. ამას მოელის ჩვენი პარტია, ამას მოელის ჩვენგან მუშათა კლასი, ამას მოელის ჩვენგან, ამხანაგებო, საერთაშორისო მუშათა პროლეტარიატიც. კომინტერნის აი ის ნამდვილი ფუძემდებელი პარტია — საიდანაც იშვა მსოფლიო რევოლუცია, რომელიც აშენებს პრაქტიკულად სოციალიზმს, — ის უნდა დარჩეს ნამღვილი მთლიანი. ყველაფერი რაც ფეხქვეშ გვებლანდება, რაც მერყეობს და ეჭვიანობს, უნდა დარჩეს ისტორიულ უფსკრულში. ხოლო ჩვენ კი თქვენთან ერთად გვაქვს წინ სავალი, და მხოლოდ გამარჯვებებისაკენ სავალი გზა".

კიროვი მოითხოვდა ბოლომდე დაგვეცვა ჩვენი პარტიის ლენინური ერთიანობა, სიწმინდე და გაგვემტკიცებინა მისი რიგები, ამის შესახებ პარტიის XVI ყრილობის ტრიბუნიდან 1930 წლის 30 ივნისს მან თქვა: „აუცილებელია ვიზრუნოთ

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 48, 1931 წ.

[2] ს. ო. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. III, 1936 წ.

ძირითადისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი დიადი მონოლითური პარტია იყოს ნამდვილი სალი-კლდე, რომელზეც თავს გაიტეხს ყველა, ვინც წინ გადაეღობება ძლევამოსილ მზარდ სოციალიზმს". პარტიის XVII ყრილობის საპატივცემულოდ წითელ მოედანზე გამართულ დემონსტრაციაზე, თავის მგზნებარე სიტყვაში, 1934 წლის 31 იანვარს, კიროვი ამბობდა: „ჩვენი პარტია მტკიცეა, როგორც გრანიტი! ჩვენი პარტია ერთიანია და განუყოფელი, როგორც მონოლითი".[1]

ლენინგრადის მუშებმა, ლენინგრადის ბოლშევიკების და მისი ხელმძღვანელის, ს. კიროვის თაოსნობით, მოახდინეს მრეწველობის სოციალისტურად გარდაქმნა, რის შედეგად ლენინის ქალაქი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრ ბაზად იქცა. კიროვის მუშაობის პერიოდში ლენინგრადის ოლქში აშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ის იყო ორგანიზატორი სტალინის სახელობის არხის გაყვანისა, რომელიც ბალტიის ზღვასა და ლენინგრადს აკავშირებს თეთრ ზღვასთან და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესთან, კიროვის ინიციატივით დაიწყო კოლის ნახევარკუნძულის სიმდიდრეთა ათვისება, იგი თვითონ მუშაობდა ჩრდილოეთ პოლარულ წრის იქით ტუნდრაში აპატიტების მადნის დამუშავების საკითხებზე. კიროვი ეკუთვნის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ლენინურ ბირთვს, რომელმაც სოციალიზმის ყველა ჯურის მტრებთან ბრძოლაში დაიცვა ლენინიზმის ყოვლისშემძლე დროშა და საბჭოთა ხალხი დააყენა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფართო გზაზე. მან უდიდესი შრომა გასწია ლენინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

1934 წელს, როცა შეიქმნა პურის აღების დაგვიანების საფრთხე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით კიროვი იგზავნება ყაზახეთში, სადაც მან, ყაზახეთის მშრომელების ერთიანი დარაზმვით, უზრუნველჰყო პურის მოსავლის ორგანიზებულად აღება. კიროვის სახელთან დაკავშირებულია

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები 1939 წ. გვ. 641.

შეუპოვარი მუშაობა სოციალიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე, იგი დაუღალავად რაზმავდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კომუნისტური პარტიის გარშემო.

კიროვი დიდ მუშაობას ატარებდა უპარტიო მასებთან კომუნისტების კავშირის განმტკიცებისათვის, რადგან მან კარგად იცოდა, რომ კომუნისტების კავშირი მასებთან—ეს იყო და არის ბოლშევიკური პარტიის ძლიერებისა და უძლეველობის წყარო, ამიტომ კიროვი კომუნისტებისაგან ითხოვდა დაუღალავად ემუშავათ მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის: „საჭიროა განვამტკიცოთ მასებთან კავშირი, — ამბობდა კიროვი,— ხშირად ვიყოთ იქ, სადაც სოციალიზმი შენდება — ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. აი, იქ უნდა ისწავლოს, აღიზარდოს და გამოიწრთოს თვითეული ბოლშევიკი“.

კიროვი თვითონ იყო მაგალითის მაჩვენებელი, თუ როგორ უნდა მუშაობდეს კომუნისტი უპარტიო მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის. ბაქოში კიროვის სახლ-მუზეუმში ინახება კიროვის უბრალო მუშური ლაბადა, რომელიც მას ეცვა ნავთის სარეწაოების დათვალიერებისას, და რომელსაც ახლაც ნავთობის ლაქები ამჩნევია, აქვე ინახება კიროვის უბრალო გლეხური ქალაბანი, რომლითაც იგი ბაქოელ ამხანაგებთან ერთად დადიოდა სანადიროდ.

მიუხედავად მუშაობით დატვირთვისა, კიროვი ყოველთვის პოულობდა დროს გაერჩია მშრომელთა საჩივრები და განცხადებები, მას ხშირად ნახავდით მუშათა უბნებში, სადაც იგი ესაუბრებოდა მუშებს საჭირბოროტო საკითხებზე. მუშათა ბინებში შესვლისას კიროვი პირადად ამოწმებდა თუ როგორ იყო მოწყობილი სამზარეულო, ჰქონდათ თუ არა სინათლე, წყალი და პირველი მოხმარების საგნები. მუშები განცვიფრებული იყვნენ კიროვის უბრალოებითა და მშობლიური მზრუნველობით. აზერბაიჯანის ნავთის სარეწაოებიდან იგი მანქანით დაბრუნებისას არასოდეს არ მოდიოდა მარტო, აუცილებლად გვერდით მოისვამდა რომელიმე მუშას და წამოიყვანდა ქალაქში.

კიროვს ქონდა განსაკუთრებული უნარი გაეგო მასების

მოთხოვნილება, დაერაზმა ისინი სიძნელეთა დასაძლევად. ამიერკავკასიაში მუშაობის პერიოდში მან დაიმსახურა მშრომელი მოსახლეობის უდიდესი სიყვარული. მისი უბრალო, სადა, მაგრამ ღრმად შინაარსიანი გამოსვლები იყო ყველასათვის მისაწვდომი და ამაღელვებელი. აზერბაიჯანელი მუშები და გლეხები, რომლებმაც ცუდად იცოდნენ რუსული ენა, კიროვის სიტყვის, საუბრის ან მოხსენების შემდეგ ამბობდნენ: არ გვჭირდება თარჯიმანი, ისედაც გვესმის ჩვენი კიროვის. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ კიროვის ყველა გამოსვლა მიმართული იყო იმ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისაკენ, რომელი ამოცანებიც იდგა აზერბაიჯანის მშრომელების წინაშე. კიროვის სიტყვები იყო პირდაპირი გაგრძელება მისი დიდი ორგანიზატორული და პრაქტიკული საქმიანობისა.

კიროვი ამავე დროს იყო მომთხოვნი როგორც თავის თანასადმი, ისე სხვა მუშაკების მიმართ. ის ვერ ითმენდა მუშაკის თავგასულობას ან თვითკმაყოფილებას. თავის უკანასკნელ გამოსვლაში ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პლენუმზე 1934 წლის 10 ოქტომბერს, აკრიტიკებდა რა რაიონის ცალკეულ მუშაკებს, რომლებიც უხეიროდ მუშაობდნენ, კიროვი განმარტავდა, რომ თვითკმაყოფილება ეს არის უაღრესად მავნე განწყობილება, — აქვე მიუთითებდა, — რომ ბოლშევიკს არ შეუძლია და არც უნდა კმაყოფილდებოდეს მიღწეულით, „საჭიროა, რომ ჩვენ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მუდამ თან გვახლდეს ბოლშევიკური, პატიოსანი, კეთილშობილი, შინაგანი მოუსვენრობა პარტიის საქმისათვის“[1]

ს. მ. კიროვს მუშაობასთან ერთად დასვენება და გართობაც უყვარდა. ის დასვენების დღეებში დადიოდა ამხანაგებთან ერთად სანადიროდ. კიროვი კარგად ისროდა. მისი ამხანაგები ამბობდნენ: კიროვი მაგნიტივით იზიდავს მიზანსო. ს. კიროვი ბაქოელ ამხანაგებთან საუბარში იგონებდა, რომ მოსკოვში ყოფნის დროს ის ვ. ი. ლენინთან ერთად ხშირად დადიოდა სანადიროდ. როგორც კიროვი ამბობდა, ვ. ი. ლენინს ნადირობა დასვენების საუკეთესო სახედ მიაჩნდა. კიროვი ბაქოში თა-

---

[1] ს. მ. კიროვი სტატიები და სიტყვები 1937 წ. 4 გვ. 179.

ვის თანამებრძოლებს ასწავლიდა, რომ ყოველ მუშაკს უნდა შეეძლოს როგორც მუშაობა, ისე დასვენება, რათა დასვენების შემდეგ ახალი ენერგიით შეუდგეს მუშაობასო.[1]

კიროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და დაუღალავად მუშაობდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცების საკითხებზე. როგორც კუიბიშევი აღნიშნავდა, კიროვი იყო წითელი არმიის სული და გული. კიროვი მოუწოდებდა საბჭოთა ადამიანებს მუდამ ფხიზლად ყოფილიყვნენ და დაუღალავად ეზრუნათ ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძალების გაძლიერებისათვის, რათა დაგვეცვა საბჭოთა მიწა-წყალი იმპერიალისტ აგრესორებისაგან.

ახასიათებდა რა კაპიტალისტთა მტაცებლურ ბუნებას, კიროვი ამბობდა „თუ სუსტი ხარ, იარაღი არ გაჩხია, თუნდაც ოციათასჯერ აღიარო სამშვიდობო პოლიტიკა, მაინც გაგძარცვავენ და გცემენ და ვერავითარი სიტყვიერი პროტესტით ამ ძარცვას ვერ შეაჩერებ. ასეთია კაპიტალიზმის კანონი. იმპერიალისტმა აგრესორებმა მოუმზადებელს რომ არ მოგვისწროს, ასწავლიდა კიროვი საბჭოთა ადამიანებს, — ამისათვის საჭიროა ყოველმხრივ და ყველგან გავშალოთ სამხედრო მუშაობა, რათა დავიცვათ მშვიდობის საქმე.[2]

კიროვს უსაზღვროდ უყვარდა საბჭოთა ხალხის ბელადი მშობლიური კომუნისტური პარტია. იგი დაუღალავად მუშაობდა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისა და ბოლშევიკურად გამოწრთობისათვის. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით ააშენებდა კომუნისტურ საზოგადოებას. „ჩვენი საქმე, ამხანაგებო, — ამბობდა კიროვი — უძლეველია არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს მშენებელთა დიდი არმია, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ ვაშენებთ ისეთი არქიტექტორის გეგმით, რომელსაც არ დაებნევა სწორი ისტო-

---

[1] „ამხანაგი კიროვი", 1935 წ. გვ. 188.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის არქივი, ფ. 268 გვ. 1—2.

რიული გზა, ჩვენი არქიტექტორია ლენინიზმით შეიარაღებული ჩვენი უძლეველი ბოლშევიკური პარტია".

კიროვი შეჰხაროდა კომუნიზმის მშენებლობას, იგი, საბჭოთა ქვეყნის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული, პარტიის მე-17 ყრილობის ტრიბუნიდან მან განაცხადა: „წარმატებები მართლაც რომ უდიდესი გვაქვს, დალახვროს ეშმაკმა, ადამიანურად რომ ვთქვათ, კაცს გინდა იცოცხლო და იცოცხლო..."[1]

სერგეი მირონის-ძე კიროვი იყო აქტიური მებრძოლი მშვიდობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ცხოვრებაში გატარებისა.

„მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ — განაცხადა კიროვმა ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე 1933 წლის იანვარს — რაც დიდი მათემატიკოსი ცდილობდა ეპოვნა საყრდენი წერტილი იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით შემოეტრიალებინა მთელი დედამიწა. განვლეს საუკუნეებმა და ეს საყრდენი არამც თუ ნაპოვნია, არამედ იგი შექმნილია ჩვენი ხელით. არ გავა დიდი ხანი, როცა ჩვენ თქვენთან ერთად ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის მონაპოვარზე დაყრდნობით დედამიწის ორივე ნახევარსფეროს შემოვაბრუნებთ კომუნიზმის გზაზე".[2]

კიროვს ახარებდა, აღფრთოვანებდა ის წარმატებები, რაც სოციალიზმის მშენებლობის საქმეში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა ხალხი აღწევდა.

„...ჩვენ აქ, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, ვხედავთ, — თქვა კიროვმა 1934 წლის იელისში ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, — როგორ ღიმი ღღე და ყოველ საათობით იშვედება ახალი, სოციალისტური საზოგადოება, თუ როგორ შენდება მშრომელთა ნამდვილი უძლეველი ცხოვრება. ბრმა უნდა იყო, რომ არ დაინახო, თუ როგორ დაყოფილა ამჟამად მთელი დე-

---

[1] ს. მ. კიროვი, რჩეული სიტყვები და სტატიები, 1939 წ. გვ. 637.

[2] ს. მ. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 552.

დამიწა ორ გიგანტურ, მაგრამ არათანაბარ ნახევარსფეროდ. ერთზეა ღამე, წყვდიადი, სიკვერანე და მკვდარი სიტყვა—სიკვდილი, მეორეზეა — სიცოცხლე, მუშაობა და შემოქმედება და ძლევამოსილი სიტყვა — წინ ახალი ცხოვრებისაკენ. და, ამხანაგებო, არ არიან იმაზე უფრო ბედნიერი ადამიანები, რომლებსაც ბოლშევიკები ეწოდება, ამ ნახევარსფეროზე ჩვენ თქვენთან წინ მიგვაქვს ეს ძლევამოსილი დროშა და ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ".

იყო რა გამოჩენილი ორგანიზატორი, პრაქტიკოსი და ტრიბუნი, კიროვმა ამავე დროს თავისი წვლილი შეიტანა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განვითარებაში. მან ი. ბ. სტალინთან და ა. ა. ჟდანოვთან ერთად შეადგინა ცნობილი შენიშვნები სსრ კავშირის ხალხთა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტებზე. კიროვი ი. სტალინთან, კ. ვოროშილოვთან, ა. ჟდანოვთან და მ. გორკისთან ერთად მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიის შედგენაში.

ს. მ. კიროვს, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ხელმძღვანელი პოსტები ეკავა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ორგანოებში. კიროვი იყო საბჭოთა კავშირისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მრავალი მოწვევის წევრი, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წევრი. 1926 წლიდან — იყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, 1930 წლიდან — პოლიტბიუროს წევრი, 1927 წლიდან მუშაობდა პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად. ამავე დროს 1934 წელს პარტიის XVII. ყრილობის შემდეგ იგი არჩეულ იქნა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

სერგეი მირონის-ძე კიროვი უსაზღვროდ უყვარდა ჩვენს პარტიას, მთელს საბჭოთა ხალხს, როგორც კომუნიზმის მშენებლობისათვის თავდადებული მებრძოლი, უბრალო მოქალაქე და ადამიანი. მაგრამ იგი სძულდათ სოციალიზმის მტრებს,

იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტებს, რომლებსაც საბჭოთა ქვეყნის წარმატებები ცოფს გვრიდნენ. ამიტომ იყო, რომ კონტრრევოლუციონერთა საზიზღარმა ბანდამ თავისი სისხლიანი ხელი აღმართა კიროვის მგზნებარე სიცოცხლის წინააღმდეგ.

1934 წლის 1 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ს. მ. კიროვი ურიცკის სასახლეში ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე უნდა გამოსულიყო მოხსენებით საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ, მაგრამ კიროვს არ დასცალდა მოხსენების გაკეთება. დღის 4 საათსა და 30 წუთზე კიროვი სმოლნში თავის კაბინეტის კართან მტრის ხელით გასროლილი რევოლვერის ტყვიით ვერაგულად იქნა მოკლული. „დანაშაულის ადგილზე შეპყრობილი მკვლელი გამსჭვალული იყო მტრობისა და სიძულვილის გრძნობით პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეებისადმი, რომლებიც მტკიცედ ახორციელებდნენ გენერალურ ხაზს, მიმართულს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, იგი გაბოროტებული გარეწარი იყო, ურთიერთობა ჰქონდა ზინოვიევური ანტიპარტიული ჯგუფის ზოგიერთ ყოფილ მონაწილესთან“.[1]

1934 წლის 2 დეკემბერს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მწუხარებით აუწყა პარტიას, საბჭოთა ხალხს და მთელ მსოფლიოს მშრომელებს კიროვის მუხანათური მკვლელობის შესახებ:

„საკავშირო კპ (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი უდიდესი მწუხარებით აუწყებს პარტიას, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ პირველ დეკემბერს ლენინგრადში მუშათა კლასის მტრის მოღალატური ხელით დაიღუპა ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, მხურვალე, უშიშარი რევოლუციონერი, ლენინგრადის ბოლშევიკების და ყველა მშრომელის საყვარელი ხელმძღვანელი, საკავშირო კპ (ბოლშევიკების) ლენინგრადის კომიტეტის მდივანი, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959 წ. გვ. 613.

კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი სერგეი მირონის ძე კიროვი.

მთელი პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასისათვის საყვარელი, კრისტალურად სპეტაკი და მტკიცე, ურყევი პარტიული, ბოლშევიკ ლენინელის ამხანაგ კიროვის დაკარგვა, რომელმაც მთელი თავისი მკვეთრი, სახელოვანი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს, — წარმოადგენს უაღრესად მძიმე დანაკლისს მთელი პარტიისა და საბჭოებისათვის უკანასკნელ წლებში.

ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ კიროვის ხსოვნა, საბჭოთა კავშირში პროლეტარული რევოლუციისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის მისი უშიშარი, დაუღალავი ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი აღაგზნებს პროლეტართა მილიონებს და ყველა მშრომელს შემდგომი ბრძოლისათვის სოციალიზმის გასამარჯვებლად, მუშათა კლასის ყველა მტრის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად".[1]

სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობამ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა უდიდესი მწუხარება და მრისხანება გამოიწვია, მწუხარებამ მოიცვა ჩვენი სამშობლო, მსოფლიო პროლეტარიატი. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით 3, 4, 5, 6 დეკემბერი გამოცხადებული იქნა გლოვის დღეებად. ამ დღეებში მოსკოვში შეწყდა ყოველგვარი გართობა თეატრებში, კლუბებში, კინოებსა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

აფასებდნენ რა კიროვს, როგორც ერთგულ მეგობარს, საყვარელ ადამიანსა და საიმედო თანამებრძოლს, ი. ბ. სტალინი და მისი ამხანაგები გაზეთ „პრავდაში" 1934 წლის 3 დეკემბერს წერდნენ:

„ჩვენს პარტიას დიდი უბედურება დაატყდა თავს. პირველ დეკემბერს კლასობრივი მტრების მიერ მოგზავნილი ვერაგი მკვლელის ხელით დაიღუპა ამხანაგი კიროვი. არა მარტო ჩვენთვის — მისი ახლობელი მეგობრებისა და ამხანაგებისათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც იცნობდა მას რევოლუციუ-

---

[1] გაზ. „პრავდა" № 331, 1934 წ.

რი მუშაობით, იცნობდა მას როგორც მებრძოლს, ამხანაგს და მეგობარს, კიროვის სიკვდილი წარმოადგენს ისეთ დანაკლისს, რომლის ანაზღაურება არაფრით არ შეიძლება. მტრის ხელით დაიღუპა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი მკვეთრი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს, კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს.

ამხანაგი კიროვი წარმოადგენდა ისეთი ბოლშევიკის ნიმუშს, რომელმაც არ იცოდა შიში და სიძნელეები პარტიის მიერ დასახული უდიდესი მიზნის მიღწევაში. მისი პირდაპირობა, რკინისებური სიმტკიცე, რევოლუციის აღფრთოვანებული ტრიბუნის განსაცვიფრებელი თვისებანი თავსდებოდნენ მასში იმ გულითადობასა და სინაზესთან პირად ამხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობაში იმ შუქმფენ სითბოსთან და თავაზიანობასთან, რომლებიც სჩვევია ნამდვილ ლენინელს“.

გლოვობდნენ რევოლუციის დიდ ტრიბუნს, საუკეთესო ამხანაგს, მეგობარსა და მოქალაქეს ამიერკავკასიის მშრომელები. ამიერკავკასიის მშრომელების სახელით კიროვის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წერდა: „ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მრავალეროვან ამიერკავკასიის მთელ მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან და მშრომელ მასებთან ერთად ღრმა მწუხარებით ხრის თავის დროშას სოციალისტური სამშობლოს ამ დიადი შვილის ხსოვნის წინაშე.

ლენინგრადის ამხანაგებთან ერთად, მთელს ჩვენ ქვეყანასთან ერთად, დასტირიან ამიერკავკასიის მშრომელები ბოროტმოქმედის ტყვიით შეწყვეტილ სახელოვან სიცოცხლეს ამხანაგ კიროვისა, რომელმაც თავისი დაუშრეტელი ენერგია მოახმარა ამიერკავკასიაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეს“.[1]

მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად გლოვობდნენ საქართველოს მშრომელები თავის საუკეთესო მეგობარს. 1934 წლის 6 დეკემბერს საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე თბილისში ოპე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 281, 1934 წ.

რის თეატრის დარბაზში გაიხსნა სამგლოვიარო მიტინგი, რომელსაც 2.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მიტინგზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც მოაგონა დამსწრეთ კიროვის მიერ განვლილი ბრძოლისა და შრომის გზა. მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად შეჰფიცეს კიროვის ნათელ ხსოვნას, რომ ისინი თავდადებით იბრძოლებდნენ კომუნიზმის მშენებლობისათვის, რომელსაც კიროვმა თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა. ასეთივე მიტინგები გაიმართა ბაქოში, ერევანში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში.

„სერგეი მირონის-ძის სახით. — წერდა ნ. კ. კრუპსკაია თავის ამხანაგებთან ერთად კიროვის უახლოეს მეგობარს მარიამ ლევის ასულ კიროვას, — დავკარგეთ მედგარი პარტიული ამხანაგი, მგზნებარე რევოლუციონერი და ჩვენი პარტიის ერთერთი საუკეთესო ხელმძღვანელი. ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ სერგეი მირონის ძის უშიშარი და გმირული ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის მომავალში აღაფრთოვანებდეს იქნება მშრომელთა მილიონიან მასებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.[1]

იზიარებდა რა პარტიისა და ხალხის მწუხარებას კიროვის დაკარგვის გამო, დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი წერდა: „მოკლეს საუკეთესო ადამიანი, — პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო ბელადი და პროლეტარიატის კულტურის ოსტატის იდეური ნიმუში. სულით და გულით ვიზიარებ პარტიის მწუხარებას, ყველა პატიოსანი მუშის მწუხარებას“.[2]

ახასიათებდა რა კიროვს, როგორც დიდ რევოლუციონერს, გ. დიმიტროვი წერდა: „ამხანაგ კიროვის, რევოლუციონერ ბოლშევიკ-ლენინელის ამ საუცხოო მაგალითის ხსოვნა აღაგზნებს კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტართა მილიონებს კიდევ უფრო თავგამოდებული ბრძოლისათვის პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებლად, მთელი მსოფლიოს მშრო-

---

[1] გაზ. „პრავდა“, № 332, 1934 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი“, № 280, 1934 წ.

მელთა სამშობლოს დასაცავად, კლასობრივი მტრის საბოლოო შესამუსრავად".[1]

აფასებდა რა ს. მ. კიროვს, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს და საუკეთესო მუშაკს, პარტიის მიერ კიროვის შესაცვლელად საკავშირო კპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივნის პოსტზე სამუშაოდ გაგზავნილმა ამხ. ა. ჟდანოვმა ლენინგრადის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების ტრიბუნიდან, 1934 წლის 15 დეკემბერს, ლენინგრადის ბოლშევიკებს განუცხადა: „ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა თქვენი დახმარებით, რამდენადმე მაინც შევცვალო განსვენებული ამხანაგი კიროვი, ვინაიდან მისი მთლიანად შეცვლა ამხანაგებო, მე არ შემიძლია".[2]

მრავალმხრივ სანიმუშო იყო მთელი პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის ადამიანის, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის, სერგეი მირონის-ძე კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც ამიერკავკასიაში მუშაობის პერიოდში დაიმსახურა უსაზღვრო სიყვარული და ნდობა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელებისა, რომლებიც აფასებდნენ მას როგორც მტკიცე ბოლშევიკს, როგორც ხალხთა მეგობრობისათვის დაუღალავ მებრძოლს და გულითად მეგობარს.

კიროვის სახელს დიდი პატივისცემით და სათუთად ინახავენ და სიყვარულით იხსენიებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებმაც კარგად იციან, რომ კიროვმა მთელი თავისი ბრწყინვალე და შესანიშნავი სიცოცხლე მთლიანად მოახმარა ხალხთა კეთილდღეობის საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა იწვევს ყველა მშრომელის გულში სათუთი სიყვარულის გრძნობას, რომლის შესახებ სახალხო აშუღი მღერის:

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 281, 1934 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი", № 299, 1934 წ.

„მთელი ხალხის მეგობრად
შენ მესახები,
მის საყვარელ, ღვიძლ შვილად
შენ მეხატები
გამჭრიახობამ, მირონიჩ,
მოგცა დიდება,
კარგმა საქმემ მოგანიჭა
შენ ძლიერება“.[1]

სერგეი მირონის-ძე კიროვის სახელის უკვდავსაყოფად საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა მისი სახელი უწოდეს ოლქებს, ქალაქებს, რკინიგზებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, ქუჩებს, პარკებს, მოედნებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს.

საქართველოს მშრომელებმა კიროვის სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო რაიონს კიროვის სახელი დაარქვეს. კიროვის სახელს ატარებს თბილისის დაზგათმშენებელი ქარხანა. ქ. თბილისში (ჯაფარიძის ქუჩა № 4) დადგმულია მემორიალური დაფა წარწერით: ამ სახლში 1920 წელს ცხოვრობდა მუშაობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე სერგეი მირონის-ძე კიროვი.

გარდა ზემოდ დასახელებულისა საქართველოში კიროვის სახელს ატარებს მრავალი სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება, მოედანი, პარკი, პროსპექტი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ბევრ ქალაქში და სოფელში დადგმულია სერგეი მირონის-ძე კიროვის ძეგლი. მაგრამ ამით როდი ამოიწურება საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის პატივისცემა და სიყვარული კიროვის უკვდავი სახელისადმი. ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ თვალისჩინივით უფრთხილდებიან რა კიროვის ნათელ ხსოვნას, — საქართველოს მშრომელები წარმატებით იბრძვიან კომუნიზმის მშენებლობისათვის, რომელსაც მთლიანად

---

[1] ეურ. „პარტიული მშენებლობა“, № 22, 1937 წ. გვ. 25.

და საკუთარი თავისი სიცოცხლე მოახმარა სერგეი მირონის-ძე კიროვმა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გულისთქმა კიროვის სახელის უკვდავყოფის საქმეში საუცხოოდ გამოხატა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ ამხ. ა. ა. ჟდანოვმა, როცა მან ლენინგრადის პარტიული კრების ტრიბუნიდან, 1934 წლის 15 დეკემბერს, ოვაციის ქვეშ განაცხადა: „მთელი პარტია, ჩვენი საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი, მთელი ხალხი წმინდად, თვალისჩინივით შეინახავს ამხანაგ კიროვის ხსოვნას და იგი, ჩვენი ხალხი, უდიდეს ძეგლს აუგებს ამხანაგ კიროვს. ეს როდი იქნება მარტო მისი ხსოვნის საპირო უკვდავყოფა, რომელიც დაკავშირებულია ქალაქების, ოლქების, ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის ამხანაგ კიროვის სახელის მიკუთვნებასთან. ჩვენი პარტია და მუშათა კლასი სერგეი მირონის-ძეს აუგებთ ძეგლს სოციალიზმის საქმეში, კომუნიზმის ძლევამოსილ წინსვლაში“.[1]

„ისტორიაში ხშირად ხდება ხოლმე, — თქვა კიროვმა პარტიის XVII ყრილობის ტრიბუნიდან — რომ იმის შესაფასებლად, რაც ისტორიულად გაკეთდა გუშინ, საკმაოდ შორ ისტორიულ მანძილზე უნდა დადგე და შორიდან შეხედო მას, რაც გაგიკეთებია“. როცა კიროვის ამ ბრძნულ სიტყვებს მიუყენებთ მისი ბრძოლისა და მუშაობის გმირულად გავლილი გზის შეფასებას, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ რაც დრო გადის, მით უფრო სანიმუშო და აღმაფრთოვანებელი ხდება კომუნიზმის მშენებელი თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის სერგეი მირონის-ძე კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი ნაბიჯი.

საქართველოს მშრომელები მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალი წარმატებებით ემზა-

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 299, 1934 წ.

დებიან რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ მტკიცე ლენინელის, კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის სერგეი მირონის-ძე კიროვის ნათელ სახელს, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების, მისი განმტკიცებისა და ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის დამყარების საქმეში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . 3
შესავალი 9

თავი პირველი

ს. მ. კიროვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში 31

თავი მეორე

ს. მ. კიროვის მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში 119

თავი მესამე

ს. მ. კიროვი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში 145